

644
1969/4

საქართველოს
საბჭოთავო მწიგნობრობის
სამეცნიერო ცენტრი

საქართველო

8

1969

Handwritten text in the top right corner, possibly a signature or date, including the word "DRAFT" and some illegible characters.



შინაარსი



საქართველოს
წიგნების კავშირი

ლენინიანა

3. ბო ხუთ. მარალ უკვდავი, ლექსი. თარგმნა რევან მარგიანმა

პროზა

7. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. გაუმარჯოს დონ-კიხოტს. მოთხრობა

16. აკაკი გუჯაბია. უკანასკნელი ტყვიბი. ნამდვილი ამბავი

35. თენგიზ გოგოლაძე. ჩალისფერი ძროხები. მოთხრობა

46. გეგან ბარდაველიძე. მოთხრობები

51. ნელი გაბიაშვილი. მოთხრობები

58. თენგიზ თაქთაქიშვილი. უღელი. მოთხრობა

60. ვალერიან ჩუკურიშვილი. კირით თუ ნაცრით. მოთხრობა

კოეზია

33. ლია შავვაშაძე. ლექსები

42. ესმა ონიანი. სვანური მოტივები. ლექსები

50. გიორგი კახანიძე. ლექსები

კოეზიის მერიდიანები

86. ხო-სუან-ხიონე. ლექსები. თარგმნა მურმან ჭგუბურიამ

უცხოური ნოველები

89. პიერ გამარა. გამრავლება. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილიეშვილმა

ნარკვევი

92. მკვლევ ლუკაშვილი. წარსულის ფურცლები

97. ოთარ დიპონიძე. დიდ გუჯა

წერილები

104. ვლადიმერ ჯიგუბი. ოთარ ზელიძის კოეზია

110. შოთა გავროშია. საბოლოო პრესის საზოგადოებრივი როლი

120. ვასილ ჩანტლაძე. ძველური ეპოქის ეპოქური აზრი „ვეფხისტყაოსანში“

ახალგაზრდა მწიგნობრები „ცინკარში“

133. ცისანა ვიგუბი. ვალერიუს ფლავუსის „არგონავტიკა“

ხელოვნება

143. მზია იაშვილი. ძველური მრავალმნიშვნელობის საწყისები

იუმორი

154. ანტონ ბონიჩი. რული შტრალი. მოთხრობები. გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

აურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
ია გომრეძელი,

გივი გუგუშვილი,
გურამ გვირგვინი,
მერაბ ელიოვიშვილი,
კარლო კალაძე,

კონსტანტინე

ლორთქიფანიძე,

ოთარ პაპოვიანი

(მასუხისმგებელი მდივანი),

ტარიელ ზანტუჩიანი,

სერგი ზილიანი,
თამაზ ზილიანი,
ლევან ჯანაშიანი.



გ მ ს ი უ

3006590

მარად უკვდავი

ვითარცა სისხლი
 მიჩქრიალეებს,
 მიქრის ვენებით,
 აღმოდებული
 ისწრაფვის და
 გულში გადადის,
 ასე ესწრაფვის
 მაეზოლეუმს
 უწყვეტ ჩქერებად
 მადლიერ ხალხის
 უსაზღვრო და
 დიდი ნაკადი.

და ეს წითელი
 მოედანი,
 ფართოდ გაშლილი,
 ჩემი ფიქრების
 დიდი წყარო,
 წმინდა სათავე,

დედაქალაქი
 საბჭოების
 ურდვევ კავშირის
 კრემლის ელვარე
 ვარსკვლავების
 შუქით კამკამებს.

ძე მივებიჯებ...
 გაზაფხულის
 ამ მყუდროებას
 ჩემთვის მარადჟამს
 ახლობელი
 შუქი აშუქებს.

მოსკოვო ჩემო,
 მშობლიურო,
 ბედნიერება,
 კვლავ უწმინდესი
 შთაგონებით
 დამასაჩუქრე.

რამდენი ფიქრი
 დაიბადა
 ამ სისხამ დილით,
 რამდენი აზრის
 დაბადებას
 ისევე მოველი.

მე უთვალავი
 მოგონებით
 კვლავ ვარ ადვსილი,
 რაც განვიცადე,
 კარგად მახსოვს
 ახლა ყოველი.

...მზე აღმობრწყინდა,
 მთელ სამყაროს
 გადაანათა,
 სიცოცხლის გუბუნს
 ალამაზებს
 ოქროსფერული.

ის აქ ცხოვრობდა,
 კრემლში სჭედდა
 ხალ სამართალს,
 მარად უკვდავი,
 ბრძენთა-ბრძენი
 დიდი ლენინი.

მე მახსოვს წლები
საშინელი
და შემზარავი,
მე მახსოვს წლები,
როს ვებრძოდით
სიკვდილს კბილებით.
მაშინ დევნილებს
ბოღმა გგკლავდა
დაუფარავი,
სიტყვა „მოსკოვი“
იყო მაშინ
ჩვენთვის იმედი.

ან მზიან სიტყვით
იყო ბევრგან
მიმოწერილი
ბნელი დილეგის
ნესტიანი,
სველი კედლები.
მოსკოვის შუქი
იყო გულში
გამოფენილი,
სავსე ვიყავით
დიდ სიწმინდით
და იმედებით.

კონ დაო, შონ-ლა,
ლაო ბაო
გვემახსოვრება,
ეს ნიშანსვეტი
იყო ჩვენი
იმედიანი.
შავ ბორკილებში
ილეოდა
ჩვენი ცხოვრება,
წინ კი ვხედავდით,
გვიღიმოდა
დილა მზიანი!

ო, ვიეტნამო,
უშიშარი
გმირების მხარე,
შენთვის ვიბრძოდით,
განსაცდელი
ვძლიეთ ურიცხვი,
რამდენმა ჩვენმა
მეგობარმა
დახუჭა თვალი

მომავლისათვის,
შენი დიდი
სიხარულისთვის

რამდენი ჩემი
მეგობარი
ებრძოდა ვერაგს,
სწამდა მომავლის,
სწამდა ხალხთა
თავისუფლების,
ბედნიერება
რომ სწვეოდა
მშრომელის კერას,
უნდა მოესპო,
დაეფანტა
შავი ღრუბლები.

და აღსდგა ხალხი
გასაჭედად
ხვალინდელ დღისა,
სიცოცხლისათვის
საბრძოლველად
აღსდგნენ მხედრები:
უნდა ძვირფასი,
საყვარელი
სამშობლო ვიხსნათ
დავიხოცებით,
მაგრამ ვერაგს
არ დავენებდებით!“

ასეთ ფიცს ვდებდით
და შენს სახელს
ვიმეორებდით,
დედა-მოსკოვო,
შენთან იყო
ჩვენი ფიქრები,
შენ ვიეტნამთან
ახლოს იყავ
გულთ ყოველთვის,
სამარადუამოდ
მშობლიურო,
ჩვენთან იქნები.

დიდო ღვინო!
ხალხის გულში
იყავ მარადის,
მრისხანე დროთა
სინდისო და

პატიოსნებაჲ,
ვიეტნამს შენი
ჩაუქრობი
შუქი დანათის,
შენი გენით
ფრთა შეისხა
ხალხის ოცნებამ!

ჩვენ გზას მზესავით
შენი ბრძნული
სახე გვინათებს,
დაუსრეტელი
შუქით გვაგვებს
ადამიანებს.
ქვეყნიერებას
მოეფინა
შენი სიმართლევ
და ჩვენშიც შენი
უძლეველი
დროშა ფრიალებს.

იგი მომავალ
გამარჯვებებს
ჩვენთან შესვდება,
ლენინი თვითონ
გამარჯვება
არის დიადი.
იგი მარადუამს
ხალხის გულში
მზედ აენტება,
რადგან ამ ქვეყნად
მოგვიტანა
ეს განთიადი.

მაგზოლუემში
სძინავს ლენინს
მარადი ძილით,
ვინ იცის, იქნებ
ხალხთა ბელადს
სულაც არ სძინავს
არამედ იგი
ოცნებობს და
გონების სხივით
დიდი მომავლის,
ისტორიის
გზებს კვლავ აბრწყინებს.

სდუმს ბრძენი მამა
სდუმს ფიქრებში
დიდი ლენინი,
უსმენს სამყაროს,
ბავშვთა ხმები
ესმის მწუსხარე,
ის ცოცხალია!
არ მომკვდარა
მზე მოვლენილი,
იგი სიკვდილზე
ძლიერია,
ქვეყნად მქუხარებს.

დედის ცრემლები,
შიშშილი და
ტანჯვა, გოდება
ეს ბელადისთვის
ყველაფერი
გასაგებია.
ახალი ომის
წინააღმდეგ
ლეგიონებად
ნილიონები
მის ძახილზე
ირაზმებიან.

და ჩემი ქვეყნის
დები, ძმები,
მხნე და ძლიერნი,
მიაბიჯებენ,
იხსნან ჩვენი
დიდი მამული.
რომ ქვეყანაზე
ხალხი იყოს
სვებედნიერი,
დამკვიდრდეს ყველგან
ხალხთა ძმობა
და სიხარული.

რომ ძალას ძლიერს
პატიოსან
ადამიანთა
ქვეყნად არ დარჩეს
დაბრკოლება
გადულახავი.
რომ ფრიალებდეს
სამყაროში,
მალღა ზვიადად

თავისუფლების
მოელვარე
დროშა მაღალი.

ჩვენს პლანეტაზე
ხალხი სახლობს
მრავალ ფერისა,
მას შეუძლია,
რომ იცხოვროს
დაუძრავველად.
დე, დიდებულმა
მეგობრობამ
ყველა ერისა
გაიბრწყინოს და
იყვავილოს,
ვით ცისარტყელამ.

ამ გზას ვადგივართ,
ლენინიზმი
ამ გზას გვინათებს,
წმობელი ხალხის
ნებისყოფა
არის ძლიერი
და ფოლადივით
მაგარია
ჩვენი სიმართლე,
და ამ სიმართლით
ჩვენ გავხდებით
სვებედნიერი.

მტერს ვანადგურებთ
მოვისწრაფვით
მწვერვალებისკენ,
ჩვენი ძალა და
გამარჯვების
რწმენა მზარდია,
ამ პლანეტაზე
მილიონებს
მიგვიძღვის მტკიცედ
ჩვენი ბელადი —
უდიდესი
ჩვენი პარტია.

და უმაღლესი
გენია კი
ჩვენი ხალხია,
ნიჭით და შრომით
იზრდება და
ცამდე მაღლდება.
დიაღო ლენინ!
შენ, დიდებას
შემოგძახიან,
გიაპატივებენ
ერთგულებას
და გამარჯვებას.

თარგმანა რევაზ მარბინაძე



გაუკარგოს ქონსიშოს!

გული გაუწყალა ამ გაუთავებელმა სადღეგრძელოებმა. არც სიმღერა, არც სიცილ-ხუმრობა... ყველანი მხოლოდ ენად გაიკრიფნენ, თითქოს ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდხან ილაპარაკებდა.

ჯაბამ სკამი უკან გააჩოჩა, პირზე მშვიდი ღიმილი გადაიფინა და წამოდგა.

არეულ სუფრიდან ჩვენც ასე მივიპარებით ხოლმე — ასეთი ნაზი ღიმილით.

მისი წასვლა არავის გაუგია. ყოველ შემთხვევაში, უკან არავინ გამოჰკიდებია, დარჩი, ნუ მიდიხარო.

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, ჯაბა გურგენიძე ვაკის პარკიდან რომ გამოვიდა.

მისი მეგობრები ჯერ კიდევ ლხინში იყვნენ, თუ შეიძლება ლხინი ეწოდოს იმას, რაც ახლა რესტორნის აივანზე ხდებოდა.

ერთი ახალგაზრდა ქირურგი აფრიკის რომელიღაც სახელმწიფოში სამუშაოდ მიემგზავრებოდა. აფრიკელს გზა დაეულოცოთო, ხელდახელ მოილაპარაკეს მეგობრებმა და სამუშაო დღე რომ დამთავრდა, პირდაპირ რესტორანში წამოვიდნენ. მერე აქაც ბევრი იყურყუტეს, სანამ სიცხისა და სირბილისაგან

გამოთაყვანებული მსახურნი რამდენიმე მაგიდას ერთმანეთს მიადგამდნენ და ოცდასამი კაცისათვის სუფრას გაშლიდნენ.

მოშვივებულ, დაღლილ-დაქანცულ ხალხს ღვინო მალე მოეკიდა და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ყველას ერთბაშად აეშალა ლაპარაკის საღერღელი. ხნიერსა და ახალგაზრდას ერთი ქინი მოერია: ყოველ სადღეგრძელოზე რაც შეიძლება გრძელი სიტყვა ეთქვა.

ლოდინი კი ჩვენებურ კაცს არამცთუ ღვინოში, სიფხიზლეში არ უყვარს. ამიტომ ხუთი კაცი ერთდროულად ამბობდა სადღეგრძელოს, დანარჩენები ერთმანეთს აჩუმებდნენ და იყო ერთი ჭიჭყინი და უთავბოლო ყაყანი.

ჯაბა გურგენიძემ თავს უშველა.



დაბურული ხეივანი სწრაფად გაიარა და ალაყაფის კარებს რომ მიუახლოვდა, გარედან რალაც ხმაური გაიგონა.

გაიხედა.

შუა ქუჩაში ბიჭები ჩხუბობდნენ. სამნი იყვნენ. ჩხუბობდნენ ჩუმად, როგორც მუნჯები. ისმოდა მხოლოდ ბათქაბუთქი და ფეხების ფრატუნნი.

პირველად ჯაბას ეგონა, ორი ჩხუბობს, მესამე კი აშველებს და ვერ გაუ-

შველებიაო. ახლო რომ მივიდა, მაშინ-
ლა გავარჩია, რომ ორი ბიჭი ერთსა სცემ-
და. იგი იმ ბიჭებზე ბევრად ახოვანი კა-
ცი სჩანდა, მაგრამ ეტყობა, გულდღეა-
ლი ვინმე იყო, იმოდენა ვირგლას ორივე
მკლავი თავპირზე შემოეხვია და ჩუმად
კრუსუნებდა. ვერც ხელი გამოეღო და
ვერც ვაქცევა მოეხერხებინა. მხოლოდ
ერთხელ ამოიხრიალა, გამიშვით, რა
გინდათ ჩემგან, რა დაგიშავეთო... თეთ-
რი ხალათი ტანზე ისე შემოფრეწო-
და, ტიტველი ზურგი უჩანდა. ისინი კი
მანც არ ეშვებოდნენ. ერთი ბიჭი აქე-
დან სილას რომ გააწნავდა, მეორე იქი-
დან წიხლს მიახელდა და ისევ პირველს
მიუგდებდა.

ჯაბამ მიიხედ-მოიხედა. ქუჩაზე კა-
ცის ბაიბური არ ისმოდა. სამაგიეროდ
იქვე ალაყაფთან რაღაც რკინები და
საშენი მასალა ეყარა. ჯაბას ბევრი აღარ
უფიქრია, რკინის პატარა ნაჭერს ხელი
დაავლო და ქუჩაში გავარდა.

ქუჩაში კი გავარდა, მაგრამ აქ ისეთი
რამ ჩაიღინა, რაც დღემდე ვერ უპატიე-
ბია თავისი თავისათვის: რკინის ნაჭე-
რი იქვე დაავლო და იქაურობას ჩუმად
გაეცალა. ერთი ხმაც არ გაუღია, ერთ-
ხელაც უკან არ მოუხედავს, თითქოს იქ
ახლა ადამიანიშვილი კი არა, ტყიდან
გამოვარდნილი მხეცი უნდა ჩაქევავე-
ბინათ.

გაიპარა ჩუმად და სწრაფად, უფრო
სწრაფად, ვიდრე წელან იმ თეთრხალა-
თიანი კაცის დასახმარებლად გამოიქ-
ცა.

რა მოუვიდა ჯაბა გურგენიძეს, შე-
შინდა? უკანასკნელ წამში გული შეუკრ-
თა?

არა. ჯაბა არ იყო ბეჩავი კაცი და
ასეთ დროს არავითარ შემთხვევაში უკ-
ან არ დაიხვედა.

მაშ ახლა რად გამოიჩინა სულმოკლე-
ობა!

ჯაბამ იცნო ის კაცი, ვისაც ახლა
ორი ავარა ბიჭი თავპირს ამტვრევდა.
იცნო და... არ მიეშველა.

ვინ იცის, შეიძლება ერთი უბრალო
შეძახებაც კი საკმარისი ყოფილიყო იმ

კაცის დასახსნელად, მაგრამ ჯაბამ არც
ეს გააკეთა. გაჭირვებაში მყოფი კაცი
ყოვლად უსირცხვილოდ მიაჩნო და
ჩუმად გაიპარა.

რატომ?

ყური დაუგდე, მკითხველო, თვითონ
ჯაბა გურგენიძეს.

„ძალიან ვწუხვარ, რომ იმ ღამეს
გულს ავყევი და ეს საჯაყი საქმე და-
მემართა. არაფერი არ მოხდებოდა, რომ
ვასულ კვირას ჩემი ახლო მეგობრის,
ექიმ ანდრია ბოდოკიას ოჯახში უსია-
მოვნო საუბარს არ შევსწრებოდი.

ის დღე კარგად მახსოვს.

ნახევარ საათში ფეხბურთი იწყებო-
და. ისინი კი, სამივე მამა-შვილი, ჯერ
ისევ სადილობდნენ და არაფრით, სულ
არაფრით სტადიონზე წაშვლევლებს
არა ჰგავდნენ.

სუფრის თავში შუახანს გადაცილე-
ბული, კარგად მოვლილი კაცი იჯდა.
სუფთად გაპარსული ლოყები ვარდის-
ფრად უღვივოდა, თითქოს ეს-ეს არის
კარგად გამოძინებული ყრმა აკნიდან
ამოიყვანესო. ეს იყო ოჯახის უფროსი,
ექიმი ანდრია ბოდოკია.

ექიმს მწვანეზოლებიანი პიჟამა ეც-
ვა, ყოვლად უგემური ქსოვილისაგან
შეკერილი — გაირეცხება თუ არა, უძა-
რღვო ჩვარივით ტანზე რომ ჩამოიწ-
ლაწება.

ექიმის ვაჟები კი, ოტია და შოთა,
ტრუსების ამარა მისხდომოდნენ მაგი-
დას ბულით სავსე ოთახში.

იქ საცაა სეზონის საუკეთესო თამაშ-
დაიწყება, თბილისის დინამო მოსკო-
ვის სპარტაკს დაეჯახება, — ესენი კი
აქ ყურებსაც არ იბერტყავენ! შეიძლე-
ბა ამაზე მეტი მკრეხელობა!

„ნუთუ ასე გაუტკბათ პურის ჭამა!“ —
გავიფიქრე მე, მაგრამ სუფრას რომ
გადავხედე, მაშინვე მივხვდი, აქ ლხინი
კი არა, მამა-შვილებს სადილი წაემწა-
რებინათ ერთი-მეორისათვის.

არამცთუ ფეხბურთი, ახლა ამათ მამა-
შეციერი ვერ გააშველებდა.

ექიმის წინ კერძი ხელუხლებელი იყო.



გაცივებული ქონი ყვითლად მოსდებოდა თეფშის კიდეებს. თვითონ ანდრიას კი ხელები გულზე დაეკრიფა და თვალები სადღაც შორს, მახათას მთისკენ გაქცეოდა, ფანჯარაში რომ მოსჩანდა მოცახცახე ბურში გახვეული.

შოთას სკამი უკან დაეწია და იატაკს დაბღვერილი დასჩერებოდა. მე თვალებში მომხვდა მისი თეთრი მკლავები და ჩავარდნილი გულმკერდი.

უფროსი ვაჟი ოტია სიგარეტს ეწეოდა. შუბლზე კიტრის ნათალი გაეკრა და სკამზე რაღაც ისე გვერდულად დამჯდარიყო, თითქოს ამობოდა, არც თქვენი სადილი მინდა და არც თქვენთან ლაპარაკიო.

ეტყობა, მამა-შვილებმა ერთმანეთს ლუკმის აღება არ დააცალეს: სუფრას მიუსხდნენ თუ არა, ერთმანეთს ყელში სწვდნენ.

და მხოლოდ ანდრიას მეუღლე, ლამაზად გაქადარავებული ქალბატონი ლიზიკო აბრუს არ იტეხდა-უგემურად მიჰქონდა პირთან თითქმის ცარიელი კოვზი. ლუკმა ყელში არ გადადიოდა, მაგრამ ოჯახის დედა სადილს მაინც სადილობას ამგვანებდა, ვითომდა აქ ისეთი არაფერი მომხდარაო.

— რას შვრები, კაცო, არ მოდიხარ? — ცოტა გაუბედავად შევეკითხე ანდრიას. მასპინძელმა ხელი შოთას მიაშვირა და სთქვა:

— ამის გადამკიდე სად უნდა წამოვიდე! ძარღვები რომ ამეშლება, მერე ფეხბურთი კი არა, ღვთის წყალობაც არ მინდა!

— ძარღვები სხვასაც აქვს, მამაჩემო! — ჩაიბურღლუნა შოთამ.

— შოთა! — ქალბატონმა ლიზიკომ მწყრალად გადახედა უმცროს ვაჟს.

შოთა წამოდგა, ტახტზე გაფენილი, ახლად გაუთოებული შარვალი ჩაიცვა და დედასთან მივიდა.

— ქალბატონო ლიზიკო, მითხარით გეთყვავა, რამდენი წლისაა თქვენი უმცროსი ვაჟი შოთა ბოდოკია.

ის ახლა ცოტა გატყლარქული ლაპა-

რაკობდა. ეტყობოდა, სხვაგვარად ხმის ამოღება გაუჭირდებოდა.

ქალბატონმა ლიზიკომ კოვზი თუღზე დაასვენა და ღიმილით მიუგო:

— ჭკუის კვალობაზე ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში უნდა დადიოდე, ჩემო საყვარელო უმცროსო ვაჟო! ხოლო ასაკით... ახლა ერთი კარგი მობეგვა არ გაწყენდა, მაგრამ სად არის პატრონი!

— მზად ვარ, დედოფალო, შევასრულო თქვენი სურვილი! — ოტია წამოდგა, შუბლზე გაკრული კიტრის ნათალი მოცილა და შიშველ მკლავზე ხელი აისვა, თითქოს სახელო დაიკაიწაო.

— ხმის ამოღებას მიკრძალავთ! — სთქვა შოთამ.

— რამდენი როზგი, დედოფალო! — ოტიამ რეზინის საბეჭურები ხელში შეატრიალა.

— მე ლამის გული გამისკდეს, ესენი კი აქ წარმოდგენას მართავენ! — სთქვა ანდრიამ.

ამ სიტყვებს შინაურებზე დიდი გავლენა არ მოუხდენია: ყველამ იცოდა, ანდრია ბოდოკიას ასე ადვილად გული არ გაუსკდებოდა.

ქალბატონმა ლიზიკომ მაინც სთქვა: — აბა რა ვქნათ, კაცო, დავხოცოთ ერთმანეთი?

ის გახარებული იყო, გულმიუხსავალ საუბარს სახუმარო კილო რომ შეერია.

— ასეთი გადაუჭრელი რა გახდა, ბიჭო, შენი სამსახური?! — მივუბრუნდი მე უმცროს ბოდოკიას.

— მე უკვე დიდიხანია გადავჭერი. — სთქვა შოთამ.

— რა გადაჭერი, ბიჭო, რა! — ხმას აუწია ანდრიამ: — ქვეყანა შევაწრიო-ლე, რომ შენთვის რრდინატორის ადგილი მეშოვნა პროფესორ იაშვილის კლინიკაში. ძლივს თბილისში დაგტოვე, შენ კი სად ჯანდაბას იყურები! ორ-სამ წელიწადში დისერტაციას დაიცავ, ხარისხს მიიღებ... პროფესორი დამპირდა, ყოველნაირად დავეხმარებიო.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
გაუმარჯოს დონაიოხტს!

— სადაც გამანაწილეს, იქ უნდა წავიდე, მამაჩემო! არ მინდა მეც ისე გავილანძლო, სხვები რომ გამოლანძლა ამასწინათ გაზეთმა „კომუნისტმა!“ ამას გარდა, თბილისი გაჭედილია ხარისხის მაძიებლებით, კარგი მკურნალი ექიმი კი სანთლით სძებარია!

— არ გინდა, შვილო, უზრუნველი ცხოვრება, სახელი, პატივი?

— იცი, რა არ მინდა, მამაჩემო? აზნაურობის მაძიებელს რომ დავემგვანო! ამ სიტყვებზე თავი ვერ შევიკავე. გულიანად გამეცინა.

— შენ რაღა გაცინებს? — შემიბღვირა ანდრია.

— ეს საიდან გაახსენდა ამ მაიმუნს!

— მოუწონე, მოუწონე!

— მართალი სთქვა, ანდრია-ბატონო! ყოველ დროს თავისი ქეცი და სატკივარი მოაქვს. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში მოღაში იყო აზნაურობის მაძიებლობა. კაცი უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა და გაყიდდა, ოღონდ ის ერთი ბეჭდიანი, ნაკუწა ქაღალდი ემოვნა. ახლა კი ხარისხის მაძიებლებმა ავციკლეს! ხომ ეგრება, ჩემო ოტია.

ოტია ბოდოკია პარადოქსების მოყვარული კაცი იყო, მეგონა, მხარს დამიჭერდა; მან კი ყურიც არ მათხოვა და ისევე შოთას შეუტია:

— რომელი ტეტიათა მოტრფილად შენ მყევხარ, ბიჭო, რომ დედა-ქალაქს ზურგი შეაქციო და სადაც ჯურღმულში გადაიხვეწო! დაეტიე თბილისში! დროშებით და მუსიკით არც აქედან გავაცილებენ და არც იქ დაგხვდებიან. რაც შეეხება გაზეთებს, მეოთხე გვერდი იკითხე და იოლად გამოხვალ!

შოთას ლოყები აუპრიალდა. წამოდგა. მხოლოდ იმიტომ წამოდგა, რომ სიტყვას მეტი ძალა ჰქონოდა.

— არ დამხვდებიან და... ნუ დამხვდებიან! მაგისათვის თავს არ მოვიკლავ. მე მხოლოდ ერთი რამ მინდა: ვიყო იქ, სადაც უფრო საჭირო ვარ! არა მაქვს ამის უფლება?

— წახვალ, თორემ ნახევარი თბილისი უკან არ გამოგყვეს! თეთრი ყვავი

გინდა გახდე? თეთრი ყვავების დრო წავიდა, ჩემო კარგო. ახლა ყველა ყვავი შავი უნდა იყოს, თორემ სიცილე და გაყრიან, აგითვალწუნებენ, რატომ ჩვენი ფერისა არ არისო, ადგილს ტყუილად აფუჭებსო!

— არც მაგისა შემეშინდება!

— მე უფრო თანამედროვე ადამიანი მეგონე, ჩემო ძმაო! შენ კი მთლად ხელიდან წასული რომანტიკოსი ყოფილხარ! — სთქვა ოტიამ და ჩაცმა დაიწყო.

არ მინდოდა ძმების საუბარში ჩაერეულიყავ, მაგრამ ამ სიტყვებმა ჯავრი მომგვარა.


— რომანტიკოსი?! მერე ეს დასაძრახია?

— რა მოგახსენო! — ოტიამ ცივად გადმომხედა და ერთხანს იყუჩა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ღირდა თუ არა კამათი ამ გამოჩენილებულ ბერიკაცთან. ყელსახვევის შესაკვრელად სარკესთან მივიდა და იქიდან მოილო მოწყალება:

— ატომისა და კიბერნეტიკის საუკუნეში რომანტიკოსებს გასაკეთებელი ბევრი აღარაფერი დარჩათ. კაცობრიობა უფრო ჰკვიანი და ღონიერი გახდა. ჩვენი დროის ადამიანს ახლა ყველაფერი წინასწარ დაანგარიშებული და გამოთვლილი აქვს!

— კი მაგრამ...

— არაეთიარი „კი მაგრამ!“ — უნდოდ შემაწყვეტინა ოტიამ: — რომანტიზმი მაშინ გამოიგონეს, როდესაც ადამიანი უმწეო იყო, უსუსური, ბნელში ანდეზედ ხელებს აფათურებდა, იქნებ რაიმეს მივაკვლიოო. დღეს კი მან მთვარეს შემოუფრინა და მალე მისი სტუმარი გახდება. უფრო მეტიც: ვინ დასთვლის, რამდენი მილიონი წელიწადი დასჭირდა ბუნებას, რომ დედამიწაზე სიცოცხლის პირველი მოლექულა გაეჩინა! რამდენი მილიონი წელიწადი! ხოლო შარშან ერთმა იტალიელმა მეცნიერმა ეს შენი სიცოცხლე ლაბორატორიაში ხელოვნურად შექმნა და მთელი მსოფლიო ყირაზე დააყენა. ადა-



მიანმა ის გააკეთა, რაც ღმერთის საქმედ იყო მიჩნეული. სამყაროს ყველაზე დიდი საიდუმლოება მალე მეშვიდე კლასის მოწაფის გაკვეთილად ვადაიქცევა! თქვენ კი ისევ დრომოჭმულ აზრებსა და შეხედულებებს ეპოტინებით!

ერთი საზარელი ზნე სჭირდა ოტია ბოდოკიას: რაზედაც არ უნდა ელაპარაკნა, ყველაფერზე ისეთი გულისამრევი თვითდაჯერებით წააგდებდა ენას, იმდენი ბრწყინვალე ქედმაღლობა გამოსჭვივოდა იმის კილოსა და ქარაგმებში, რომ მართალ სიტყვასაც კი წონას უკარგავდა.

ამიტომ არ მიყვარდა მასთან საუბარი, მაგრამ ხანდახან ამ უსიამოვნებას თავიდან ვერ ავიცილებდი.

— არა, ჩემო ოტია, ვერავითარი გამომთვლელი მანქანა ცოცხალი ადამიანის ტვინსა და გულს ვერ შეცვლის! რომანტიკოსი კაცი ცხოვრების ლაზათია. დაუძახებენ თუ არ დაუძახებენ, ევალება თუ არ ევალება, იგი ცხვირს მღუღარეში წაჰყოფს! იგი მუდამ მზად არის...

— ყამირ-მიწებზე სამუშაოდ წავიდეს, არა?

— ყამირზედაც, თორემ ბალსა და წალკოტში სუფრას ყოველი ვიგინდარა გაშლის! მან არ იცის, რა არის ანგარება და ეგოიზმი.

— ლამაზი სიტყვებია, მხოლოდ ლამაზი!

— ლამაზი? მერე ეს ცუდია?! რატომ უნდა შევიძულოთ ლამაზი სიტყვები, თუ ისინი შინაარსითაც ლამაზები არიან! ქვეყანა მაშინ წახდა, ლამაზ სიტყვებს რომ გადაეჩვია. წმინდა სიყვარული, უანგარო მეგობრობა, უმწიკველო ადამიანი, ქალწული ქალი, თავდადება... ახლა ზოგიერთს ეცინება ამ სიტყვების გაგონებაზე!

— იმიტომ ეცინება, რომ ქვეყანა შეიცვალა, თქვენ კი ამას ვერ ხედავთ! გაიგეთ, რომ დაძველდა თქვენი სასწორები!

— მაინც რომელი სასწორი დაგვივებდა, ჩემო ოტია?

— აი ის, მწარედ რომ შეგრძობის ხოლმე, როდესაც შენს არჩევანს არ გავიზიარებ! არჩევანი ჩემი იყო! ნუ დამაძალებ, მაინცა და მაინც ის შევიყვარო, რაც შენ გიყვარს. გაზონის ბუები ხომ არა ვართ, ყველანი ერთ სიმღლეზე და ერთ ფასონზე გაგვკრიჭონ. იქნებ მე ცოტა სხვანაირად მინდა დავიყენო თმა, სხვა წიგნი მინდა წავიკითხო, სხვანაირი ცეკვა მინდა ვიცეკვო! შენ რატომ მითვლი ამას უზნეობად!

— რატომ? ვახსოვს რუსთაველის პროსპექტზე, წიგნის მაღაზიების გვერდით, ერთი პატარა კაფე რომ იყო, „შავი ყავა!“ ახლა ის შენობა დაანგრიეს. იმ კაფეს სტუმრებიც ამახვე გაიძახოდნენ, ნება მომეცი, მეც ჩემებურად ვიცხოვროო! მერედა, იცი, რა იყო ეს „ჩემებური?“ პატარა შპრიცი და ორგრამიანი ამაჟღერა! ყური დამიგდე...

— ზეპირად ვიცი, რასაც იტყვი! მორფით გამოთაყვანებული ქალ-ვაჟები ქვეყანას არ გამოაღგებიათ, ქალები ბავშვებს ველარ დაბადებენო, კაცები გამირულად ვერ იზრომებენო კომუნის ხარაჩოებზე — ეს გინდა მითხრა, არა?

— თუ გინდა ეგეცი!

— ჰო, მაგრამ იქნებ არ მინდა ვიყო გმირი, არ მინდა ვიყო ამირანი, არ მინდა ვიყო მუქურა! არ შეიძლება ვიცხოვრო ისე, როგორც მე მსურს? არ მიყვარს ეს შენი მეტიჩარა რომანტიკოსები!

— ისინი რომ არ იყვნენ, ადამიანი ხვდავს დაემგვანება. ყური დამიგდე. ამასწინათ რუსთავეში რომ მივდიოდი, ორთაჭალის ხიდან რაღაც ჩოჩქოლი შევამჩნიე. ბიჭები ყვიროდნენ და მოაჯირს აწყდებოდნენ. ბალიდან რამდენიმე კაცი და ქალი გამორბოდა.

მანქანა გავაჩერე და ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ბაუმარჯოს ღონისობის

დამხრჩვალ ქალი იბოვენესო, მითხრა ერთმა ბიჭმა.

მანქანიდან გადმოვედი და ქვემოთ ჩავირბინე.

მტკვარზე ჩასასვლელ კიბეზე ცოცხალივით იწვა სულ ახალგაზრდა გოგო. ეტყობოდა, გვაში წყალში დიდხნის ნაგდები არ იყო, მდინარეს მის ტანზე თხელი საზაფხულო კაბაც კი არ შემოეფლითა. მხოლოდ ტუფფი წასძრობოდა ცალ ფეხზე და პატარა უმწეო თითები ოდნავ ჩალურჯებოდა.

ყველანი ძალიან შეგეწეუნა ამ ამბავმა. ერთმა ქალმა ტირილიც კი დაიწყო, ვინ არის ეს უბედური, რა დაემართა, წყალში ძალად გადააგდეს თუ სიცოცხლე თვითონ მოისწრაფაო.

ამ დროს კიბეზე კისრისტეხით ჩამოიბნინა ვიღაცა გოგომ, ცხედარს ზედ გადაემხრო და ისეთი ღრიალი მორთო, გული შემეკუმშა.

ძლივს ავაგლიჯეთ.

— ჩემი ამხანაგია, — გვითხრა იმ გოგომ: — წელან სახლიდან გამომექცა, შეყვარებულმა მიატოვა და მტკვარში ამიტომ გადავარდაო...

მტკვარში ამიტომ გადავარდაო!

ეს რომ ჩემს გვერდით მდგომმა კაცმა გაიგონა, მაშინვე ცხვირი აიბზუა: სულელი ყოფილაო, ჩაილაპარაკა და თავის გზას გაუდგა.

— სულელია, აბა რა?! ახლა ამის გამო წყალში ვინ ვარდება! — კვერი დაუქრა ვიღაცა ქალმა.

მესამემ მთლად მოუთავა ხელი: ასე რამ გაამწარა ეს ჩერჩეტი გოგო, ქვეყანაზე კაცი დაილია თუ რა მოხდაო.

გაკვირვებული ვუსმენდი ამ განაჩენს. წელან ეს ადამიანები თვალზე ცრემლს ვერ იკავებდნენ, უზომო სიბრალულით დასცქეროდნენ კიბის საფეხურზე გაშოლტილ გოგოს; ახლა კი, გაიგეს თუ არა მისი ამბავი, გულცივად გაეცალნენ იქაურობას, თითქოს მდინარემ დამხრჩვალ ძაღლი გამორიყა და მეტი არაფერი...

— აი, როგორ მუშაობს შენი სასწო-

რი, ჩემო ოტია! — ნიშნის მოგვით დავასრულე ჩემი გრძელი სიტყვა.

— ხალხი მართალი მსაჯულნი არაფერი შეეშლება! — სისულელია!

— ვერ დაგეთანხმები, თუმცაღა ხალხის სახელით კი მელაპარაკები! მე რა თქმა უნდა, თვითმკვლელობის მეხოტბე არ ვახლავარ, მაგრამ ერთი რამ კარგად ვიცი: ეს ძირგამწარებული ქვეყანა დღემდე მხოლოდ იმიტომ არ დაიქცა, რომ დღეამიწაზე ასეთი ადამიანები ცხოვრობენ, — ასეთი, როგორც ის გოგო ყოფილა!

ოტიამ თანჯარა მიხურა, რომ ქუჩის ხმაური დაეხშო.

— სისულელია, — სიტქვა მან: — ყველაზე დიდი ტანჯვა და უბედურება სწორედ სიყვარულმა მოუტანა ადამიანს! რომან-ტიულმა სიყვარულმა!

— გესლიანად დამარცვლა სიტყვები: — სიყვარულმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს! მისი ადგილი საწოლია და იმ საწოლს არ უნდა გადმოშორდეს, რომ ადამიანს თავისუფლება არ შეუზღუდოს.


— რას ამბობ, ბიჭო?! — ელდანაცემმა ჯაბამ ჯერ ქალბატონ ლიზიკოს გადახედა, მერე ექიმს მიაპყრო თვალი, ეს ბიჭი ხუმრობს თუ ჭკუიდან შეიშალაო...

იმათ პირისახეზე ვერაფერი ამოვიკითხე. ეტყობოდა, ოჯახის წევრები ასე ადვილად სიტყვას ვერ ჩაუჭრიდნენ უფროს ვაჟიშვილს.

ამან ცოტა გამინელა კანთის უინი და უფრო მშვიდად განვაგრძე:

— პირიქით, ბიჭო! ვისაც შეუძლია სიყვარულის გამო წყალში გადავარდეს, მეგობრისათვის სიცოცხლე გასწიროს, დაჩაგრულს გვერდში ამოუდგეს — ქვეყანას სწორედ ისინი აძლევენ დიდ სიმტკიცეს და სილამაზეს, კაცის ცხოვრებას ისინი უწერენ დიდ კანონს! ასეთი ადამიანების გვერდით სიკვდილიც კი არ გეძნელება. მე მძულს ცივი გულის ადამიანი და მისი ერთადერთი ანგარიში, ჯერ მე და მერე სხვაო!

— ყველაფერი ეს დონკიხოტოზაა, ბატონო ჯაბა! — ჩაიცინა ოტიამ.



— დონციხოტობა? მაშ გაუმარჯოს დონციხოტს! ის დამთხვეული ლამაზი ჩელი რაინდი როგორ არ მიჩვენია ჩვენი დროის „რაინდს“, ტროლიბუზის გაჩერებასთან რომ სდგას და არხინად შესცქერის ავარა ბიჭებს, ახალგაზრდა ქალს შეურაცყოფას რომ აყენებენ!

— მაგისათვის მილიცია არსებობს! Моя милиция меня бережет... ყოველ შემთხვევაში — должна беречь.

— ჩვენ კი განზე, არა?! შორიდან ვუცქირით?

— აბა მუცელში ველოსიპედის წვეტიანი მანა არავის ეხალისება! — ისევ ჩაიცინა ოტიამ.

— ნეტა ვიცოდე, ასეთ რამეს ლაჩრობა გალაპარაკებს თუ მართლა ხელიდან წასული ცინიკოსი ხარ!

ეს რომ ვსთქვი, ოტიამ დედას შეხედა — თვალებით შეეკითხა, ამ თავგასულ სტუმარს საკადრისი პასუხი არც ახლა გავცეო.

— გეყოფათ, რაც წყალი ნაყეთ! წადით, თუ მიღიხართ. — სთქვა ქალბატონმა ლიზიკომ და სუფრის ალაგება დაიწყო.

ოტიას გულღვიცხობის ამბავი რომ ვიცოდი, მეგონა, ნათქვამს არ შემარჩენდა, მაგრამ ეტყობა, დედის ხათრი დაიჭირა და თავი შეიკავა.

— მანქანას გვაჩერებ, — წაიდუღუნა მან, საწვიმარი მხარზე გადაიგდო და ოთახიდან გავიდა.

აი სწორედ ეს კაცი იყო, იმ დამესვკის პარკში ხულოგენებმა რომ გალახეს. ვიცანი თუ არა, მაშინვე მისი ნათქვამი გამახსენდა, „მაგისათვის მილიცია არსებობსო“, გამახსენდა და გულმა არ გამოშვა, რომ მისთვის დახმარება გამეწია.

მოჩხუბრებს შორიხლო ჩავუარე და გზა განვაგრძე. განზე გავუღეჭი იმ კაცს, ვინც განზე ვაღგომას ქადაგებდა. ვიფიქრე, ერთხელ მაინც გამოსცადოს საკუთარ თავზე, კარგია თუ არა შორიდან ყურება-მეთქი.

არ მიყვარს მქირადვი ადამიანი, ყვე-

ლაფერს რომ დასცინის და ეჭვის თვალით უცქერის. ასეთი კაცი ცხადდება ში მძალე ნიგოზივით არის: ყველაზე უფრო საჭმელს გაამწარებს, თუ ერთი ბეწოც სადმე შეერია.

ჩემთვის შეიძლება ვახაგები იყოს ნიპილიზმი, ვსთქვათ, ისეთი კაცისა, ყველა უფსკრულში რომ ჩაიხედა, ყველა მწვერვალი მოიარა და მერე მიიჩნია ეს წუთისოფელი ამაოებათა ამაოებად, და როგორც ეკლესიასტე მოსთქვამს, „არარაი არს ახალი მზისა ქვეშე... გულმან ჩემმან იხილა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იგავნი და ხელოვნებანი, ნაქმარნი და სიკეთენი და ამა, ყოველივე ამაოება და ტანჯვა სულისა...“

ვიმეორებ, ამგვარი კაცის აბრუნდი შემიძლია გავიგო და კიდევ შევიწყნარო, მაგრამ სასაცილოზე სასაცილოა ნიპილიზმი ისეთი უნდილი კაცისა, ქვეყანაზე ერთი ჩხირი რომ არ გადაუბრუნებია და ყველაზე დიდი სულიერი ტანჯვა მხოლოდ ბანქოს თამაშის დროს განუტდია — ტუზიანსა და ვალეტზე კიდევ ერთი ტუზი რომ დასცემია.

სწორედ ასეთი კაცი იყო ოტია ბოდოკია.

გეოლოგიური ფაქულტეტი დაამთავრა, მაგრამ გეოლოგის მოუსვენარ ცხოვრებას თბილისში მყუდრო და უჩინო ადგილი ამჯობინა. რეფერენტად მოეწყო რომელიღაც სამინისტროში. აქ იმას ბევრი არაფერი ეკითხებოდა, სამაგიეროდ დროც მეტი ჰქონდა. ყოველ საღამოს კარტი და ვახშამი ნაცნობ-მეგობრებში. კარტი, ვახშამი და ყველაფრის გამათახსირებელი საუბარი პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, თბილისის ცხელ-ცხელ ამბებზე.

ოტია ბოდოკიას ქვეყანაზე არაფერი არა სწამდა, ყველაფერს აბუჩად იგდებდა და სწორედ იმის გამო, რომ არაფერი არა სწამდა, იგი ზოგიერთს ჰქვიან და განათლებულ კაცად მიაჩნდა. შეხედე, რა ალესილი გონება აქვსო, აღ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ბაშმარჯოს დონციხოტს!

ტაცებული ჩურჩულებდნენ ისინი, როდესაც ბოდოკია თავის შეხედულებას გამოსთქვამდა ხოლმე.

აყვავებულ ხეზე ლამაზი და სათნო ქვეყანაზე სხვა რა უნდა იყოს, მაგრამ ოტია ბოდოკიას ისეთი უკუღმართი თვალი ჰქონდა, იმასაც კი რაიმე წარს მოსდებდა, რალაცას დაუწუნებდა.

ერთხელ, მასსოვს, მთაწმინდის რესტორანში ვსადილობდით. კიბეზე ახალგაზრდა ქალებმა ჩაიჭროლეს და სიცილ-ქისქისით ხეივანში მიიმალნენ.

— ისევ მომრავლდნენ თბილისში ლამაზი ქალები! — ვთქვი მე.

— მომრავლდნენ, თორემ თავზე ჯილა არ დაგვადგან! — მაშინვე მომვარდა ოტია ბოდოკია: — საფრანგეთი, ბატონო ჯაბა, ლამაზმა ქალებმა დააქციეს! ლამაზ ქალს თავისი სილამაზის მეტი არაფერი ახსოვს. ზოგს შვილის გაჩენაც კი არ უნდა, მზეთუნახავი ვარ და ტანადობა წამიხდებო. ამისთანა მზეთუნახავები არავითარ საქმეს თავს არ შეაკლავენ, დამეებს თეთრად არ გაათენებენ! შარშან, ნინობაზე ერთი ლამაზი ქალი გავიციანი. მთელი სუფრა ისე გაატარა, ერთი არ გაუცინია, პირისახეზე ნაოჭი არ გამიჩნდესო. მაზლი რომ მოუკვდა, არ იტირა, თვალები დამისივდებო!

— პირველად ვხედავ მამაკაცს, ლამაზი ქალი რომ სძულდეს!

— დამიჯერე, ბატონო ჯაბა, ქვეყანას ის ურჩევნია, რაც უფრო ცოტა მზეთუნახავი ეყოლება. მაშინ მეტი აკვანი დაირწევა, მეტი მეცნიერი ქალი შეგვემატება და მრუშობაც ნაკლები იქნება! პარადოქსია? რას იზამ, ისტორია ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობს.

აღარაფერი ვუთხარი. აღამიანს ერთი უკუღმართი აზრი სისხლსა და ხორცში რომ გაუჯდება, მერე მისი მორჯულება ძნელია.

მაშინ ასე ვიფიქრე, მაგრამ შენც არ მომიკვდე, — არ გასულა ორი კვირა, ოტიამ კეხი შეაბრუნა და სულ სხვა რამ მიიხარა.

ეს მოხდა ქართული ენისა და ლიტე-

რატურის ინსტიტუტში, რომელიც მეცნიერულ პაექრობაზე. ერთი ფილოლოგი ქალის სიტყვამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი დაპარაკი მეც ძალიან მომეწონა და ოტიას წავჩურჩულე, ჰკვიანი ქალი ყოფილმეთქი.

მან კი ჩაიცინა და სთქვა:

— თუ კაცი ხარ, მაგის ჰქუა და მეცნიერება არ გამაგონო! შეხედე, რას უგავს ცხვირპირი! ქალი, ჩემო ძმო, ქალადაც უნდა ვარგოდეს, თორემ ორჯერ ორი რომ ოთხია, ამას ძალღებიც კი სწავლობენო!

ამ ბოლო დროს ოტია ბოდოკია, წელებზე ფეხს იდგამს, რომ ხალხში რწმენადაკარგული კაცის სახელი დაივლოს და თავი ისე მოგაჩვენოს, ლამის გათავდეს ამ სულეიერი ტკივილებისაგან. ბოდოკიას არასდროს სტალინი გულზე არ ეხატა, მაგრამ ახლა დადის და მკერდზე ხელს ირტყამს, ჰაი დედასა, ეს რა ხატი დაგვიმტვრიესო. ამის მერე ყველაფრის რწმენა დავკარგეო...

რა უნდა დაეკარგა, რაც არა ჰქონდა, მაგრამ გამკითხავი ვინ არის.

რამდენი ხანია ბოდოკიების ოჯახს ვიცნობ, მაგრამ არ მასსოვს, რომ ოტიას ადამის რომელიმე ჩამომავალზე ერთი კეთილი სიტყვა ეთქვას.

ერთხელ ვკითხე, ქვეყანაზე თუ არის ისეთი კაცი, შენ რომ მოგწონდეს-მეთქი.

რამდენიც გინდაო, მიიხარა.

— ერთი მაინც დამისახელე ან ცოცხლებში, ან მკვდრებში!

— ბუჭულა ბეგოიძე! — მყისვე დამახალა მან.

კინლამ წავიქეცი, ეს გვარი რომ გავიგონე.

ბოდოკიების მეზობელი ბუჭულა ბეგოიძე ერთი ჩაგოდრებული, როხროხა კაცი იყო. ერთხანს ცეკავშირის საწყობში მუშაობდა. იქიდან მალე გამოაპანდურეს და ვაჭრობის დარგში ფეხი აუკვეთეს. ბუჭულამ მაკლერობას მიპყო ხელი და ახლა იმის ბინაში ხშირად გათენებამდე ისმოდა ტაშ-ფანდური.

ერთი-ორხელ ოტიამ მეც შემართია მასთან წვეულებზე.

რამ მოაწონა ოტია ბოდოკიას ეს შარახვეტია მაკლერი, გული ვერ მეხმო. მე კი რატომღაც ვფიქრობდი, კახანოვას დამისახელებდა, ან კალიოსტროს.

ცივი წყალი გადამასხა თავზე.

— გიკვირს, არა? — მითხრა ოტიამ:

— არ იცი და იმიტომ გიკვირს. მაგან რომ ბიჭობა ჩაიდინა, სიყვარულის წიგნებში უნდა ჩაიწეროს!

— რა ჰქნა ასეთი!

— ბუჭულას რიყის ქუჩაზე საყვარელი ჰყავს, ერთი ფაშფაშა ნაქვრივალი დედაკაცი... ამასწინათ მაკლერმა იმის ოთახში ბიჭი შეისწრო, ვიღაც ნოქარს გადაჰკიდებოდა ეს ჩვენი რძალი. ბუჭულა თურმე ზედ თავზე წაადგა მიჯნურებს...

იმ ნოქარს სცოდნია ქვრივისა და ბუჭულას ამბავი. ეს ოტროველა კაცი ოთახში შემოსული რომ დაინახა, ერთი სიკვდილი უკვე გაიარა. საწოლიდან წამოიჭრა და კუთხეში საცოდავად მიიკუნტა, აგერ ახლა თავს გამიხეთქავსო!

ბუჭულამ კი... არა, თუ კაცი ხარ, ჯერ მითხარი, შენ რას იზამდი ბუჭულას ადგილზე! თუმცა რა კითხვა უნდა! ან საყვარელს მოჰკლავდი, ან ნოქარს მიასიკვდილებდი, ანდა ორივეს ერთად მაგრად დანაყავდი, როგორც ამას ყვე-

ლა ნალალატები კაცი აკეთებს სიყვარულის გაჩენის დღიდან!

ბუჭულამ კი, იცი, რა ჰქნა? ~~მისთვის~~ განსულგამძვრალ ნოქარს ჩაკეცა თვალი და აცალა, ამოჰკრა წიხლი და ქუჩაში გამოაგდო. თვითონ კი იმწამსვე ტანთ გაიხადა და საყვარელს გვერდით მიუწვა! ჰე-ჰე-ჰე! ხედავ, ბატონო ჯაბა, ამ ჩვენმა ბეგოიძემ რა ახალი სიტყვა სთქვა სიყვარულის საკითხში! არავითარი აყალმაყალი და დანის ტრიალი, არავითარი ციხე და სასამართლო! ადგა და საწოლში ჩაუგორდა სულმოსწრაფებულ კაცი! ჰე-ჰე-ჰე!

ასეთი კაცია ოტია ბოდოკია. იმ ჩხუბის მერე იგი ორი კვირა საავადმყოფოში იწვა, მთელი ტანფეხი დაბეჟილ-დალილავებული ჰქონდა.

შეიძლება ძალიან დავაშავე, რომ იმ დამეს ადამიანობა ვერ გამოვიჩინე, მაგრამ რა მექნა, იმ წუთში რაღაცამ შემკრა და მხარი მიქცია.

ძალიან დავაშავე? ეს შენ გადასწყვიტე მწერალო..

ავტორის მინაწერი:

მკითხველმა გადასწყვიტოს. ველი პასუხს.

პატივისცემით

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ბლენანოვის პაროსპექტი 181.





ეს ებიზოდი ყირიმის მიწა-წყალზე ნაბრძოლმა პარტიზანებმა — ლადო გომიშვილმა, სანდრო ჩაჩხიანმა და ირაკლი ნოზაძემ მიამბეს..

ნიკა ტყვეთა ბანაყის ეზოში ყველაფერს აკვირდებდა. გულში კი სულ ერთი ფიქრი უტრიალებს:

„ოძელაშვილი ხარ, კარგი წინაპარი გყავდა, ბიჭო, არ დაძაბუნდე! აქ გდება შენ არ შეგფერის, სხვები თუ გაიქცნენ, შენ რითა ხარ ნაკლები?“

ზიზლით მიმოიხედავს და...

„ეჰ, ნეტავი აქაურობის აფეთქება ისე შეიძლებოდეს, ტყვე ბიჭები არ დაიღუპონ, ნაღმით დაფლეთილ-დაგლუჯილი გერმანელები კი ცაში ლუკმა-ლუკმა გაფრინდნენ. ამას ხომ სი-ცოცხლე არა ჰქვია. ეს ჯოჯოხეთი ნამდვილად ასაფეთქებელია“.

ერთს ბრაზიანად ჩაიხენეშებს და მერე ყმაწვილკაცობის ამბებს იგონებს.

თბილისელი ბიჭები ლიანდაგზე ასანთის ღერებს მიმოაბნევდნენ ხოლმე.

ტრამვის ქვეშ ასანთი ტკაცა-ტკუციით ფეჭდებოდა. ზოგჯერ მთელ კოლოფს დებდნენ და მაშინ უფრო დიდი ხმა ჰქონდა, ცეცხლსაც ისროდა. ბიჭები კი შორიდან სეირს უყურებდნენ. მგზავრები ფრთხებოდნენ, ზოგჯერ ვატმანიც.

„ახლა ჩემი ოცნება იმ ბიჭ-ბუჭების სასეირო თამაშსა ჰგავს. თამაში აქ არ მარგია, ნამდვილ ამბავზე უნდა ვიფიქრო“.

ფაშისტები ტყვეებს თითქმის ყოველდღე აფრთხილებენ: — ვინც გაქცევას დააპირებს, გაუსამართლებლად დავხვრეტთ!

ეს მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს. ტყვეთა უმრავლესობას მაინც გაქცევაზე უჭირავს თვალი. ხალხი ჩურჩულებს: ფეოდოსიის ჩრდილოეთით, მთებში პარტიზანები ყოფილანო.

ბანაკს მავთულხლართის ღობე სამწყებად ავლია. გერმანელ გუშავს გინდა კაცი მოუკლავს, გინდა ჭიანჭველა გაუსრესია.

ზოგი სულ მოეშვა, დაუძღურდა და დაჩაჩანაკდა, ბედს აღარ ებრძვის, ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგას. ორიოდ კაცი გერმანელებს ელაჭუცება და თავს მათი ნასუფრალით ირჩენს. სხვები ბოლმით გულგასიებულნი დადიან და გერმანელებს უბღვერენ. არაგინ იცის, მათი ბოლმა როდის გადმოსკდება.

ნიკა ოძელაშვილი ირგვლივ ყველაფერს აკვირდება — მავთულხლართსაც და ადამიანებსაც. ყურს უდგებს, ვინ რას ლაპარაკობს. ზოგ ტყვეს ჰგონია, ნიკა გერმანელების ჯამუშაო და ოძელაშვილის დანახვისას ენას კბილს აჭერს, სამარესავით დღმდება. რომ არ ენდობიან, ნიკას სწყინს, ის კი უხარია, ტყვეთა რამდენიმე ჯგუფი საიდუმლოდ რომ ჩურჩულებს. ეს იმის ნიშანია, ისინი შეთქმულებას აწყობენ ან გაქცევას ფიქრობენ.

„რომელიმე ჯგუფს დავუკავშირდები და გავყვები. თუ არაგინ მიმიღებს,

ამ ჯოჯოხეთიდან როგორმე მარტოც მოვახერხებ გაქცევას. იქნებ ასეც სჯობდეს. არავისაც არ დავუცდი. ვიპარები“.

გერმანელებს ტყვეები ხშირად საშუალოდ გაჰყავთ, წაყვანისა და მოყვანის დროს პირუტყვივით ითვლიან. ერთიც რომ დააკლდეთ, განგაშს ტეხენ. იფიცრები რამდენიმე ტყვეს ხვრეტენ, სხვებს ამწყრივებენ და მათრახით უმოწყალოდ სცემენ. სამიოდეჯერ ნიკასაც აუჭრელეს ზურგი.

„როგორმე ისე უნდა გავიპარო, ჩემი გულისათვის არაგინ დახვრიტონ, არც არავის სცემონ. მაგრამ როგორ? აი ეს არის თავსატეხი...“

ნიკას ბანაკის ეზოში ღრმა ჭა დახვდა. დამშეულ-გაძვალტყავებული და გაწამებული ხალხი ბუზებივით იხოცებოდა. ზოგს ძილში ეპარებოდა სული. ყოველ დილით რამდენიმე მკვდარს ნახულობდნენ და ცხედრებს ჭაში ყრიდნენ. ეს საქმე საფლავი მალე აივსო. გვაგები გაიხრწნა და იქ გავლა შეუძლებელი გახდა. მიწა მიაყარეს.

მერე ცხედრებს ჭიშკართან ყრიდნენ. ერთი ახმახი გერმანელი საზიდარს მოაყენებდა, ტყვეებს მოიხმობდა, ცხედრებს დაატვირთვინებდა, კოფოზე შეხტებოდა და ღლინით გაუყვებოდა გზას. თან ცხედრების გადმოსაყრელად ერთი ან ორი ტყვე ყოველთვის მიჰყავდა. ცხედრებს ქალაქგარეთ, პატარა ხევში ყრიდნენ. დღეში სამი ოთხი გზობის გაკეთება უხდებოდათ ხოლმე. საზიდარში შებმული ცხენი ერთსა და იმავე გზაზე სიარულს ისე შეეჩვია, რომ დატვირთავდნენ, ზოგჯერ იმ ახმახ გერმანელს აღარც უცდიდა, ააღერდა თავს და მიდიოდა თავისით. გერმანელმა იფიქრა, გზას უჩემოდაც კარგად აგნებს და ტყუილად რატომღა ვსდიოო, ბოლო დროს აღარ დაჰყვებოდა. ცხენი ბანაკიდან ხევამდე უგამყოლოდ დადიოდა. ჭიშ-

აბაკი გუფაძე
შაანასკნელი ტყვიანი



კართან დატვირთავდნენ საზიდარს და ცხენს შეძახებაც არ სჭირდებოდა, ჩვეულ გზას მშვიდად მიჰყვებოდა. გერმანელი და დამცლელი ტყვე ხევთან ელოდნენ.

რამდენიმე ტყვემ ეს კარგად გამოიყენა. ცხედრებში შეერია, ისიც საზიდარზე დადეს, მერე ცხენი ბარაკს რომ გასცდა, მკვდრებიდან ამოხტა და ჰერი! ვინც გზაზე ვერ ამოხტა, ხევში ჩაყრილი მკვდრებიდან დამით გაიპარა. ვილაცამ ეს ამბავი გერმანელებს ჩაუყენა. ფაშისტებმა ჭიშკართან დაყრილი ცხედრების შემოწმება დაიწყეს. ზოგს მუტელში ხიშტსაც კი უყრიდნენ: თუ ცოცხალია ერთს მაინც წამოიკენენსებო.

„ადრე რომ მეხმარა ჭკუა და ცხედრებს გავყოლოდი, ჯოჯოხეთიდან ყველაზე იოლად ასე შეიძლებოდა გაქცევა. აქაურობას თავს დავაღწევდი და... მერე ყველაფერი ჩემს ვაჟაკობაზე იქნებოდა დამოკიდებული... ახლა სხვა გზა უნდა გამოვნახო...“

სამმა კაცმა დამით მავთულხლართის აქრა და გაპარვა სცადა. სამივე დაიჭირეს და ბანაკის ჭიშკართან გაქიმულ მაღალ ძელზე ერთად ჩამოაკონწიანეს: აქაოდა, ვინც გაქცევას განიზრახავს, ეს დღე ელისო.

„ო, რა საშინელი სანახავი იყო... სამივეს უშველებელი ენა ჰქონდა გადმოგდებული... დამუნჯებული ენა...“

— რამ ჩაგაფიქრა, ნიკა? შენც გაქცევა ხომ არ გავიზრახავს? — ეუბნება ერთი ქერა ტყვე და ისე უყურებს, თითქოს მისი სულის ფსკერამდე ჩახედვა სწალიაო.

ნიკამ ხელი ჩაუჭია. ყველას ვერ ენდობა.

ქერამ ჭკუის დარიგება დაუწყაო.

— არავინ შეგაცდინოს, თორემ თავს ტყუილად წააგებ. დალუპვა არ აცდებ. ცოტაც გავუძლოთ და გერმანელებს ჩვენკენ გული მოუბრუნდებათ, ყოველთვის ასე კი არ იქნება... ნიკამ ზურგი შეაქცია.

ბარაკის კუთხეში ერთი შავტუხა

ტყვე წევს, ლეგას ეძახიან. ტყვეთა ერთი ჯგუფი სწორედ ლეგასთან იყრის თავს და იდუმლად ჩუჩუნებდა: ზედამხედველი ან საექვრე... გამოჩნდა, ლეგას ხელში მაშინვე „გეფხისტყაოსანი“ ჩნდება, მშვიდად ფურცლავს და ბიჭებს წამღერებით უქითხავს.

ერთხელ ფეხმტკივანი ნიკა ბარაკში სამორიგეოდ დატოვეს. ლეგას წიგნი სთხოვა:

— ნუ გეშინია, არ დაგიკარგავ...

— ვერა, არ გეწყინოს და, ვერ გათხოვებ. დაფიცებული მაქვს. ა, შეხედ! — ლეგამ წიგნი დაანახა — გახვრტილიაო. — ეს რომ არა, ახლა ცოცხლებში აღარ ვეწერებოდი. უბეში მედო ხოლმე. ტყვიამ წიგნი გახვრიტა და გაჩერდა, ჩემ გულამდე ვერ მოაღწია. ჯავშნად გამომადგა, ჰოდა, ავგაროზად ვიწამე. ავგაროზი როგორ გაეანათხოვრო?

— ბიჭებს როცა უქითხავ, მაშინ მაინც მომასმენინე?

— ვინა ხარ, კაცო, რას ვაღამეკიდე? — შემოუბღვირა ლეგამ.

ესეც არ ენდო.

„ღმერთმა გზა დაგილოცოთ და კეთილად გატაროთ! მე ჩემს ბილიკს მოვნახავ...“

ყველა დღე ტყუბისცალივით ჰგავს მეორეს — ჯოჯოხეთურია.

ნიკა ბარაკის შორეულ კუნჭულში შიშველ იატაკზე წევს და მთელი დამე არ სძინავს ხოლმე, გასაქცევი გზის ძებნაზე თავს იმტვრევს. ახლა რატომღაც ისე სურს გაქცევა, გერმანელებმაც და თავისიანებმაც აშკარად დაინახონ. მერე სხვას აღარაფერი დაბრალდება... ზოგიერთის თვალშიც სულ სხვანაირად გამოჩნდება. დაე, ინანონ, ვის არ ენდობოდნენ.

ღილით ტყვეთა ჯგუფი მანქანაზე არეკვს. ალბათ, სამუშაოდ სადღაც შორს წაიყვანენ. იმ ჯგუფში მოხვდა ნიკაც.

ძარაზე ავტომატმომარჯვებული ორი გერმანელი ამოვიდა. ისინი ცალ-ცალკე დადგნენ. მათ ახლოს ვინც იჯდა, შორს გადასვეს. ეტყობათ, ეშინიათ, ვინმემ ხელიდან ავტომატი არ გამოგვლიჯოსო. ყველას თვალებით ბურღავენ.

მანქანა ფეოდოსიას გასცდა და ძველ გზაზე გავიდა.

„ან ახლა, ან არასოდეს! მომკლავენ, მეტი ხომ არაფერი იქნება? — გაიფიქრა ნიკამ. — ამათ ხელში სიცოცხლე მინც არ მიწვრია... თუ მომკლავენ, ჯანდაბას ჩემი თავი, მოვისვენებ მაინც. სიკვდილი ერთია, მაგრამ სიკვდილის შემდეგ ყველას სხვადასხვანაირი სახელი რჩება. ეს არასოდეს არ დაგავიწყდეს, ნიკა ოძელაშვილო!“

მანქანამ აღმართი ქოთქოთითა და ღრიალით აიარა. გამოჩნდა ტყე. ნიკამ ჯერ ერთ ბადრაგას გახედა, მერე მეორეს. კაბინასთან მდგარი გერმანელი ქორივით იყურებოდა, მეორე ცაში რაღაცას ეძებდა. ოძელაშვილმა ერთი დრმად ამოისუნთქა, დაჰკრა ფეხი და მანქანის ძარის უკანა კედელს თვალის დახამხამებაში გადაველო, გზაზე დაეცა, მაგრამ არ დაიბნა, უმაღლვე წამოხტა და ტყისკენ ზიგზაგურად გაიქცა.

ორი ავტომატი ერთდროულად აკაკანდა. ნიკა მსხვილ ხეს ამოეფარა, მერე მეორე ხე იფარა, იქიდან მესამესკენ გადაირბინა და წინ ისარივით გაიჭრა.

ავტომატების ხმა და მანქანის გუგუნე თითქმის ერთდროულად შეწყდა. ეტყობა, მანქანა გააჩერეს. მერე ავტომატები კვლავ აკაკანდნენ.

ალბათ ბადრაგები მანქანიდან გადმობტნენ და ტყვია ტყეს დაუშინეს.

გვიანია უკვე. ნიკა თვალს მიეფარა და ხევში სულმოუთქმელად გარბის. გერმანელები ტყვეებს ვერ მიატოვებენ და ნიკას ვერ გამოუდგებიან. ხოლო ვიდრე თავისიანებს შეატყობინებენ, ნიკა აქ ხომ არ მიეჯაჭვება?

ღელე გადაირბინა და შეჩერდა, სული მოითქვა და ისევ გაუყვა ტყეს. თან უკან იყურება ხოლმე. არავინ

ხანს. კლდეზე წყარო ღვთის წყალბასავით მოწანწკარებს. მივიდა და პირი შეუშვია. საშინელი დაღლილობა და იგრძნო. მუხლი თითქოს ზამთარს უნდა, ეკეცება. წაქცევის შეეშინდა, კლდეს მიეყრდნო და ნება-ნება ჩაჯდა. ბანაკის „ბალანდანაჰამ“ კაცს უკვირს, ან ამდენი როგორ შეძლო. რაკი მანქანიდან გადმოხტომა მოახერხა, მერე თითქოს ძალ-ღონე თავისთავად მოემატაო.

„ეჰ, ახლა ძაღლებით რომ გამომიდგნენ და ალყაში მომაქციონ, თავს მოვიკლავ ღმერთმანი. ტყვეობას სიკვდილი მირჩევენია... — ფიქრობს ლტოლვილი. — თუმცა, თავი რითი უნდა მოვიკლა?“

ნიკას არავითარი იარაღი არა აქვს, ჯიბის პატარა დანაც კი არ შემორჩა. ტყვეებს არაფერს არ უჩერებდნენ. ჯვალოს ხალათზე ქამრად თოკი არტყია, ეგ არის და ეგ.

„კლდეზე გადავხტები და... მეტიც არ მინდა. ტყვეობას ყველაფერი მირჩევენია... ტყვეობას და მუღმივ წამებას... არ სჯობია, უცებ მოკვდე, ვიდრე მთელი სიცოცხლე ეწამო და მერე სული ტანჯვით დალიო? ეჰ, უკვე რამდენჯერ დაუფლექი პირისპირ სიკვდილს? ყოველთვის ხომ ვერ გადავრჩები? — გაივლო გულში და ამ ფიქრს თვითონვე შეებრძოლა: — რაღაც კარგსა და იმედიაზე რომ არ მეფიქრა. ვერც დროს მოვკლავდი და ვერც ამდენ ჭირვარამს გადავიტანდი“.

ბატალიონის უკან დახვეისას ნიკას ორი მეგრძოლი გაატანეს: მტრის ჯავშნიანი მატარებელი ხიდს რომ მოუხზლოვდება, უნდა ზაფეთქოო. ნიკამ ხიდის ბურჯში ნაღმები თავისი ხელით ჩააწყო და შენიღბა, მერე შპალბუშუა ჩაწვა და ლიანდაგს ყური დაადო. ლოდინი კარგა ხანს დასჭირდა. როგორც იქნა ლიანდაგი აგუგუნდა. ნიკა საფარში გადავიდა, ცეცხლწამკიდ ზონარს თავი გაუჩხრიკა და ასანთიც

აკაკი გეგამი

უკანასკნელი ტყვია

მოიმარჯვა. დაძაბულ კაცს წუთიც კი საუკუნედ ეჩვენებოდა. ჭავჭავიანი მატარებელი ხიდას მოუახლოვდა და უცებ გაჩერდა. რამდენიმე გერმანელი ჩამოხტა და ხილისკენ გამოეშურა. ნიკა და მისი ამხანაგები ლამის მიწაში ჩაძვრნენ.

— ბიჭებო, არ შეგეშინდეთ, ნაღმებს ვერ იპოვნიან, ვერც ჩვენ შეგვაშინებენ. ისე, ყოველ შემთხვევისათვის ტყვიამფრქვევი მზად გქონდეთ!

გერმანელებმა ხიდი შეამოწმეს და მატარებელს რაღაც ანიშნეს.

ორიოდ წუთიც და... გრგვინვამ ცა და მიწა დააყრუა.

ნიკამ ჭავჭავიანი მატარებლისა და ხილის ერთდროულ აფეთქებას თვალი ნოჰკრა და... გონებაც დაკარგა.

როცა თვალი გაახილა, რიგიანად ვერც გაარჩია, დღე იყო თუ ღამე. მოგვიანებით ვერცხლისფერი ბურთი დალანდა. ბურთი ცოტა ხნით გაქრა და ისევ გამოჩნდა. მერე კვლავ გაქრა და ისევ გამოგორდა.

„მთვარე ყვინთავს ღრუბლებში“.

რაკი ამის დანახვა შეძლო, თანდათან მოვიდა გონს. მისი ორივე ამხანაგი მკვდარი იყო. ხიდი და მატარებელი ერთად იწვნენ მდინარეში. ნიკამ ხელები ააფათურა. ჭრილობა არსად ჰქონდა.

„ალბათ, აფეთქების ტალღამ დამაყრუა... გადავჩრჩი... ეს ბეღია, თუ?.. ხიდიც აფეთქდა და ამხანაგებიც დამელუბნენ, მე კი ცოცხალი ვარ... ჭრილობაც კი არა მაქვს... თუმცა, ჯერ გადარჩენაზე ფიქრი ადრეა...“

ტანი რის ვაივავალახით აითრია, ბილიკი იბოვა და გაუყვა. არ იცის, ეს ბილიკი საით მიდის და მაინც მიჰყვება... თითქოს გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო, მაგრამ...

„ეს რაა? გერმანელებს მივყვები გვერდით?!“

გზაზე ჯერ სვასტიკიანი ტანკებმა გაიარეს რახარახით, მერე მოტოციკლებიანი ფაშისტებიც გამოჩნდნენ.

ტანსაცმელშემოფლეთილმა ჯარის-

კაცმა ტყეში შერგო თავი. არაქათგაცილილმა შვიდი დღე და ღამე სწევს სვენებით იარა. ჩექმები ისე ეგლიჯა და გადაყარა. მშიერ-მწყურვალს ფეხის გულეები დაებეგვა. ტყის პირას ზენის გადაეყარა, მილასლასდა და შიგ შეძვრა. იქ გამოიძინა და შებინდებისას ზვინიდან გამოფორთხდა.

„აქ რომ მოვეკდე, ახლა ალბათ ვერც ვერავინ გაიგებს, ვერც მტერი, ვერც მოყვარე, ყვავ-ყორნები დამგულევენ...“

ტერფების მიწაზე დადგმა უჭირდა, გზა ჩოქვით განაგრძო, მუხლისთავები გადაეყვლიფა. ღონემიხდილი გულადმა დაწვა და ცას მიაშტერდა.

შორიდან ქვემეხების ყრუ ქუხილი ისმოდა.

უცებ ცას ვარსკვლავი მოწყდა, ცეცხლის კული აითრია და სადღაც დასავლეთით ჩაინთქა.

ბეზიას ნათქვამი გაახსენდა ნიკას: როცა ცას ვარსკვლავი წყდება, ვიღაც კვდებაო. ის ვარსკვლავი მისია, კაცს საიქიოში მიჰყვება და გზას უნათებსო.

„ეჰ, ეს რომ მართალი იყოს ახლა იმდენი კვდება, ცას ყოველ წამში ასი ვარსკვლავი მაინც უნდა წყდებოდეს. — გაიფიქრა და ცარგვალს თვალი მაინც ვერ მოაშორა. — ნეტავი ჩემი ვარსკვლავი რომელია? — ცალკე მოკაშკაშე ვარსკვლავი ამოირჩია. — ის იყოს, კარგად ანათებს, იმედიანად...“

იმ ღამეს სიარული ვედარ შეძლო, მერე დღე და ღამე ერთმანეთში აერია, შიმშილისგან თვალთ დაუბნელდა, ფორთხვა მაინც არ მოიშალა. ბოლოს ალიზით ნაგებ განმარტოებულ ქოხს მიადგა და ყური მიუგდო. კაცის ჰაჭანება არსად იყო. მერე ქონიდან გამოსული ვიღაც დალანდა.

„ვინც არის, არის, მაინც ვკვდები და... დაუფახებ“.

— ჰეი, მანდ ვინ ხარ, ღმერთიც შეგეწევა, მიშველე!

არა, არ დაუფახნია, ხახავამშრალს, ხმა სადღა ჰქონდა, ამოიხავლა.

— ვინა ხარ, შვილო? — ეს კი გაიგონა და ნიკამ კვლავ დაკარგა გონება. თვალი თეთრად შეფეთებულ ქოხში გაახილა. ტანტზე მწოლარეს თავზე დედაბერი ადგა და ტუჩებზე სველ ტილოს უსვამდა.

იმ დედაბერმა სამიოდე ყლუბი წყალი დააღვინა და ერთი პატარა ლუქმა პური ჩაუღო პირში. ნიკამ ის ერთი ლუქმა უცებ გადაყლაპა და დიასახლისს ხეწნა დაუწყო, კიდევ გეჭენბაო. აქამდე შიმშილს არც გრძნობდა, ახლა მადან უცებ გაუხელდა.

— მეტი არა მაქვს! — მკაცრად უთხრა დედაბერმა. — დაიძინე, ახლა შენ ძილი მოგიხდება. ცოტა წაიძინე და მე თვითონ გაგაღვიძებ. ლოგინში ასე ხომ არ დაგაწვენ, დაგბან და ტანსაცმელს გამოგიცვლი.

— მაჭამე! ცოტაც მაჭამე!

— არა მაქვს-მეთქი!

— აბა, დაიფიცე!

— ახლა ფიციც მომთხოვა! დაიძინე! მე მეზობლებში გადავირბენ, იქნებ პატარა პურის ნატეხი ვიშოვო. რომ გაიღვიძებ, გაჭმევ.

ნიკას მალე გაეღვიძა. დედაბერმა პურის პატარა ნატეხი მიაწოდა. ნიკამ ესეც თვალის დახამხამებაში გადაყლაპა და ზედ ერთი ჭიქა ჩაიც დააყოლა.

დედაბერმა ქვაბით წყალი გააცხელა და მოზრდილ ტაშტში ჩაასხა.

— აბა, ძალა მოიკრიფე და იბანავე. ეც ძონძები გადაყარე და ეს ჩაიცვი. — სკამზე ტანსაცმელი დაუწყო. — ჩემი შვილიშვილის შარვალ-ხალათი და საცვლებია.

— მერე, მაჭმევ?

— ჰო, ცოტა ბორში მაქვს და გაჭმევ.

დიასახლისი გავიდა. ნიკამ შემოფლეთილი ტანსაცმელი გაიხნა, ტაშტში ჩაჯდა და ტანის ბანას შეუდგა. უჭირდა ხელის განძრევა, ყველაფერი სტკიოდა. როგორც იქნა, ტანი დაიბანა და ჩაიცვა.

დიასახლისმა ნახევარი თეფში წვნი-

ანი კერძი მოუტანა, პატარა ნაწერი პურიც გაუჩინა. ნიკამ ესეც მალე გადაჭრა.

— დედილო, კიდევ დამიხსნი რაღაც ღმერთიც შეგეწევა!

— დღეისათვის მეტი არც წვნიანი მაქვს, არც პური. ხვალ მოგიხარშავ!

— ეჰ დედილო, კარგი ქალი ხარ, მაგრამ...

— რა მაგრამ?

ნიკას ენისწვერზე დაეკიდა სათქმელი, ძუნწი ყოფილხარო, ვერ შეჭბედა, იქნებ მეტი მართლაც არა აქვს და რას ვეშართლებო?

— არაფერი...

დილით დიასახლისმა უშაქრო ჩაი დააღვინა და ქონწასმული პურიც აჭამა, შუადღისას კი მეზობლებიდან ერთი თეფში ბორში მოუტანა.

ნიკას არ ეყო, მაგრამ ვისთვის უნდა შეეჩვილა?

დიასახლისმა ხიზანი მხოლოდ მესამე დღეს დაანაყრა რივიანად, მეოთხე დღეს კი მთელი კარდალა ფაფა დაუდვა წინ და უთხრა: რამდენიც გეწებოს, ჭამეო, ახლა შეიძლებაო.

— დედილო, შენი ძუნწი მეზობლები ერთობ ხელგაშლილები გამხდარან?

— გაეღიმა ნიკას.

— რას იზამ, შვილო, ნაშიშილები კაცი ერთბაშად რომ გამეძღე, ხელში შემომაკვდებოდი. შენ, ალბათ, კუჭი აღარც გქონდა.

მომჯობინებული ჯარისკაცი ოღლა სმალკევამ სარდაფში დამალა, ახლა შენი ზევით ყოფნა საშიშია, სოფელში გერმანელები დაეხეტებიანო.

ნიკა სარდაფიდან მხოლოდ ღამით ამოდიოდა, სუფთა ჰაერს ჩაყლაპავდა და უკანვე ბრუნდებოდა. ორიოდ კვირაში ფეხები მოუჩრჩა და ჯანიც მოემატა.

— ახლა წავალ, დედი! ჩემ გზას ვეწევი!

— სად წახვალ, შვილო? ჩვენებმა ძალიან შორს დაიხიეს უკან.

აბაბი გეჭამე

შანანასენლი ტყვიანი

— მივაგნებ.

— შენი ნებაა. ორიოდ დღეც მოიცადე, მუხლში მომაგრდი და წადი.

მეორე დღეს დიასახლისმა ახალი ამბავი მოიტანა:

— ამბობენ, მთებში პარტიზანები გაჩნდნენო. შეილო, იქნებ სჯობდეს იქით წახვიდე?

— რა ვიცი.. ძნელია... — ჩაფიქრდა ნიკა.

— შენ რა ხელობა იცი?

— ომამდე მონტიორად ვმუშაობდი თბილისში.

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ტრაქტორის გაუგებ რამეს?

— რატომაც არა, ცოტა ეგეც მისწავლია.

ოლდამ საიდანღაც სახელურიანი პატარა ყუთი გააჩინა. ნიკამ ყუთს თავი ახადა. შიგ ვაზი, ჩაქუჩი, ლურსმნები და ნაირ-ნაირი ხრახნები ეყარა.

— ეს რა არის, ღედილო?

— გზაზე დღისით თამამად ივლი. თუ გერმანელები შეგაჩერებენ, ეტყვი, მეზობელ სოფელში ტრაქტორების შესაკეთებლად მივდივარ-თქო. — ნიკას პატარა ქაღალდი გაუწოდა. — აი საშვიც, უბატონოდ ხელს არავინ გახლებს. ვიდრე პარტიზანებამდე მიადწევდე, ტრაქტორების შემკეთებელი სალიამ მუჭამედოვი იქნები, გაიგე?

— ეს საშვიც ვინ მოგცა?

— ერთი ჩემი მეზობელი პარტიზანებთან წავიდა და იმან დატოვა. ვინმეს გამოადგებაო. ზედ გერმანელების ბეჭედი აზის, შენ ის ხომ არ გგონია...

ოლდამ გოგორა პური გამოუცხო, ქაღალდში ცოტა მარილი გაუხვია და ნიკა გაისტუმრა.

— მშვიდობით იარე, შეილო. ომი რომ დამთავრდება, მინახულე!

— გმადლობ, დედილო! უმეჭველად გინახულე.

ოძელაშვილმა შვიდიოდე კილომეტრი რომ გაიარა, წინ გერმანელი გადაუდგა და დამტერეული რუსულით საშვიც მოსთხოვა.

ნიკამ ჯიბიდან პატარა ოთხკუთხედი

ქაღალდი ამოიღო და მშვიდლად გაუწოდა. მერე ასევე აუღელვებლად ყუთი გახსნა და გერმანელი შიგ მოსწავლია. გერმანელმა ქაღალდი გადმოაბრუნა და მგზავრს დაუბრუნა, მერე თავისი ჭკუით გზაც კი ასწავლა, იქით წადიო.

ნიკა უფრო თამამი ნაბიჯით წავიდა. სადამოზე ტყეს მიუახლოვდა და დიდი გზიდან ფრთხილად გადაუხვია. მყუდრო ადგილი მოძებნა და მოლზე დაწვა.

როცა ეგონა, სამშვიდობოზე ვარო, სწორედ მაშინ სამი გერმანელი წამოადგა თავს. ხელები ააწვეინეს. მერე საღაც წაიყვანეს და დაჰკითხეს. თითქოს არაფერი შეშლია, მაინც ტყვეთა ბანაკში ამოაყოფინეს თავი.


„ეჰ, ჯანდაბას, რაც იყო იყო, ხომ გამოვიქეცი და... ახლა მდიონ რამდენიც უნდათ!“

●
ლტოლვილმა მთელ დღეს ტყე-ღრეში უგზო-უყვლოდ იხეტიალა. კლდეებზე ფორთხვით ადიოდა და მიდამოს ათვალიერებდა. ერთხელ მსხვილ წიფელაზეც აცოცდა და შორს გაიხედა. კაცის ჭაჭანება არსად იყო. ბუნების სიმყუდროვეს არაფერი არღვევდა. თითქოს წარღვნის მოლოდინში ყველაფერს სული შეუკრავსო. ნიკამ სიმარტოვე ახალა იგრძნო და ამ სიმარტოვემ უცებ შეაკრთო. ფიქრი თავის სოფელში გაექცა — წყნეთში. პატარაობისას შინაურები უწყრებოდნენ ხოლმე: ნუ ტირი, თორემ ტყიდან მგელი გამოვარდება და შეგკამსო.

„აქ რომ დამეძინოს, იქნებ მგლებმა ისე გამომხრან, ჩემი ამბავი კაცი-შვილმა ვერ გაიგოს“.

ნიკას საერთოდ არ ეშინია სიკვდილის, მაგრამ ასეთმა სიკვდილმა ახლა ნამდვილად დააფრთხო.

„ფაშისტების ჯოჯოხეთს გამოვექეცი და ტყეში მგლებს შევაჭმევინო თავი? სულ არ დავიძინებ... ანდა, ხეზე ავალ, თოკით მივებმები და... მგელი ხეზე ამოვა ვითომ?“



ამ ფიქრმა დაანუგეშა კიდეც.
 მთის იქით ჩამავალ მზეს გახედა და
 უცებ შეტრიალდა — ძაღლების ყე-
 ფა გაიგონა.

გაიქცა. ახლა ძაღლების ყეფა წინი-
 დან შემოეფეთა. გვერდი იქცია და ნა-
 დირის ბილიკს მიადგა. თასმებით შეკ-
 რული ქოშები ტკაცუნობდა და სირ-
 ბილსაც უშლიდა. გაიძრო და გადაყა-
 რა. ფეხშიშველა უფრო სწრაფად გა-
 იქცა.

მთის ბილიკი უფსკრულთან შეწყ-
 და.

გადაიხედა.
 ფლატეზე ორიოდე ბუჩქს გაედგა
 ფესვი. ქვევით, საკმაოდ შორს მდინა-
 რე ჩანდა.

ძაღლების ყეფა მოახლოვდა. გერ-
 მანელების ყვირილიც გაიგონა.

„დამიჭერენ ეს ოხრები, ნაღდად და-
 მიჭერენ; თუ...“ — ფიქრი არ დაასრუ-
 ლა, კვლავ უფსკრულს გადახედა.

„ჰა, რაღას უყურებ? დახუკე თვა-
 ლები და... ხომ თქვი, კვლავ ტყვედ
 ჩაყარდას სიკვდილი მირჩევნო?
 ტყბილია სული? ჰა, რაღას უყურებ?“

ნიკამ თვალი დახუკა და ფლატეზე
 ფესვმოჭიდებულ ბუჩქებისკენ გადახტა.

ბუჩქებმა უშველეს.

მუხლი იტკინა, მაგრამ რაკი გაღარ-
 ჩა, მუხლს ჩივის?

ჩაცოცდა, კლდეს შემოუარა და
 მდინარისაკენ ფხოწიალ-ფხოწიალით
 ჩაეშვა. მხოლოდ ხელისმოსაკიდებელ
 კიმებს ხედავდა.

უცებ შეხტა და კლდეზე აკრული
 გაირინდა. ეგონა, გველს დავადგი ფე-
 ხიო. შიშნეტულად მიიხედა. თურმე
 მდინარეში ჩაურტყამს ქუსლი.

შვებით ამოისუნთქა, განზე გაიწია
 და კვლავ კლდეს მიესვენა ღონემიხ-
 დილი.

„გადავრჩი, მგონი, გადავრჩი... რომ
 არ გადმოვმხტარიყავ, უეჭველად და-
 მიჭერდნენ და წამებით ამომხდიდნენ
 სულს... იმ ბუჩქებმა არ გამიმეტეს
 სასიკვდილოდ, კლდეზე ამოსულმა
 ბუჩქებმა... რა ძალა აქვს ამ სიცოცხ-

ლეს, ყველგან რომ იკიდებს ფეხს?
 ნეტავი იმ უმიწო კლდეზე უნდა ვაპყრო
 ზრდობენ ის ბუჩქები? მადევეთი
 მარტო ცის მანანა ჰყოფნით? აი მეც
 თითქოს იმ ბუჩქებივით ვებლაუტები
 სიცოცხლეს... გამაგრდი, ნიკა!“

თითქოს ბანგი დაალევინესო, გაბ-
 რუვდა და ძილბურანში გაეხვია.

თვალი რომ გაახილა, სიბნელის მე-
 ტი ვერაფერი დაინახა.

„თედო ოძელაშვილის ბიჭო, სიზ-
 მარში ხარ თუ ცხადში? თუ ცხადში
 ხარ, აქ რამ მოგიყვანა?“

ცხადია ყველაფერი, ცხადი! მკლავ-
 ზე ჩქმეტა არ სჭირდება ამის გასაგე-
 ზად, გადმოხტომისას მუხლი რომ და-
 არტყა, გაეჭრა და სტკივა. ამ ტკივილ-
 მა გამოალღიძა.

კლდეს ხელი მიუსვ-მოუსვა, ერთ-
 გან მიწას წააწყდა და აბოჭა, მერე შა-
 რვლის ტოტი არც აუწევია, მუხლის-
 თათთან გადამსკდარი ჰქონდა, გადასწია
 და ჭრილობაზე მიწა დაიყარა.

ძველებისაგან გაუგონია, როცა სხვა
 არაფერი გეშოვება, ჭრილობაზე მა-
 ლამოდ მიწა უნდა დაიდო.

„ეს დალოცვილი მიწა რამდენი რა-
 მის წამალია!“

მართლაც უშველა. ჭრილობა დაუ-
 ამდა. კლდეს ზურგი უნახა, ზედ გადა-
 წვა და კვლავ ძილბურანში გაეხვია.

ტყბილი სიზმარი ნახა, წყნეთში იყო
 ვითომ, მამის ეზოში იწვა, თავი დედის
 კალთაში ედო. დედა ლოყაზე ალერ-
 სით უსვამდა ხელს. მშობლის ალერ-
 სმა მტრედად აქცია, ცაში აფრინდა...

თითქოს ხელი ჰკრესო, უცებ გაე-
 ღვიძა. თვალეში სინათლის დიდი
 შადრევანი ეცა. ამ სინათლის გარდა
 ვერაფერი დაინახა. წამით გაიფიქრა,
 ცეცხლში ხომ არ ჩავევარდიო? უმაღ-
 ვე თვალი დახუკა, იქნებ ის ტყბილი
 სიზმარი გაგრძელდესო. სიზმარი აღარ
 შეუბრუნდა.

ხელები გაშალა. იგრძნო, რაღაც მა-
 გარზე წევს, მაგრამ ეს ბარაკის იატაკი

ააბაი გეფაძე
 შპანასხელი ტყვიან

არ არის. თვალი ნელა გაახილა. დილის დიდი მზე დაჰყურებს.

„სადა ვარ?.. ჰო, მართლა!..“ — ახლალა გაახსენდა, გუშინ ტყვეობიდან რომ გამოიქცა. ფეთიანივით წამოიჭრა და მიმოიხედა.

ზევიდან დიდი კლდე დაჰყურებს, ფრიალო კლდე. მდინარის გაღმა დიდი ტყეა.

დამშვიდდა. მდინარეს მიადგა და ხელ-პირი დაიბანა. წყალი პეშვით დალია.

„თბილა. ბარემ ვიბანავებ, იმ ოხერი ბარაკის ჭუჭყს გავიცლი“.

შარვალ-ხალათი სასწრაფოდ გაიხადა და რიყეზე მიყარა.

დილის მდინარე ცივად შეხვდა. შიგ მუხლგამდე რომ შევიდა, დაბურძგლა. წყალი პეშვით აიტაცა და ჯერ ნკერდზე შეიშხეფა, მერე ზურგზე გადაივლო.

თანდათან ჩაიმუხლა და ჩაწვა. ახლა მდინარე თბილიც ეჩვენა. ადგა. ქვით დაიწყო ტანის ხეხვა. კანში ჩამჯდარი ჭუჭყი აიგორგლა. გაიბანა და ისევ წაისვა ქვა. ბანაობას რომ მორჩა, ტანსაცმელს ხელი დაავლო, მკლავი მალა ასწია და ისევ მდინარეში შეტოპა. გაღმა გასულსლა გაახსენდა, შარვალ-ხალათს გაბერტყვა უნდაო, ხეს შემოჰკრა ერთხელ, ორჯერ... მტვერი აკვამლდა. შარვალი ჩაიცვა და ხალათი შეაბრუნ-შემოაბრუნა. ზურგზე მსხვილად ეწერა — „703“.

— უჰ, შენი დამწერის!.. — ნიკამ ვიღაცას ლაზათიანად შეუკურთხა. — ნიკო, რაც ეს ზურგით ვატარე!

ხალათს დახევა დაუბირა, მაგრამ მეტი არაფერი ჰქონდა ჩასაცემელი და ვერ გაიმეტა.

„გაგრეცხავ, იქნებ მოშორდეს ეს წყეული ციფრი!“

წყალში კარგა ხანს აბათქუნა. ჯვალის ხალათი შეთეთრდა, მტვერი და ჭუჭყი გაეცალა, ციფრი კი არ მოშორდა, უფრო ჩაშავდა და მკვეთრად გამოჩნდა. ვერ იქნა და ვერ მოიცილა ტყვეობის სახელი.

— დაგწყევლოს მამაზეც იერმა, შენ ვერ უნდა მოგერიო? ჯოჯოხეთს გამოვქეცი და მისი ნიშნი რატომღაც უნდა ვატარო?

ხალათი ლოდზე გადაჰქიმა და ხეხვა დაუწყო. ციფრები მაინც ვერ მოაშორა. ზეთის საღებავი ქსოვილში ღრმად იყო გამჯდარი.

— არ მნებდები? — ნიკამ ციფრს ფეხი გაგულისებით დაარტყა. — ყოფას გიტირებ!

ხალათი კლდეს მიაფინა, პირწვეტიანი ქვა აიღო და ციფრის ირგვლივ დასცხო. ის ადგილი სულ ამოჭრა. ზურგგამოხვრეტელი ხალათი ჩაიცვა და თავი ისე მსუბუქად იგრძნო, იფიქრებდით, ზურგით უშველელი შავი კლდე ექირა და ის მოიშორაო.

ფერდობს აუყვა. მთის ქედზე ტყე ჯაგარივით აშლილიყო. ერთგან ბუჩქს თავზე კურდღელი გადაეგლო. მერე შენიშნა, კურდღელს მელა მისდევდა.

მელიამ ნიკას მოჰკრა თვალი და უგანა.

წყნეთელებს უყვარდათ თქმა: დილით მელიას ნახვა კარგია, კურდღლისა კი ცუდიაო. ახლა ეს გაახსენდა ნიკას.


„მე ხომ ორივე ერთად ვნახე? რომელი დასძლევს? ახლა საშიში აღარაფერია. კიდევ რომ დავიღუპო, თავისუფალ ადამიანად მოგვედები, კაცურ კაცად დავიმარხები და არა მონად“.

ბარაკის ჰაერი ახრჩობდა ხოლმე, ტყის ჰაერი საამოდ ათრობდა.

მგელივით მოშივდა. „ბალანდა“ მუცელს ბერავს, თორემ მაწიერება კი არა აქვს. ის „ბალანდაც“ გუშინ სისხამდილით ჰქამა. მას მერე პირში არაფერი ჩაუდევს. ტყავის ქამარი რომ ერთყას, შეიხსნიდა და დაღეჭავდა. ახლა თოკს ხომ არ გალოკავს?

მახლობელ ტოტზე ჩიტი დაინახა. ფეხის წვერებზე შედგა და წავიდა. ჩიტი ადამიანის მიახლოება მაინც გაიგო, ერთი შეიფრთქილა და სხვა სეზე გადასკუპდა. ნიკამ ქვა აიღო.

„ვესერი, მოვკლავ და უმად შევჭამ...“



თბილის შევექამ და არ მაწყენს. ბავშვობისას რამდენჯერ მომიკლავს, ვითომ ახლა ვერ მოვარტყამ? —

ესროლა. დააცილა. ჩიტი შორს გაფრინდა. ხელისმოცარვა ჯერ ეწყინა, მერე რატომღაც გაუხარდა.

„კაცმა რომ თქვას, ამ უწყინარ ჩიტუნისას რას ერჩი? თავისთვის დაფრინავს ტყეში, არავის აწუხებს...“

ჰო, ახლა ეს ტყე მხოლოდ ნიკასი და ჩიტებისაა. საით მიდის ოძელაშვილი, ამას ნუ ჰკითხავთ. ერთი რამ იცის, ვიდრე პარტიზანებს არ გადაეყრება, უნდა იაროს და მიდის თავადერილი. მიდამოს წინდაწინ ზვერავს და ისე მიდის. ხელში ქვა აღარ უჭირავს, ჩიტის მოკვლის სურვილიც გულში აღარ უღევს, მაგრამ ჩიტები კაცს მაინც უფრთხიან. სადმე შაში რომ გაიჭახჩახებს, ნიკა ყურალესილი უსმენს და თვითონ სტვენას იწყებს. შაშვის ჭახჭახი პარტიზანების იდუმალ ნიშნად, პაროლად ეჩვენება და სტვენით პასუხობს. ფრინველთა გალობა გულში იმედად ეღვრება — ტყეში პარტიზანები არიანო. პარტიზანები კი ჯერჯერობით არსად ჩანან. იმედს მაინც არ კარგავს, სტვენით მიდის.

მინდორში გავიდა. ფეხი დაესუსხა, დაიხედა — ჭინჭარია. მოკრიფა. ხელისგულზე მაგრად მოსრისა და პირში ჩაიდო. ერთი დაჰკრა კბილი და ყელში გადაუშვა. ისევ დასწვდა ჭინჭარს.

„ბევრს ნუ შექამ, თორემ მშიერ კუჭზე გაწყენს!“ — თავს თვითონვე შემოსწყრა და იქაურობას გაშორდა.

წყალი მოსწყურდა. რატომღაც შიმშილი ისე აღარ აწუხებს, როგორც წყურვილი. ნერწყვი გაუშრა, ხახა ეწვის, ენას ძლივს აბრუნებს პირში. აი, სუნთქვაც უჭირს უკვე. ეს მარტო დაღლის ბრალი არ უნდა იყოს.

გაჩერებას ვერ ბედავს. რომ დავჯდე, ვაითუ ველარ ავღგეო. ვიდრე წყაროს არ იპოვის, გაჩერების უფლება არა აქვს, ეს იცის კარგად და მილასლასებს.

„პარტიზანებს ამ გორაკს გადაღმა

წავაწყდები... არადა, წყარო მაინც შეხვდება.“

სამი გორაკი კიდევ გადაიჭრა, მტერი ჩანს, არც მოყვარე. რიელია. სერზე გადადგა და ხეცს გადახედა

„აქ კი უეჭველად იქნება წყალი.“

დაღმართს დაუყვა. ეღურტული მოესმა, შეჩერდა და მიაყურა.

„არა, ეს ჩიტის ხმა არ არის, წყარო ჩუხჩუხებს.“

დაღლა დაავიწყდა, ნაბიჯს მოუჩქარა. დიდი წიფლის ქვეშ, პატარა კლდეზე წყარო ჩქაფუნით იღვრებოდა. მივარდა და ხარბად დაეწაფა. შეფეხები მიესხურა და საამოდ გააყრჯოლა. წყლის სმით მალე იჯერა გული, წყაროს პეშვი შეუშვირა და პირისახეზე შეისხა.

— უჰ, დაგელოცოს გამჩენი!

მკერდიც გაიგრილა და მოითქვა სული, თითქოს ქვევრიდან ახლადამოღებული ცივი ღვინო დაელიოს.

წყაროს მახლობლად, წიფლის ჩრდილში მიწვა. ძილმა უცებ წაართვა თავი.

ესიზმრა: გერმანელებმა დაიპირეს და განსაკუთრებული სასჯელი დაუწყეს. თუ ძველად დამნაშავეს ცხენის კულზე გამოზმით უსწორდებოდნენ, ნიკა ძარაზე გამოაბეს და მანქანა გააქროლეს. ნიკას დაყვირება ეწადა: შოფერ, ნუ გამწირავ, გააჩერეო! პირს აღებდა, დაყვირებას კი ვერ ახერხებდა. მანქანა კი თავაწყვეტილივით მიჰქროდა და მიჰქროდა.

დამფრთხალს გაეღვიძა და შუბლზე ხელი მოისვა. ოფელში ცურავდა.

„ოჰ, დედა!... კიდევ კარგი. სიზმარი იყო!“

შარიშური მოესმა, წამოხტა და გასაქცევად მოემზადა: სიზმარი ახლავე ავად არ ამიხდეს, ფრიცებმა არ დამიპირონ და მანქანის ძარაზე მართლა არ გამომაბანო.

პაპაი გეფაძე
საქართველოს მწერთა კავშირი

შიში ამო გამოდგა — მსუქანმა ხელიკმა გაირბინა.

წყაროსთან დაბრუნდა, სამჯერ მოსვა, პირზეც შეისხა, კარგად გამოფხიზლდა და აღმართს შეეჭიდა. ორიოდ გორაკი კიდევ გადაიარა. გაუვალი ბარდები გადაეღობა. დაიხარა, გაძვრა და შარვალ-ხალათი სულ დაეფხრიწა, ხელ-ფეხიც დაეკაწრა.

„ფაშისტებმა ვერ მომიხელეს და აქ დავეცე? მავთულხლართს გამოგვეჭიცი და ეკლებს ვერ უნდა დავაღწიო თავი?“

— იმ გორაკს იქით რომ ტყე ჩანს, პარტიზანები იქ იქნებიან უსათუოდ! — ეს რამდენჯერმე ხმამაღლა გაიმეორა, თავის დასარწმუნებლად, და წავიდა.

ფეხისგულუბი სასტიკად ასტიკვდა, მაინც არ გაჩერდა.

ამასობაში ჩამობნელდა. ჯერ ორიოდ ვარსკვლავი ამოტივტივდა, მერე ცა სულ მოიჭედა ვარსკვლავებით. დონემხდილი ოძელაშვილი სერზე ალასლასდა, ხელები პირთან დაიჭირა და ტყეს გასძახა.

— ჰაუუუუ!

— უუუუ! — ტყემ ექო გამოსცა.

ნიკამ მსხვილი წიფელა ამოირჩია და მის კუზიან ფესვზე ჩამოჯდა.

„ოძელანთ თედოს ბიჭო, გული არ გაიტებო! — გაივლო მან გუნებაში. — პარტიზანები რისი პარტიზანები არიან, თუ ყველა ადვილად მიაგნებს? მერე რა, რომ დღეს ვერსად წავაწყდი, ხვალ ვიპოვი. გულითადად შემხედებიან, მაშინვე დამაპურებენ, ჭრილობას შემიხვევენ, მომასულიერებენ და თოფსაც მომცემენ... მერე ნახონ, იმ წყეულ ფაშისტებს როგორ გავჟუჟავ... რაზმის უფროსს ერთი საყვედურს არ ეათქმევიან...“

ნიკას წარმოდგენით, პარტიზანული რაზმის უფროსი უეჭველად დიდწვერინია, თანაც გოროზი. მის ბრძანებას ყველა ელვის სისწრაფით ასრულებს.

მოესმა — იქვე, ახლო თითქოს ვიღაც ტირის და ქვითინებსო. მიაყურა.

ქვითინი გამეორდა, წამოდგა და ხელი წიფელს მოჰკიდა.

— ჰეი, რომელი ხარ მანდ? — უთქვამო თავის გასამხნეველს მესძახა. ქვითინი შეწყდა.

„ალბათ პარტიზანული პაროლი იყო, ისინი ხომ მეტ წილად ღამით დადიან“. — გაიფიქრა და იქით წავიდა. ცოტა გაიარა და შეჩერდა.

ჩამიჩუმე არსაიდან ისმის: ნაცნობ წიფელას დაუბრუნდა. აქ კვლავ გაიგონა გულამოსკვნილი ტირილი, ოღონდ სხვა მხარეს.

— ჰეი, რომელი ხარ მანდ? ხმა ამოიღე!

არც ახლა გაეპასუხა ვინმე. თვალში შეპარული ძილი დაუფრთხა.

ტირილი სამიოდჯერ კიდევ გაიგონა.

„ალბათ, რომელიმე ნადირია ან გარეული თხა კიკინებს ასე“.

ჩაეძინა. არაფერი დასიზმრებია. დილით მოეჩვენა, საფანტიანი თოფი მესროლესო, გიყვივით წამოიჭრა ზეზე, წიფლის მსხვილი ფესვის ქვეშ სორო შენიშნა. სოროდან თავი იჩივტებოდა. თვალები შავი ქინძისთავივით მოუჩანდა. უყურა, უყურა კაცს, უცებ შეტრიალდა და სოროში გაუჩინარდა.

„ალბათ, ამ თავუნიამ გადაშირბინა პირისახეზე“.


ფეხები სასტიკად უბეჭუდა და სტიკოდა. შესიებულიც ჰქონდა. ხალათის სახელოები შემოარღვია, ფეხებზე შემოიკრა და წაფაჩუნდა.

შაშვის ბუდე დაინახა, შიგ სამი კვერცხი იპოვა და კატასავით შესვლილა. შიმშილმა გაამწარა. ჩხიკვებსა და შაშვებს ქვის სროლა დაუწყო.

ფრინველები ისეთი ჭახჭახით და კულის ქნევით მიფრინავდნენ, გეგონებოდათ, ხელმოცარულ კაცს დასცინიან, რამ გაგაბავშვა, მოსაკლავად ჩიტებს დასდევო?

მოშუადღევდა. პაერი მზის და მიწის სუნიტ გაივსო. ფრინველებმა გალობა და ჰიკჰიკი შეწყვიტეს.

ნიკას სხვა დროს ბუნების ეს სიმ-



ყუდროვე დაატყობდა ალბათ, ახლა კი არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა თავში — პარტიზანებს როდის ვნახავო. ზოგჯერ ფეხი წვეტიან ქვაზე მოუხვდებოდა, დაიკვნესებდა და ჩაჯდებოდა, შეისვენებდა და ისევ წათაჩუნდებოდა.

მოჭირილი ხის ტოტი იპოვა. წკირები შეატეხა და ყავარჯანდ აქცია. ჯოხმაც ვერ უშეღავათა, მაინც ძლივს ადგამდა თეხს...

ფერდობში ფორთხვით ასვლა სცადა. ხელში ეკლები შეესო. კბილებით ჩააფრინდა და მოიშორა. მინდორში მრავალძარღვას ბალახს წააწყდა, მოგლიჯა და ფეხებზე შემოიფინა — დამიამბესო.

ნიკას სიცოცხლე ახლა ამ ფეხებზეა დამოკიდებული. რაც ტყეობას თავი დააღწია, გარდა ხელზე მოსრესილი ჭინჭრისა და შაშვის სამი უმი კვერცხისა, არაფერი უტყამია, მაგრამ უტყმელობას სულ არ უჩივის, ოღონდ ფეხებმა არ უღალატონ.

„ამ მთაზე თუ არა, იმ ტყეში მაინც ქენებიან პარტიზანები. დღეს თუ არა, ხვალ მაინც ვიპოვი!“ — იმეორებს გულში და მიდის წინ.

რბილი ბალახით დაფარულ მინდორში გავიდა. მოლზე მტავუნა შენიშნა. მოწყვიტა, ხელისგულზე დაიბერტყა, გადაახვია და პირში ჩაიტენა. მადის გამაღიზიანებელი სიმტავე იგრძნო. ისევ დაუწყო ძებნა, კიდევ იქნებო. მთელი მინდორი ჩოქვით შემოიარა, ცოტა იპოვა და ხელი უქმყოფილოდ ჩაიქნია.

— ტყუილად მადა ამი... — ლა, ნეტავი ერთი ფოთოლიც არ მომეწყვიტა!

ახლდა შენიშნა, ცა შვ ღრუბლებს ლაეთალხა. ქარმა მძლავრად დაუბერა და ტყე ააშრიალა.

ნიკა ბილიკს აუყვა. წვიმა ფოთლებზე ატკაპუნდა, მერე თქეშად წამოვიდა. ოძელაშვილმა თავი დიდ ცაცხვს შეაფარა. ხემ ვერ იპატიო. სახელოებმორღვეული ხალათი გაიხადა და თავზე წაიფარა, მოიხარა და ცხვირი მუხლებ-

ში ჩარგო. წვიმის წყალმა ხალათშიც გაეცნა.

საღამო ახლოვდებოდა, თურქულ-სომხური მით დასველებას სულაც არ მოერიდებოდა.

თავი ასწია, წყალი ზურგზე გადაეღვარა. უსიამოვნოდ გააქრქოლა.

ღრუბელმა გადაიარა და წვიმაც გაიკოლა. საიდანღაც მკედრის მზემ გამოიხედა, საოცრად ფერდაქარგულმა მზემ. ახლა უკვე ნიკას სიარული შეუძლებელია. ფეხსახვევებში ტალახი შეუვა და ჭრილობებს ამოუყვებს. ჭრილობაზე დაყრილი მიწა წამალია, ტალახი კი რატომღაც არ უხდება. რას გაიგებ ამ წუთისოფლისას? ალბათ, ტალახი ჭრილობაში ღრმად შედის და ეს მისი ბრალია.

მალე სულ მოკრიალდა ცა. წვიმის წყალი მიწამ შეიწოვა, მერე მიწისპირი ქარმა გამაშრო. ქარიც ჩაღდა და ყოველივე დაწყნარდა. ფრინველებმა ერთხელაც გაიხმაურეს და ბუღეებს მიაშურეს.


ტყიდან გასული ნიკა საცალფეხო ბილიკს წააწყდა. ის ბილიკი სამად გაიყო. ოძელაშვილი გზაჯვარედინთან შეჩერდა. ახალი ბილიკი არც ერთი არ ჩანდა. ჩაფიქრდა: რომელს გავყვეო. ყველა ბილიკი ტყიდან სადღაც მიდის, ან ხეებში ჩაგიყვანს, ან სოფელში, ან დიდ გზას შემოგახვედრებს. ეს სამივე ბილიკი დაბლა ეშვება, მაგრამ რომელია სანდო?

„ახლა მე ზღაპრის გმირივით ვარ, ეს ადგილი კი ზღაპრის გზაჯვარედინივით, სადაც სამი ქვაა დასობილი და სამივეზე წერია: ამ გზას თუ გაჰყვები, დაიღუბებიო. ნაკვალევი არც ერთ ბილიკს არ ეტყობა — აქაოდა, ჩავლილი ბევრი გვინახავს, ამოვლილი არავინო..“

ნიკამ მარჯვნივ მიუხვია და ისევ ტყეში შერგო თავი.

ხეებმა ერთხელ კიდევ გაიშრიალეს და მიყუჩნენ.

აპაპი გვჩამო
შპანასკნელი ბჰვიპი



დღემ ღამე ბუს დაუტოვა სატირ-
ლად: შენ დიდი თავი გაქვსო.

მეზობელ გორაკზე ერთმა ოლოლმა
ნეორეს გულდამდულრულად გასძახა:

— ვერა ნახე?

მეორე ასევე გულდამდულრულად
გაეპასუხა:

— ვერა, ვერა!

„ესენიც ჩემსავით რალაცას ეძებენ
და ვერ პოულობენ“. — გაიფიქრა ნი-
კამ, დიდი მუხა მოძებნა და მის მშრალ
ფესვებზე ჩამოჯდა. — „ნეტავი რას
ეძებენ? ვითომ მართალია, რომ ობოლ
ძმებს ხბო დაეკარგათ, იმის საქმენელად
წამოვიდნენ და ოლოლებად იქცნენ?
ბუნებაში ბევრი რამ არის გამოუცნო-
ბი, ბევრი რამ. აი თუნდაც — რატომ
წააგავს ბუს თვალები ადამიანის თვა-
ლებს, შეშინებულ ან გაკვირვებულ
თვალებს?“

გულსაკლავი ტირილი აქაც მოესმა
ნიკას. აღარ წამომდგარა და ყელი არ
ჩაუხლეჩია ძახილით—მანდ ვინ არისო?
მიხვდა, ეს სულაც არ იყო პარტიზანე-
ზის პაროლი, ოლოლები ტიროდნენ და
მოსთქვამდნენ.

„რა არის ეჭვი? ამას რატომ გუშინე
ვერ მივხვდი? პარტიზანები ცაში ხომ
არ დაფრინავენ? თუმცა, ფაშისტები კი
ამბობენ: პარტიზანებს ალყაში რომ
მოვაქცევთ, თვალსა და ხელშუა გვეკა-
რგებიანო, მაგრამ ფრინველები მაინც
არ არიან. რა სულელურად ვეძახდი გუ-
შინ— ვინ ხარ-მეთქი? იმდენი ვიყუარე
ენადამ თავისქალა ამეხადა... ხომ შე-
იძლებოდა მტერსაც გადავყროდი? ეეჰ!
საწყალი ოლოლები, მგონი, ყოველ ღა-
მე ტირიან!“

ის ღამე ნიკამ ტანჯვა-წვალებით გაი-
თენა და დილით კვლავ გზაჯვარედინ-
თან მივიდა: თუ ვინმეს ტყეში შემოს-
ვლა უნდა, აქ გამოვივლისო.

გუმანმა არ უმტყუნა. მზე ამოვიდა
და თმაბურძენული ბიჭუნაც გამოჩნ-
და ბილიკზე.

— ჰე, ჰეიიი! — დაუძახა ნიკამ.

ბიჭუნამ მოიხედა, დაფლეთილტანსა-

ცმლიან კაცს მოჰკრა თვალი და გაქცე-
ცა დააპირა.

— ნუ გეშინია, ბიჭო, ნუ გეშინია!

— ნიკას ხმას მუდარა შეერია.

ბიჭი შეჩერდა და გაიხედა-გამოიხედა.

— პარტიზანებს ვეძებ, იქნებ იცი...
ღამეხმარე!

— სადღაც არიან მთებში... სხვა არა-
ფერი არ ვიცი.

ბიჭუნამ ნიკას ერთი სიკეთე მაინც
გაუყეთა, ჩანთიდან შავი პურის ნაჭერი
და ყველის ნატეხი ამოიღო და გაუწო-
და:

— მშვიერი იქნები, კამე, ბიძია.

ნიკას უარი არ უთქვამს.

მერე ბიჭუნამ გზაც ასწავლა:

— აი, ამ ბილიკს თუ გაჰყვები, სო-
ფელში ჩაგიყვანს. იქ ვინმეს ეცოდინე-
ბა, პარტიზანების ამბავი...

— სოფელში გერმანელები არ არი-
ან?

— ახლა არა... ზოგჯერ მოდიან და
სოფელს ჩხრევენ.

— მაშინ ღამით აჯობებს ჩასვლა.


— ეგ თქვენ იცით... ოღონდ ბილიკს
კარგად დააკვირდით. გვერდზე ნურსად
გადაუხვევთ, თორემ სოფლის მაგივრად
ქალაქში ამოყოფთ თავს.

ბიჭი წავიდა. ნიკამ საღამომდე შეიცა-
და და ბილიკს დაუყვა. მხოლოდ ვარ-
სკვლავები კიაფობდნენ, მთვარე ჯერ
არ ჩანდა.

ზოგჯერ შესვენება უნდოდა, მაგრამ
როგორც კი შეჩერდებოდა, ფეხები თი-
თქოს უფრო სტიკოდა, ამიტომ შეუსვენ-
ებლად სიარულს ამჯობინებდა.

აღარ გათავდა გზა, არც ნიკას გაუ-
თავდა მოთმინება. ალიონმა ცას პირვე-
ლი შუქი რომ დაჰკრა, ოძელაშვილმა
სახლები დალანდა, ფართო გზაც დაი-
ნახა.

„ვაი, მგონი, ისევ ფეოდოსიაში ვარ?!
სიკვდილთან ჩემი ფეხით დავბრუნდი?
ეს რა უბედურება მჭირს? ბედი არ
მწყალობს, თუ... ეჰ, ბედს რა დავაბრა-
ლო, როცა მე თვითონ ვარ დამნაშავე?
იმ ბიჭმა ხომ გამაფრთხილა, ბილიკს
კარგად დააკვირდიო? რალა ვქნა ახლა?“



ისევ ოღლა სმაღცევესთან მისვლა რომ შემეძლოს, ის კეთილი ქალი კი მომივლიდა შვილივით, მაგრამ... ველარ მივაგნებ, ველარ... უეჭველად პარტიზანები უნდა ვნახო, სხვა რამეზე ფიქრი ზედმეტია... ვიდრე გვიან არ არის, უკან უნდა დაებრუნდე, ისევ ტყეში შევიდე და... პარტიზანები თუ ვნახე, ცოტა მოვჯობინდები და იმ კეთილ ქალს მერე ვესტუმრებო... ეპ, რამდენი ვიარე ამაღლი!.. ჰე, ნიკა არ დაეცე, ბიჭო! სადაც ამდენი შესძელი, კიდევ გაუჭირვე თავს, ნუ გეშინია, ქვეყანა დიდია!“

ლტოლვილი უკან გაბრუნდა. მთელ დღეს ნამჯის ზვინში იწვა. მეტე ტყე-ტყე წავიდა და სერზე შედგა. საღდაც ფეოდოსიის ცაზე მამხალა ანთო.

„ალბათ, ტყვეობიდან კვლავ გამოიქცა ვინმე. ახლა რომ ამხანაგი მამოვინინა, ჩემ ბედს ძალლი არ დაჰყევს... მარტოხელა ადამიანისთანა ცოდვა დედამიწის ზურგზე არავინ ყოფილა.“

მთელ ღამეს იარა. ახლა ტყის ტირილი აღარ აშინებდა. ოლოლების მოთქმა ცოტათი ამხნევებდა კიდევ, თითქოს ჭირის მოზიარენი გვერდით მოჰყვებინათ.

გაწვიმდა. ნიკამ ცას ახედა და ღრუბლისფერი ფიქრი მოეხვია.

„წვიმაა ეს თუ სხვა რამ? იქნებ ცის დიდი ნალველი ღნება და ის ჩამოდის მიწაზე? რა აღარღებს ამ მოქუფრულ ცას, მაგას რალა აქვს სადარღებელი? იცის კი ცამ დარღი? დარღი მიწამ იცის მხოლოდ. არც ცამ, არც ზღვამ, მხოლოდ მიწამ... იქნებ ასე მე მეჩვენება, რაკი თვითონ მიწის შვილი ვარ?.. წვიმს არხეინად. ვინ იცის, ახლა ცისქვეშ რამდენი უსახლკარო ხალხია?.. ეეჰ...“

ალიონი მოახლოვდა. წვიმა შეწყდა. არაქათგამოღულელმა ნიკამ ბილიკიდან გადაუხვია, პატარა მინდორში მდგარ მუხასთან მივიდა, ხის ქვეშ წამოწვა და უმაღლვე კისერი ძიღმა მოწყვიტა.

პარტიზანული რაზმის მზვერავეებმა უცნობი კაცი მოიყვანეს: ბილიკზე მო-

ფორთხავდაო, ამბობს ტყვეობიდან გამოვიქცეო, ქართველი უნდა იყოს რაზმში მყოფი ქართველები უცნობთან გაჩნდნენ და გაეცვენენ.

— ლადო გოძიშვილი.

— სანდრო ჩაჩხიანი.

— ირაკლი ნოზაძე.

იმავე დღეს ნიკა ოძელაშვილს შემოვლეთილი ტანსაცმელი გახადეს, ახალი შარვალ-ხალათი და ფარაჯა მოუტანეს. გამხდარ კაცს ფარაჯა დიდი მოუვიდა, თითქოს სარს ჩააცვესო. ლადო გოძიშვილმა თავისი ჩექმები დაუთმო, მე ქალამნებით სიარული მიჩვენიაო.

საქმელიც მალე მოუტანეს, მაგრამ საძლომად არ მისცეს.

ნათქვამია, ჯარისკაცს ოღონდ თავისი ანბები მოაყოლინე და მერე საღილიც რომ არ აჰამო, არ დაგემდურებო.

ქართველი ბიჭები პარტიზანულ კოცონს შემოუხსდნენ და ნიკა ოძელაშვილი ქადაგად დაეცა. ეტყობოდა, გადახდილი ჭირ-ვარამის მოყოლა შევებას ანიჭებდა, სხვები კი ყურალესილნი უსმენდნენ.

— გროვდებით ქართველები? — გაიცინა ეღგაროვმა და ისიც ქართველთა კოცონს მიუჯდა.

ნიკას ტყე მოუხდა, მალე შეიბა ხორცი და ჯანიც მოემატა. ფარაჯაში ახლა საფრთხობელას აღარ ჰგავდა. ოღონდ ეს იყო, ჯერჯერობით ტყეში შორს გასვლას მარტო ერიდებოდა.

— რა დაგემართა, წყნეთელო, გეშინია, ფეხებმა არ გიმტყუნონ? — ჰკითხა ირაკლი ნოზაძემ.

— არა, კაცო, ფეხები აღარ მტკივა... მაგრამ ტყეში მარტო სიარული ნამდვილად არ შემეძლია. თითქოს ღმერთი გამიწყარო, ასეთი რამ ჩემ სიცოცხლეში არ მომსვლია, ტყეში რომ გავალ, ვერ ვიმასსოვრებ, რომელი ბილიკით წავედი და გზა მეზნევა... ჰოდა, მეშინია, სხვაგან არსად ამოვეყო თავი.

აკაკი გეგაძე

შანანაძეული ტყვის

ნიკამ ეს „ავადმყოფობა“ ორიოდ კვირაში მოიხდა.

— რაკი ამ ჭირს გადაუტრჩი, აღარაფერი მიჭირს, ახლა მეც შემძლია დავალემაზე წასვლა. ტყეში გზა აღარ მენნევა, წამიყვანეთ, ბიჭებო!

ნიკას ხელყუმბარები და შაშხანა მისცეს, რა თქმა უნდა, ვაზნებიც. ერთი ვაზნა რატომღაც ცალკე შეინახა.

— რას შვრები, ბიჭო? — ჰკითხა სანდრო ჩაჩხიანიძე.

— ეს ჩემი იქნება საყუთრად, სხვისთვის ვერ გავიმეტებ. ამ უკანასკნელ ტყვიას ან შინ ჩავიტან, ან... ხომ იცით, წე ტყვეობას ყველაფერი მირჩევნია.

პარტიზანთა ერთი ჯგუფი საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაგზავნეს, ხიდი უნდა აეფეთქებინათ. ჯგუფის უფროსმა ედგაროვმა თანაშემწედ ოძელაშვილი წაიყვანა.

რასში მხოლოდ ნიკა დაბრუნდა, ისიც ფეხში დაჭრილი. თოფზე დაყრდნობილი ძლივს მოკვლანდა, ადამიანის ფერი აღარ ედო. ექიმმა ჭრილობა შეუხვია — საშიში არ არისო. კარავში რომ შეიყვანეს, პირქვე დაემხო და მთელ ღამეს ღმუროდა, ბორგავდა და შფოთავდა. ზოგჯერაც თავს ასწევდა და თვალეზგაფართოებული რალაცას ეძებდა, შეშლილივით იყურებოდა.

ირაკლი ნოზაძე გვერდით მიუჯდა.

— ძალიან გტყვივა ფეხი? დავუძახო ექიმს?

— ექიმი ყველა ჭრილობას ვერ არჩენს... ფეხის ტკივილს ვინ ჩივის... ეეჰ! მე ნამდვილი ჭრილობა გულში მაქვს, ბიჭო, გულში... თქვენ არაფერი არ იცით... იქ ისეთი ამბავი მოხდა, უუჰ!

— რას იზამ, ომია: ზოგი მოკვდება, ზოგი გადარჩება...


— ჰო, ზოგი მოკვდება, ზოგიც გადარჩება... მაგრამ გააჩნია, როგორ გადარჩება...

— შენ რალაც ისეთი გაწუხებს, ბიჭო, თქვი, რა მოხდა? ჰო, თქვი და გულზე მოგეშვება!

— ვიტყვი, რატომაც არ ვიტყვი... ცოდვა გამხელილი სჯობსო, ნათქვამია... არაფერსაც არ დავმალავ... ნიკოლე ღმერთმა...

ნიკამ სადღაც შორს გაიხედა და აღსარებასავით დაიწყო:

— ხიდის აფეთქებისთანავე უკან გამოვბრუნდი. გერმანელები კვალდაკვალ დაგვედევნენ. ძველ ნასანგრალეთან რომ მოვედით, ალყა შემოგვკარტყეს. ყველა გზა მოჭრილი გვქონდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გავაჩაღეთ. იცოცხლე, ჩვენ იმათ დღე ვაყარეთ, მაგრამ ბევრნი იყვნენ და... ჯგუფიდან ბოლოს მხოლოდ მე და ედგაროვი დავრჩით ცოცხალი, ედგაროვი ჩემს მეზობლად იყო ჩასანგრებული. აქ შესაძლოა ორივე ერთი ყუმბარით მოგვეკლან, შორიშორ ჩავწვეთო, მეთაური მარჯვნივს ვწვიდა ხოხვით, მე მარცხნივს ვადავინაცვლე. ვიდრე ახალ საბრძოლო პოზიციას ავირჩევდი, ფეხში დავიჭერი. ჭრილობამ უფრო გამახელა. მტერს ტყვია თავდაუზოგავად დაუშინე ტყვია შემომელა და ჩემკენ ფორთხვით მომავალ ფრიცებს ყუმბარა ვესროლე. რამდენიმე კაცი ჩაწვა, სხვებმა უკან დაიხიეს. გასაქცევი გზა არა მქონდა, კიდევ რომ მქონოდა, ცალი ფეხით სად გავიქცეოდი? თოფში უკანასკნელი ვაზნა ჩავდე, საჩემოდ შენახული ვაზნა. როგორც კი გერმანელები ხელახლად წამოვლენ იერიშზე და ცოცხლად ხელში ჩაგდებას დამიპირებენ, ერთს დავაცემინებ ჩახმანს და მეტიც არ მინდა-მეთქი. ვხედავ: გერმანელები ჩემკენ ყვირილით გამოარბიან: რუსო, დაგვენებდიო! ეტყობა, ედგაროვს. ვერც ამჩნევენ. მეთაურმა ავტომატი დაუშინა და რამდენიმე კაცი მოკვლა. სხვებმა ახლა იერიში იქით მიიტანეს, კვლავ ყვიროდნენ — დაგვენებდიო. ედგაროვმა ავტომატი შემართა, ამაოდ, ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, ეტყობა, ვაზნები სულ გაუთავდა, ავტომატი ბრახიანად მოისროლა, რალაცას დაავლო ხელი, უბე-



ში ჩაიდო, ხელები ასწია და გერმანელებისაკენ თამამად წავიდა. გულზე ცეცხლი წამეკიდა: მტერს ცოცხალი როგორ ნებდება-მეთქი, განრისხებულმა საჩემო ტყვია ხელებაწეულ კაცს დავემისნე, მე ხიშტზე ავეგები-მეთქი, სასხლუტს თითი გამოვკარი და... არ გავარდა შაშხანა, იმ უკანასკნელმა ტყვიამ მიღალატა... აღარ მახსოვს, რაღაც წამოვიბღავლე... ხიშტი მოვიძობაჩვე... გერმანელები ხელაწეულ ედგაროვს ყოყინით შემოეჭარნენ: უხაროდათ, პარტიზანი ხელში ცოცხლად ჩავიგდეთო, უცებ იქუხ-იგრგვინა, ცეცხლმა იელვა და ედგაროვის გარშემო ახორბოცებული ყველა გერმანელი ძირს დაეარდა... ედგაროვი ველარსად დავინახე. აფეთქდა კაცი და მტრებიც ააფეთქა... აბა რას ვიფიქრებდი, თუ ხელისაწევამდე კაცმა უბეში რამდენიმე ხელყუმბარა ჩაიდო?.. ეს ყუმბარები ალბათ, მოკლული ამხანაგის სანგარში იბოვა... თვითონ დაიღუბა, მე კი გადამარჩინა... რა ჯანდაბაა ეს, ბედისწერა, თუ?.. საჩემოდ გადანახულ უკანასკნელ ვაზნას რომ არ ემტყუნა, ედგაროვს გერმანელებთან მისვლამდე გამოვასალმებდი სიცოცხლეს და ორივე დავიღუბებოდი... სწორედ იმან გადამარჩინა, ვისაც სიცოცხლის წართმევა დაუპირე... იმანაც და ჩემთვის გადანახული უკანასკნელი ტყვიის ღალატმაც... ჰო, ღალატმა... ეჰ, ედგაროვ, ედგაროვ, მე კი გადამარჩინე, მაგრამ...

— კარგი, დამშვიდდრ, ნიკა! ედგაროვმა მარტო შენ როდი გადაგარჩინა... შენც რომ იქ ჩამკვდარიყავი, ედგაროვის ამბავს ვინდა გაგვაგებინებდა? იმან თუ შენ გადაგარჩინა, შენ მისი გმირობის ამბავი ცოცხლად შეინახე... დაწყნარდი. ექიმს ხომ არ დაუძახებო? სახვევს მაინც გამოგიცვლის...

— არ მინდა. ფეხი არც ისე მაწუხებს. უჰ, როდის მოვრჩები, მე იმათი დედა!.. — ნიკამ ხელები სახეზე მიიფარა, კვლავ პირქვე დაემხო და ამოი-

ღმუვლა. მისი ღმუილი სევდიან გოდებასაც ჰგავდა და მრისხანე ბუხუნსაც.

ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის იანვარია. ყარასუბაზრის ტყეში დაბანაკებული პარტიზანები გერმანელებმა ალყაში მოაქციეს.

— ბიჭებო, შორიშორ ჩასანგრდით, მტერს უფრო მეტი მოვეჩვენებით... თავდაცვის ხაზი წრიულად დაიკავეთ! — ბრძანა მევეტომატეთა ჯგუფის უფროსმა ირაკლი ნოზაძემ.

თავგანწირული ბრძოლა გაჩაღდა. ბიჭები სავაზნე კოლოფების გატენას ვერ აუღიოდნენ. ნიკა ოქელაშვილი საფარს ხშირად იცვლიდა და მტერს უმოწყალოდ ხოცავდა. მაგრამ ფაშისტები არ ილეოდნენ, სულ უფრო და უფრო მოიწვედნენ წინ. ნიკას ავტონატში რომ გაუთავდა ვაზნები, ხელში შაშხანა დაიჭირა, მოკლული ამხანაგის შაშხანა, პატრონტაშები კი ჯვარედინად გადაიკიდა. მერე, ეტყობა, შაშხანის ვაზნებიც გამოელია, ორივე პატრონტაში მოიხსნა და შორს მოისროლა. ამასობაში ათიოდე გერმანელი მის საფარს მოუახლოვდა.

— რუს, სდავისია! რუს, სდავისია!

— უჰ, მე თქვენი!.. — ოქელაშვილმა ორი ხელყუმბარა ზედიზედ გასტყორცნა და შვიდი გერმანელი ადგილზე დაატივა.

მარჯნიდან გერმანელთა სხვა ათეული შემოესია და ტყვია დაუშინა.

— რუს, სდავისია!.. პლენ!.. პლენ!..

ოქელაშვილმა ერთი ყუმბარაც გასტყორცნა და ორი გერმანელი გამოასალმა წუთისოფელს. უკან დახევას რომ აპირებდა, მის გვერდით ჭურვი გასკდა და ნიკა მძიმედ დაიჭრა.

გერმანელები კი კვლავ მობობდადნენ.

— რუს, სდავისია!

ირაკლი დაჭრილი ამხანაგის მისამველებლად წაფორთხდა.

აბანი გეზაძე
შანანდელი ტყვია

— რუს, სდავისია! — წამდაუწუმ გაპყვიროდნენ ნიკასკენ ბობლვით მომავალი გერმანელები.

ოძელაშვილმა შაშხანის ლულას ნიკაპი შეუშვირა და... ხელი სასხლეტს ჩაპკრა. თოფის ყრუ ხმა გაისმა.

ნოზაძე ლოდს ამოეფარა და ოძელაშვილისაკენ მიმავალ გერმანელებს ავტომატი დაუმიზნა.

— ტა, ტა, ტა, ტა, ტა!

გერმანელებმა თავი თოვლში ჩარგეს. მერე ვერც ერთი ველარ წამოდგა.

ირაკლი კვლავ ოძელაშვილისაკენ წავიდა.

ნიკა უკვე გულაღმა იწვა, ნიკაპი და ცალი ყბა აგლეჯილი ჰქონდა.

— ეს რა გიქნია, ბიჭო? თავი მოიკალი, შე ღმერთბაღლო?!

— რა ვიცოდი, თუ კიდევ მომეშველებოდა ვინმე? გერმანელები ჩემკენ მობობლავდნენ... რამდენიმე ნაბიჯილა დარჩათ... ერთი ტყვილა მქონდა დარჩენილი. ხომ იცი, მე კვლავ ტყვედ ჩავარდნას, სიკვდილი მერჩია. ჰოდა, დაჭირლს სხვა რა უნდა მელონა? ეს ერთადერთი, ობოლი ტყვია, უკანასკნელი ტყვია ჩემთვის მქონდა შემონახული, ჰოდა, ვესროლე... ჩემ თავს ვესროლე... მეგონა, ამით ჩემს მომავალ ტანჯვა-ვაებას მოვკლავ-მეთქი, ტყვეობის ტანჯვას... იქ წამებით სიკვდილს, ასე ვამჯობინე... არ დამძრა-

ხოთ! ჩემი მიწა-წყლის უნახავად სიკვდილი არ მინდოდა, მაგრამ რას ვეზამთ... ბიჭო, რა არის ეს ბედისწერა, თუ?.. იმ დღეს უკანასკნელმა ტყვიამ იმიტყუნა და გადავრჩი, ახლა კი... ედგაროვის მოკვლა რომ მინდოდა იმ ტყვიით, მაშინდელმა ცოდვამ ასე ხომ არ მიწია, ბიჭო? თბილისში ჩასვლა თუ ველირსოს, აღი წყნეთში და ჩემიანებს ყველაფერი უამბე... როგორც იყო... რაკი თავისუფალ ადამიანად ვკვდები, აღარაფერს დავებებ... — ოძელაშვილმა ნოზაძეს მაჯაზე მოუჭირა ხელი, როგორც შორს მიმავალი ადამიანი თავისიანებს ემშვიდობებდა ხოლმე, მერე ერთი უცნაურად გააყრყოლა.

მძიმედ დაჭრილი კაცის თითები თანდათან მოეშვა, ბოლოს მკლავი მოწყვეტილი ტოტივით ჩამოუფარდა და გათავდა ადამიანი.

იმ ადამიანის ირგვლივ ავტომატისა და შაშხანის უამრავი ცარიელი ვაზნა ეყარა. მასრებს ჭერ კიდევ ასდიოდა დენთის სუნი. თუმცა, იმ დროს იქ დენთის სუნი რაღას აღარ ასდიოდა?! დენთისა და სისხლის სუნით იყო გაქლენთილი ყველაფერი — ცა, მიწა, ხე, ქვა და თოვლი.

ნიკა ოძელაშვილის უკანასკნელი ტყვია კი, ეშმაკმა იცის, ახლა სად განისვენებდა. ალბათ, სადღაც აქვე არხეინად იწვა.

იმ ტყვიამ არაფერი არ იცოდა.



ელის ქალაქი-ჯარისკასი ნების ნაკირთან

კაცი, ძალიან ჩაფიქრებული,
დღესასწაულზე ხომ არ მოვიდა?
კაცი, ძალიან დადლილი კაცი,
უბრალო კაცი შუშენსკოეს ჩალის ქოხიდან.

ძას არ უყვარდა ზარი და ტაში,
და არც წუწუნი მას არ უყვარდა,
ქრემლი მოწმინდა დამშუელ ბავშვებს
და სასახლეებს ურთ დღეს ომი გამოუცხადა.

სულს მიაღერსეს ველით შორიდან,
გადაიტანა დადლილ მხრებზე ცეცხლი და თოში.
ასი წლის კაცი ხომ არ მოვიდა?
კაცი, რომელმაც დაგვამწუხრა იანვრის თოვლში.

კასი, რომელმაც თვალებზე ხელები აიფარა

ომისაგან საზარლად დასახიჩრებულნი ისინი თავისი ნებით
სამუდამოდ შეეხიზნენ ჩრდილოეთის ერთ-ერთ კუნძულს.
მათ შორის არიან ისინიც, ვისაც ღამე ნენა ესიზმრება.

ამ ლექსს მე ვუძღვნი დედებს, რომლებიც ქვეყნად ყვე-
ლა კუბოს ეხეზიან თავიანთი სუსტი და ცახცახა თითებით
და ჩასძახიან: — აქა ხარ, შვილო? ანდა, თითქმის შინავლუ-
ბულ. მაგრამ ჩაუმკრალ კერიასთან სხედან და ელიან, ელიან
დღემდე...

ამ ლექსს მე ვუძღვნი ტკივილის კუნძულზე მცხოვრებ მათ
შვილებს.

ჩემი ცისფერი საქართველო, ნენა,
აგერ, კარგად აღმა აყვავდა ვენახებში,
ნიბლია იცინის და წყალი ჩადგა ხეში,
მე კი თვალებზე ხელები ავიფარე, ნენა,

აგერ კარგად აღმა — ასი მთის იქითაა,
ასი მთის იქიდან იღიმები ნენა,
პატარა მერცხლები ბუდეებს იკეთებენ,
მე კი თვალებზე ხელები ავიფარე, ნენა,



შემორბის სიო და თრთის თოთო დაფნარი,
და მთებს თეთრ მთვარეში ეწვევიან ნუკრები,
მე გაგიშორეულდი, ვით ნუკრი დამფრთხალი
და აპრილის წვიმაში მხრები ამითრთოლდა, ნენა.

ხან გამასხენდება არწივთა ინო,
ფრთებილა რომ შემრჩა და მომინდება ფრენა,
— ვაჟაი ნაჩენი ჯობია შვილო,
შენი ჩურჩული დამესიზმრება, ნენა.

არა. იყოს იმედი და ცა იყოს ნათელი,
მგლის მუხლნი მოკვეთილნი ვერ იხილო, ვერა —
ნაწვიმარი თვალებით ღამეებს რომ ათევენ
და ეს სიამაყეც შენ შემინდე, შენა.

იყოს აპრილი და არ იყოს ტირილი,
და ჩვენთვისაც ყვავილები თითო-თითო,
მე ვერ მივუმატებ აპრილს შავ ტკივილებს,
რადგან აპრილი საქართველოა თვითონ.

სიზმარში მომეფერე ხელებით დალოცვილით
და ცახცახა ფოთოლივით მომაგებე მზერა,
...ჩაივლის ქერათმიანი და შემხედავს გაოცებით,
რადგან თვალეებზე ხელები ავიფარე, ნენა...

ს ი ნ ა თ ლ ე

„შავმა პოლკოვნიკებმა“ სიკოცხლეს
გამოასალმეს დიდი ბერძენი პოეტი
ი ა ნ ი ს რ ი ც ო ხ ი

იგი დაეცა მწუხარე ზღვასთან,
სადაც ჩააქრეს სხივები დილის,
დედა, უთხარი მტყუანს და მართალს,
ვერ დააჩოქეს აქ შენი შვილი.

მას ჰქონდა ნატვრა უბრალო კაცთა,
სინათლის ნატვრა თან გაჰყვა ზღვაში,
ერთი სიკვდილი დაეცა ზღვასთან
და უკვდავება გადარჩა მაშინ.

იგი დაეცა მწუხარე ზღვასთან,
მთვარე უწვავს გახელილ თვალებს,
იგი დაეცა მწუხარე ზღვასთან
და აჭრიალებთ ელადის ზარებს.

და გული სტკივა სიბნელეს უძღურს
— იგი დაეცა სინათლის გზაზე,
და ჩუმად აწვიმს ლეროსის კუნძულს
და ცახცახებენ ღრუბლები ცაზე...

ბაღაუყვითლდა ტყეს მწვანე რიდე

წუხელ ყვითელი თოვლი მოთოვა,
ყვითელი თოვლი თოვს დღესაც კიდევ,
ვიღაც წავიდა, როგორც ფოთოლი,
გადაუყვითლდა ტყეს მწვანე რიდე.

ვიღაც წავიდა, როცა მოთოვა
და დამიტოვა დუმილის რიდე,
რეკენ ზარები და შემოდგომა
დაღლილი ფრთებით შემოჰყავთ ჩიტებს...



შაშვისუბნელებმა ვერ და ვერ გაზარდეს ძროხების წველადობა. ვერც ხორცის ჩაბარების გეგმას ასრულებდნენ.

შაშვისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ალექსი ვარდანაშვილი, საგონებელში იყო ჩავარდნილი.

ერთხელ, ხორცის კომბინატიდან რომ მოდიოდა, რაიონის ცენტრის მთავარ ქუჩაზე ძველ მეგობარს, ბერბუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, კოტე შარაშიძეს, შეხვდა და თავისი გასაჭირი შესჩივლა.

— არ იწველებიან ეს ჩვენი ძროხები და რა ვქნა! — ხმადაბლა, მაგრამ ბოლმინადა თქვა ალექსიმ.

— მეც მაგ ყოფაში არ ვიყავ! სული ძლივს მოვითქვი, — უთხრა კოტემ.

— როგორ, კაცო?... იქნებ... ჰა! — პირი დააღო ალექსიმ.

— შენ კარგ ხანია ჩვენკენ აღარ გამოგივლია. ისეთი ყუბანური ჩალისფერი ძროხები ჩამოვრეკეთ, რომ... გაგიხარია! წველადობისა და ხორცის დამზადების გეგმაც შევასრულე და შინაც ბლომად დავგრჩა.

— კარგი ერთი, მამა გიცხონდება! მერედა, როგორ ჩამორეკე, ბიჭო? — ამ ახალი ამბის გაგონებაზე მოცოცხლდა ალექსი.

— ის თქვენი სოფელი ცარიელი ქვა

და ღორღია, იმხელა კლდეც გადმოგყურებთ... ყუბანელებს კი საშენი ქვა არა აქვთ.. გაურვიდით ძროხებში. საქმე რომ არ გაგიჭიანურდეთ და ყველაფერი იოლად მოაგვაროთ, ერთ კაცს მიგასწავლი... აქვე ცხოვრობს. შენ ოღონდ მოინდომე, ყველაფერს ის გაგიკეთებს.

— მოინდომეო! ვინ არის ის ღვთისნიერი? ეს რა მითხარი, კაცო! მოფიქრება არ უნდა! ქვაში თუ ძროხებს მოგვეცემენ და ამ გაჭირვებიდან თავს დავაღწევ... რას ამბობ, მთელ კლდეს მოვუმტვრევთ და სულ დათლილსა და გაკონტავებულს ჩავუტანთ. აბა, მითხარ, ვინ არის ის კაცი? — შვება მოეფინა ალექსის, პერანგის ზემო ღილი შეიხსნა და სული მოითქვა, — ეს რა მითხარ, კაცო!

— აი მისამართი, — კოტემ უბის წიგნაკის ერთი ფურცელი ამოხია და ზედ დაუწერა, — იკითხე გიგლა პაპიაშვილი. ჩემი სახელით სთხოვე. ყველაფერს მოგიგვარებს.

— შენ ავაშენა ღმერთმა! ეს რა ღვთისმშობლის ანგელოზივით გამოჩნდი! ამ ცხელ გულზე მართლა მალამოდ დამედე. ახლავე მივალ, იმ კაცსა ვნახავ, მოველაპარაკებ და მერე თითო ჭიქა დავლიოთ. სადა გნახო, სად მიდიხარ?

— მადლობელი ვარ, ჩემო ალექსი. ხორცკომბინატში მიმეჩქარება. სხვა დროს შეგვხვდეთ. მაგ საქმეში კი ხელი მოგემართოს. კარგადა გნახე!

ალექსიმ რაიონის ცენტრის მთავარი ქუჩა მარდი ბიჭივით გაიარა. აი, პატარა ქალაქის ბოლო უბანიც. ესეც გიგლა პაპიაშვილის სახლ-კარი.

„შეხედე, ამ ღმერთმაღლს!“ — გუნებაში თქვა ალექსიმ, როცა გიგლას სასახლეს შეავლო თვალი.

მასპინძლის გამოსაძახებელი ელექტრონარის ღილაკი ცისფერ ჭიშკარში ღილის თვალვით იყო ჩასმული. ალექსიმ თითი შეახო და სადღაც, შორს, სასახლეში წკრიალი გაისმა.

რომელი ბრძანდებო, მოხუცი ქალის ხმა იყო.

ალექსიმ გასძახა, პატივცემულ გიგლას ნახვა მინდოდა, შაშვისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარი ვარაუდნაშვილიო.

ჭიშკარი ისე გაიღო, ხელში არავის უხლია. გაკვირვებულმა და ოდნავ შემკრთალმა ალექსიმ იფიქრა, ეს სად მოგხვდით. კარს შეშინებულმა შეხედა და გულუფანცქალბული შევიდა პაპიაშვილის საბრძანებელში.

ვევრდით — ხილის ბაღი, სახლს უკან — ვენახი. სახლი ორსართულიანია, თაღბაწეული, ჩუქურთმებიანი. მალა, ცეცხლმჭრობელთა სათვალთვლო კოშკივით ამართულა ფანჩატური, ქვემოთ გარაყის კარი ღიაა...

ალექსისაც მთელ სოფელში გამოსარჩევი სახლ-კარი აქვს, მაგრამ ასეთი არა. ყველა ყველა, მაგრამ ჭიშკრის პატარა კარი თავისთავად როგორ გაიღო?

ალექსი სახლს მიუახლოვდა. აივნის მოაჯირს მოხუცი ქალი მოსდგომოდა.

— მობრძანდით! — აიპატიყა სტუმარი მალა. როცა ალექსიმ ხელი ჩამოართვა, ქალმა უთხრა, ჩემი გიგლა ახლა ადგა და მალე გეახლებათო.

მასპინძელმა ალექსი დიდ ოთახში შეიყვანა. ეს იყო სტუმრის მისაღები. მოწყობილი გემოვნებით, სულ იმპორტული ავეჯით. იატაკზე ხალიჩები იყო მოგებული.

„რომელია ეს გიგლა პაპიაშვილი? არ შეიძლება არ ვიცოდე. ვიცი და მაინც არ ვიცი. ვიცი და მაინც არ ვიცი, — საგონებელში ჩავარდა ალექსი და ცოტა არ იყოს შეშურდა გიგლას ბედის, მისი სახლ-კარის, მისი სასტუმრო ოთახის მოწყობილობის გამო, — სად მუშაობს? რაიკომში? არა, იქ პაპიაშვილი არავინაა. აღმასკომში? არც იქ. ხორცკომბინატში? არც იქა. რკინიგზაზე? იქაც ქვეყნის ხალხს ვიცნობ... ეს ვიღაა, ასეთი სახლი რომ წამოუჭიმავეს ამ ცოტა ხანში?“

— დაბრძანდით, გეთყავ! — ქალმა სავარძელზე მიუთითა, — ჩემი გიგლა პირს დაიბანს და გეახლებათო.

„პირს დაიბანსო?! განა რომელი საათია?“ — ალექსიმ საათს დახედა. პირველი იყო, — კაი მადა ჰქონია! თუ ყოველ დღე ასე გვიან დგება, ეს სახლ-კარი საიდანა? ისე, კაცმა რომ თქვას, ჰკვიანი ყოფილა. არც არსად იბარებენ და არც ძროხების გულისთვის სწურავენ...“

ქალმა გაუღიმა და ოთახიდან გავიდა. ალექსიმ სავარძელს დახედა, მაგრამ დადგომა ვერ გაბედა რატომღაც.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ძვირფას ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი ლამაზი ყმაწვილკაცი.

„აი, თურმე ვინ ყოფილა!“ — შეხედა ალექსიმ და უმალ გაახსენდა რაიონის კულტურის სახლთან ნიადაგ უსაქმურ ბიჭებთან აყუდებული გიგლა პაპი-აშვილი.

„ამან უნდა გამიკეთოს საქმე? დიხაც! რატომ არა! თუკი კოტეს გაუკეთა?! თუკი თავის თავს გაუკეთა?!“

— გამარჯობათ, — თავაზიანად დაუკრა თავი გიგლამ შაშვისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ხელი ჩამოართვა და სთხოვა, დამჯდარიყო. მაშინ რაღა გზა ჰქონდა ალექსის, რბილ სავარძელში უხერხულად ჩაეშვა და ეჩოთირა.

გიგლამ პაპიროსის ძვირფასი კოლოფი გახსნა და სიგარეტი ალექსის შესთავაზა.

— გთხოვთ!

გააბოლეს.

გიგლა ისე თავაზიანად, ისე საქმიანად იქცეოდა, რომ ალექსის თავი თეატრში ეგონა. ეგონა, რომ მოხვდა სცენაზე და მასაც ათამაშებდნენ მსახიობივით.

— კოტე მაღალაშვილმა მომასწავლა თქვენთან, — როგორც იყო დაიწყო ალექსიმ, — ძროხების თაობაზე. ყუბანური... ბევრი რძე რო...

— ყველაფერს გაგიკეთებთ. გარიგება როგორი იქნება? ფულს გადაურიცხავთ?

— არა, ფული სადა გვაქვს... ქვაში გავუცვლით... შაშვისუბანი ხო იცი?

— როგორ არ ვიცი... ცხვირპაჭუას

სასადილო. ვინ იცის, რამდენჯერ გვიქვიფია იქ. კარგი პურ-მარილი, ცხვირპაჭუამ.

— შაშვისუბანში მოხვდეთ და ცხვირპაჭუასთან როგორ გაგიშვებთ!... — თავი გამოიღო ალექსიმ, — ჩემთან ნაკლები პურ-მარილი არ დაგხვდებათ!

გიგლას ჩაეღიმა.

— სასიამოვნოა ასეთი ნაცნობობა, — თქვა და სიგარეტი კონტად გააბოლა.

— ჰო, ქვა და ძროხები... — საქმეს დაუბრუნდა ალექსი.

— გაითვალისწინეთ, რომ ამ საქმის მომგვარებელი მუქთად თითს არ გაანძრევს.

— მოვრიგდეთ, შე კაი კაცო!

— მოვრიგდეთ რა, ბაზარი კი არ არი! პირველად კი არ ვიწყებ ასეთ საქმეს. მე ამითი ვცხოვრობ, ჩემო კარგო. კოტეს არაფერი უთქვამს?

— არა, არაფერი.

— ძროხებს კარზე მოგაყენებთ, ქვის კადასაზიდად ვაგონებსაც მე მოგიხერხებთ. ამის ხარჯებს ჩემგან დამოუკიდებლად თქვენ გაიღებთ. ორი კვირა ჩემი მივლინების ხარჯიც თქვენ უნდა იკისროთ. გარდა ამისა მე სუფთად უნდა მივიღო აი ამდენი, — თქვა გიგლამ და ორივე ხელი გაპარჭყული თითებით ცხვირთან მიუტანა ალექსის.

— ეგ ძველითა თუ ახლითა?

— თქვენ რა, ისევე ძველით აწარმოებთ ანგარიშს კოლმეურნეობაში?! — დამკინავად გაიღიმა გიგლამ და აღმაცერად გამოხედა სტუმარს.

— ჰო, არა, ძველით როგორა, მაგრამ... მე მაინც ვერ მივხვდი, რა თითი რაო...

— თითო თითი ასი მანეთი. იანგარიშეთ, ბულალტერი ხო გყავთ?! თუ ჩემზე იათად სხვა წავა და რამეს გააკეთებს, მაგასაც ვნახავთ... ეს დალოცვილები!

— ჰო, კარგი, განა იმიტომ გკითხვ,

თაფიუ ზოგოლაძე

ჩალჩაშვილი ძროხები

რომ გული მოგვსლოდა. ხარჯი უნდა, მა არ უნდა?! ერთი სიტყვით, შეგატყობინებ და...

— სხვებიც წასულან, მაგრამ ხელცარიელები დაბრუნებულან... ეგრე კი არ არი, — სიგარეტს ფერფლი თითით მოაცილა გიგლამ, — ჯერ არა მიჭამია რა. გავიდეთ სასადილოში, დამეწვიე.

— მადლობელი ვარ. სოფელში მიმეჩქარება, ათასი საქმეა.

დაფაცურდა ალექსი. სულ თვალწინ უტრიალებდა თითებგაპარჭყული ხელე-ბი. თითქოს ეს-ეს არის თვალეებიც უნდა გამოსჩიჩქნოსო.

სოფელში მივიდა თუ არა, ბულალტერს მაშინვე აანგარიშებინა, ძვირი დაგვიჯდება თუ არაო. ბულალტერმა ჰკითხა, მერე ის კერძო გასამრჯელო სად გავატაროო. დასხდნენ, ითათბირეს, იტოქმანეს, კიდევ ბევრჯერ იანგარიშეს, დაილაღნენ და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, ვინმე ჩვენთან გავაგზავნოთო.

ამ საქმის მოგვარება ბრიგადირ იოსებ კულულაშვილს დაავალეს. ყუბანში ნამყოფი კაცი იყო. ომის დროს ქართულ დივიზიასთან ერთად ბევრი დამწვარი სოფელი გადაუვლია. რუსულიც იცოდა და...

ალექსიმ ეს კაცი საიდუმლოდ აფრინა კრასნოდარის მხარეში.

ერთი კვირის შემდეგ იოსები ყურებჩამოყრილი დაბრუნდა.

— ვერას გავხდი. ვერ მივუდექი... ერთი სამ ადგილას ვიყავ და „კამენ ნენუჟნაო“. თუ გინდათ ოცამდე ძროხას მოგყიდითო.

— მაშ ის როგორ ახერხებს, კაცო?! გული მოუვიდა ალექსის, — დაგეცადა, რას მორბოდი! კიდევ მიგეკითხ-მოგეკითხა.

— მაგასაც მარიფათი უნდა. შნო უნდა, ალექსი, — დააბეჭდა მერგოლურმა სოფიო ტორღიაშვილმა.

— მაშ უშნობი, დოყლაბიები და არაფრის მაქნისები ვყოფილვართ და ეგ არი! კოტემ მოახერხა, ქვეყანამ მო-

ახერხა, მე კი... ათას მანეთზე მეტი არა ღირს, ეს დარდი რომ მომშორდება? — დუდლუნებდა ალექსი. კოლექტივის თავკაცებს მოეთათბირა და გადაწყვიტეს, ისევ გიგლასთვის ეთხოვათ.

იმავე თათბირზე გამოყვეს ქვის დამამზადებელთა ბრიგადა. სულ ჩანიანი მამაკაცები შეარჩიეს.

ალექსიმ ლაბიანთ ბიჭი, დათიკო დაიბარა მანქანით და გიგლას სახლს მიადგა. ლალის თვალს თითი მიაჭირა. კვლავ იმ ქალის ხმა გაისმა, ალექსიმ ისევ ისე გასძახა ვინც იყო, ისევ ავტომატურად გაიღო კარი და ალექსი მალე გიგლას სასტუმრო ოთახში მოხვდა. ვარაუდით იმ დროს მივიდა, როცა გიგლა სასაუზმევიც იქნებოდა.

აი იგიც, პირმცინარი, გალადებული, საქმიანი. ამჟამად მას სპარსული ჭრელი და ძვირფასი ხალათი ეცვა ფოჩიანი ქაბრით, თავზე ფოჩიანივე ყვითელი ჩაჩი ესტრა.

— ასეც ვიცოდი, — თქვა ნიშნის მოგებით გიგლამ და კვლავ სიგარეტი შესთავაზა ალექსის.

გააბოლეს.

— ჰო, რა ვიცი, მოვედი, — შეწრი-აღდა ალექსი, — ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ მალე ჰქენ.

— რაო თქვენმა ბრიგადირმა? — გაილიმა გიგლამ.

— შენ საიდან იცი? — გაუკვირდა ალექსის.

— მარტო ჩვენს რაიონში კი არა, მეზობელ რაიონებში რა ხდება, ვინ რას აკეთებს, ის ვიცი და მაგას ვერ გავიგებდი? როდის დავიწყეთ?

— თუ გინდა ხვალ დანევი.


— ესე იგი, ხვალ ფულს მომიტანთ, არა?

— სულ ერთბაშად?

— თქვენ რა!.. არა გდომნიათ და ეგ არი. მე რა, ბავშვი კი არა ვარ, ამდენ დროს რომ მაკარგვინებთ! — ინდოურივით გაიფხორა ნაწყენი გიგლა.

ისევ ტკბილი სიტყვა ამჯობინა ალექსიმ.

— შე კაი კაცო... ფული რა... მოგი-



ტანთ მა რას ვიზამთ. ათას მანეთს ხვალ-ვე ჩავაბარებ.

— ჰოდა, ეგრე. თქვენ მივლინება გა-მიძხადეთ. ქალაღიცი აი, ასე დაწერეთ. გამზადებული მაქვს და გადაწერეთ. ოღონდ სოფელსა და კოლმეურნეობას თქვენსა ჩასწერთ, რასაკვირველია. ყუბანელებისას კი მე თვითონ ჩავწერ. გარეგნის ოქმსაც გავაკეთებ, ხელშეკრულებასაც გავამზადებ, მზამზარეულ საქონელს კარზე მოგაყენებთ, მეტი რა გინდათ, შვილოსან! ათასი მანეთი! მთელი კვირა უნდა დავკარგო ამ ათასი მანეთისათვის. ანგარიშს გიწვევთ, სიკეთე მინდა დავთესო... ათასი მანეთი მარტო გზის ფულად არ ეყოფა კაცს. დედაჩემო! — გასძახა გივლამ, — კონიაკი მოგვიტა!

— კონიაკი რა სასმელია! — უნებურად წამოსცდა ალექსის, — ჩემ ღღემი არ დამიღვევია.

— მაშ მყრალი ყიბიტაურია სასმელი?

— ი, რას ამბობ! ყიბიტაურზე როგორ ამბობ მყრალიო. როდის აქეთ ამყრალდა, შვილოსან? ყიბიტაურს რა სჯობია, პატარა ყანწითა... ზედ ნივრის მწნილი. ერთ კარგ ვაშლილ სუფრასა სჯობია. მაპატიე, შენ შემოგველე, სტუმარი ვარ და... ისე არ ჩამომართვა, თითქოს პურ-მარილს გიწუნებდე, მაგრამ მადლობელი ვარ... სოფელში ათასი საქმე..

— საქმეს რა გამოლევეს. კონიაკს თუ არ მიირთმევ, ღვინოც მაქვს. რომელსა სვამ?

„ასარჩევადაც აქვს, ამ ღმერთძაღლს!“

— სამარკო გინდა თუ შინაურული? თქვი, რა გერიდება!

— შინაურულს რა სჯობია, — ტუჩები გააწკლავუნა ალექსიმ.

მალე მოხუცმა ქალმა პატარა, მაგრამ ლაზათიანი სუფრა გააწყო. გივლამ სტუმარი სასადილო ოთახში მიიწვია.

მანქანით ბიჭი მელოდებო, გაახსენდა ალექსის. დათიკოსაც დაუძახეს. ერთი ორი ჭიქა არას გიზამსო და იმასაც დაუსხეს. დათიკო სუფრაზე ისე მორცხვად იჯდა, თითქოს თავის ღღემი ერ-

თი მწყერიც არ წამოუფრენიაო. სოფელი კი აკლებული ჰქონდა.

როცა ალექსის ორიოდე ჭიქა ღვინომ ტვინში მოუღიტიწა, შინაურულად ჰკითხა გივლამ:

— უცოლშვილოდა ხარ, ბიჭო?

— ეგეც იქნება! — თავმოწმუნედ თქვა გივლამ.

— რატომ არა რა, კარგი ბიჭი ხარ. გიგოები რით დავიწუნებენ რა!

გივლა სტუმრისკენ გადაიხარა და უჩუბრჩულა:

— შინ ძალით მიხტებიან, მაგრამ მე ისეთი მინდა, ცხოვრება მოსდგამდეს, იმასაც ჰქონდეს და მეცა, რომ არ ვაგვიჭირდეს.

„ასე რამ შეგაშინა ცოცხალი, ჯანმრთელი და ახალგაზრდა?!“ — ცოტა არ იყოს ასეთი სიხარბის გამო გივლაზე გული მოუვიდა ალექსის. მაგრამ სიტყვას როგორ ეტყოდა. თავად ალექსიც ხელს ითბობდა მოსათბობზე, მაგრამ გივლასავით მაინც არ იქცეოდა.

ბახუსმა ტვინში საფუძვლიანად მოიკალათა და გამხიარულებულ ალექსის ცეკვა და სიმღერა მოუწინა. ძლიერ უყვარდა სიმთვრალეში. არც ცეკვა გამოსდიოდა, არც სიმღერა, მაგრამ თვითონ კმაყოფილი იყო ხოლმე. ახლა მოერიდა, უტეხოდ იყო. მანქანაში ჩაჯდა თუ არა და სოფლისკენ დაიძრნენ, რალაც ისე უცნაურად აბუხებუყდა და აყროყინდა, დათიკოს ელდა ეცა.

— რა მოგდის, ძია ალექსი?

— ვმღერი, ბიჭო... სხვა რა უნდა მომდიოდეს!

— მე კი მეგონა...

— რა გეგონა? ჩემი სიმღერა არ მოგწონს? მამა გიცხონდებო, სხვა ჩემზე უკეთესად მღერის აი! ჰარიდა ჰარალე! რა საქმე გვაკეთეთ—რძემი ვიბანავებთ, ბიჭო, რძეში! სოფელში წყაროს მეორე მილს გავუკეთებთ, ერთში წყალი იდენს, მეორეში რძე. იცი რას ნიშნავს ეს ამბავი? ბალღებსაც რძეში ვაბანავებთ...

თანგიზ გოგოლაძე
ჩალიწყარი ძროხები

რა იცი, იქნებ ჩვენც მოგვიხდეს რძის აბაზანები. რა იცი... ამბობენ რძეში ბანაობა კარგიაო.

— ზღაპრებში გამიგონია, თორემ ცხადლივ ვინა ბანაობს. მაგდენი რძე სად არი!

— რას ამბობ! ზღაპარიო? მე ალექსი არ ვიყო, თუ ის ზღაპარი სინამდვილედ არ ვაქციო!

მართლა მშველელად მოევლინა გიგლა პაპიაშვილი შაშვისუბნელებს. ყუბანიდან დაბრუნებული ალექსი ვარდანაშვილს კანტორაში ეწვია და ქაღალდები გადმოუღავა:

— ეს ასი სული ძროხა და სამი ბუდა. ვაგონები დატვირთულია, იქაური ხალხი მოაცილებს. სამ-ოთხ დღეში სადგურში ჩამოაყენებენ.

— შენ ავაშენებს ღმერთი! — სიხარულის ცრემლი მოიწმინდა ალექსიმ და ლამის გადაეხვია გიგლას, მაგრამ გამგეობის წევრებისა მოერიდა. ისინიც ალტაცებით შეპყურებდნენ პაპიაშვილს.

— ესეც საშენი ქვისა. ამდენი კუბომეტრი ქვა უნდა მოუჭრათ, დაუტვირთოთ და გაუგზავნოთ. ხელი მოაწერე. ეს ქაღალდები უკან უნდა გავატანო, ძროხებს რომ ჩამოიყვანენ. დღესვე შეუდექით ქვის დამზადებას. დროზე უნდა მიაწოდოთ. ხო იცი, პირის შერცხვენა არ ივარგებს.

— შენ ავაშენა ღმერთმა! მა რას ვიზამთ! ფირუზ! — გაიბადრა გახარებული ალექსი და ქვის დამამზადებელთა ბრიგადის მეთაური მოიხმო, — აბა, დღესვე ეცით კლდესა და დაიწყეთ!

გიგლა თავის მანქანამდე მიაცილეს. მან უტეხურად წარმოთქვა, ხელოო, ხელი აიღო ნიშნად გამომშვიდობებისა და „ვოლგა“ ადგილს მოწყვიტა.

— რა ბიჭია, შენ გენაცვალე!

— ასი ძროხა და სამი ბუდა, ჰა!

— მოხერხება არ უნდა?!

— დიდიძალი ქვა რომ გვაქვს მოსაჭრელი?

— მთელ კლდეს კი არ მოვთხროთ! — გული მოუვიდა ალექსის, — რა ჯანდაბად გვინდა! წამოყუდე თუ გინდას გიგლას მიერ მოტანილი ხანძარები უტყუარი იყო. მალე სადგურზე ძროხებით სავსე ვაგონები ჩამოდგა.

— დრასტი! დრასტი! — თავისი დამტვრეული რუსულით ალტაცებით მიეცალმა ალექსი ნახირის გამცილებელ ყუბანელ კაზაკ ქალებს, ხარბად უყურებდა ჩალისფერ დიდრონ ძროხებს, მათ ცურებს და სიხარულისაგან გული საგულეს არ ეტეოდა.

ნახირი სოფლისაკენ დაძრეს. კოლმეურნეობის მენახირეები აქეთ-იქით ჩაუდგნენ. წინ ალექსი მიუძღვოდათ.

სოფლის თავშივე აჩოჩქოლდა მოსახლეობა. ეზოდან ეზოში, კარმიდამოდან კარმიდამოში გადაიბრინა ხმამ ჩალისფერი ძროხების გამოჩენის თაობაზე და გზაზე ხალხი გამოიშალა.

ათვერსიან გზაზე ნება-ნება მიმავალი ალექსი მხნედ გამოიყურებოდა. მწყემსებს არავინ უყურებდა, რადგან დიდრონ ძროხებში, ის ორი, ნაწუწნი კამფეტითივით გალუული მენახირე, აღარც კი ჩანდა.

ასეთი ძროხები შაშვისუბნელებს არასოდეს არ ენახათ, ჯარისკაცებით ერთნაირი, მსხვილი, ჯიშინი ძროხები. ისეთი ლაქდაყა ფერი დაჰკრავდა მათ სუფთა, პრილა ბეწვს, კაცს თვალს მოსჭრიდა. ყველას ერთნაირი მოთეთრო-მონაცრისფერო რქები ჰქონდათ. შავ თვალებს აბრიალებდნენ, უწყინრად კი მიაბიჯებდნენ.

თავმჯდომარის სახეს კმაყოფილების იერი დაჰკრავდა. ძროხებს მიუძღვოდა და მისი გამომეტყველება აშკარად ამბობდა: „გვეშველა!“

ჩალისფერმა ძროხებმა სიგანეზე მთელი გზა დაიკავეს.

— ქვაში გვიცვლიან, ჰა, ალექსი?! — გადმოსძახა ვიღაცამ ლობიდან.

აბა, რამდენი ვინმე რაღაცას დაუძახებდა, ყველას როგორ გაეხშიანებოდა თავმჯდომარე!

ნახირმა სოფელი აიარა. მოხდა ის,



რასაც ელოდა ვარდანაშვილი. სოფელი უნდა გავაკვირვო და ვაკვირვა კი-ღეც.

ახლა ორი მიღებული მენახირის ნაცვლად საქონელს უამრავი ხალხი მიაცილებდა კოლმეურნეობის ბოსლებამდე. ძროხები ნელა მიირწეოდნენ, მძიმედ მიაქანებდნენ ცურებს.

ჩალისფერი ძროხები ბოსლებთან მიჩქვანდნენ. ზაფხული იყო და შემოდგომის ეზოში დაბინავდნენ.

ერთ-ერთ ბოსლიდან გლეხკაცი გა-მოვიდა.

— ჰა, რა ჰქენი? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— დავსუფთავე, მობრძანდნენ, — უპასუხა გლეხკაცმა და ძროხები გოცებით შეათვალიერა, — დაეტყვიან კი?!

— უნდა დაეტივნონ! — ბრძანა თავმჯდომარემ.

— ისინი?

— ვინ ისინი?

— უბინაოდ რომ დაგვირჩნენ, ჩვენი ძროხები...

— ჰო, ისინი... — აქეთ-იქით მიმოიხედა თავმჯდომარემ, — ისინი ხალხში გავა-ნაწილოთ, სანამ ბოსლებს ავაშენებდეთ.

— ესენი კარგ სახლ-კარს იქნებიან მიჩვეულნი, — თქვა ბოსლების დამლა-გებელმა გლეხმა, — ინტილიგენტები-ვით რო იყურებიან. აქ კი... აბა, ამ ბოსლებს იკადრებენ?

— შენ შენ საქმეს მიხედე! — შეუბ-ღვირა თავმჯდომარემ და ნახირში გაი-არ-გამოიარა, რამდენიმე ძროხას ცურ-ზე მიუტყაბუნა ხელი, — უჰ, თქვენი ჰირიმეთ, თქვენი!

და იმ ცურებმა მალე იმდენი რძე მისცეს, ალექსი ვარდანაშვილი ცას ეწია სიხარულით.

უშველეს ჩალისფერმა ძროხებმა. სა-ნამ ზაფხული იყო, ალექსი ვარდანა-შვილი თავს იწონებდა, ნახეთ ეს რა გა-ვაკეთეო, ქვის დამზადებას აჩქარებდა, რომ ყუბანელებთან არ შერცხვენლიყო.

ამას წინათ მთაში ამხანაგებთან ერთ-თად მომიხდა წასვლა. ჩვენი ვარდანაშვილი ვისუბანზე გადიოდა. ფეხით მივდიოდით დალილები არ ვიყავით და სოფელში არ შევჩერებულყართ. შაშვისუბნის თავში კლდეს მივაღექით, სადაც ექვსი-ოდე მამაკაცი ქვას ამზადებდა.

— გამარჯობათ! — მივესალმეთ მუ-შებს.

— გაგიმარჯოთ — თქვეს მათ და წუ-თით შესწორდნენ წელში.

— ალექსი ვარდანაშვილი?! — გა-ვიკვირვე ერთი მათგანის დანახვზე. მას ხელში ქვის სამტვრევი ეჭირა და სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა წურწუ-რით.

— ხო, მე ვარ, — თქვა და ნაღვლია-ნად გაიღიმა.

— აქ რას აკეთებ?

— ვერა ხედავ? ქვას ვამტვრევ.

— მერედა, შენ ხომ თავმჯდომარე ხარ? ისე როგორ გაგვირდათ, რომ...

— თავკაცობა ჩამომართვეს, კარგა მაგრა გამჯორეს და ქვის სამტვრევად გამომიშვეს.

— რათა, რა მოხდა?

— ის მოხდა, რო... ყუბანური ძრო-ხები მოუვლელივით თანდათან დაგვე-ხოცა. ორმა ზამთარმა კარგა მაგრა მოგვიჭირა, ვაზაფხულზე ჩალა-ბულაც არა გვრჩებოდა და...

— ეს ვერ მოგსვლიათ კარგი საქმე. ამ ქვას სოფლისათვის ამზადებთ?

— სოფლისთვის კი არა. ყუბანელე-ბის ვალი გვაქვს... ჯერ ნახევარიც ვერ ვადავუხადეთ! — სევდიანად ჩაიცინა ალექსი ვარდანაშვილმა და ქვის სამტ-რევით კლდისაკენ გასწია. ერთ ხანს გახევებული ვიდექი და შევეყურებდი, მერე მეგობრებს მივუბრუნდი და გზა განვაგრძეთ.

კარგა ხანს გვესმოდა რკინისა და ქვის ლაწალუწი.



სქანური მოტივები

ო, დოშდულ, დოშდულ

ლომი ქარზე აივსება,
ცაზე მთვარე აივსება,
მკერდი თეთრად აივსება,
ჩემი გული უსასრულო სიყვარულით აივსება.

კოშკი სვანური.
თეთრი მთვარე.
გრძლად ჭიანური.
შენი ყელი — თეთრი შროშანა,
ჩემთან შორს არა.
გაშიშვლებული ცალი გული,
ტანის ყლორტზე თეთრად დასმული,
ნაზი და გლუვი; —
თეთრი ჭურჭელი ხელთ მიბყრია, ასე მგონია.
ასე მგონია, გათხრების დროს ძლივს ნაპოვნია
ცისფერ ძარღვებით დაბზარული თეთრი სასმისი, —
ღამეს ანათებ მკერდით, თითქოს მკერდზე თეთრი მთვარე დაისვი.
გადაბადრული, გასასკდომად გადაბადრული
თეთრი მთვარე.
გრძლად ჭიანური.
გრძლად ჭიანური.

ო, დოშდულ, დოშდულ.
რალაც მესმის საოცრად ძველი —
მთვარე მკარნახობს,
შენი მკერდიც ძველ სასმელს მასმევს.
განათებულან მთვარით თეთრად მთები, მინდვრები;
თვითონ ისინიც თითქოს თეთრი მთვარეებია.
რალაც მკარნახობს საოცრად ძველს, ფესვებში წასულს,
რაც უცნაურად ამომიხსნის კოშკების წყობას.

ო, დოშდულ, დოშდულ.
ეშვებიან თეთრი შარები მთებზე შუქივით.
მეხლება შენი თმების აფრა უძველეს ქროლვით.
გაბმით მოაღწევს მდინარის ხმა შორი მხუილით —
პირდაღრენილი ლემის ქარზე ავსებას მოჰგავს.

ლომი ქარზე აივსება,
ცაზე მთვარე აივსება,
მკერდი თეთრად აივსება,
ჩემი გული უსასრულო სიყვარულით აივსება.

დალი კლდეუი მუოზიარობს



ნაცრისფერ კლდეებს ერთი თეთრი კლდე,

ერთი თეთრი კლდე,

როგორც ღამეებს დილა შერევია.

„დალი დავმძიმდი, ნაწნავებიც კი წელში გამხრიან და მერევთან,
მე ვმუზიარობ! მზეო, მომადექ! ბინდო, მერიდე!

ელვა-თეთრი კლდე ძირს არ დამიშვებს,

დაიბადება ჩემი მემკვიდრე.

რძეო, ჩამიდექ, ქვიშავ, მერიდე!“

დალი დაიშლის თავის ნაწნავეებს, ქვეშ დაიფენს,

შემობრუნდება მზე, ხორბლისფერ თმებში ბუდეს დაიდებს.

დალი თანდათან ცხრება, მზიან ტკივილს არ გაიმჩნევებს;

დალის კვნესა ჰგავს გალობას მოსავლის მწიფე სიმძიმეზე,

დალი კვნესის თუ გალობს თავის ძეზე, პირით-მზეზე.

ო! თი!

დალის გადაუვარდა შვილი კლდიდან!

კლდეები შხუილით მოჯარდნენ ზეცა-უფსკრულის მხრიდან,

გადაუვარდა შვილი კლდიდან

თეთრი კლდის იქით,

კლდეები შხუიან კალთების მხლით.

კლდის ძირში დაულია ხახა რუხ მგელს,

დასტაცა პირი ჩვილს, დედისგან ხელ-უხლებს,

მინდორზე მიქრის.

ოჰო?! ქედ-ქედ, მინდვრის გასწვრივ

მობრძანდება მონადირე მეფისა,

დიდი იმედი აქვს ნადირობისა და დღეისა,

მობრძანდება მონადირე მეფისა,

ფეხებს აღარ აცლის,

ფიქრით უკვე დიდება და პატივი ეღირსა.

ქედ-ქედ მობრძანდება, მინდვრის გასწვრივ,

მონადირე მეფისა.

დაინახა მგელი, დაუდარაჯდა,

მისი ტყვია მგელს მწიფე შინდევით შუბლზე დააჯდა.

ქე დალისა დააგდებინა, ხელში აიყვანა,

აი, ბედი უნდა სწორედ ამისთანა!

ტყუილად არ ჰქონდა იმედი დღეისა,

ღიღინით მოდის,

თეთრი კლდის ძირას მოდის მონადირე მეფისა.

კლდეში დალი მოთქვამს,

მასზე მეტად მოთქვამენ კლდეები.

„დედაო“, დალს ვიღაც ეძახის, თითქოს, ყური მოჰკრა,

ვიღაც ეძახის ნაზად და ვედრებით.

„დედის მაღლი შეგეწიოს, დედის მთქმელი აღარავინ მყავს“?

„დედა, მე ვარ, შენი ქე, ოქროს ნაწნავი გადმომიგდე, ისე ამიყვან“.

დალის სული დარბილდა სიხარულით,

როგორც ცვილი მზეზე,

დალი მონადირეს თვალ-მოუკრავ სხეულს უჩვენებს,

მისთვის საჩუქარს ეძებს:

„ო, მონადირე, მოხდენილო,
გინდა? ყოველდღე შუნს სდევდე,
ყოველდღე შეგაფეთო შუნი დამფრთხალი,
ერთ წუთს არ დაგჭირდეს თვალთვალი.

თუ გინდა, მზე-ბუდა შემოდგომით,
როცა იმარცვლება გიცრული,
ტყე ივსება ფოთლების შრიალ-წყდომით,
მე შენ ამას აგისრულებ:

ცხრა ჯიხვს გიბოძებ, კუნთმთრთოლვარეს,
რქებით გააპობენ ჰაერს ნაპერწკლებად,
მკლავს ვერ მოავლებ,

ვეება მხრები მათი სიმძიმით დაგეძლევა.

თუ არა და, მონადირე, მოხდენილო!

ერთი ღამის ტრფობას გაჩუქებ, ჩემს საწოლს გაგიყოფ,
გინდა!? მათრობელ სურნელით დამე იელისფრად მოგვევლინო,
შეუბოჭავი ალერსით, ჩურჩულით და სუნთქვით დაგიპყრო!?
მოწყდები ყველაფერს თავდავიწყებით, არას ინანებ,

— წაგიღებს სიცხე და ბურანი —

ჩემი სხეულის მდინარე,

ხარბად მოიხვეჭ ჩემს მკლავებს, თმების ბურუსში მინარევს,

გინდა, მონადირე, მოხდენილო,

ერთი ღამის თრობად მოგვევლინო“.

ჰო! რა სურვილი აქვს მონადირეს დალისა,
არ არის მნახველი ამისთანა სანდომი ქალისა,
მაგრამ ბედმა ხელუკრავი შემთხვევა აღირსა —
მოხვეჭისა და დიდებისა და პატივისა და ამისა;
დალს კი ასე ეტყვის:

„ფეთქვა-საოცრებად და მოუხელთებელო სურნელებად,

აუხდენელი სიზმარი ხარ ყველა კაცისა და ჭაბუკის!

შენ ჩემთვის ჯილდოდ შენი ტრფობა გენება,

მე კი ვერ გკადრებ ამისთანა საზღაურს, ზე-დიდსა და გაუძლის-

— სჯობს, როგორც შემფერის მონადირეს,

შენი გულუხეობა ცხრა ჯიხვს მომმადლიდეს“.

დალის მკლავი თმებიდან გამოცურდა თეთრი სხივივით,

თითები ააშრიალა ფოთლებად, —

მოვარდა ცხრა ჯიხვი, რქებმინხილი,

ფერდების ხეთქების ხმა მოჰყვებათ.

ერთს თავზე ადგას!

მბრწყინავ გაფატვრად

ოქროს გრესილი,

როგორც სანთელი ალში მცურავი,

წელგადრეკილი.

სხივი მოხვდება —

ოქროს რქა რეკავს,

ზარივით რეკავს,

ზარი ედება, დაგორებული,

ბარდსა და ეკალს.
ოქროს რქა რეკავს
ბრწყინვა-წყრიალით,
ოქროსფრად
რეკავს.

სუნთქვა ყელში მოუკალათდა მონადირეს მეფისა,
თვალეზით ესმის ხმა რეკვისა, ოქროს რეკვისა,
(გაუვალ ტევრში რქათა ნაცრისფერ გაღარულ მერქანს
წყვილი ოქროს რქა შერევია და ყვითლად ფეთქავს.)
თვალეზით ესმის ხმა ოქროს რეკვისა,
თოფს უმიზნებს ოქროსრქიანს მონადირე მეფისა;
ოქროსრქიანი აისხლექს, შემოუბრუნებს ტყვიას,
ვღია მონადირე, შუბლმომშლილი,
ყველაფერი შიგ ნაშობ-ნამალავი უკუნეთში მიაქვს.
მზერა დახარა დაღმა —


თვალთა ბორცვებზე მზიანმა ქუთუთომ ინათა.
არც გაიფოთლა სიცილადა,
არც მოჭკანა მწყრალად,
წყნარი რწევით თავის თეთრ კლდეს მიმართა.
„მზე არ დამტოვებს! დააშინებს ბინდს,
არ დამიშვებს ძირს

ელვა-თეთრი კლდე,
დიდო სიწყნარეგ, სულში ჩამიდექ, შფოთვაგ, მერიდე!
ვსება-დუდილო, სხეულს ჩამიდექ, ჭკნობავ, მერიდე!
დაბადებულა ჩემი მემკვიდრე!
რძეო, ჩამიდექ, ქვიშავ, მერიდე“
ერთი თეთრი კლდე,
ერთი თეთრი კლდე, როგორც ღამეებს დილა შერევია.





მთაბროსი



მას ყველანი ძია თედოს ეძახიან: დედა, მამა და ავთანდილი. მხოლოდ ბროლია არ ეძახის არაფერს. შემოალაჯებს თუ არა კარებში ძია თედო, ბროლია მაშინვე მივარდება და შარვლის ტოტზე მოეჭიდება. ძია თედო ღიმილით, სათვალეების წმენდით შემოდის ოთახში და ცალი ფეხით ბროლიას მოათრევს. ბროლია ყეფს, წკმუტუნებს, იჭაჭება, ძია თედო კი უკვე სავარძელში ზის დაღლილი, ახმაზი და სევდიანი ღიმილით ამბობს: „არ შემეპაა, კაცო...“

ძია თედო ჭალარა, კეთილი და გასაოცრად გულმავიწყი კაცია. ერთხელ ავთანდილს დაბადების დღეზე წითელბაბთებიანი თოჯინა მოუტანა. მას სწორედ უკანასკნელ წამს დაავიწყდა, რომ თოფი უნდა ეყიდა და ამით პირველად გაანაწყენა ბიჭი. ძია თედოს შეიძლება დაავიწყდეს, რომ ახლა ზაფხულია და ქუჩაში თბილ პალტოში, კაშნეთი შე-

ფუთული გამოვიდეს. ანდა პირიქით: შუა ზამთარში თხელი პიჯაკის ამარად გასწიოს სამსახურში. ამაზე ბევრს იცინიან ოჯახში, მაგრამ ისე, რომ არ აწყენინონ სტუმარს. თუმცა ძია თედომ წყენა არ იცის. „კაცო, ეს რა მომსგულია, პა...“ — იტყვის და თვითონაც გულთანად ახითხითდება.

ასეთია ძია თედო.

ძია თედო მათი ნათესავი არ არის, მაგრამ ყველაზე ახლობელი და ხშირი სტუმარია.

ყველას ძალიან უყვარს იგი: დედას, მამას და ავთანდილს.

ალბათ ბროლისაც. ყოველშემთხვევაში. დატუქსული ბროლია სულ ძია თედოს ფეხებთან ტრიალებს და ხშირად მოეჭიდება ხოლმე ტოტზე, რომ თავი შეახსენოს.

დედა ამბობს: „მას ჩვენს მეტი არავინ ჰყავს“.

ავთანდილი ბროლიას ეთამაშება და ფიქრობს: როგორც არ უნდა იყოს, ძია თედო მისი ყველაზე გულკეთილი, ყველაფრის მცოდნე და მუდამ დამჯერე მეგობარია.

ისეთი სხვა არავინაა.

ბიჭს უყვარს, როცა მაღალი, მხრებში წაზრდილი ძია თედოს გვერდით ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებს, ის კი სადღაც მის თავს ზემოთ იღიმის და რაიმე საინტერესოს ჰყვება.

ამბები არასოდეს გამოელევა ძია თედოს: ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ერთმანეთისგან ვანსხვავებული, მაგრამ ყველა უცნაური და მიმზიდველი.

ამ დროს ძია თედო სათვალეს იხსნის, ცხვირსახოციტ წმენდს, ჯერ ჯიბეში ჩაიდებს, მერე ცხვირზე გაიკეთებს, ისევ ჯიბეში ეძებს, ცხვირზე იბოვის, ბიჭის სიცილზე თვითონაც გულიანად იცინის, „ასე, ჩემო ავთანდილო“, ამბობს და დაწვებულ ამბავს განაგრძობს.

ერთხელ კი... ავთანდილს როდი უნდოდა დაედონებინა მეგობარი. მან მხოლოდ ჰკითხა, რატომ არა ჰყავს მას ოჯახი.

ძია თედოს ღიმილი ჩაუქრა სახეზე და ასე გარინდებული იყო კარგა ხანს.

ისინი პარკში ისხდნენ და ნაყინს შეეჭკეოდნენ.

ბიჭმა მხოლოდ გაიმეორა ის, რაც უფროსებისგან გაეგონა და ახლა უკვე ნანობდა თავის ნათქვამს. იგი კოვზით იღებდა ნაყინს და შუბლქვემოდას გასცქეროდა ძია თედოს.

ერთბაშად ძია თედო შეერთა, თითქოს ილიდან გამოერკვაო და დაბალი ხმით მოჰყვა...

ავთანდილმა იცოდა, რომ იგი ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, ერთ დიდ, ნაძვის ხეებითა და ათასფერი ლამპრებით გაჩირაღდნებულ უნივერსიტეტში უყლიდა მამას მზეთუნახავი ფერიასაგან. მაგრამ მან არ იცოდა, რომ იმ ფერიას აღრე ძია თედოც იცნობდა. ძია თედომ თურმე ფერია ერთ დიდ მეჭლისზე ნახა. ფერია ტანმორჩილი, ცისფერთვალა და მეტად მხიარული გოგონა ყოფილა.

ფერიას და ძია თედოს ერთმანეთი მოსწონებიათ. და აი, მამის მომხდარა უცნაური ამბავი: ფერიას თურმე დაუავიწყდა, რომ ძია თედო ახმანის სათვალეებიანი და მასზე ბევრად უფროსი იყო. ძია თედოს კი, პირიქით, სულ ეს ახსოვდა და ვერ ბედავდა იმ ერთადერთ სიტყვას, რომელიც ამ დროს უნდა უთხრა ფერიას. ფერია დიდხანს ელოდა, ელოდა ჯადოსნურ სიტყვას, ლოდინით ილეოდა. სხვანაირად თურმე უნივერსიტეტის კარებს არ გააღებდა, — ასეთი ყოფილა ფერიების წესი. ძია თედო კი წასულა, წამოსულა და ის სიტყვა სულაც დაჰვიწყებია — მადანი აღმოუჩენია მთაში. ფერია გაჯავრებულა და ამ დროს პარაშუტით, პირდაპირ ვარსკვლავებიდან ჩამოფრენილა მამა. მამას ჯადოსნური სიტყვა უთქვამს, ფერიას გახარებია და ძია თედო სულაც დავიწყებია. ფერია და მამა დამეგობრებულან. მალე ფერიას თავისთან მიუწვევია მამა... ჰო, გაჩირაღდნებულ, ლამაზი სათამაშოებით სავსე უნივერსიტეტი... იქ აურჩევიათ იგი, ავთანდილი, ყველაზე უკეთესი, ქოჩორა ბიჭი და სახელში წამოუყვანიათ. აკვანში ჩაუწვევნიათ. ფერია გამქრალა... მზეთუნახავი, ცისფერთვალა ფერია... უგზოუკლოდ გამქრალა. ძია თედო ძალიან დაღონებულა.

მას შემდეგ ფერია აღარსად უნახავს და ამიტომ უყვარს ავთანდილი ასე ძალიან: იგი მას მზეთუნახავ ფერიას და მასთან გატარებულ დღეებს აგონებს.

ჯადოსნური სიტყვა ძია თედოს სულ დავიწყებია.

იგონებს, იგონებს და ვერ მოუგონია. სხვამ თუ მოაგონა თურმე, ძალა არა აქვს.

ასე, ჩემო ავთანდილო...

ძია თედო იღიმება მკრთალი, გულმავიწყი ღიმილით და სულს უბერავს ფინჯანს, რომელშიც ნაყინია.

გამან პარლაველიძე

მ ო თ ი რ გ ბ ი

კოჭლი ბიორბა



— ძია გიორგას გაუმარჯოს.

— გაგიმარჯოს, ლევანჯან, გაგიმარჯოს.

კოჭლი გიორგა, ჩემი ნამეზობლარი, ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ძალღების მომვლელი, ეანგიან ულვაშებზე ხელს ისვამს და გახუნებულნი თვალებით მიდიმის. კარგა ხანია არ მინახავს, ძველი მეგობრობა გვაქვს ერთმანეთთან. მე მისი შექმაზული ლაპარაკი მიყვარს, იმას კი ჭიქა არაყი და ჩემი ყურადღება სიამოვნებს. ახლაც ადგილზე იტყებნება და იქვე სასაუზმისაკენ უჭირავს თვალი. არაყში სული მისდის, მაგრამ ახირებულად თავმოყვარეა და შეიძლება უცებ გაჩიუტდეს.

სიტყვა მე მეკუთვნის.

— როგორ ხარ, კაცო, რამდენი ხანია ერთად არ გადაგვიკრავს.

— გმადლობ, ლევანჯან, ესლა კარგად ვარ, ვერ ვიყავი კარგად.

— რა იყო, კაცო, ხომ მშვიდობაა? — მკლავში ხელს ვკიდებ და „შეუმჩნევლად“ სასაუზმეში შევდივართ.

მეზუფეტეს ვანიშნე და მალე მაგიდაზე არაყი და ცხელი ხინკალი გაჩნდა.

— სიმწარე გვაშოროს, სიტკბოება მოგვეცეს — წარმოთქვა გიორგამ თავისი ჩვეულებრივი ფორმულა და არაყი სულმოუთქმელად გადააპირქვა. დაიღრიჯა, ავიშვიშდა. მერე ხუთიოდე მდულარე ხინკალიც გადაუშვა ხახაში, ულვაშები ხელუკლმა ჩაიწმინდა და სახეში მომაჩერდა, თვალები მომაპყრო, თითქოს ახლა დამინახა პირველადო. კვლავ შეავსო ჭიქა და ხმამალა, გულნაწყენად თქვა:

— ოცდაათი წელიწადია ძაღლებთან ვმუშაობ, ჯერ ძაღლს არ უტენია ჩემთვის.

უფრო ხმამალა, პათეტიურად:

— კაცმა მიკბინა!

— რაო, კაცო? — ვეკითხები და რაც შეიძლება მეტი ცნობისმოყვარეობა ავიხატე სახეზე. მაგრამ მას უკვე წაქე-

ზება აღარ უნდა. ის არაყი გადახუნა, ზედ ცხელი ხინკალიც მიაყოლა და: —

— კაცო, — დაიწყო — გავონილა? სად ბაყაყები და სად ძაღლი? არა, თითონა სთქვი, არის თუ არა განსხვავება?

— თუ მხედველობაში არ მივიღებთ, — ვცდილობ შევყვე — რომ ბაყაყიცა და ძაღლიც, როგორც იტყვიან, ღვთის გაჩენილია...

— კარგი, რა! — მაწყვეტინებს იგი და ისე დაიღრიჯა, თითქოს შთაბეჭდილება წაუხდა ჩემზე — შენგან არ მიკვირს?

— ბაყაყი ვირია! — მოსჭრა ერთბაშად — ჩაყარე წყალში, ამოიღე, გატერი, გამოშიგნე, გადაადღე. კატაც პირს არ ახლებს. აი, ძაღლი! მგრძნობიარე ცხოველია. პურს თავისი შრომითა ჭამს. არ გიღალატებს. წაიყვან ლაბორატორიაში, — მოდის ჭკვიანად. რეებს არ უკეთებენ. ჭრიან კიდევაც. იხოცებიან, რაღა. ყველა არა, ბევრი... ზოგჯერ ცრემლი მოგივა. რას იზამ, მთელი ინტიტუტი მაგათზეა. თავი შეხვეული აქვს, მარტო თვალები მოუჩანს. ვიყურებს, რა, გელაპარაკება. — ამ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს, გვერდზე იხედება, გაღვა, გამარტოვდა.

— მაგან ლალატი არ იცის, კეთილია. — ბუტბუტებს თავისთვის.

— იიჰ, ბაყაყი... — სახეზე ზიზლი აესახა.

ისევ გავახსენდი, მაგიდაზე გადმოიწია და სახელოზე მომქაჩა.

— შარშანდღებზე ჩვენთან ერთი ბაყაყების მომვლელი მოიყვანეს, ვანუა. მუშაობ, იმუშავე. ჩემთან რა საქმე გაქვს? როგორღაც თვალში არ მოუგედი. წესიერ სალამს არ ამბობს. ერთიორჯერ კიდევ წავლაპარაკდით. რაყდენა მეუბნება, კარისკაცი, ნახე, მაგას თუ შენი ადგილი არ უნდაო. აინუნიცი არ ჩავადღე. ვნახოთ, ამდგარა ერთ დღეს ეგ ვანუა და ქალაღი შეუტანია აკადე-

მიკოსთან: გიორგას ძაღლების საქმელი ხორცი შინ მიაქვსო, ძაღლები მშვირები და მოუვლელი ჰყავსო. დამიბარა აკადემიკოსმა. ცოტა არ მესიამოვნა, თუითონ იცის ხოლმე მოსვლა. მივედი. აი, გრძელი კაბინეთია, დიდი მაგიდა დგას. ქუდი მოვიხადე, ვდგავარ კარებთან. ჩავახველე. ზის, თავს არ იღებს, რალაცას წერს. ვატყობ, გაჯავრებულია. კიი კაცია, მაგრამ ხომ იცი ნასწავლი ხალხის ამბავი, ბრაზიანია. როგორც იყო, კლამი დადო, უჯრიდან ის ქაღალდი ამიღო და წაიკითხა. მართალია? — შეკითხება. ცეცხლი მამევიდა. იქნებ ცოტა ხორცი კი წამიღია სახლში, მაგრამ მე ძაღლები მოუვლელი და მშვირი მყავდეს? აბა ერთი იმათაც ჰკითხეთ, ჩივიან? — ვეუბნები. ძაღლებსა ვკითხოვთ? — იყვირა ამაზე. ჩემს ბედზე, იქ ერთი პრაფესორიც იჯდა. აიტეხა სიცილი. აკადემიკოსი სულ გადაირია. ეგ არ დავინახო აქო, მაგისი სახელი არ გამაგონოთო, — ჩემზე ამბობს. ეზოში მესმოდა იმისი ყვირილი. წამოვედი დაღონებული. იქვე ბრძანება დაუწერია და ვანუა დაუნიშნავს ჩემს ადგილზე. თანამშრომლები მეუბნებიან, ნუ გეშინია, მალე გაუვლისო. ორი დღის შემდეგ ისევ გავიარე. სახლში ვერ დავდექი. შიგ არ შევსულვარ. რაჯდენა მეუბნება, ვანუა უკვე იქ არისო. წამოვედი უკან. ცოლს ვუთხარი, აბა, კარგად იყავი მეთქი. სოფელში წავედი და ჩვენებური არაყით ვიჭერე გული. ორი კვირაც იქ დავრჩი. ჩამოვედი. ვნახოთ, მეორე დღეს რაჯდენა მამადგა კარზე. აბა, ჩქარა, აკადემიკოსი გიბარებსო. რაშია საქმე? — ვეკითხები. ძაღლები არცა ჰამენ, არცა სვამენ, — მეუბნება — ახლოს არავის იკარებენო. ვანუა დაუკბენიათ და საავადმყოფოში წევსო. აკადემიკოსი გაგიყვებულა, ექვსი პრაფესორი რომ მამგნსნა, მაგიერს ვიშოვიდი. ჩქარა, გიორგა

მომგვარეთო, ცდები ჩამეშალაო. ოქრო კაცია, დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ თავბატიყი გავიდე. შევუთვალე; თუ ვინმე ას გააგდებ, მოვალ. შემომითვალა: ვანუა დავაქვეითე ბაყყებთანო. შევუთვალე: არა! სულ გააგდე. შემომითვალა: ოღონდ ჩქარა მოდი და როგორც შენ გინდა, ისე იქნებაო. მივედი. თავისი პრაფესორებით კარებთან დამხვდა. მობრძანდი, მობრძანდი, გიორგას გაუმარჯოს, გიორგას არავინ აწყენინოს — მხარზე ხელი მომხვია, სულ თვალეში შემომიყურებს. პირდაპირ საძაღლეში წავედით. აბა, ერთი იქ გენახა. უკვე გავგოთ, რომ იქა ვარ, — ძაღლი რას არ გაიგებს — აქეთ-იქეთ კოხტად ჩამწკრივდნენ და „ღავ, ღავ“, იძახიან, კულებს იქნევენ, ხელებს მილოკავენ. მე კიდევ გენერალივით შუაში ჩავუარე, ვათვალაიერებ. ძალიან დამშეულოყვნენ, შემეცოდნენ. ხორცი და სალაფავი იქვე ჰქონდათ თავსაყარად, პირი არ ეხლოთ. მოვიხედე, აკადემიკოსი წასულიყო. აბა, ბიჭებო, თქვე მამაძაღლებო, სადილობის დროა მეთქი, — გამოვუცხადე და დავტრიალდი ჩემებურად. ისე იყვნენ დაოსებული, ჰამის თავიც აღარ ჰქონდათ.

კოჭლი გიორგა ისევ გვერდზე იხედება, მერე ჰიქას ჰიქაზე მიჯახუნებს და გულდაწყვეტით ამბობს:

— მამ, ძაღლი და ბაყაყი ერთად თქმულა? მთელი ინტიტუტი მაგათზეა.

— სიმწარე გვაშოროს, სიტკბოება მოგვეცეს, — წარმოთქვა ისევ, უღვაშები ჩაიწმინდა და აჩქარებით დამემშვიდობა.

ქუჩაში ხელი ჩამომართვა, ქულის მოხდით მადლობა თქვა და აშკარად თავიდან მომიშორა: თავისთვის წავიდა.

მტკივან ფეხს მიძიმედ მიითრევდა და რალაცას ბუტბუტებდა ფიქრიანად.



იმ გაზაფხულის მერცხლის ქურტული

ჩვენი უთქმელი ფიქრი და სიტყვა
ახლაც დარდივით გულში გამოივლის.
რად გაგრძნობინე, რა შუქი იყავ,
რა მოხასხასე მინდვრის ყვავილი!

იყო ზღაპარი ის წვა, ის დღევა,
ჩვენს უნებურად სულის დამღლევი,
საგულითადოდ სათქმელ სიმღერას
რატომ შეერთო ნისლად ნადველი!

თვალზე რა მწუხრის ბინდი დამეცა,
გზადანსულივით რამ შემაჩერა!

ვინ შთამაგონა ფრთების დაკეცვა,
ფიქრად ჩემივე თავთან დარჩენა!

იქნებ შრილა შენი ბალიდან
გადმოფრენილი ცქვიტი მერცხალი
ისე უეცრად შემომაფრინდა,
ბედის ჭიკჭიკა ჩიტად ვერ ვცანი!

ვცადე ათასჯერ ძალის მოკრება,
გულს ვერ ავგლიჯე მაინც ურდული...
ასე, აქამდე ფიქრად მომყვება
იმ გაზაფხულის მერცხლის ქურტული.

ქება უუცკრებს

ჩემს მამულში დღესაც ისე არ გავივლი,
გზა-გზა ქებით არ მოგავლთ ფუტკრებს თვალი.
მზიბლავს თქვენი გატაცება ვარდ-ყვავილით,
თქვენი გარჯა,
აღათი და სამართალი.

ვინ გიქციათ სიყვარულად შრომა, ნეტავ!
თქვენს საქმეში რა ოსტატის ხელი შეგცვლით!
მეც თქვენთან ვარ,
მეც ყოველდღე ვეძებ ნექტარს,
როც სიტყვასთან შევადულო გულის ცეცხლით.

დავეჩვიე, მზეს ჭალაში შევხვდე დილით,
ოცნებათა ფრთა უნისლო ლაქვარდს გავკრა
და სანთელი, ფიქრის ძაფზე ჩამოქნილი,
ვაკაშკაშო ჩემი ქვეყნის გზებზე ლამპრად.

გამიყვია, რაც მქონია გასაყოფი,
ყრმობიდანვე ვერიდები ნისლს და ბურანს.
ეს არ ვიცი,
რა შაკლია, რა არ მყოფნის,
სიტყვა ვუთხრა ბედოვლათებს თქვენებურად!





მოდოლინი

ზამთრის წყალწყალა ზეცა რამდენ-
ჯერმე მოიქუფრა, მოინისლა, ჩამომ-
ძიმდა. მაღალი შენობები ყავარჯნე-
ბივით შეიყენა, უფორმო ხელები ზამ-
თრის ვნებაბატანილ ქალაქში ჩაბლან-
და, ქუჩებს კონტურები გაუხუნა, წა-
მოთოვა.

ფიფქი ნესტიან ჰაერში წყლიანდ-
ბოდა და მძიმედ ეშვებოდა. გადათეთ-
რებულ ტროტუარებზე თოვლის სიფ-
რიფანა ფენის ქვეშ ჭყაბი გუბდებო-
და. ქალაქს ჭუჭყის ფერი ეღებოდა.

ნამდვილი თოვლი მოგვიანებით მო-
ვიდა.

ამღვრეული ცა ჯერ კანტი-კუნტად

სცრიდა წვრილ, მჩხვლევტ ფიფქს, მე-
რე მოუხშირა და ზამთრის ნაადრევი
ლამე ცისფრად ააბრიალა. ქალაქს
აფორიაქებული სხეული. ერთბაშად
დაუწმინდა, დაუწყნარა, გაუყუჩა.

თოვლი ფხვნილივით ეყარა ტრო-
ტუარზე, ხოლო თეთრი მღუმარება
არაჩვეულებრივი გულმოდგინებით
ნთქავდა ნელი ნაბიჯების მოკრძალებულ
შრიალს. ჩიტოს ისეთი შეგრძნე-
ბა ჰქონდა, თითქოს ყველაფერი, რა-
საც ხედავდა, გაცოცხლებულიყო,
ათასი თვალი და ყური მისკენ მიექ-
ცია. ამ განაბულ სახლებსა და ერთი
შეხედვით გაშეშებულ ხეების სუნთქ-

ვას თუ აეცახცახებინა ფანტელი ელექტრონის მთვლემარე შუქზე.

მარტო სიარული უყვარდა ჩიტოს. მოჭარბებულ ენერჯიას ხარჯავდა და შეუცნობელი სურვილისაგან თავისუფლდებოდა. დაქანცული, მაგრამ, ამავე დროს, რაღაცისაგან დასვენებულ იც ბრუნდებოდა სახლში.

ცოტას მიწევებოდა ტახტზე, თვალებს დახუჭავდა, მერე როიალს მიუჯდებოდა და სადამოსათვის შემონახულ პასაჟს ჩაეკაუჭებოდა. რეზინივით მოქნილ თითებს თეთრ, რბილ კლავიშებზე ნელა ამოძრავებდა. ცდილობდა, რაც შეიძლება მალა აეწია თითი და ყველა თითი ერთი სიძლიერით დაეშვა. ბგერებს უგდებდა ყურს. თუ რომელიმე განსხვავებული იქნებოდა, ტუჩებს უკმაყოფილოდ შეატოვებდა.

დაკრას თუ შეწყვეტდა, ოჯახში სიძულროვე კლებულობდა.

— ჩიტო! — ისმოდა სასტუმრო ოთახიდან მამის ხმა.

— ჩიტო! — დედის ხმა უფრო გაღიზიანებული იყო.

კვირაობით თინიკო ესტუმრებოდა, ჩამოსკუბდებოდა სავარძლის წვერზე და გაინახებოდა. მერე უცებ აწრიალდებოდა, ახმაურდებოდა.

— რას ვზივართ სახლში? არ გვეყოფა ორშაბათიდან შაბათამდე ოცდაექვსი საათი როიალს რომ ვუზივართ?

— რა ოცდაექვსი საათი! — იცინოდა ჩიტო.

— იმ დღეს ჩემმა ძვირფასმა პროფესორმა საიდუმლოდ გამიმჟღავნა, თუ გინდა პიანისტი გამოხვიდე, ოცდაექვსი საათი უნდა დაუკრაო დღეში. დღელამეში ოცდაოთხი საათია-მეთქი, ვუკარნახე. მერე რაო, გაიკვირვა, ორი საათით ადრე ადექიო.

— ლექციები? ანალიზი, ფიზიკულტურა...

— აი, ფიზიკულტურა დამავიწყდა. ქალაქი მხიარული ეგებებოდა გოგონებს.

გვიან ბრუნდებოდა ჩიტო.

ძილის წინ მაინც გავიდოდა აივანზე, იისფერი მთების მკრთალ მონახაზს გაუღიმებდა, ხელს გატყუვდიდა. მთები თითქოს აქვე იდგნენ, სახლს სინამდვილეში მთებამდე ორი ფართე ქუჩა გადაწოლილიყო. მაღალი სახლები ალაგ-ალაგ ჩაელაქა ელექტრონის ფერად შუქს. ერთიმეორის მიყოლებით ქრებოდნენ ფანჯრები.

ქალაქი იძინებდა.

წყნარი, უცნაური ღიმილით ეგებებოდა ყოველ ჩამქრალ სარკმელს. ჯერ უცნობი მზერა უწვავდა სახეს, უცნობი ხმის მოურიდებელი ჩურჩული ართმევდა გულისყურს. როგორ დაიძინებდა ისე, ერთხელ კიდევ არ მოესმინა იმისათვის, ვინც არასოდეს არ ენახა, მაგრამ რომლის ღონიერ სხეულსა და მღელვარე სუნთქვას მთელი მისი სამყარო გაეცხო.

ფეხაკრეფით მიეპარებოდა საწოლს, თითქოს ვიღაცის ვადვიძებას ერიდებოდა. ნელა გადასწევდა საბანს და სწრაფად, უხმაუროდ მოიკალათებდა ლოგინში. გრილ ბალიშს ჩახუტებოდა, გაინახებოდა. უნებურად კიდევ ერთხელ მოიგონებდა იმას, ვინც ადრე თუ გვიან უნდა მოსულიყო. ამჯერად მისი დიდი, ძლიერი ხელები დაუდებოდა თვალწინ და საკუთარსავე თავს დაუმალავდა იმ გაურკვეველ გრძნობას, სხეულის უშორეს კუთხეებში რომ ებადებოდა. მაინც გაწითლდებოდა, შერცხვებოდა...

ეს იყო და ეს.

გათენდებოდა ორშაბათი, დაიწყებოდა ყველაფერი თავიდან. ჯერ ბანის პრელუდია და ფუგა უნდა, ესწავლა. ოთხხმიან ფუგაში ხმების ცალ-ცალკე სწავლა იყო საჭირო.

ზოგჯერ მექანიკურად ამოძრავებდა თითებს, გონებით კი შორს წავიდოდა.

— როგორა ხარ?

— შენ?

— როგორ მიდის საქმეები?

— გელოდები...

სამზარეულოში ახმაურდებოდა დედა. ხმაური გამოარკვევდა ჩიტოს, მე-



ცადინეობას შეწყვეტდა, აივანზე გავიდოდა.

— ჩიტო!

— ვისვენებ.

— ჯერ ფუგა გესწავლა.

აივანიდან გადაყვირებული ქუჩა მოჩანდა. შემოდგომას მკვეთრი გაეხადა თითოეული ფოთოლი, უამრავი სინათლით აეგსო სიკვილის წინ.

მერე ფოთლები დაცვივდნენ, ასფალტზე პირქვე გაიშალნენ და გადაბმულ წვიმებს გადაათელინეს ძალაგამოლეული სხეული.

— როგორა ხარ?

— გამოცდები დამეწყო.

— ლელავ?

— ძალიან.

— იმეცადინე.

ბევრს მეცადინეობდა, მინც არაფრით გამორჩეულა სხვებისაგან, არ დაუმსახურებია ზედმეტი ყურადღება.

— ჩვენ ერთ ჩემს ამხანაგს დავუნახივართ, — უთხრა თინიკომ, როცა სახლში ბრუნდებოდნენ, — ლევანს.

— მე არ ვიცნობ?

— სწორედ მაგაშია საქმე, რომ არ იცნობ.

— რატომ?

— ძალიან მოეწონე. გამაცანიო, მეხვეწა მთელი საათი. ეხლა კვირას მოვა ჩემთან ხუთი საათისათვის. შენც უნდა მოხვდეთ.

— ოჰ... — დაიბნა ჩიტო.

— იცი რა ბიჭია?

— სირცხვილია.

— რაა სირცხვილი, გოგო. იმან ის კი არ იცის, ამეებს რომ გეუბნები. რომ არ გავაცნო შენი თავი, სალაპარაკო გაუჩნდება, გოგოები ბოროტები ხართო.

ახლა უკვე სახელი ჰქონდა იმას, დაყინებული მზერით რომ უწევდა სახეს, მოუერიდებელი ჩურჩულით რომ უფორიაჟებდა სულს.

— ლევან!

სახელთან ერთად სიმაღლეც მიიღო იმან, ვინც უნდა მოსულიყო, ფერიც, ღიმილიც, ცრემლიც...

— ლევან!

მხოლოდ სამშაბათი იყო, როდის მოვიდოდა კვირა.

— ლევან!

ასჯერ მაინც დაწყება ძილის წინ, მისი სუნთქვაც იგრძნო, შეკავებული და ცხელი. მისი შეხებაც ვანიცადა, ოპარული და მღელვარე.

— ლევან!

— ღმერთმა დაიფაროს ძალიან მაღალი რომ იყოს, — ახლა მიხვდა, მღლები მაინცდამაინც არ ხიზლავდნენ, — ან ტანწვრილი. ჩამჯდარია, ჯმუხი. შავი თმა გვერდზე აქვს გადაყოფილი.

იმ ღამეს საკუთარმა თავმა შეაწუხა. საოცარი სიცხადით იგრძნო ტანის უფორმო და მძიმე მასა. ტკივილნარევმა ლტოლვამ აიტანა. აუცილებელი იყო ამ მასიდან სხეულის გამოძერწვა. ხელის ნელი, სათუთი მოძრაობით უნდა მისცემოდა ფორმა ეგლსა და მხრებს, რამდენიმე მთრთოლვარე ხაზით უნდა შემოწერილიყო მკერდი, უცნობ ვნებათა სიდიადეს რომ გადაეგსო მისი მკვრივი, პატარა ჭურჭელი.

— ლევან!

კვირას ისევ მოთოვა. ტროტუარის შეყინულ თოვლს ფიფქის თხელი ფენა გადაეფარა. სიარული მაინც უჭირდა, ფეხი უსხლტებოდა, ხელებს ასაცხებდა ჰაერში.

დაგვიანება უნდოდა და აღრე კი მოუვიდა მისვლა.

ფეხების ბერტყვით აიარა ხის მაღალი კიბე და ღია აივანზე გასულმა ფეხები კიდევ ერთხელ ააბაჟუნა. თან, ასადეღვებელი რა მაქვსო, ფიქრობდა. ღია აივანს ბნელი დერეფანი მოსდევდა. დერეფნის ყრუ კედელზე ძველი სარკე ლაპლაპებდა შავად.

— შეიძლება?

— შემოდი. — თინიკო მარტო იყო,

ნალი ზაბიაშვილი
მ ო თ ხ რ ბ ე ბ ი

ლუმელთან იჭდა. — რა ლამაზი ხარ?
— ლამაზი არა, — ჩიტოს შერცხვა,
არ იფიქროს. მოპრანჭულაო საგანგე-
ბოდ.

— კარგი ერთი. — თინიკომ ყვითელი
ვაშლი გაუწოდა. იქვე, მაღალი, მოწ-
ნული კალათიდან ამოდებული.

— საიდან ასეთი კალათი?

— სოფლიდან ჩამოგვივიდა.

— კარგია.

— გარეთ ისევ თოვს?

— თოვს.

— გააკეთე რამე? დაჯექი.

— რა უნდა გამეკეთებინა? — ჩი-
ტომ ლუმელთან მიაცურა სკამი და
დაჯდა.

— თუ გაარჩიე რამე.

— ვისვენებ.

— აღრე მოგივიდა მოსვლა. — გა-
იღიმა თინიკომ.

— რაზე მეუბნები მაგას? — გაიკ-
ვირვა ჩიტომ და ვითომ მერე მოაგონ-
და— აღარც კი მახსოვდა, არა გრცხვე-
ხია? — გაწითლებულ ლუმელს რამ-
დენჯერმე დაარტყა თითი.

ლევანმა დაიგვიანა. ექვსი შესრულ-
და და მერე შემოალო კარი.

— აბა, როგორა ხარ?

— ფეხები თუ გაიწმინდე.

— რომ არ გამეწმინდა, გამაგდებ-
დი?

ჩიტომ სახეში შეხედვა ვერ გაუბედა,

წამოენთო. თბილი ხმა ჰქონდა ლევანს.

— ხედავ, მოგიგონე.

— აი, როგორ ვატარებთ საუკეთესო
სო წლებს. მართლა, გაციანია.

ჩიტომ უღონოდ გაუწოდა ხელი.

— ლევანი, — შეეცადა რაც შეიძ-
ლება მშვიდად ეთქვა.

მერე მიხვდა, საკუთარი სახელის ნა-
ცვლად უძილო ღამეებით ნაფერი საი-
ღუმლო რომ წასცდა.

ლევანმა ჯერ ცალი წარბი აქიმა,
მერე თვალები მოქუტა და უტიფარი
კულახილობით სავსე ღიმილით გა-
კაწრა ჩიტოს ფერმიხდილი სახე.

— როგორ ცივა, არა? — თქვა თი-
ნიკომ თავისთვის.

— აბა. — ვერ ისვენებდა ლევანი.

— გაქცევას ხომ არ აპირებ? — მი-
უხვდა თინიკო.

— ცოტა არ იყო მეჩქარება.

●

ჩიტოს სიამოვნებდა თოვლში ჩამ-
თბარი, დაცარიელებული ქუჩა, შეტ-
რუსული ჰაერი, სინათლის ბოძების
წყნარი ანარეკლი თოვლზე და თავისი
ახალგაზრდა სხეულის უცნაური მო-
თენთილობა.

— რატომ დაიგვიანე, ჩიტო.

— ისე, თოვს...

ფუვის გარჩევას კიდევ მოვასწრე-
ბო, — გაიფიქრა და ნოტების გადარ-
ჩევა დაიწყო.

შამაერთიბელი რგოლი

ზოგჯერ კნინი, არად მისაჩნვევი ეჩვე-
ნებოდა ნიკოს თავისი სიცოცხლე. ასეთ დროს უცნაური საშინელებით
გრძნობდა ხვალისდელი დღის მოახ-
ლოებას. ის ისეთივე მძიმე და გამო-
ფიტული უნდა ყოფილიყო, როგორც
გუშინდელი, სავსე საქმით, რომლის
აუსრულებლობა არ იქნებოდა, ხოლო
აღსრულება იმ წუთებში ფასდაკარგუ-
ლი იყო.

და შეგროვილი ორმოცდახუთი წლი-

დან ერთი ხანმოკლე პერიოდი აგონ-
დებოდა მუდამ.

დროს ბევრი რამ მიაქვს.

მესხიერება გზა-გზა სველი ფრინ-
ველივით იბერტყება და წვეთებივით
ფანტავს ერთი შეხედვით შესისხლ-
ხორცებულ განცდებსა და სახეებს,
იმ ორიოდ დღისათვის კი პირიქით,
დროს მიეცა რაღაც რეალური ძალა.
ისიც, ამ ძალით აღვისილი, თრგუნავდა,
იმორჩილებდა ყველა დანარჩენს, რო-

მელიც ერთ გაურკვეველ, მოსაწყენ სახეში შერწყმულიყო და ისაკუთრებდა აუხსნელ, მაგრამ უღრმეს აზრს. მესხიერებას ყველა უმნიშვნელო დეტალიც კი შემოენახა და მისი სხეულის განუყოფელ ნაწილად ექცია.

მაშინ ოცდარვა წლისა იყო და იცოდა, უხდებოდა ოცდარვა წელი. რამდენიმე მსუბუქი ნაოკი, რომელიც ოცდარვა წელს ეჩუქებინა, მოჭარბებული ენერჯის, წლებით მიღებული გამოცდილების, შინაგანი ძლიერების ანარქიკლებივით გასწოლოდნენ შუბლზე, თვალებთან, ტუჩის კუთხეებში.

თხილამურებზე სრიალი მოენატრა. ოთახი, რომელშიც გაანაწილეს, პატარა და მოუხერხებელი აღმოჩნდა. სამი საწოლი ერთმანეთზე მიედგათ. საწოლების ბოლოში ვიწრო გასასვლელი-და დარჩენილიყო. იატაკი სველი და სიგარეტის ნამწვავებით იყო სავსე. საწოლთა დაბალ, შეორთქლილ თავებზე სველი წინდები და ხელთათმანები შრებოდა.

სამაგიეროდ ცა იყო ხასხასა, მოწმენდილი. გზის ორივე მხარეს გაფითრებული ფიჭვები ფეხმორთხმით ჩამჯდარიყვნენ თოვლში და რაღაც დიდ საიდუმლოს ფარავდნენ. ფიჭვთა წვერები ცაზე მკრთალ, მოცახცახე ხაზად ქცეულიყო, ხოლო ახალი მთვარე საბუღარიდან გადმოხტომას ლამობდა.

— ჩაითქვი რამე და აგისრულდება.
— თითქოს თეთრი ფული უნდა აჩვენო?

ახალი თოვლი ფეხქვეშ ურმის თვალივით ჭრიალებდა. ჰაერი ისეთი იყო, ნიკო კი არ სუნთქავდა, ნაჭერ-ნაჭერ ყლაპავდა.

გზა უსასრულოდ გრძელდებოდა. გზას ყოველთვის კაცის კვალი აჩნდა. მიდიოდა გზა და მიჰყვებოდა კაცის ურჩი კვალიც. გათენება ეწერათ იმ საოცარ ღამეებს? ფიფქი არ იძვროდა, თითქოს ბამბის ქულები აესხათ ცაფზე და ცაზე დაეკიდათ. დრო ფიფქებს შორის გაბლანდულიყო, გაყინულიყო.

გზას ერთხელ იქამდე სდიეს, სანამ სოფელს არ წაადგნენ. თავდაღმა ემცებოდნენ, სიარული უადვილდებოდათ. სიბნელე ნელა ეპარებოდათ. ცველაფერი განსაკუთრებულად ცოცხალი და ფერსაცხე იყო. მერე სოფელი გამოჩნდა. დაბალი ლობეები თოვლს დაემორჩილებინა, თეთრი სახურავები ბოლავდნენ. კვამლი ნელა, უხალისოდ მიიზღაზნებოდა, თითქოს არა სურდა მოძრაობა, თითქოს ასევე სურდა გაჩერებულიყო, მსუბუქ, ამღვრეულ რგოლებად...

უკან დაბრუნდნენ. ფიფქი ნისლივით ჩამოწოლილიყო. ბანაკის პატარა ცისფერი სახლები მორჩილად ჩამდგარიყვნენ ერთმანეთის გვერდით და ვარდისფრად ბეჭტავდნენ. გრძელი, ჩამოქნილი ლოლუები მსუყე ნაღებისფერნი იყვნენ. სახლებს იქით გარინდებულ ფიჭვებს შავად ჩაელაქათ სივრცე.

— ძილი ნებისა.
გოგო პასუხად იღიმებოდა. მას ფართე თვალები ჰქონდა. მისი ღიმილი გაკვირვებული, შემცბარი და შეშფოთებულიც კი იყო.

სანამ ნიკო თხილამურებით მოხვევაში ვარჯიშობდა, გოგო ფერდობის თავში იდგა და მზეს უყურებდა. ვეება მზე ცაზე ველარ ეტეოდა და მთელი ცა შუშის ნატეხივით ბზინავდა, თვალს ვერ აუტყწობდა, ისე. ფერდობს უკან მდგარ ფიჭვებს წითელი ალი ეხვეოდა. მოლიცილიცე რძისფერ თოვლზე მხიარული ჩრდილები ცურავდნენ.

ყრიაპულით სავსე იყო იქაურობა, გოგოს გარშემო კი მუდამ რაღაც უცნაური, დიდი სიჩუმე სუფევდა.

ზოგჯერ მარტო სეირნობდა გოგო. ჯიბეებში ხელებს ჩაილაგებდა და ნელი, პატარა ნაბიჯებით დაადგებოდა ფერდობს იქით მთვლემარე ველს. ველს შუა ჰკვეთდა სწორი გზა. აქა-იქ რამდენიმე ხაზით შეკოწიწებული

ნელი ხატიაშვილი
მ ო თ ხ რ ბ ე ბ ი

სამიოდე ფიჭვი იდგა. გზის გასწვრივ ლურსმნეებით ჩარჭობილიყვნენ სინათლის ბოდები.

გოგო თავაწული მიდიოდა. ნიკო თვალს აყოლებდა და ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქოს რაღაც ახალი, აუცილებელი და განუზომლად სასიამოვნო ეპოვნა, არა, კი არ ეპოვნა, საკუთარ თავში აღმოეჩინა და ახლა ყურს უგდებდა მის ფართხალსა და ღულუნს.

მერე ერთად აუყვებოდნენ ბანაკისაკენ ამავალ აღმართს.

ხელს გადახვევდა მხარზე და მისი სახისაკენ იხრებოდა, გული უგუგუნებდა გოგოს, სუნთქვაში უშლიდა ხელს.

ერთხელ სასეირნოდ წასული გვიანობამდე აღარ გამოჩნდა. ბინდმა ჯერ ცა ანთო უცნაური, ბინდისეული სიწითლით, შემდეგ ფიჭვთა წვერებში გაიხლართა და ნელა ჩამოიფანტა თოვლზე. ველი ნაცრისფრად შეიღება, ხოლო ველს იქით მდებარე სოფლის მშვიდი კონტურები ცაზე მტკივნეული სინაზით ამოიტვიფრა.

თვითონაც არ იცოდა რამ შეაშფოთა. იმან, მარტო მომავალს რომ შეაშინებდა შავი ტყე, თუ იმან, სხვაც ზომ არ იყო ვინმე გოგოს გაცილების მოტრფიალე.

ჯოხზე გამობმულ თხილამურებს უგულოდ მიათრევდა და ხაფანგში გამომწყვდეული ნადირივით თვალებს აცეცებდა სიბნელეში. ორჯერ დაუძახა კიდევ, ხმადაბლა და მორიდებულად დაუძახა. მოეჩვენა, თითქოს ძახილი დიდხანს იდგა გაყინულ ჰაერში. მერე მუქ სილუეტს მოჰკრა თვალი.

სილუეტი სწრაფად უახლოვდებოდა.

— სად იყავი? — იფეთქა.

— ბანაკში მიიხრეს, შენს საძებრად წავიდაო.

„ეს კი თურმე მე მეძებს“, — გაიფიქრა. რაღაც თბილი და ძალიან კარგი იყო ამაში.

— სიარულში ისე გამეპარა დრო, ვერ გავიგე.

— სასტუმროსთან გეძებდი, — შეხვალდა ნიკოს.

— სასტუმროსთან რა მიხდებოდა?

— რა ვიცი. კაცი ვინმე...

ხელი ჩაჰკიდა. შეწუხდა. გოგოს ხელები სულმთლად მოჰკინებოდა. ტუჩებთან მიიტანა ყინვისაგან გახეშებული გრძელი, თხელი თითები და სუნთქვით მათ გათბობას შეეცადა.

ფერმკრთალი ღამე იდგა. მთვარის ნაკლები ჭურჭელი დადივით აჩნდა ცრემლიან ცას.

მერე კი, როცა ოთახიდან წყვილ-წყვილად გაიპარა ყველა, ნიკომ ვიტარა მისწია თავისკენ.

გოგო მოპირდაპირე საწოლზე იჯდა, კედელს მიყრდნობოდა და აღარ იღიმებოდა. ფანჯრიდან ორი ლოლუა მოჩანდა, სახურავიდან ჩამოზრდილი. ოთახის მკრთალი შუქით განათებულ ლოლუებს ზღაპრული იერი მიეღოთ.

— ლოლუები, ლოლუები... — თქვა ნიკომ და სიმს გამოსდო თითი.

ნიკო მღეროდა. არა, კი არ მღეროდა, ჩურჩულით აყოლებდა სიტყვებს სიმებს, რხევის წყნარი ქვითინით რომ აესებდნენ ოთახს.

„შენ გგონია ფრთას გატყენ.

მხოლოდ მოგეფერები“.

გოგოს ტუჩები უთრთოდა. თავი უკან გადაწვია და ჰერს მისჩერებოდა.

„ტურფავ, ტურფავ...“

გოგო ატირდა. ჯერ უხმოდ ჩამოუვარდა ცრემლი, ჩამოუვარდა და დაწვზე ზოლად დატოვა გრძელი ნაფესურების ნესტიანი სიპრიალე. მერე თავი ველარ შეიკავა.

— წავალ.

— ნუ წახვალ, — შეევედრა. მერე შეცვალა კილო. — ნამტირალევი გახვალ და რას იფიქრებენ.

გოგო მორჩილებით აივსო, საწოლის თავს მიეყრდნო, თვალეზი დახუჭა და გაირინდა.

მთელი ღამე ვერ მოისვენა ნიკომ. გინდა თუ არა, სიმღერამ ადრე განც-

დლი გრძნობა მოაგონაო, აწამა საკუ-
თარი თავი.

იეჭვიანა.

დლით კი, სასადილოში რომ შევი-
და და დაინახა ჩაის ჭიქით ხელში რა
ფრთხილად მიაბიჯებდა გოგო ერთმა-
ნეთზე მიყრილ მაგიდებს შორის, უც-
ნაური რამ იგრძნო. თითქოს ეს გოგო
ყოფილიყოს შემაერთებელი რგოლი
მასსა და მის გარშემო მყოფ საგნებ-
სა თუ ადამიანებს შორის, მის გუშინ-
ველ და ხვალინდელ დღეს შორის.

საოცარია კაცის ბუნება.

კარგი იყო ის დღე.

დაბლა ჩამოსული ვეება მზის სი-
კაშკაშე თვალებს უბრმავებდა, კრია-
ლა სივრცე მის თვალწინ ხან ლურჯად
იღებებოდა, ხან წითლად, ხან იის-
ფრად. ყვითლადაც შეიღება ერთხელ.
საიდან, როგორ მოგროვდა ამდენი სი-
ნათლე ერთად, დედამიწასა და ცას
შორის რომ აღარ ეტეოდა.

სადილობის შემდეგ საბილიარდო-

ში შევიდა. ბილიარდის ოსტატური
თამაშით გოგოს თავს მოვაწონებო —
იფიქრა.

— ჰა, ჰა, ჰა, — იცინოდა გოგო
როცა ბილიარდს თამაშობ, ცალ ფეხ-
ზე შესკუპებულ მამლაყინწას გაეხარ.

❦

ქალაქში რამდენჯერმე ნახა ის გო-
გო.

ქალაქი მაინც ქალაქია, უამრავი ნა-
ცნობი, რამდენიმე ქალი... ყველა და
ყველაფერი თავისას თხოულობს, ყვე-
ლას და ყველაფერს თავისი მიაქვს.
ყოველდღიურ წვრილმან სურვილებში
გართულს გადაავიწყდა გოგოს ვა-
კირვებული, შემცბარი, შეშფოთებუ-
ლი ღიმილით გამოწვეული ნათელი და
სევდანარევი სითბო. თურმე იმიტომ
გადაავიწყდა, მერე პირველყოფილი
სიძლიერით რომ წარმოსახვოდა ისევ.

ზოგჯერ მაინც უნდა დაფიქრდეს კა-
ცი, იგებს თუ კარგავს დროს.





რიყზე შეშით დატვირთული ურემი მიდიოდა. ურემში კამეჩი და ზაქი ება. კამეჩებს მამა-შვილი მიყვებოდა. საღამოვდებოდა. ცაზე ვეება შავი ღრუბლები გაჩნდა.

— გოდერძი, მგონი წვიმას აპირებს, — თქვა ბერიკაცმა.

— ჰო, წინწყლები დამეცა, ავუჩქაროთ.

გოდერძიმ სახრე გადაუჭირა კამეჩს. პირუტყვები უფრო გამოცოცხლდნენ. ზაქი უკან რჩებოდა, ღონიერ კამეჩს ძლივს უწევდა უღელს.

— სახრეს ნუ დაჰკრავ, შვილო, ზაქი ცოლოა, არ დაეცეს.

— რაღა გზა დაგვჩა, გაუძლებს.

— ჯერ ქელი არ გამაგრებია, შვი-

ლო. ვინ იცის სტკივა კიდეც, ადრე დავადგით უღელი.

— ჰო, თუ წამოწვიმა, თეძამიც აღიდგება...

ქვანაყარი გზა გათავდა. შოშიაზე ვავიდნენ. პატარა დაღმართი დაიწყო. ურემი თავად უბიძგებდა და აჩქარებდა კამეჩებს. ბერიკაცი ურემს ჩამორჩა, სწრაფად ველარ შლიდა მუხლებს.

— ურემზე დაჯექი, მამა.

— შენ ჩემი დარდი ნუ გაქვს, ასე ძოგყვები ნელ-ნელა.

— დღეს ღიდი ჯაფა დაგადგა, მამა-ჩემო, აკი გითხარი, ნუ წამომყვები-ნეთქი.

— მარტო ძნელია ტყეში სიარული, შენ ჯერ ხამადა ხარ.

— ისევ ბავშვი გგონივარ. მალე სამხედროში წასვლა მომიწევს. იქნებ საზღვრის დაცვა მანდონ... ტყეში ველარ ვივლი?..

— ჯერ კიდევ გვჭირდება, შვილო. აი ამ ზაქივით, ნელდი ხარ!

დაღმართი ჩათავდა. ისევ ქვანაყარ გზაზე გავიდნენ. კამეჩებს ფეხებში ედებოდნენ ქვები. სვენებ-სვენებით შიათრევენენ ურემს.

კუნაბეტი ღამე ჩამოწვა. მერე ერთბაშად იტყა ცამ. ხშირი წვიმა წამოვიდა. წვიმას სიცივეც მოჰყვა — მხეფებმა ქვები გადარეცხეს და კვერცხებით გამოაჩინეს ამ მრუმე ღამეში.

ისედაც აღიდებულ თეძამს უარესი დაემართა — კალაპოტი გადმოლახა და უშველზელი ლოდები აავორა.

მამა-შვილმა ბრეზენტის საწვიმრები წამოიხსეს, მაგრამ საწვიმრებიც დაუღბათ. ბერიკაცს გაუჭირდა სიარული. გოდერძი კამეჩებს წინიდან მოუარა, გააჩერა. მამა ბავშვივით აიტაცა და ურემზე დასვა. უარობდა მოხუცი, ბუზღუნებდა:

— რა ახირებული ხარ, შვილო, შენ გგონია, მუხლი ჩამეკეცება!..

— ეგრე აჯობებს!..

— ზაქი მეცოდება, ბიჭო, ზაქი!

— უფრო კარგია, აქედანვე შეეგუება საკუთარ ხვედრს.

მალე ფონს მიადგნენ. გავიდოდნენ თეძამზე და მათი სახლიც გამოჩნდებოდა.

გოდერძი უღელზე შეხტა: კამეჩებმა ჰორჩილად შესტოპეს წყალში.

ბორბლები წყლით დაიფარა.

მდინარის შუაგულს რომ მიატანეს, ურემი გაჩერდა. ზაქმა წყლის მოწოლასა და ტვირთის სიმძიმეს ველარ გაუძლო და ჩაიჩოქა. გოდერძი მაშინვე ჩამოხტა, აბურები შეხსნა და უღლიდან გამოუშვა. დაღლილი ზაქი წყალმა დაითრია. გოდერძი ათიოდენ ნაბიჯზე დაეწია და ძლივს გაიყვანა ნაპირზე. ბერიკაციც ჩამოხტა ურმიდან, კინალამ ისიც წააქცია წყალმა. როგორც იქნა დაუხსლტა თეძამს და შვილთან მივიდა.

ზაქი გზაზე გაიყვანეს, მოსულიერეს, მაგრამ ფეხზე ჯერ კიდევ ვერ დგებოდა.

— გადარჩა, — თქვა ბერიკაცი.

— ეჰ, ეს რა დაგემართა?! — დაღონდა გოდერძი.

— წავიდეთ, შეშა გადმოვცალოთ, იქნებ როგორმე მარტომ გამოათრიოს ცარიელი ურემი, — ურჩია მამამ.

— ამის გადმოტვირთვის დილამდე ვერ მოვრჩებით.

— მეტი რა გზაა, შვილო.

გოდერძიმ სველ ქორხორზე გადაისვა ხელი — თმა გადაიწურა:

— შენ ზაქთან დარჩი, იქნებ ფეხზე წამოაყენო, მე ურემს მივხედავ.

— ჰო, ჰო, დაიწყე გადმოცლა და მეც მოვალ.

გოდერძიმ ისევ შეტოვა მდინარეში. ცალუღელა კამეჩი ცივ წყალში იდგა და პატრონს ელოდა. გოდერძი მაშინვე ეცა ურემს და შეშის გადმოტვირთვის შეუდგა — მარჯვედ მუშობდა. კამეჩამაც თითქოს იგრძნო მშველელის ხელი და თავი ასწია. მდინარეც თანდათან დადინჯდა, დაწყნარდა — უკან დაიხიეს ნაპირებმა. ამასობაში ბერიკაცმა ზაქი მოასულიერა და შვილისაკენ გაიქცა.

გოცებული ბერიკაცი თვალს ადევნებდა შვილის საქმიანობას, თან ბუტბუტებდა:

— დახე, რა მარჯვე ყოფილა. მე კი ტყეში მარტო არ გავუშვი. ყოჩაღ, შვილო, ვაქცაცობა შენ უნდა დაიკვეხო.

ურემი რომ გადმოტვირთა გოდერძიმ, ეცა უღელს და ზაქის მაგივრად შეება. ბერიკაცს ესმოდა, მისი შვილის ფეხებქვეშ როგორ სხლტებოდა და ხმაურობდა ქვები.

უცებ ამოათრიეს ურემი თეძამიდან და მდინარის მოშორებით გააჩერეს.

მძიმედ სუნთქავდა გოდერძი და მხრებზე მალი-მალ ისვამდა ხელს.

ღიმპორეული უყურებდა ბერიკაცი. წვიმამ ისევ წამოუშინა.



სადარბაზო შესასვლელთან შეეჩერ-
დი და კედელზე გაკრული მისამართის
აბრა წავიკითხე: „ბორბალოს ქუჩა
№ 5. აი ჩემი მისამართი დღეიდან“, —
ხმადაბლა ჩავილაპარაკე რაღაცნაირი
კმაყოფილებით. მერე ჯიბიდან სიგარე-
ტი ამოვიღე და გამვლელებს დაველო-
დე. ვინმეს როგორ არ აღმოაჩნდებოდა
ჯიბეში ასანთი.

ქუჩა არ იყო განიერი, არც ხმაური-
ანი. ციოდა და ალბათ ამიტომ არც გამ-
ვლელები ჩანდნენ. ზევით, მოსახვევში
მოხუცი ქალი და კაცი გამოჩნდნენ. ისი-
ნი მოკლე, ბებრული ნაბიჯით ფრთხი-
ლად მიდიოდნენ დაღმართზე. იმავე მო-

სახვევში დროდარო მსუბუქი მანქა-
ნები გამოჩნდებოდნენ და საბურავების
სივსივით ჩამიქროლებდნენ. მანქანები
ყოველთვის ზემოდან მოდიოდნენ. მე
საგზაო ნიშნებში ბევრი არაფერი გამე-
გება, მაგრამ მივხვდი, აქ მხოლოდ
ცალმხრივი მოძრაობა იყო ნებადართუ-
ლი.

სახლი, რომლის წინაც მე ვიდექი და
რომლისთვისაც შემეძლო უკვე ჩემი
მეწოდებინა, სულ სამი სართული იყო
და სამი სადარბაზო შესასვლელი ჰქონ-
და. ქუჩის მხარეს ქარ-წვიმას ალაგ-
ალაგ ბათქაში აეყარა კედლისთვის და
შიგნიდან წითელი აგურები ბროწეუ-

ლის მარცვლებივით მოუჩანდა. სამისა-
მაროი აბრასთან პატარა ნათურა ენთო.
ახლა შუადღე იყო და სუსტი ნათურა
საკუთარი თავის მეტს ვერაფერს ანა-
თებდა.

ბორბალოს ქუჩა... საინტერესოა ვინ
დარჩება ეს სახელი. ყოფილა კი ის კაცი
ოდესმე ბორბალოზე? თუმცა ვინ იცის,
შეიძლება თავის დროზე ისიც ჩემსავით
წოწიალა ვინმე იყო. მე, მაგალითად,
ერთ ადგილზე არ მიჩერდება გული.
პროფესიაც ჩემი ხასიათისა ავირჩიე—
გიოლოგობა. ჩავეწერე მაძიებელთა
ჯგუფში და ჰაიდა მთებში! აქ რა ცოლ-
შვილის დარდი წამყვებოდა, ერთი ხო-
ტორა თავი მბარია და ეს არის. სადღა
არ მიხეტილია, სადღა არ მიჩიქნია
შიწა. შარშან კი მთელი თვე გავატარე
ბორბალოს მთაზე, ალაზნის სათავეში.
ალაზნისა კი არა ალაზნებისა. სამი
ალაზანი იბადება იმ მთის უბეში.

ჩემს გონებაში გაცოცხლდა კავკა-
სიონის ულამაზესი მთები, ცხვარ-ძრო-
ხითა და მწყემსთა ბინებით აჭრელებუ-
ლი ალპური სამოვრები, ჯანდიანი ჭიუ-
ხები... ფრიალოზე ნაშალას ბაწარივით
დაკლავნილი ბილიკი... მე იმ ბილიკზე
ერთხელ ფეხწირაპიანი კატასავით
ფრთხილად მივაბიჯებდი. მაინც გაი-
გეს ნაზოვარზე დაყრილმა ჯიხვებმა. და-
ფრთხნენ, აღმა-დაღმა დაიწყეს იელ-ცი-
ელი. ჩავიმუხლე, კლდეს გავაკარ კა-
რაბინა და ჭექა-ქუხილით ამოვხერგე
ხევსუვები. არ დავრჩენილვარ ხელცა-
რიელი. ყველაზე უკან რომ გარბოდა,
იმას მოვარტყი და მაშინვე ყელთავქვე
გამოქანდა... სადამოზე კი ჩვენი ბინის
წინ ჭორაფის ნაკვერჩხლებზე ბიჭები
მწვადებს ვაფიცხებდით და ვმღერო-
დით:

თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხსა სცემს,—
გულს გიგლის მონადირეო...

როგორც იქნა, მოაღწიეს ჩემამდე მო-
ხუცმა ქალმა და კაცმა. ახლოს რომ მო-
ვიდნენ, სიგარეტი დავანახე და ვკითხე:

— ასანთი ხომ არა გაქვთ, ბატონო?
კაცმა დამჭკნარი, გამხდარი ხელები

ჯიბებზე მოიფათურა და შეწუხებულ-
მა თქვა:

— არა, ნამდვილად არა მქვიათ
ვეწვი.

ასეც ვფიქრობდი— არ ექნებოდა,
მაგრამ რატომღაც მაინც ვიდექი და
ველოდი.

ბერიკაცს შეწუხებისათვის ბოდიში
მოვუხსადე და სადარბაზოში შევედი. მე-
სამე სართულზე ჯიბიდან კომენდანტის
მოცემული გასაღები ამოვიღე. მერე
სახლმმართველის ნათქვამი გამახსენდა:
ორ ბინას საერთო შესასვლელი აქვს.
თქვენი მეზობელი არის მარტოხელა კე-
თილი ქალიო. „კეთილი ქალიო“, კი
თქვა, მაგრამ რა იცი, იქნება შორიდან
ჩანს კეთილი. ახლა ასე გაუცნობად
რომ გავადო კარი და შევიდე, იქნებ ავა-
ზავიც ვეგონო,“ — ვფიქრობდი.

კარის მარჯვენა მხარეს ელექტროზა-
რის ღილაკთან გაკრული იყო წარწერა:
„მ. გიორგაძე“. ღილაკი მარცხნივაც
იყო, მაგრამ წარწერა აღარ ჰქონდა.

— აი აქ გაეკვრება წარწერა — გ. ახა-
ლაური. ჩემთან მომსვლელები აქეთ და-
რეკავენ, ბებიასთან თუ ქალბატონთან
მოსულები — იქით. მაგრამ მე ვის და-
ეუბრეო ახლა? ჩემს თავს თუ... რა თქმა
უნდა, ჩემს თავს! — გადავწყვიტე და
მარცხენა ღილაკს თითი დავაჭირე. „გო-
გია ახალაურო, გააღე კარი“, — გუნე-
ბაში დავუძახე.

ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

კიდევ დავრეკე.

„აღბათ სძინავს ბებოს, ან უბრალოდ
თავს არ იწუხებს. მის ზარს არ რეკავენ
და რა ენაღვლება“, — ვფიქრობდი.
ახლა მარჯვენა ღილაკს მივწვდი და ვიდ-
რე შევხებოდი, ქალის ხმამ შემაკრთო.

— ვინ ბრძანდებით?

პირდაპირ კარიდან გამომძახა. საკ-
ვირველია, აქამდე ისე როგორ მოვიდა,
რომ ფეხის ხმა ვერ გავიგონე.

აბა რა მეპასუხა, ვინ ვარო? ძალიან
კი გაიგებდა, ვინ არის გოგია ახალაური.

ვალერიან ჩაპურიშვილი

პირით თუ ნაცრით

საკეტმა გაიჩხარუნა და კარი გაიღო.
— გამარჯობათ, ქალბატონო! — თავი
დაუფქარი.

— გამარჯობათ.

დაეინებით მიყურებდა, მაგრამ, რა
თქმა უნდა, ვერ მიცნა.

— შეიძლება შემოვიდე?

— ვინ ბრძანდებით?

— თქვენი ახალი მეზობელი.

მინც ვერ მიხვდა.

— აქედან მგონი ვილაცა გადავიდა
ახალ ბინაში.

— დიახ, გადავიდა.

— ჰოდა, ეს გამონაცვალი ბინა დღეს
მე მომცა რაისაბჭომ. აი ორდერი.

— აა, მობრძანდით, მობრძანდით! —
გამიღინა.

შვიგნით სასიამოვნოდ თბილოდა და
ახალგავეთებული კერძის გემრიელი სუ-
ნი იღგა.

ჩვენ ერთმანეთს გავეცანით. ქალს მა-
ნია ერქვა. შევიძლიათ მანია დეიდა და-
ძიძახითო, მითხრა. ეტყობოდა, თავის
დროზე ძალიან ლამაზი იყო. ქალიშვი-
ლობისდროინდელი პეწი აქამდე შემორ-
ჩენოდა. ასაკთან შედარებით არც ახლა
გამოიყურებოდა ურიგოდ. გემოვნებით
ეცვა და ხმა ჰქონდა ისეთი ნაზი, ისეთი
სათნო, სულ მინდოდა მესმინა. ლაპა-
რაკობდა ხმადაბლა. კუბრივით შავი თვა-
ლები ჰქონდა, ლამაზად მოშვილდული
წარბები, თეთრი ლოყები, ოღონდ უკვე
დამქვანარი. მის სუსტსა და გამხდარ ხე-
ლებზე სისხლძარღვების მთელი სისტე-
მა იყო ამოქარგული.

ეტყობოდა, არც ახლა აკლებდა თავს
ყურადღებას. რატომღაც მგონია, რომ
ქალიშვილობის დროს მანანა ერქმეოდა.
მაგრამ ახლა ეს სახელი, რა თქმა უნდა,
ალარ შეეფერებოდა. ვერ წარმომიდგე-
ნია მოხუცებულ ქალს ერქვას მანანა ან
ლალი. შვილიშვილებმა როგორ უნდა
დაუძახონ, ლალი ბებიაო? ჰოდა, ეტყო-
ბა თავისი ასაკის შესაფერისად გადაი-
კეთა სახელი.

ოროთახიანი ბინა იყო, თავისი სა-

თავსოებით. ერთი პატარა ოჯახისთვის
იყო ზედგამოჭრილი, მაგრამ მანია დე-
იდამ თქვა, აქ ერთ ოჯახს არასოდეს
უცხოვრიაო. რალაცნაირი, მეველებური
კონსტრუქციის სახლი იყო: ერთი ოთახი
დერეფნის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ,
სამზარეულო და სხვა სათავსოებით კი
მთლიანად ცალკე.

ქალბატონმა ყველაფერი დამათვალი-
ერებინა და ამიხსნა, რა მეკუთვნოდა მე,
რა ეკუთვნოდა მას, რა გვექონდა საზიარო.

საზიარო მე არაფერი მომდიოდა ჭკუ-
აში, არც მანია დეიდას. მაგრამ მეტი
რა გზა იყო.

სამზარეულო საკმაოდ მოზრდილი
იყო, ორი გაზქურა იდგა და ორი მაგი-
და. როგორც ოთახები, აქაც მარცხენა
ნახევარი ჩემი იყო, მარჯვენა — ქალ-
ბატონის. ჩემს მხარეს განჯინის თარო-
ები ცარიელ-ტარიელი იყო, მარჯვნივ
კი უამრავი სხვადასხვა ფორმისა და
ზომის ქილები ეწყო.

— აქ იმოდენა ფართობია, ორივეს
გვეყოფა, ერთმანეთს ხელს არ შეეუშ-
ლით, — მითხრა მანია დეიდამ.

გუნებაში გამეცინა. აბა რა საქმე მექ-
ნება სამზარეულოში, რაში უნდა შეეუ-
შალო ხელი. რომელი კერძების კეთე-
ბას და ჭურჭლის დარეცხვა-დაწკრილალე-
ბას მე დაეიწყებ. თუ თეთრეულის რე-
ცხვითა და დაუთოვებით ავიკლებ აქა-
ურობას, — ვფიქრობდი გულში.

— ეს კორიდორი საერთოა. ცოლი
ხომ გაყავს? — მკითხა მოულოდნელად.


— არა, არა მყავს.

— რატომ მერე?

— რა ვიცი, — მხრები ავიჩიჩე და
გამეღიძა.

ქალბატონი ერთხანს მიყურებდა, ვა-
ტყობდი, დედაშვილური საყვედურის
თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა. არ
იყოლა, როგორი ხასიათისა ვარ და..

— მაშინ კორიდორი ჯერჯერობით
მარტო ჩემი იქნება, მე დავასუფთავებ-
ხოლმე, ვიდრე პატარძალს მოიყვან-
ოღონდ იცოდე, დიდხანს არ მალოდინო.



— ვეცდები, — ვთქვი და ისევ გა-
მეცინა.

— სხვა რა დარჩა, ჰო, ტელეფონი.
ის თქვენ გეკუთვნით. მუშაობთ და თა-
ნამდებობაც ისეთი გაქვთ, დაგიტოვე-
ბენ. ოღონდ ვთხოვთ, არც მე ამიკრძა-
ლოთ სარგებლობა. შვილი მოსკოვში
მყავს და ხანდახან მირეკავს ხოლმე.

— როგორ თუ ავიკრძალოთ, ეგ რა
საკადრისია. მანია დეიდა!

— ჰოდა, აბა სხვა არავინ შეგაწუ-
ხებთ ჩემი გულისთვის. ჰო, კიდევ შე-
იძლება ნათელამ დამირეკოს. შეიძლება
კი არა, ის მე არ დამივიწყებს.

მე არ ვიცი ვინაა ნათელა, არც ვეკი-
თხები. არ მინდა იფიქროს, გოგოს სა-
ხელი გაიგონა და თვალები დაბარწაო.
მანია დეიდას დისწული იქნება, ან ძმის-
წული. აბა ვინ უნდა იყოს.

ჩემი ქონება-ცხოვრება მსუბუქ ტაქ-
სში თავისუფლად ჩაეჭია. თვითონაც
საღვათად ჩავკეკი და ნაქირავები ბი-
ნიდან ბორბალოს ქუჩაზე გადავსახლდი.
მეც რა ბევრი ფიქრი დამჭირდებოდა
საბაზე, სად რა დამეწყო. დასაკეცი სა-
წოლი კედელთან გავშალე და ზედ ლო-
ვინი დავაწყვე, ჩემი განუყრელი მეგო-
ბარი—სანადირო თოფი კედელზე ყელ-
თაქვე დავვიდე. თერმოსი, წყლის გრა-
ფინი და ჭიქა ფანჯრის რაფაზე, ტელე-
ფონის გვერდით დავდგი დროებით, ეს
ყო და ეს.

ყველაზე კარგად ისევ წიგნები მოვა-
წყე, — განჯინის თაროებზე. ვინც აქ
ცხოვრობდა, ეტყობა მასაც ასევე ელაგა
წიგნები; თაროზე ისევ ეფინა გაყვით-
ლებული ცარცის ქაღალდი.

წიგნების დალაგებას რომ მოვრჩი,
ბერე საწოლზე გულაღმა წამოვწეკი და
ფიქრი დავიწყე. საოცრად კარგ ზასიათ-
ზე ვიყავი. კმაყოფილი ვიყავი იმით,
რომ პროფესიად გეოლოგობა ავირჩიე
და ვაკეთებდი იმას, რაც მე მიყვარდა;
მიხაროდა, რომ იმ წუთში წამოწოლილი
ვიყავი ჩემს ბინაში. ამიერიდან ამოდენა
ქალაქში ჩემი წილი ჭერიც არსებობდა
და აღარ მაწუხებდა დარდი — ხელ-

ფასს რომ ავიღებ, სახეგარი ბინის პატ-
რონს უნდა გადავუხადო.

მე მიხაროდა ისიც, ჩემს ბინაში
ცენტრალური გათბობა იყო, თაროებზე
ელაგა წიგნები, კედელზე ეკიდა სანა-
დირო თოფი, ფანჯრის რაფაზე იჯდა
ტელეფონი და მზად იყო ჩემთვის დაე-
ძახა, თუკი ვინმე ჩემთან საუბარს მოი-
სურვებდა.

მე მიხაროდა ისიც, პატარა დერეფნის
იქით კეთილი ქალი — დეიდა მანია
რომ მეგულეობდა.

...და, ვინ იცის, კიდევ რამდენხანს ვიქ-
ნებოდი ასეთ განცხრომაში, რომ ტელე-
ფონი არ აწყარუნებულყო. რა თქმა
უნდა, მე არავინ მირეკავდა. ამ ტელე-
ფონის ნომერი ჯერ მეც არ ვიცოდი.
ჩემს ნაცნობებს ვის ეცოდინებოდა, მაგ-
რამ მაინც სიხარულით წამოვხტი და
ყურმილი ხელში ავიტაცე. ვილაცამ
როხროხა ხმით მკითხა:

- დანიელოვიჩი ბრძანდებით?
- სად რეკავთ?
- ვისი ბინაა?
- ახალაურის.


თბილისის ისტორიაში ეს პირველი
შემთხვევა იყო, რომ ახალაურის ბინი-
დან უპასუხეს ტელეფონით.

ყურმილი დავდე და თვალი ფანჯარაზე
მომტაცა. გარეთ თოვდა, ისე მაგრად.
ისე ლამაზად ბარდნიდა, სიხარულისა
თუ აღტაცებისაგან კინაღამ წამოვიყვი-
რე. ფანტელები დაუსრულებლად მოდი-
ოდა ციდან და დედამიწაზე ათასგვარ
ჩიხო-მიხოს თეთრად ეფინებოდა.

მოსადღალტებულ ეზოში ერთადერთი
აკაციის ხე იდგა. მის შიშველ ტოტებ-
ზე ბელურები ისხდნენ და წარამარა
იფერთხავდნენ ფრთებს. ვერ იტანდნენ.
თეთრი ფიფქები რომ ეცემოდან. ბევ-
რი მათგანი პირველად ხედავდა თოვლს
და ალბათ უკვირდათ, რა უბედურებით
აივსო პაერი, საიდან მოდის ამდენი უც-
ნაური თეთრი ბუზ-პეპელო.

ფანჯრის რაფაზე შემოვკეკი და ყვე-

ვალერიან ჩაპრაიშვილი
პირით თუ ნაცრით



ლაზე დიდ ფანტელებს თვალს ვაყოლებდი, როგორ მსუბუქად, ტრიალ-ტრიალით ეშვებოდნენ დაბლა. ასე ვიცოდი ბავშვობაში. საათობით ვიჯექი ფანჯარასთან და ვუყურებდი გარეთ როგორ ბარდნიდა, როგორ ეფინებოდა თოვლი ჩვენს ეზოში თივის ზვინებს. ვიყურებოდი გაღმა—ტყიანი გორაკები-საყენ, მაგრამ ჩვენი ეზოს იქით თითქმის აღარაფერი ჩანდა, ისე ხეავრიელად თოვდა.

შემდეგ მე გონებაში ვხედავდი: ჩემ სოფელშიც ასევე ლამაზად თოვდა. იქაც ასევე ტრიალ-ტრიალით ეშვებოდნენ ფანტელები. ფანჯარასთან ჩემს მაგივრად ახლა დარეჯანა იჯდა და თვალს ვერ აცილებდა ფანტელების ფარფატს. დედა საცეცხლურთან ტრიალებდა, მამა გარეთ შეშას ჭრიდა და საჩეხში შეყრიდა. ბლომად ჭრიდა. მამას ზამთარში შეშის დაზოგვა არ უყვარს. შეშის დაჩეხას რომ მორჩება, მერე გომურთან ძროხებს გამოუშვებს და ხევზე გადარეკავს დასარწყულებლად.

სადამოხანს ღორებს გეჯაში თბილ ბუხალაყს დაუსხამს, ცოტა როშსაც გაუტრევს, მალე გასუქდებიანო. ძროხების ბაგას წმინდა ბზით აავსებს, — მთელი ღამე თავს შეიყოლიებენო. ქათამ-ინდაურებს სიმინდის მარცვალს ძლომამდე დაუყრის, — სათბილისოდ გასუქდებიანო. მერე ყველას თავის ბინას მიუჩენს, კარებს საიმედოდ ჩაუკეტავს, ეზოს კარსაც ჩაკეტავს და მერეღა მრიცლის შინ შესასვლელად.

კარებთან ატუზული ჩოთემა კუდს მოუჭიციანებს. მამა მასაც თავის წილს გამოუტანს. ჩოთემა გამოძლება, გამხიარულდება, მერე წავა და თოვლში გაკრტიალდება.

მამა საქმეს მორჩება, თოვლიან ფენებს კარგად დაიბერტყავს. წინდებზე მოყინულ თოვლს ცოცხით ჩაიბერტყავს, შინ შევა და საცეცხლურთან მოფუსფუსე დედა ჰკითხავს:

— რა ჰქენი, კაცო, დააქამკრე პირუტყვი?

— დავაქამკრე, მოვრჩიე მამა.

— ძალიან კარგი! მოდი ახლა ჩვენს ვივახშით, — დედა ქაფქირს აიღებს და თელის ხონჩაზე ხინკალს დაუწყებს ამოყრას.

კატასავით ფეხებმშრალი დარეჯან ჩამოხტება, მამას წყალს დაუსხამს, ხელებს გადააბანიებს. მერე დასხდებიან, ხინკლიან სუფრას დაიდგამენ და ვახშობას დაიწყებენ.

— დედა მოუკვდეს ჩემ გოგოასა! ჩვენ აქ ხინკალს ვჭამთ, ის კი, ვინ იცის, შშიერია! — იტყვის დედა და თვალები მოუწყლიანდება.

მე კი ახლა მართლაც შშია.

ჩავიციე. გარეთ გამოსვლას ვაპირებდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შშიოდა. მეორეც, — ძალიან მინდოდა ასეთ თოვაში ფეხით მევლო თბილისის ქუჩებში. მევლო კი არა, გვევლო. მე და ნელის გვევლო თავაუღებელ თოვაში.

ვიციოდი, ნელი იმ წუთში სახლში იჯდა და მეცადინებოდა, მაგრამ ასეთ ღამას თოვაში წიგნებთან ჯდომა დანაშაულად მიმჩნადა.


ტელეფონის ნომერი კი ვიციოდი, მაგრამ რად გინდა მერე?! საწყალ გოგოს ტელეფონთან მისვლა აუკრძალეს. რამდენჯერაც გინდა დარეკოთ, აუცილებლად დედამისი ან უმცროსი ძმა გიპასუხებთ. მე მაინც ვცდი ბედს. იქნებ გამიმართლოს. თუ ერთი წამით მაინც აიღო ყურმილი, მერე უკვე ჩვენ ვიცით ჩვენი საქმისა, — ხელდახელ დავნიშნავთ შეხვედრას, თუ არა და...

ავკრიფე ნომერი.

— ალო, გისმენთ! — ჩამომძახა ნელის დედა.

„მისმენ კი არა, დადე ყურმილი და სხვასაც დააცალე საუბარი“, გაუწყვირო გულში. ალო, ალოო, იძახა, ხმა რომ არ გავეცი, ყურმილი დაკიდა.

„შე დალოცვილო, ნუთუ ან სამზარეულოში არა გაქვს საქმე, ან სხვაგან.“



რას ყარაულობ ამ ტელეფონს?“, — ვიღრინებოდი გულში.

იმ წუთში კიდევ რომ დამერეკა და ხმა არ ამომელო, ნელი მიხვდებოდა, რომ მე ვრეკავდი. სხვა დღეს ასეთი ეშპაკობა გვშველის. ადგება და ვითომ რუსიკოს ურეკავს, ჩემი ტელეფონის ნომერს აკრეფს. ყურმილს ავიღებ და მეკითხება, რუსიკო, ამა და ამ ლექციის ჩანაწერები თუ გაქვსო. რომელ ლექციას იტყვი, რომ მე მისი სტენოგრაფიული ჩანაწერები არა მქონდეს, მოდი და ისეთი ლიტერატურით მოგამარაგებ, მეცადინეობა აღარც დაგჭირდება-მეთქი.

ნელი იცინის და მეუბნება:

— გოგო, ყოველთვის მე მოვიდე? ერთხელ შენ მოდი და მომიტანე რვეული.

გოგოო, დედის თვალის ასახვევად ამბობს.

მერე ჩვენ დედამისის თვალწინ დავნიშნავთ შეხვედრის დროსა და ადგილს. მაგრამ ეს ხდება სამუშაო დღეებში, როცა მე ჩემ ოთახში ვზივარ. იმ დღეს კი საღ უნდა მოვეძებნე? „ნეტა იცოდეს, რომ ბინა მივიღე და ტელეფონიც მიღვას“, — ვნატრობდი, თუმცა ნელიმ კი არა, ჩემი ტელეფონის ნომერი ჯერ მეც არ ვიცოდი, მანია დეიდას ვკითხავო, ვფიქრობდი.

ეზოში გავიხედე. არემარე უკვე გადათეთრებულიყო. ისე სავულდავულოდ თოვდა, გამოდარების ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

„უპ, რა სანადირო ამინდი დგება!“ — ჩავილაპარაკე და თვალწინ დამიდგათოვლით დაბურული ჩემი სოფლის ტყეები, ჩემი მეზობელი ბიჭები, თითის წვერებზე რომ დგებიან ხოლმე სიხარულით, გამოიდარებს და სანადიროდ წავალთო.

„ვითომ რა იქნება, რომ ხვალ სოფელში წავიდე? არ გამიშვებენ? სამმართველოს უფროსს არც გავაგებინებ, მოადგილეს ვთხოვ. ისე ვთხოვ. უარს არ მეტყვის. მოადგილე ისეთი ოქრო კაცია, ყველაფერს გაგიგებს, ყველაფერში ანგარიშს გაგიწევს. ამას მკითხაობა

არ უნდა, სამი დღით ნამდვილად გამიწვებს, ამაღამვე დავტენაქვს ცხენებს, მოვემზადები. დილით ვეტენი და ვიწვები ბირის შემდეგ ავტობუსს გავყვები. საღამოს ოთხ საათზე ბიჭებს გამოვეცხადები; აქა ვარ, უჩემოდ ტყეში ფეხი არ გაადგათ-მეთქი. გადაირევიან სიხარულით, ძველი შემადგენლობა შევიკრიბებით და გამთენიისას სანიოს ტყეში ძაღლების გნიასს ავტეხავთ“, — ვფიქრობდი.

მერე ბუცუ გამახსენდა. სულ იმას მეზვევება, შველზე სანადიროდ წამიყვანეო. აი ახლა წამოვიდეს. ამაზე კარგ სანადირო ამინდს კაცი ვერ ინატრებს.

ბიჯაკის ჯიბიდან პატარა ბლოკნოტი ამოვიღე და ბუცუს ბინის ტელეფონის ნომერი მოვძებნე.

დავრეკე, მისმა მეუღლემ, ნანამ მიპასუხა, — ბუცუ სახლში არ არის, ახლა საღლაც გავიდაო. მე ვუთხარი, კიდევ ღაგრეკავ-მეთქი და ყურმილი დავდე.

ერთხელ კიდევ ვცადე ბედი, ერთხელ კიდევ დავრეკე ნელისთან, მაგრამ არ გამიმართლა, ახლა მისმა უმცროსმა ძმამ მიპასუხა. ალო, ალოო ვიძახე, ვითომ არაფერი მესმოდა, მერე ყურმილი დავკიდე.

წვიოდა. მეტის მოთმენა არ შემეძლო. ჩავიცვი, გავედი და მანია დეიდას ოთახის კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. საოცარია. ფეხზე რა აცვია ამ ქალს იმისთანა, რომ სრულებით არ ისმის მისი ნაბიჯების ხმა. ახლაც ისე მოვიდა კართან, ვერაფერი გავიგე. გაალო და მობრძანდიო. განიღიმა.

— მე მალე დავბრუნდები. მანია დეიდა. — დავუბარე და გარეთ გავედი. კაცმა რომ თქვას, ეს ქალი აბა რას დაეძებს, მე მალე დავბრუნდები თუ ვვიან, მაგრამ ასე მგონია, ჩემიანია და უფლება არა მაქვს არ დავუბარო-მეთქი.

გარეთ კვლავ თოვდა, ხეავრიელად, ზარაქიანად.

ვალერიან ჩუპაროვილი
კირით თუ ნაცრით

სქელძირიანი ფეხსაცმელებით თოვლზე ჰრელ კვალს ვტოვებდი. მივდიოდი მარტო, ნელა. პალტოს საყულო აწეული მქონდა და ხელები ჯიბეებში მეწყო. ჯიბეში ხურდა მეყარა. ორშაურიაანი ამოვარჩიე და თითებში ისე ვათამაშებდი, როგორც საერთოდ ნერვიულ ადამიანებს ჩვევიათ.

ციოდა, თოვლი არ დნებოდა, ბარაქიანად თოვდა.

მთელი ქალაქი რუსთაველზე იყო გამოფენილი, სიცივეს არავინ ეპუებოდა. დასერილობდნენ ჭგუფ-ჭგუფად, წყვილ-წყვილად. ქალიშვილების კისკისი ალამაზებდა თოვლიან ქუჩებს. რალაცნაირი მხიარული განწყობილება იგრძნობოდა მთელ ქალაქში და მე ახლა უფრო მომინდა გვერდით მყოლოდა ნელი.

რუსთაველზე მოძრაობა შენელდა, — მანქანები შეთხელდა, ეტყობა მოცურებისა ეშინოდათ, გარდა ამისა, ასეთ თოვაში ფეხით სიარულს რა ჯობდა.

სერიობა კარგია, თუ არა გშია. მე დეხებს თითქოს თავისთავად მივყავდი კაფე „მარეხისკენ“. მინდოდა ქუჩის მხარეს დავმჯდარიყავი, რომ თან გარეთ მეცქირა.

კაფეში არ იყო ბევრი ხალხი. აქა-იქ ისხდნენ ახალგაზრდები და ყავას შეეპყროდნენ. მე თავისუფალ მაგიდასთან დავჯექი თუ არა, თეთრწინსაფრიალი ლამაზი ქალიშვილი მაშინვე ჩემთან გაჩნდა.

— რას ინებებთ? — მკითხა რუსულად:

— ჯერ რამდენიმე კითხვაზე გამეცით პასუხი, — ქართულად ვუთხარი.

— ბრძანეთ.

— თქვენს გამგე აქ არის?

— არა, — რატომღაც შეკრთა.

— გამგის კაბინეტში ტელეფონი ხომ დგას?

— დიახ, დგას.

— მაშინ, გამიწიეთ სამსახური, მიმყევით და ერთგან დამარეკინეთ.

— კი ბატონო, — გაეღიმა ქალი-

შვილს, წინ გამიძღვა, პატარა ოთახისკარი შეაღო და მითხრა: — აგერ ტელეფონი, დარეკეთ.

— მე კი არა, თქვენ უნდა დარეკოთ. ნომერს გეტყვით და დარეკეთ. ვინც უნდა გიპასუხოს, სთხოვეთ, ნელის დაუძახონ.

— რომ მკითხონ ვინა ხარო?

— თქვენ არ გკითხავენ.

ნომერი ვუთხარი და დარეკა.

— ნელიმ რომ მიპასუხოს რა ვუთხრა?

— გოგი ახალაურს უნდა თქვენთან ლაპარაკი-თქო.

— გოგი ახალაურს... — გაიმეორა, არ დამევიწყდესო. მერე იდგა და ელოდა, მაგრამ არავინ უპასუხა.

— ბედი არ გქონიათ, — გამეხუმრა ქალიშვილი.

— ასეთ ამინდში შინ ჯდომა დანაშაულიც იქნებოდა, — გავამართლე ნელი.

— ნამდვილად. ნეტა დღეს მეც არა ვმუშაობდე, ამ ლამაზ თოვაში ვარეთ სიარულს რა ჯობია, — რალაცნაირი სინანულით თქვა ქალიშვილმა.

მე ისევ თავისუფალ მაგიდას მივუჯექი და ქალიშვილმაც ისევ მკითხა:

— რას ინებებთ?

— თქვენთვის მომინდვია, რაც გინდათ ის მომიტანეთ, გშია.

— მე რა ვიცი, თქვენ რა გესიამოვნებთ, — გაეღიმა.


— ის მესიამოვნება, რასაც თქვენ ჩემთვის გაიმეტებთ.

— კარგით, სასმელს რას ინებებთ?

— ეგეც თქვენთვის მომინდვია.

ქალიშვილს ხმა არ ამოუღია, სახიდან ღმილი ვერ მოიცილა, ისე გატრიალდა.

მე ისევ ნელი გამახსენდა. „ის ახლა ალბათ ეზოშია. ძმა ჩაიყვანდა. მაგი სახლის დიდი ეზო მეზობლის გოგო-ბიჭებით იქნება საესე. ალბათ გუნდაობენ“, — ვფიქრობდი. მერე წარმოვიდგინე ნელი გათოშლილი, გაწითლებული ხელებით როგორ იღებდა თოვლს, წვალელებით აკეთებდა გუნდას, თან თითებზე იორთქლებდა. მერე ისროდა, მაგ-



რამ მისი ნასროლი, ახლოსაც არავის ეკარებოდა, თვითონ კი ერთ გუნდასაც ვერ იცდენდა...

— მე რომ ნელი ვიყო, თქვენი გემოვნება შეცოდინებოდა და იმას მოგართმევდით, რაც ვიყვართ. ახლა რაც მოგიტანეთ, მოგწონთ, თუ არ მოგწონთ, მაინც უნდა მიირთვათ, — ღიმილით მიიტხრა. მერე წინ დამიწყო ახალი ხორცის ყაურმა, ასი გრამი „გრემი“, ერთი ღმირნათი და ქართული პური.

— ძალიან კარგი გემოვნება გქონიათ. — შევაქე ქალიშვილი.

— ბოლოს ყავასაც მოგართმევთ.

— აბა თქვენ იცით.

ჰამა დავიწყე, ქალიშვილი კი ახალშემოსული წყვილისაკენ წავიდა.

ისეთი გემრიელი ყაურმა არასოდეს მიჭამია. არ ვიცი ძალიან მშობდა და მეჩვენებოდა, თუ მზარეულს სთხოვა, განსაკუთრებული ულუფა გამიკეთო.

ახალშემოსულებს შეკვეთილი რომ მიართვა, მერე ჩემთან მოვიდა.

— მიწუნებთ სადილს? — მკითხა.

— ზირიქით, ბრწყინვალეა. მაპატიეთ რა გქვიათ?

— ნათია.

— ამ ჰიქით თქვენ გაგიმარჯოთ, ნათია.

— ნე კი არა, ნელის გაუმარჯოს. მე რა შუაში ვარ?

— ნელის სადღეგრძელოს ყოველთვის ვსვამ. თქვენ გაგიმარჯოთ.

— მერე რა, რომ ყოველთვის სვამთ, მაინც ნელი ადღეგრძელებთ.

— მე თქვენ მორთმეულ სადილს ვკამ, თქვენ ჩემგან დღეგრძელობას რატომ არ ღებულობთ?

— კარგი, ვღებულობ, — გაიღიმა.

— ჰოდა, გაგიმარჯოთ.

— გმადლობთ.

— ხათია, ასე დაგეცალოს მტერი, — ვთქვი და ჰიქა გამოვცალე.

— გმადლობთ, — ერთხელ კიდევ თქვა, მერე ადგა და წავიდა, ვიღაცები ელოდნენ.

გემრიელად ვისადილე და ძალიან კარგ ხასიათზე დავდექი. ჰამას რომ ვამ-

თავრებდი, მე არ შემისხენებია, ნათია! ისე მომიტანა ფინჯანი ყავა.

— ახლა მიანგარიშეთ, რა ღირს ეს სიამოვნება?

— სამი და ოცი, — ზეპირად თქვა.

— სამი და ოცი რამდენია, ოცდასამი? — გავიხუმრე.

სამი მანეთი და ოცი კაპიკი.

ოთხი წახეთი მივეცი. წინსაფრის ჯიბეში ხურდას დაუწყო ძებნა, მაგრამ არ გამოვართვი. გმადლობთო, თქვა და გაბრუნდა.

ყავა კი წამდვილად ნათიას ხათრით დავლოე. სად ყავა, სად არტანუზი გაზრდრღოს გოგია ახალაური! ყავას მე ერთი ჰიქა ჩვენებური დალოცვილი ჟიპიტაური შირჩენია.



მარტო ხეტიალს აზრი არა ჰქონდა. მალე დავბრუნდი შინ. ზარი არ დამირჩევას. კარი გასაღებით გავაღე და ფეხაკრეფით შევედი. მანია დეიღამ მაინც გაიგო, თავის ოთახიდან გამომხედა, ერთმანეთს გავუღიმეთ.

— ისევ თოვს? — მკითხა.

— ისევ.

— მოთოვოს, არაა ცუდი, ჰაერი გაიწმინდება, ბავშვები გაიხარებენ, რამდენი ზამთარი გავიდა, რაც თბილისში არ მოუთოვია.

საშინაოდ რომ გამოვეწყე, ბუცუს დავურეკე. გაუხარდა, ბინის მიღება მომილოცა და შემახსენა, — მაგ ბინას დასველება მოუხდებაო. დავასველებმეთქი, შეგპირდი.

— ბუცუ, თოვს, — ვუთხარი მოულოდნელად.

— ჰო, თოვს, ეღირსა თბილისს თოვლი.

— ბუცუ, ახლა ტყეშიც თოვს.

— იქაც მოთოვს, აბა რა იქნება, — გაიცინა.

— ბიჭო, სანადირო ამინდი დგება.

მალერიან ნაპოროვილი
კირით თუ ნაცრით



— ოოო... სანადიროდ ბრწყინვალე ამინდი დგება, მაგრამ...

— ბუკუ, ახლა ნამდვილი მონადირე „მავრამს“ არ იტყვის.

— აბა რას იტყვის?

— წავიდეთო.

— საღ?

— ჩემ სოფელში წავიდეთ. სულ რომ შეხვეწებო შვლებზე სანადიროდ წამიყვანეო, წამოდი.

სისხარულით გადაირია. ხვალ კი არა, თუ გინდა ამაღამ წავიდეთო. ამაღამ თოფი გაწმინდე, ვაზნები დატენე, მოემზადე, დილით სამსახურში გავიქცეთ, სამი დღით დავეთხოვოთ და შუადღის ავტობუსს გავყვებით-მეთქი, ვუთხარა.

შევთანხმდით.

— გოგი, შეიძლება?

— მობრძანდით, მანია დეიდა.

შე იატაკზე ვიჯექი. წინ ტყვია-წამალი ძქონდა გაშლილი. ვაზნებს ვტენიდი. ასე ბავშვებს დასვამენ ხოლმე და წინ სათამაშოებს გაუშლიან, გაერთობაო.

— უჰ, მგონი ხელი შევიშალეთ, — თქვა ქალმა, როცა იატაკზე გაშლილი ათასგვარი ხარახურა დაინახა.

— არა, მანია დეიდა, მე ხელი არ შეგეშლება.

— უც, ჩემი სიკვდილი, სკამები არა გაქვს, ხომ? — გატრიალდა და თავისი ოთახიდან ორი სკამი გამოიტანა, —ვიდრე იყავი გათხოვებ.

— გმადლობთ, მანია დეიდა.

— გოგი, სამხარეულოში რომ მეორე მაგიდა დგას, დროებით ისიც გამოიტანე. შეეკაცო. მერე ნელ-ნელა ყველაფერს შეიძენ, ასე იწყება ხოლმე ცხოვრება.

— კარგი, ხვალ შემოვიტან. რით გემსახუროთ, მანია დეიდა?

— ისე შემოვედი, შვილო, თქვენთან საუბარი მინდოდა.

— ჰოო, ძალიან კარგი. დაბრძანდით, — მისივე შემოტანილი სკამი შევთავაზე.

დაჯდა.

— თქვენც დაჯექით და გამანათლებელი თქვენი საქმე, თუ საუბარი ხელი არ შეგეშლება.

— არა, არ შემეშლება, — ვთქვი და ისევე იატაკზე მოვირთხე ბალივით.

— ეს რა არის, ფისტონებს აკეთებ?

— ჰო, ფისტონებს ვაკეთებ, — თავი დავეუქნიე. აღარ დავეუწყე ახსნა-განმარტება დისტონი რა არის და ვაზნა, ან წანალი და საფანტი.

— გიყვართ ნადირობა?

— ძალიან.

— რაზე ნადირობთ ხოლმე?

— დათვზე, ღორზე, მგელზე, კურდღელზე, — ისინი ჩამოვთვალე, რაც მგონია, რომ არ შეეცოდება. თორემ ვიცოდი დამიწყებდა, — უი, შვლის მოკვლა როგორ შეიძლება, ის ხომ სილამაზის განსახიერებაა, ან ჯიხვს როგორ უნდა ესროლოთ, ეს ხომ ბოროტებააო და ამისთანებს.

— მერე მგლის და დათვის არ ვეშინია? — მკითხა.

— შეშინია, მანია დეიდა, მაგრამ რა ექნა?!

— უი, ძალად ხომ არავის მიჰყავხარო, შვილო! ნუ წახვალ და მორჩა, — მასწავლა.

— არ შემიძლია.

— აა. თქვენ უკვე ისე ხართ მიჩვეული, რომ არ შეგიძლიათ სანადიროდ არ წახვიდეთ, ხომ?

— დიახ.

— ნადირობაც პაპიროსის მოწვევასავით ყოფილა.

— ჰოო, ზუსტად.

— არ მოსწიო, არ შეგჩქლია...

— მეც არ მოგვლა, არ შემიძლია.

მანია დეიდამ რაღაცნაირი თვალებით შემომხედა, მაგრამ მე თავი შევიკავე, — არ გავიცინე. მან ერთხანს მიყურა და ღმერთმა იცის რა ვაიფიქრა ჩემზე, მერე კი თქვა:

— ძალიან უცნაური ხალხი ხართ ფშავლები.

— რატომ ვართ უცნაური ხალხი, მანია დეიდა?

— რა ვიცი, აბა! ამბობენ, ფშავლებს სისხლის აღება უყვართო.

— ოო, ფშავლები მტერს არ გაახარებენ! არც როდის გაუხარებიათ. ახლა მეც სისხლის ასაღებად ვემზადები.

— რას ამბობ, ბიჭო?

— გეფიცები! ჩვენს ტყეში ერთი ხვადი მგელი დათარეშობს. ერთხელ ბურვაკი შეგვიჭამა. რა თქმა უნდა, არ შევარჩენ. ოო, იმას როგორ შევარჩენ? ხელსწორედ იმის მოსაკლავად მივდივარ. ვიდრე არ მოვკლავ, ვერ მოვისვენებ.

— მერე, ფშავლებმა ქალის მოტაცებაც იციანო, — დამიწყო ყურმოკრულის ჩამოთვლა.

— ოო, ეს კი იციან.

კი არ იციან, იცოდნენ ოდესღაც, მაგრამ მანია დეიდას მაინც ასე ვუთხარი.

— მერე რატომ? იქნებ ქალი ვარ და არ მომწონხარ, რატომ უნდა მომიტაცო?

— იმიტომ, რომ მე მომწონხართ.

— ოჰ, ეს როგორ შეიძლება? — აღშფოთდა მანია დეიდა, თითქოს ის მართლაც გოგო ყოფილიყო, მე კი მისი მომტაცებელი, — ჩემმა ქმარმა ხვეწნა-მუღარით დამითანხმა. ისეთ ვინმეს რომ მოვეტაცე, ვინც არ მეყვარებოდა, თავს მოვიკლავდი! ნამდვილად თავს მოვიკლავდი!

— ყველა ქალი ასე ამბობს, მაგრამ მაინც იტაცებენ.

— მერე?

— მერე ყველაზე ტკბილად სწორედ ისინი ცხოვრობენ. თავის ნებით შეუღლებულნი კი ბევრი გაყრილან.

მანია დეიდა ჩაფიქრდა. ეტყობა, ჩემმა ნათქვამმა რომელიღაც ოჯახის მწარე ბედი გაახსენა. მერე ამოიოხრა და თქვა:

— ეჰ, მგონი ეგ მართალია! ასეთი ამ ბავი თვითონ ჩემს თვალწინ მოხდა, აი აქ!

— ჩემს ოთახში?

— დიახ.

— ჰო, მართლა, ჩემს მოსვლამდე ვინ ცხოვრობდა აქ?

— დედა-შვილი, — ნათელე ვიწრო თუნა.

„აჰა, აი თურმე ვინა ყოფილა ნათელა. მე კი მანია დეიდას დისწული თუ ძმისწული მეგონა. კიდევ კარგი მაშინ არა ვკითხე, ნათელა ვინ არისო.“

— მანამდე კი მარტოხელა კაცი ცხოვრობდა, მსახიობი. მოხუცებული იყო, მაგრამ თეატრს მაინც ვერ ეშვებოდა... მერე ახალი ბინა მისცეს და პენსიაზედაც გაუშვეს. ამ ოთახში მის ნაცვლად ისევ მსახიობი — თქვენსავით უცოლო ბიჭი შემოასახლეს. ზურაბი ერქვა. მოსვლის პირველ დღეს მასაც თქვენსავით გავეხუმრე — პატარძალი მალე მოიყვანე-მეთქი. მალე მოვიყვანო შემპირდა.

— მერე? შეასრულა პირობა?

— კი, შვილო, სტუდენტი გოგონა ითხოვა. ნათელა ერქვა. იცი რა ლამაზი და ჭკვიანი იყო?! ისეთი გოგოები სანთლით საძებნელები არიან.

წლისთავზე გოგონა შეეძინათ. ქეთუ-ნა დაარქვეს.

ზურაბს მხოლოდ მამა ჰყავდა, ნათელას — გაუთხოვარი და გოროზი მამიდა. ისინი მხოლოდ სტუმრად თუ მოვიდოდნენ ახალგაზრდებთან, ისიც იშვიათად. ზურაბი სულ ხელმოცარულობას უჩიოდა. ცხოვრება არ მიმართლებსო, წუხდა.

ნათელა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მარტოხელა. მეცოდებოდა და იმიტომაც მამიდას მაგიერ მე ვეხმარებოდი ბავშვის გაზრდაში.

ზურაბი მოსიყვარულე მამა და ყურადღებიანი ქმარი იყო. რა ვიცი, თვალის დაუდგეს, ყოველშემთხვევაში ასეთი ჩანდა... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სამუდამოდ მიატოვა ოჯახი.

— როგორ თუ მიატოვა?

— ადგა და სხვაგან წავიდა.

— რატომ, მანია დეიდა?

ვალერიან ჩუბინაძე

კირიტი თუ ნაცირიტი

-- აბა რა ვიცი!

--- თქვენ არა, მაგრამ ნათელამ ხომ იცოდა მიზეზი, არ გითხრათ?

— მათ შორის არაფერი ცუდი არ მოხდარა და რა უნდა ეთქვა. ამ თთახში ჩემს თვალწინ ორი წელი ცხოვრობდნენ, მათი ხმაძალალი საუბარიც კი არ გამიგონია. ნათელა ჩემთან გულახდილი იყო და ხშირად უთქვამს: მანია ბიცოლა, ისე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ბედნიერებისა მე თვითონ მეშინიაო. ნუ სულელობ, ღმერთს არ აწყენინო-მეთქი. ნათელას თვალეზი სიხარულის ცრემლებით აევსებოდა, გადამხვეოდა, ლოყებს დამიკოცნიდა და მეუბნებოდა: არ ვიცი, მანია ბიცოლა, არა მგონია ადამიანი სულ ასე ბედნიერი იყოს მთელი თავის სიცოცხლეო. ჩემი თავი მოუყვადეს, ალბათ გული უგარძნობდა, — ქალს ცრემლით აევსო თვალი. — გული მეწვის, შვილო, ობლად გაზრდილი გოგოა, გაუთხოვარი მამიდას მეტი არავინ ჰყავს. რაც ბავშვობაში და ქალიშვილობაში სიხარული დამაკლდა, ზურაბმა ახლა ყველა ამინაზღაურაო. მართლაც ისე ეპქეოდა, ისე ეფერებოდა, ისე დაჰკანკალებდა, რომ ქალი გაგიყვებოდა იყო. თავი ზღაპარში ეგონა. სულ ღმერთს ეხვეწებოდა, თუ ეს სიზმარია, ამ ნეტარების ბურუსიდან სიკვდილამდე ნუ გამომათეხიზლებო. მაგრამ უკუღმა მოარული ბედი აბა მეტს რას აკეთებს. მათი ქეთუნა ორი წლისაც არ იყო, რომ დაცილდნენ.

— ჰოდა, რა იყო მიზეზი? რატომ დაცილდნენ?

— არ ვიცი, შვილო. მე იმ წელიწადს მუხლების ტკივილს ვუჩიოდი და ჩემმა ბიჭმა წყალტუბოში წამიყვანა. სამი კვირა დაერჩი იქ. ჩამოსაყვანად რომ ჩამომაკითხა, მითხრა ნათელა და ზურაბი დაცილდნენო. მე ჯერ მეგონა ვილაც სხვებზე მეუბნებოდა, მერე მითხრა, ჩვენს მეზობლებზე გეუბნებიო. მართალი გითხრა, არ დავიჯერე. ყველაფერს ეიფიქრებდი, მათ დაცილებას კი — ვერა. მაგრამ ნუ დაიჯერებთ თუ არ გინდა!

ნათელას მე დედასავით ვუყვარვარ. ვიცოდი, არაფერს დამიძალავდა. გამოვკითხე, მაგრამ ვერაფერი ვერ მითხრა. საცოდავი ქალი ბურანში, იყო ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ ის უბედურება მართლა მის თავზე ტრიალებდა. თავი უსიამოვნო სიზმარში ეგონა. მაგრამ თქვენს მტერს იმისთანა სიზმარი.

„მიზეზი არ ვიცი, მანია ბიცოლა. ერთ საღამოს გვიან მოვიდა, არეული იყო. არც ბავშვს მოფერებია, ლაპარაკის თავი არა მაქვსო, დაწვა. დილით გვიან ადგა. ზურაბ, გადაღლილი ხარ, დასვენება გინდა, შვებულება აიღე-მეთქი შევეხვეწე. ჰო, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთო, თქვა. ჩაიცვა და წავიდა. მეორე საღამოსაც გვიან მოვიდა. არც მაშინ უთქვამს უხასიათობის მიზეზი. ბავშვს არც მაშინ მოფერებია და გული რალაცნაირად გამიხდა. მერე ჩემს თავზე გავჯავრდი — რა მოხდა, ხომ შეიძლება გადაღლილი ადამიანი არ იყოს ხასიათზე და არ მოეფეროს შვილს, როგორ შეიძლება ამაზე დაეკვება-მეთქი. მესამე დილით კი მითხრა, მე სახლში აღარ დავბრუნდებო და წავიდა“, — აი, სულ ეს არის, რაც ნათელამ მითხრა.

— კი გითხრათ, მანია დეიდა, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ სიყვარულით შექმნილი ოჯახის დანგრევა უმიზეზოდ არ შეიძლება.

— რა თქმა უნდა, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ის მიზეზი იმხელა უნდა იყოს, რომ ოჯახის დანგრევად ღირდეს.

— იქნებ არის.

— მაშინ ის მიზეზი სხვამაც უნდა დაინახოს.

მანია დეიდა მართალი იყო. ოჯახის დანგრევას ისეთი მიზეზი უნდა ჰქონდეს, რომლის გამოსწორება აღარ შეიძლება, თორემ პატარა მიზეზებმა ხუხულებით რომ ანგრიონ ოჯახები, ქვეყანა გადაგვარდება.

— არ ვიცი, მანია დეიდა, მე მაინც ვერ მივხვდი რა მოხდა.

— თქვენ კი არა, შვილო, თვითონ ნათელამაც არ იცის ზურაბს რამ აუყარა

ოჯახზე გული. ნეტა გაჩვენათ, როგორ გოგოს ზრდის. ქეთუნასთან ლამაზი ბავშვი ორი არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში. ჩემს ხელში გაიზარდა. ახლა მეშვიდე კლასში სწავლობს. ახალ ბინაში რომ გადადიოდნენ, ვიტყრე. ასე მეგონა. თითქოს ჩემი შვილი და შვილიშვილი ჩემგან საღდაც შორს მიდიოდნენ.

ცალ-ცალკე მომჩივანი ორივე მართალი ეგონათო. მანია დეიდა როგორც ლაპარაკობდა, სულ ასე არ იქნება-მეთქი, ვფიქრობდი. ასე იფიქრებ კაცი, აბა რა იქნება. როგორ შეიძლება ნორმალურმა კაცმა უმიზეზოდ დაანგრიოს სიყვარული შექმნილი ოჯახი.

— სასამართლოც ჰქონდათ, — განაგრძობს ქალმა.

— მერე, სასამართლოზე მიიწვი არ იტყვა მიზეზი?

— მე ამ ოჯახში არ შემიძლია ვიცხოვრო, ზურაბმა მარტო ეს თქვა.

— რატომო?

— ეს უკვე ჩემი საქმეაო. მოკლედ, ვერაფერი მიზეზი ვერა თქვა.

„ვერ თქვა კი არა, არა თქვა. ალბათ არ უნდოდა საქვეყნოდ გამოეტანა და არა თქვა“, — გავიფიქრე გულში.

— არა, გოგი, არა, შვილო. ნათელა ნამდვილად არაა დამნაშავე. იმიტომაც ეცოდნებოდათ ასე ძალიან ამხანაგებს. ნათელას ძალიან კარგი ამხანაგები ჰყავს. ისინი ახლა კარგ თანამდებობზე მუშაობენ. ერთმა ბინის საქმე გაუკეთა, მეორემ სამსახურის. ერთმა კი, — მანია დეიდამ გაიღიმა, — ერთმა იცით რა გააკეთა?

— ალბათ ზურაბი სცემა.

— მაგასაც უპირებდნენ, მაგრამ ნათელა ატირდა, არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ჩემი მიზეზით იმას ვინმემ ზელი შემოჰკრასო. ხომ გეუბნები საცოდავი გოგოა, დღესაც ისევ უყვარს.

— რა ქნა იმ ერთმა?

— ჰო, ის ერთი ბიჭი დრამატურგია, ისეთი ბიჭი, რა გინდა ამ ცხოვრებაში რომ არ შეძლოს და არ გააკეთოს. იმ ბიჭმა ნათელასა და ზურაბის ამბავზე

აიესა დაწერა. დაწერა და განგებ მიიტანა იმ თეატრში, სადაც ზურაბი მოუშავდა. საქმე ისე მოუწყო ზურაბს, ისეთი თარი ოჯახის დრამაში თითონ მანია მაშინ მაშეებენ მთავარ როლს, ესე იგი საკუთარ თავს.

ასეთი რამ, რასაც ახლა მანია დეიდა მეუბნებოდა, არც წამიკითხავს სადმე, არც გამიგონია — კაცი ათამაშონ საკუთარი თავის როლში. როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს, ისიც ასე პატარა ქალაქში და იგი არ გახმაურდეს.

— მანია დეიდა, რომელი სპექტაკლია, რა ჰქვია?

— ჰქვია „სამი მიხაკის ზღაპარი“, მაგრამ ვერ არ გადის. მზადდება. როგორც ვიცი, მალე იქნება პრემიერა.

„აა, ეტყობა ეს ამბები თითონ ნათელას მოაქვს ამ ქალბატონთან. ეტყობა, ნათელა ერთგვარი შურისძიების გრძნობით არის აღზევებული და მოუთმენლად ელის პრემიერას“.

მანია დეიდა ზღაპარავით ყვებოდა. რა დასაჯერებელია, როგორ შეიძლება კაცი აიძულონ და სცენაზე ათამაშონ თავის მიერ ერთხელ უკვე ჩადენილი ცუდკაცობა? მე არ ვიცი, როგორ კისრულობს ყოველ საღამოს მასურებელთა წინაშე გაიმეოროს თავისი ოჯახის დრამა და ხალხი აცინო საკუთარ თავზე, საკუთარ ბედზე... მაგრამ მე მგონია, აქ სხვა ამბავია...

ტელეფონმა დარეკა. კაი რჩიანი ხმა ჰქონია, მანია დეიდა შეაკრთო. არ მოველოდით და ალბათ ამიტომ. მაშინვე წამოვხტი. ბუცუ იყო. ორმოცდაათი ვაზნა გაეტენე, ხომ მეყოფაო, მკითხა. მწკერზე ხომ არ მივდივართ-მეთქი, გამეცინა. მერე შევეთანხმდით, დილით რომელ საათზე უნდა ვყოფილიყავით ავტოსადგურში.

ყურმილი რომ დავდე, მანია დეიდა წამოვდგა.

— ამდენი საუბრით თავი შეგაწყინეთ, — მოიბოლიშა მან.

ვალერიან ჩაპუჩიანი
პირით თუ ნაცრით

— როგორ გეკადრებთ, პირიქით. დაბრძანდი დეიდა მანია, რატომ ადექით?

— წავალ.

— რა გაჩქარებთ, ღამე დიდია.

— მერე რა, წასასვლელი ხარ, დასვენება გინდა.

— ყველაფერს მოვასწრებ.

— აბა კარგად იყავი, კეთილად იმგზავრე.

— გმადლობთ, მანია დეიდა.

ქალი უხმაუროდ გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა.

იმ საღამოს შუალამემდე მოვუხნდი თოფ-იარაღის მომზადებას. გარეთ კი ისევე ბარაქიანად თოვდა. საოცარი სიჩუმე იყო ქალაქში. ისეთმა სურვილმა წამომიარა, — ჩამეცვა, გავსულიყავი და დაიხნებულ ქალაქის ქუჩებში დილამდე მეხეტიალა თავაუღებელი თოფაში. „ამ თოვამ რომ ასე გააჩუმა ქალაქი, რა იქნება ახლა ჩემს სოფელში“, — ვფიქრობდი. მერე თვალწინ დამიდგა დაღუპებული არტანი, რომელსაც სძინავს და ათოვს, ათოვს ბარაქიანად. შუალამისას კი ქანდარზე ჩამომჯდარი მამალი სეოცხლის პულსს უსინჯავს სოფელს.

გვიან დავეწექი. არ იქნა, ვერ დავიძინე. მთელი ქვეყანა შემოვიარე, ხან არტანში ჩემს მონადირე ამხანაგებთან ნადირობის გეგმას ვაწყობდი, ხან სამსახურში მოადგილეს ვეხვეწებოდი სამი დღით გამიშვო. მერე მანია დეიდას ნალაპარაკები ვამახსენდა. სცენაზე წარმოვიდგინე ნათელასა და ზურაბის ამბავი, წარმოვიდგინე ახალგაზრდა კაცი საკუთარი ოჯახის დრამას როგორ ურცხვად თამაშობს ქვეყნის წინაშე და საკუთარ სისულელეებზე აცინებს ხალხს. მაგრამ ეს უკვე არ მჯერა. მე მგონია, აქ სხვა ამბავი მოხდება. მე მგონია, ის ბიჭი ასე იოლად, ასე უბრალოდ არ დათანხმდებოდა საკუთარი თავის თამაშს. თუ ნიჭიერია, ამ ბრწყინვალე მომენტს იგი ხელეღან არ გაუშვებს. სასამართლოზე კი არა, სცენაზე გაიმართლებს თავს, საზოგადოებას დაანახევებს, რომ

ის არ არის დამნაშავე ოჯახის დანგრევაში, როგორც ეს გარეგნულად ჩანს. აიენის ტექსტს შეიძლება არც მისაქცევოს ყურადღება. ის, სადაც — სადაც იტყვის სიმართლეს. პიესის ფინალი სულ სხვა გზით წავა და დასრულდება სხვაგვარად. დამდგმელი რეჟისორი და პიესის ავტორი აღშფოთდებიან, გადაირევიან, მაგრამ რალა დროს. გამარჯვებული ზურაბი თამამად იტყვის: სადაც თქვენი დაიკვეხით, იქ ჩემიც თქვითო... მე ვგრძნობ, ასე მოხდება. აი ნახავთ, თუ არა. აბა ისე რატომ დათანხმდებოდა? ბოლოს და ბოლოს სულ მიატოვებდა თეატრს. წავიდოდა, მუშად იმუშავებდა, თავს კი არ გაიმასხარავებდა. თქვენ ნახავთ, თუ მე მართალი არ გამოვდგე. აი ნახავთ, აღდგომა და ხვაილო.

ბოლოს, როგორც იქნა, დავიღალე და ფიქრები პირდაპირ სიზმრებად გავრქელდნენ.



მე და ბუცუმი კარგად მოვიხადირეთ არტნის მთები. ვაჟკაცურად დავბრუნდით: ჩამოვედით დალილები, დაოსებულები. მუხლები ვეტკიოდა და გვსიამოვნებდა.

მე ნადირობაში ბედიანს მეძახიან. იშვიათად ვბრუნდები ხელცარიელი. მაგრამ ახლა რომ გამიმართლა, ტყუილია! თითქოს ნანატრი ამხდომოდა, სანიოს ტყეში ძაღლების გნისით დამფრთხალი ზედი მგელი მომადგა ზედ. ვესროლე და კმუილით ავაკლებინე იქაურობა. მეორეც ვესროლე და...

თბილისში რომ დავბრუნდი, იმ მგლის ტყავი მანია დეიდას ფეხებთან იატაკზე გავკვიმე და წავიტრაბახე, — აი, ვისი სისხლის ასაღებად წავედი-მეთქი.

მანია დეიდა იმის შემდეგ სულ სხვანაირი თვალთ მიყურებს. მას ჰგონია, რომ მთის ადათ-წესები მე სისხლში ავადმყოფურად მაქვს გამჯდარი.

მანია დეიდას ასე რომ ჰგონია, მე ეს არც მწყინს, არც მიხარია, უბრალოდ მეციენება. ალაღბედზე დავიმუქრე, იმ

მგელს ჩემი ბურვაციის შექმმას არ შევარჩენ-მეთქი და ამ ქალს ჰგონია, მე მართლა თავი მოვიკალი, ვიღრე ის მგელა სიცოცხლეს არ გამოვასალამე.

მეორე დღეს სამსახურში ბიჭები შემომეხვივნენ, რა ქენიო. რისთვისაც წავედი ჩამოვიტანე-მეთქი, იქაც წავიტარაბახე. სერგო აყვირდა, ყველა მონადირე მატყუარაა, ამანაც დააბრაზაო.

— კარგი, რა ჩამოიტანე? — მკითხა სანდრომ.

— რა და შველი.

— შველი არა მგელი, — გამიქილიკა სერგომ.

— სხვათაშორის ორივე ჩამოვიტანე. — ვთქვი მე.

— მოდი, დავნაძლევდეთ, რომ ორივე არ ჩამოვიტანია!

— დავნაძლევდეთ!

— პეტრე, გაჭერი ხელი.

— რაზე დავნაძლევდეთ?

— შენ თქვი.

— ვინც წააგებს კარგი პურ-მარილი იკისროს ჩვენი დასწრებით, — სათავისო არ დავიწყა სანდრომ.

— კარგი, — უხალისოდ თქვა სერგომ.

ხელი გაიჭრა, სანაძლეო ძალაში შევიდა.

ხუთი საათი რომ შესრულდა, სამსახურიდან პირდაპირ ჩემთან წავედიო. გზაზე ვურჩიე, ღვინო ახლავე გამოიყოლე, მერე გამოსვლა დაგეზარება-მეთქი. არ დამიჯერა. ჯერ მგელი და შველი ერთად მაჩვენე, ღვინოზე მერე ვილაპარაკოთო.

იმ სადამოს გემრიელად მოვილხინეთ. თან ბიჭებმა სასიამოვნო ამბავიც გამაგებინეს. ამ ზაფხულს თუშეთის მთებში გეოლოგიური პარტიის გაგზავნა შეიტანეს წლიურ გეგმაში, ბიჭები წასვლას ვაპირებთ, შენ რას ფიქრობო.

მე ოთხი წელი ზედიზედ მიხდებოდა მთებში ხეტიალი. რაკი ბინა მივიღე, წელს ცოტა სხვანაირ გეგმას ვაწყობდი. მაგრამ ახლა თვალწინ დამიდგა ალპური მთები, წყაროს პირს ვაშლილი კარავი, ჩვენი ბიჭები და რაც ყველაზე სასია-

მოვნოა, ძიება, ვერ პოვნით გულის არ გატენა და ისევე ძიება. ბოლოს მიგნება და უდიდესი სიხარული.

მაგრამ ახლა მაინც არ შემეძლოთა მე გადაჭრით მეთქვა წასვლის ან არ წასვლის თაობაზე. ნელი უნდა მენახა. ნელისთან საუბარი გადაწყვეტდა ამ საკითხს. ამიტომ ბიჭებს ვუთხარი, ორსამ დღეში მოვიფიქრებ და გეტყვი-მეთქი.

ერთ კვირაზე მეტი გავიდა, ნელის არც დაურეკავს, არ შემხვედრია. არც იცოდა, რომ მე ბინა მივიღე და ტელეფონიც კი მედგა, თორემ რა გააძლებინებდა, აუცილებლად დამირეკავდა. იმ დღეს მე რამდენჯერმე დავრეკე და ყოველთვის ნელის დედამ მიპასუხა. ნერვებზე მოვიშალე.

სამუშაო საათები რომ დამთავრდა, კაფე „მარგში“ ამოყვავი თავი. ვარეთ ყინავდა, შიგნით სასიამოვნოდ თბილოდა და მინები შეორთქლილი იყო.

კაფეში არც ახლა ყოფილა ბევრი ხალხი. მე ისევე ჩემს მაგიდასთან დავჯექი და შეორთქლილი მინა ქალაღის ხელსახოცით გავწმინდე, მინდოდა გარეთ მეტქირა.

მომტანმა ქალიშვილმა დამინახა თუ არა, შორიდანვე გამიღიმა და ჩემსკენ გამოემართა. მე მომეჩვენა, რომ ნათია განგებ, ჩემ მოსაწონად წამოვიდა ასე ლამაზად. გაღიმებული მომიახლოვდა, მომესალმა და რას მიბრძანებო, მკითხა:

— თქვენი გამგე აქ არის? — ვკითხე.

— აქ არის.

შემეტყო, რომ მეწყინა. ნათიას ამაზე გაეღიმა. ერთხანს ასე ჩუმად ვიყავით, მერე თქვა:

— ახლა ალბათ მალე წავა.

— მართლა?

— მე მგონია.

— მაშინ, მოვიციდი.

— როგორც ვინდათ.

ვალერიან ჩაპარინიშვილი

კირით თუ ნაცრით

— მანამდე მაჭამეთ რამე, — შინა-ურულად ვთხოვე.

— რას ინებებთ? — გვაქვს ეს, ეს, ეს და ესაო, ისე სწრაფად ჩამოთვალა, რაღაც „შტექსის“ მეტი ვერაფერი დავიმახსოვრე.

— ერთი „შტექსი“ მომიტანე, — ვუთხარი.

— ბიშტექსი, თუ რამშტექსი?

— რომელიც გინდა იყოს, ეგენი ძმე-ბი არიან.

ნათიამ გაიცინა და მე ახლალა შევამჩნიე, რა ლამაზი კბილები ჰქონდა.

რამშტექსი, პური, კიდეც?

— ჟიბიტაური.

— ჟიბიტაური ვინ არის? — ვაოცებულმა მკითხა.

— თქვენი დირექტორი.

— ჩვენი დირექტორი ძიძარიაა, აქცენტი ძიძარია.

— მერე სახლიდან ხომ არ გამოაგდეს, რატომ არ მიდის შინ?

— რა ვიცი. წავა ალბათ, კიდეც რა მოგიტანოთ?

— ყავა.

— ყავა ვიცი, რომ არ გიყვართ.

— რა იცი?

— ვიცი. იმ დღეს ისე სევადით, თითქოს ყავა კი არა, თევზის ქონი ყოფილიყოს.

გამეცინა.

— მაშინ ისიც გეცოდინება, რა მომწონს.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, ნელი ხომ არა ვარ.

ამას ჰგონია, ნელიმ კი ძალიან იცის, რა მომწონს და რა არა. ყველა გოგოს კი არა აქვს იმის ალლო, რომ დაგაკვირდეს და უთქმელად მიგიხედეს.

— სიცივეში ლიმონათს არ გირჩევთ. კაკაოც არ გიყვართ?

— კაკაო კი მიყვარს.

ნათია გაბრუნდა და მალე ყველაფერი მოიტანა.

მე ქალაღის ხელსახოცით კიდეც გავწმინდე მინა. ვჭამდი, თან გარეთ ვიყურებოდი. მეცინებოდა, ზოგი ისე

დაცხადფუცხით გარბოდა სიცივისგან ვათოშილი.

სოფელში რომ წავედი თოვლის სანა-მოსელით საოცრად გლამაზებული და დავტოვე თბილისი; ჩამოვედი და გატიალეზული დამხვდა. იმ დილით ჯერ კიდევ ლამაზად თოვდა, მეეზოვეები რომ არნადებით გამოცვივდნენ და ქუჩებს შეესივნენ. თოვლს ხვეტავდნენ და ტროტუარებზე ქვანახშირის ნაცარ-ნამწვეს აყრიდნენ. ახლა აქა-იქლა ეყარა ერთად მიქუჩებული ჭუჭყიანი თოვლი.

ერთი ასეთი თოვლის გორა კაფეს წინ, ჰადრის ძირშიც იყო. მე რომ ვჭამდი, ამ დროს საიდანღაც რკინის ნიჩაბიანი მეეზოვე გაჩნდა თოვლთან. მერე მანქანაც მოდგა. კაცი ჭუჭყიან თოვლს დააცხრა და მანქანის ძარაში დაუწყო ჩაყრა. ნიჩბის უსიამოვნო ფხაკუნი კაფეშიც კი აღწევდა.

— დირექტორი წავიდა.

მოვიხედე, ჩემს წინ ნათია იდგა.

— მაღლობა ღმერთს! — ვთქვი. ქამა უკვე დამთავრებული მქონდა და წამოვდექი. ფული რომ ამოვიღე, ქალიშვილმა ზეპირად თქვა:

— ორი მანეთი და ერთი აბაზი.

ორი და ოციო აღარა თქვა. ისევ სამი მანეთი მივეცი. თეთრი წინსაფრის ჯიბეში ხურდას დაუწყო ძებნა. არ გინდა-მეთქი, ვთქვი და მაშინვე გაზეპირებული მაღლობა მომაგება.

— წამოდით, დავერკოთ, — მითხრა და წინ გამიძღვა.

ნომერი აღარ უკითხავს, პირდაპირ დარეკა. გამიკვირდა, როგორ დაიმახსოვრა.

— თუ შეიძლება ნელის თხოვეთ, — უთხრა ვილცას. მერე ყურმილს ხელი დააფარა და ჩურჩულით მითხრა, ბიჭმა მიპასუხაო.

მე მივხვდი, ნელის უმცროსი ძმა იქნებოდა.

— ნელი ხართ? გოგი ახალაურს ელა-ბარაკეთ, — უთხრა და ყურმილი მომაწოდა.

მე ისევ რუსიკო ვიყავი და ვთხოვე, ჩემთან მოსულიყო. კარგი, მოვალო. კაფე „მარხში“ გელოდები, ესლავე წამოდი-მეთქი, ვუთხარი და ყურმილი დავკიდე.

დირექტორის კაბინეტიდან რომ გამოვედი, ნათიამ მკითხა, რა ქენი, არ ელაპარაკეო? კი, ველაპარაკე-მეთქი, მადლობა გადავუხადე. მერე ისევ ჩემს მაგიდასთან დავჯექი და სიგარეტი ვავაზოლე. ნათია მიხვდა, მე ნელის ველოდებოდი.

გარედან აღარ ისმოდა რკინის ნიჩბის ფხაკუნი. მეეზოვეს ჭუჭყიანი თოვლის გორა გაექრო. მე ვიჯექი, სიგარეტს ვაბოლეზდი და შეფარვით ვუყურებდი ნათიას, ვიცოდი, რომ მას ეს არ გამოპარვია, მაგრამ განგებ არ დაუწყია კეკლუცობა.

და მე ეს მომეწონა.

თხუთმეტი წუთი რომ გავიდა, მერე უკვე კარებისკენ გამირბოდა თვალები. რამდენი გოგოც შემოვიდა, ყველა ნელი მეგონა. ეტყობა, არც ეს გამოპარვია ნათიას, ხანდახან გამომხედავდა და ისე გამიღიმებდა, თითქოს მეუბნებოდა,— ძალიან გყვარებია, ასე დიდი ამბით რომ ელოდებო. მერე შევატყვე, მასაც აინტერესებდა დაენახა ვის ველოდებოდი, როგორი გოგო იყო.

როგორც იქნა, დაადგა საშველი, ნელიმ შემოაღო კარი. იმ წუთში მინდოდა ნელი ძალიან ლამაზი ყოფილიყო, ისეთი ლამაზი ყოფილიყო, ნათიას ვერ გაეფიქრა გულში, — ეს არის? ამას ელოდი ასეთი დიდი ამბითო? თითქოს ჯიბრზე, ნელი სწორედ ძველი პალტო-თი და ძველი ფეხსაცმელებით მოვიდა. გაფითრებული იყო, თითქოს კოჭლოზდა კიდევ. სიცოვისაგან ტუჩებიც გალურჯებოდა. მოვიდა, გამარჯობა თქვა და მაშინვე სკამზე დაჯდა. სხვა დროს შეხვედრა მაინც იცოდა ადამიანური. ახლა რა ღმერთი ჰქონდა გამწყრალი, არ ვიცოდი. ღიმილი უყვარს და უხდება კიდევაც. მაგრამ ისე მოღუშული იყო, თითქოს სიცილიც ახალ პალტოს-

თან ერთად დაეტოვებინა სახლში. მერე მაგიდისკენ დაიხარა და მივხვდი, მუხლზე ისვამდა ხელს.

— ნელი, რა მოგივიდა? ხმა არ გამცა.

— ნელი, ცუდად ხომ არა ხარ?

ამ დროს ნათია თეთრი ანგელოზივით გაჩერდა ჩვენს წინ.

— აგერ გაჩერებასთან დავვარდი, ტროლეიბუსიდან ჩამოსვლისას.

უჰ, როგორ არ მინდოდა, რომ ეს სიტყვები ვინმეს გაეგონა. მაშინვე ნათიას ავხედე, მას ოდნავ ეღიმებოდა, მაგრამ შუბლშეკრული რომ დამინახა, სახე გაიყინა.

— რას ინებებთ? — დინჯად იკითხა მან.

— ნელი, რა მოვატანიინო?

— არაფერი.

— ნელი, გცივა. ცხელი რამე მოვატანიინოთ, გათბები.

— მომეშვი, არაფერიც არ მინდა!

ნათიამ ტუჩები აიბზუა და გაბრუნდა.

გავსკდი გულზე, ისე წამინდა ხასიათი, ხმის ამოღება აღარ მინდოდა. კინოში შევალთ-მეთქი ვფიქრობდი. ახლა კინო კი არა, ლამის წამოვმტარიყავი და გავტყუულიყავი.

გარეთ გვარიანად ციოდა, სეირნობა არ შეიძლებოდა. კაფეში ჯდომა კიდევ არ მინდოდა. არადა, ნელი თითქოს ჯიბრზე ისევ მუხლზე ისვამდა ხელს. მერე შეწუხებულმა თქვა, წინდა დამხვეიაო. არ ვიცი, ეს იყო თუ არა ბიჭისთვის სათაკილო, მე კი აქეთ-იქით გავიხედე, ხომ არავინ გაიგონა-მეთქი.

მეც უცნაური ვარ. ერთხელ რომ გადამიტრიალდა ხასიათი, მერე ყველაფერს მგლის თვალით ვხედავდი, მიჩვენებოდა, რომ ნელის მოქცევები ჩრდილს მაყენებდა. მომეჩვენა, რომ მე და მას არ შეიძლება საერთო რამე გვექონოდა. ამიტომ საკუთარ თავს დაუწყვდ დარიგება: „გოგია ახალაურო,

ვალერიან ჩაპრაიშვილი

კირიტი თუ ნაცრიტი

ცოტა დაფიქრდი, ვისი შერთვა გინდა, ხართ კი ერთმანეთისათვის დაბადებულნი? ვაგივებს? ვაგიტანს? საერთოდ, ესმის შენი ენა? დაუფიქრდი, შვილო-სა, დაუფიქრდი. მერე შენც გინდა მიხაკის ზღაპრები აწერინო?“

ნელისთან შეხვედრის წელანდელ გეგმას დიდი ჯვარი დავუსვი და ზედ ვაწერე: „არც ბინის შესახებ დავძრავ ენას და არც ტელეფონის შესახებ. არც შეთანხმება საჭირო, მივდივარ თუშეთის მთებში!“

მერე მივხვდი, მისი ერთი შემოხედვით მივხვდი, რომ ნელის პირიქით, — ჩემზე მოსდიოდა გული, რატომ არ შევიცხადე, უპ, ეს როგორ დავემართა, უპ, ძალიან ხომ არ ვტყვივა? არიქა, ტაქსი! არიქა, ექიმიო! — არ დავფაცურდი. „მთაში გაზრდილს ვინ მისცა ამდენი შნო და მოქნილობა“, — ფიქრობდა იგი. მე კი მართლაც არა ვარ ამის ბიჭი, არ შემიძლია ის ვითამაშო, რაც არა ვარ. არ შემიძლია მოსაჩვენებლად და საამებლად ავტეხო განგაში, ისიც მაშინ, როცა საამისო არაფერია.

„ახლა მე ამას შეწუხებისთვის ბოღმს მოვუხდი და სახლამდე გავაცილებ. ტაქსით მივიყვან, რომ ტროლეიბუსიდან აღარ ჩამოვარდეს. ხვალ კი ბიჭებს ვეტყვი, რომ მეც მივდივარ თუშეთის მთებში“, — გადავწყვიტე და ახალი სიგარეტი გავაბოლე.

დილით სახლიდან რომ გავდიოდ, მანია დეიდამ დერეფანში გამოხედა. ერთმანეთს დილაშვილობისა ვუსურვეთ, მერე ვკითხეთ ხომ არაფერი გნებაეთ-მეთქი.

— ჰო, მინდოდა მეთქვა, რომ დღესაა პრემიერა.

მე უცებ ვერ მივხვდი რას მეუბნებოდა.

— ამ საღამოს არის იმ სპექტაკლის პრემიერა, გახსოვთ, მე რომ ვიამბეთ?

-- კი, კი, გამახსენდა, დღეს არის?

— დიახ, ამ საღამოს. რამდენი ხა-

ნია ქუჩებში აფიშებიც ყოფილა გამოკრული.

მე თეატრის მოყვარულნი ვართ არ ვეკუთვნი. ამიტომ არ ვაქცევ ყურადღებას, სად რა სპექტაკლი როდის გადის. მანია დეიდამ რომ მიამბო, მაშინ კი დავინტერესდი, აფიშებსაც ვათვალიერებდი. მაგრამ მოლოდინში კარგა ხანი ვავიდა, ინტერესი თანდათან გამიწიდა. ჰოდა, როცა მე აფიშების თვალიერებას თავი დავანებე, რაც მე მაინტერესებდა, ის სწორედ მაშინ გამოუკრავთ.

— გუშინ ნათელა იყო. ხვალ მე და ქეთინო გამოვივლით და ერთად წავიდეთო, მითხრა. თუ წამოხვალთ, თქვენთვისაცაა ბილეთები.

— კი, მანია დეიდა, აუცილებლად წამოვალ. მაგრამ ბილეთებზე ნათელას ნუ შევაწუხებთ, დღეს სამსახურიდან გავვარდები და თვითონ ავიღებ.

— აპ, არა, ნათელას ბილეთები პიესის ავტორმა მოუტანა. მე ვუთხარი თქვენზე, კი ბატონო, თუ წამობრძანდება ავტორ ბილეთებით და ორი ცალი დატოვა.

შინ შევიდა და გამომიტანა.

— დიდი მადლობელი ვარ, აუცილებლად დავესწრები, — შევპირდი, მერე საათზე დავიხედე, სამსახურში მაკვიანდებოდა. წადი, წადიო, თვითონვე მითხრა და მეც გამოვვარდი.

გამიჩნდა საფიქრალი, — ვინ წამეყვანა მეორე ბილეთით. თან იმ დღეს უქმური ამინდი დადგა. ხან თოვდა, ხან წვიმდა, ხან მზე გამოიხედავდა. უქმური ამინდი აღამიანსაც უქმურ ხასიათზე დააყენებს ხოლმე. არც იმდენი საქმე მქონდა, რომ იმისთვის მაინც გადამეყოლებინა გული. დილით მოსკოვში გასაგზავნად ანალიზები გავამზადე, მიმართვის ტექსტი დავწერე, განყოფილების გამგეს წავაკითხე, გადავბეჭდინე და უფროსის მოადგილეს შევეუტანე. არც მას შეუტანია რამე ცვლილება, პირდაპირ მოაწერა ხელი. მერე

შიკრიქს ფოსტაში გავატანე გასაგზავ-
ნად. ეს იყო და ეს. იმ დღეს მეტი
არაფერი გამოიკეთებია. ქიმიის ინსტი-
ტუტში კი ვიყავი წასასვლელი, მაგრამ
ისეთ ამინდში გარეთ გასვლა დამეზა-
რა. საჩქარო არაფერი იყო და იქ წასვლა
სხვა დროსთვის გადავდე. მერე ხან ვი-
ჯექი და წიგნს ვკითხულობდი, ხან ბი-
ჭები შემოვიდოდნენ და თუშეთის მთე-
ბში მომავალი ექსპედიციის შესახებ ვა-
წყობდით გეგმებს.

ჯიბეში შედო ბილეთები და ვფიქ-
რობდი, ვინ წამეყვანა თეატრში. ერთ-
ხანს ვიფიქრე ნელის დავურეკავ-მეთ-
ქი, მერე ნათიაც გამახსენდა. ხან ერთი
წარმოვიდგინე თეატრში ჩემს გვერ-
დით, ხან მეორე. ნათიას კარგად არ
ვიცნობდი და სწორედ ამიტომ საინტე-
რესო იყო მასთან ერთად წასვლა. ნელი
კი გაბუტული მყავდა და ბევრი ხვეწ-
ნა-მულარას თავი არა მქონდა.

ასე ვიკავებდი თავს ოთხის ნახევ-
რამდე. მერე გადავწყვიტე ისევ ნელის-
თვის დამერეკა და თუ ბევრ პრანკვას
არ დამიწყებდა, მეთქვა, თეატრში წა-
ვიდეთ-მეთქი.

დავრეკე.
დედამისმა მიპასუხა.

მეორედ დავრეკე და არც ახლა ამო-
ვიღე ხმა. ეს არის ჩვენი ნიშანი. ნელიმ
იცის, რომ მე ვრეკავ. ორი წუთის შემ-
დეგ წესით მას უნდა დაერეკა, მაგრამ
არ დარეკა.

მე კარგად ვიცი ნელის ხასიათი. შეიძ-
ლება ხუთი წუთი შეიკავოს თავი. მე-
რე აუცილებლად დამირეკავს და თუ
გაჯავრებულია, უკმეხად მაინც მკითხავს
რა გინდაო. მაგრამ ხუთი წუთიც გავი-
და და ოციც, ტელეფონი მაინც დუმიდა.
ავდექი და ისევ მე დავრეკე.

ეტყობოდა სადღაც წავიდნენ, არავინ
მიპასუხა.

დილით ვკოჭმანობდი, დამერეკა თუ
არა, ახლა კი გული დამწყდა. მერე სა-
ერთოდ, ჩემს თავზე გავბრაზდი; ახალ-
გაზრდა კაცს ამოდენა ქვეყანაზე რო-
გორ არ უნდა გყავდეს ისეთი ვინმე,
ვინც შენთან ერთად თეატრში წამოვა.

უხერხულია, მარტო რომ მივიღე და
დავჯდე, რას იფიქრებენ?

კიდევ დავრეკე. ახლა უკვე ძალიან
მინდოდა ნელისთან საუბარი. შინ წამო-
დამხვედროდა, ნამდვილად მოვუხდირი
ბოდიშს და თეატრში წაყოლას ვთხოვ-
დი. კაცმა რომ თქვას, იმას თვითონ
ჰქონდა სათხოვარი და ბოდიში მოსახ-
დელი, მაგრამ მაშინ ასეთ ჭკუაზე ვიყა-
ვი.

კვლავ დუმიდა მათი ბინის ტელეფონი.
ხასიათი წამიხდა. გადარეული ამინ-
დის გამო არც ისე ვიყავი ბრწყინვალე
განწყობილებაზე, ახლა სულ მოვიცამე.
პალტოჩაცმული ბიჭები შემოვიდნენ,
რას ზიხარ, შინ რატომ არ მიდიხარო,
მკითხეს. საათს დავხედე, ხუთი სრულ-
დებოდა. ყურმილი ავიღე, ერთხელ კი-
დეგ ვცადე ბედი, მაგრამ ამოდ, ოთა-
ხის კარი დავკეტე და ერთად გამოვე-
დი.

გარეთ უბედურად ციოდა. კარგი
ამინდი რომ ყოფილიყო, ფეხით გა-
ვივლიდი რუსთაველზე. ისე რა დმერთი
გაწყურებოდა, რომ ნაცნობი გოგონა არა-
ვინ შემხვედროდა. ერთ-ერთი როგორ
არ წამოვიდოდა თეატრში, მაგრამ ახლა
გავლა არ შეიძლებოდა, ისე საზიზღ-
რად უბერავდა ცივი ქარი.

— ბიჭებო, „მარენში“ გებატიყებით,
მშოია, — სამივეს გასაგონად ვთქვი.

— მე შინ მელოდებიან, მალე მო-
დიო, დამირეკეს, ცოლშვილში გაიწია
პეტრემ.

— მეც შინ მეჩქარება, თორემ სია-
მოვნებით წამოვიდოდი, — თქვა ალექ-
სანდრემაც.

— ეგენი ცოლ-შვილიანები არიან,
შინ მიეჩქარებათ, წამოდი, მე წაგყე-
ბი, — მითხრა სერგომ.

წავედი.

მე ვფიქრობდი, იქიდან ერთხელ კი-
დეგ დამერეკა ნელისთვის. თუ ის არა,
მაშინ ნათიასთვის უნდა მეთხოვა თე-
ატრში გაყოლა. ხოლო თუ ისიც უარს

ვალბრინან ჩაპუროვილი
კირიან თუ ნაცრიო

მეტყოდა, სერგოს წაყვანას ვვარაუ-
დობდი.

„მარენი“ იმიტომ მომწონს, ამ კა-
ფეში ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭ-ბუ-
ჭები ვერ შემოდიან, არ აბოლებენ სი-
ვარეტებს და თავიანთი ხმამაღალი,
მოურიდებელი სიცილ-ლაპარაკით არ
იკლებენ აქაურობას. ეტყობა, დირექ-
ტორმა ამ ამბავს თავიდანვე მიაქცია
ყურადღება. კაფეს რომ მეტი სოლიდუ-
რობა ჰქონოდა, ღლაპებს თავიდანვე
ლაუწესა რეჟიმი, — თუ შემოხვალთ წე-
სიერად დასხედით და მიირთვით რაც
გინებოთ, არ გაფეგო თქვენი ხმამაღალი
სიცილ-ყვირილიო.

ახლა თითო ფინჯანი ყავის ფულს
რომ იშოვიან, აქ აღარ შემოდიან, რად-
გან თავს თავისუფლად ვერა გრძნო-
ბენ. ამიტომ „მარენში“ ყოველთვის
სასიამოვნო სიწყნარება. შეგიძლია შეხ-
ვიდე, დაჯდე, ერთი ლუდი დალიო და
დაისვენო.

„მარენს“ ის უპირატესობაცა აქვს,
რომ აქ ყოველთვის ნორმალური ტემ-
პერატურაა: ზაფხულში, — გრილა, ზამ-
თარში — თბილა.

კიდევ იმიტომ გამომწევს აქეთკენ
გული, ვიცი ნათიას ვნახავ, მაგრამ კაცს
თუ ერთხელ ფეხი გადაუბრუნდა, მერე
ყველაფერი უკუღმა დატრიალდება. ასე
მოსდა იმ დღესაც.

ჯერ ერთი: კაფეში უამრავი ხალხი
იყო და ძლივს მოვახერხეთ დაჯდომა.

მეორე: — რაკი ხალხი ბევრი იყო,
თეთრხალათიანი დირექტორი შინ წასვ-
ლაზე არც ფიქრობდა. ხელები უკან შე-
მოეწყო, იდგა და დარბაზს უთვალთვა-
ლებდა, ვინმემ არ აფრიოსო.

მესამე: — ნათია ისეთ გაწამაწიაში
იყო, შემეცოდა. შეკვეთების მიღება-
სა და მიტანას ვერ ასწრებდა. სისულე-
ლე იქნებოდა, მისთვის თეატრში წას-
ვლაზე რომ რამე მეტქვა.

შევვფუე იმ აზრს, რომ თეატრში არც
ნელი წამოვიდოდა, არც ნათია. შემომ-
რჩა სერგო. მე და სერგო უნდა გავმხ-

დარიყავით მოწმენი იმისა, ზურაბი სა-
კუთარი ოჯახის დრამას როგორც ვხედავ
შებდა სცენაზე.

ნათიამ, როგორც იქნა, შემამჩნია და
გამიღიმა. მალე მოვალე მანიშნა.

— გოგი, იმ გოგოს იცნობ? — ნა-
თიაზე მკითხა სერგომ.

— კი, ვიცნობ.

— კაი გოგოა, — თქვა და გაჩუმდა.

კაფეში კარგი გოგოების მეტი რა იყო.
თითქმის ყველა მაგისტანა ისხდნენ.
უპირავლესობას ბიჭები ახლდნენ. მაგრამ
ისხდნენ მარტონიც. წრუპავდნენ ყავას,
საუბრობდნენ, იცინოდნენ და აინუნშიც
არ აგდებდნენ, თუ ვინმე გამომწვევად
იყურებოდა მათკენ.

ნათია მოფრინდა, მომესალმა, სკამი
გამოსწია, დაჯდა და ღრმად ამოისუნ-
თქა.

— დაილაღე? — ვკითხე.

— ეჰ, ესეც თუ მუშაობაა. რა მო-
გართვათ?

— სერგო, რას ისურვებ?

— ჩემთვის სულ ერთია.

— მაშინ იცი რა... — გამეღიმა. ნა-
თია იმ წუთში მიხვდა, რის თქმასაც ვა-
პირებდი და დამასწრო:

— არ მითხრა, შენ რაც გინდა ის მო-
გვიტანეო.

— ნათია, ნუ წამართმევ სიამოვნების
საშუალებას.

— არა, არა, მე არ ვიცი. შემიკვეთეთ
და მოგიტანთ.

— ნათია, ბარემ გვითხარი ადვილთ,
წადითო და წავალთ.


— წადით რა!

— კარგი, წავალთ. — მორჩილად ვთქვი
და წამოვიწიე.

ნათიამ თვალეში შემომხვდა, გამი-
ღიმა, თავი აქეთ-იქით გააქანა, წამოხ-
ტა და გაიქცა.

ჩვენ ისევ დავსხედით.

ნათიამ მასახელა. ძალიან მალე მო-
ვიდა და მოგიტანა ტაფაზე ხახვში შემ-
წვარი კუჭ-მაჭიკი, თონის პური, მათო-
ნეზით შემზადებული ხორცის, კვერ-
ცხის, კიტრის მწნილის და რაღაც რა-
ღაცეების სალათა, მწვანილი, ლიმონათი.



და ორი ბოთლი კონიაკი.

— გოგი, ეს კონიაკები ბუტუმ გავმოგიგზავნა, — მითხრა.

— ვინა?

— ბუტუ მქვიაო, რა ვიცი.

— თითონ სად არის?

— აგერ იმ კუთხეში სხედან.

— ნათია, უთხარი, თითონაც აქ მოვიდეს.

— კი ბატონო, — თქვა და გატრიალდა.

ბუტუ მალე მოვიდა ჩვენთან. მისი შეხვედრა ძალიან გამიხარდა, რაღაცნაირად გამომიკეთდა გუნება. სერგოს გავაცანი, — ეს ის ბუტუა, არტნის ტყეში შველი რომ დააბუქსავა-მეთქი.

— მოდი, ერთად დავსხდეთ, — სუფრის შეერთება შემოგვთავაზა ბუტუმ. საწინააღმდეგო რა გვქონდა. ნათიაც მოგვეხმარა და კუთხეში გადავედით. ბუტუმ თავისი ამხანაგები გავაცნო. ერთს კოტე ერქვა (სიმბათიური ქალაქი კაცი იყო), ჩვენი ღირეჭტორიო, თქვა. მეორეს რეზო ერქვა, მხატვარიო, მესამეს — ანგია, ლიტერატორი იყო, ბუტუ-მოქანდაკე, მე და სერგო — გეოლოგები. საერთო ენის გამონახვა არ გავგჭირვებია.

თამადა იყო ბატონი კოტე, — მხიარული და საოცრად ენამოსწრებული კაცი. ანგია ჰყავდა ამოჩემებული. ხანდახან იმისთანა რაღაცას იტყოდა, სიცილით ვიხოცებოდით.

ბუტუ სადღეგრძელოებს შორის ჩვენი ნადირობის ამბებს ჰყვებოდა, ეს იყო არტნის ტყეში მგელს რომ რეკა და ურმული ამდერაო, ჩემზე თქვა. რეზო გაბრწყინებული, ჰკვიანი თვალებით გვიყურებდა. მერე გავიგე, თურმე ისიც მონადირე იყო. შევბირდი, სანადიროდ თქვენც წავიყვანთ-მეთქი.

— აჰ, არც შველი მინდა და ნურც მგლის ურმული გამაგონოს ღმერთმაო, — ხელები გაასავსავა ანგიამ და ჩვენ ყველას ერთდროულად გავგვიცინა.

მე თავიდანვე ვთქვი, რომ საქმეზე ვიყავი წასასვლელი და ბევრს ვერ დავ-

ლევდი. სერგომ კი მიაყოლა და ძირი უტრიალა ჰქიქებს. ნეტა თავიდანვე მე თქვა რამე თეატრში წასვლაზე, — თავს შეიკავებდა. ახლა უკვე გვიანი იყო. კაცი სმის ეშხში იყო შესული. და აღარც მე შევეუშალე ხელი.

კაფედან რომ გამოვედით, სპექტაკლი კაი ნახევარი საათის დაწყებული იქნებოდა. სერგო ისე იყო მთვრალი, ფახზე ძლივს იდგა. ქუჩაში ხომ ვერ მივატოვებდი, ტაქსი გვაჩერე. თანამესუფრეთ დავემშვიდობეთ და სახლში წავიყვანე. ეზოში რომ შევედით, ჭიდაობა დამიწყო, ვინდა თუ არა, ჩამოდი, ჩვენები უნდა გავაცნოო. ვეხვეწე, ვემუდარე. სხვა დროს მოვალ, ახლა მეჩქარება-მეთქი. ძლივს გამოვეგლოჯე ხელიდან.

ტაქსის მძღოლს თეატრში მიყვანა ვთხოვე. ახლა რაღა დროს თეატრია, სადაც არის დამთავრდებო, მითხრა. ეს მეც კარგად ვიცოდი, მაგრამ მინც წავედი.

მინის დიდი კარები ჩაკეტილი დამხვდა. ფოეში სინათლე ჩაეჭროთ. კაცის ჰაჭანება არ ჩანდა შიგნით. ჯიბიდან შაურიანი ამოვიღე და მინაზე დავაკაკუნე. რამდენჯერმე დავაკაკუნე. მერე, როგორც იქნა, გამოიხედა ქალმა. ხელი დაეუქნიე, მოდი-მეთქი. არ უნდოდა მოსვლა. ხომ ხედავ რა დროაო, მანიშნა. მინც დაეუქნიე ხელი. ვაჯავრებული წამოვიდა, კარი გააღო და რა ვინდაო შემომიბთია. მე ბოდიში მოვუხადე ქალბატონს. ბილეთები ვაჩვენე, რაღაცეები მოვჩმახე ამის და იმის გამო დამაგვიანდა-მეთქი. შეშველა ვთხოვე, თან შევბირდი — პარტერში ფეხს არ შევადგამ, იარუსზე ავალ მეთქი.

შემიშვა.

მართლაც მეორე იარუსზე ავედი, თავისუფალ სკამზე დავჯექი და სინათლეს აინთო.

დამთავრდა მეორე მოქმედება.

ვალერიან ჩაპუჩიშვილი
კირიტი თუ ნაცრიტი

●

პარტერში ხალხი წამოიშალა, ახმაურდა. ნელ-ნელა მიდიოდნენ გასასვლელისკენ. მაყურებელთა შორის ძალიან ცოტანი იყვნენ ახალგაზრდები. თეატრი სავეს იყო იმ ასაკის, იმ თაობის ადამიანებით, რომლებსაც თავიდანვე მოსდევთ თეატრის სიყვარული და ცალკე აქვთ გადნახული თეატრში ჩასაცემელი ტანისამოსი.

მანია დეიდას დანახვა მომინდა. მინტერესებდა, ის როგორღა იყო გამოწყობილი. მეხუთე რიგში უნდა მჯდარიყო. ვეძებე, ვეძებე და ძლივს ვიცანი. იჯდა, შავი ხავერდის ძველებური თეატრალური კაბა ეცვა, მოკლედ შეკრეჭილი და შეღებილი თმა ლამაზად ჰქონდა დაეარცხნილი. ზურგიდან რომ შეგეხედათ, გოგონას ჰგავდა. გვერდით ახალგაზრდა ქალი ეჯდა და საუბრობდნენ. ჩემი აზრით, ის ახალგაზრდა ქალი ნათელა უნდა ყოფილიყო. ძალიან მინდოდა ამდგარიყო და დამენახა; მაინტერესებდა, მართლა ისეთი ლამაზი და ტანადი ქალი იყო, როგორც მანია დეიდა აქებდა, თუ სიყვარულით მოსდიოდა მისი ქება. მაგრამ თითქოს ჩემს ჩინაზე ადგომა არც უფიქრია.

გვიან შევამჩნიე ფარდაზე სამი ვეებერთელა სიმბოლური მიხაკი, — ორი დიდი, ერთი პატარა. ორი სწორად იყო დახატული, ერთი საღდაც მარცხნივ იყო გადაკიდებული. „ის ალბათ ზურაბია, ეშმაკებისკენ რომ გარბის“, — გავიფიქრე ჩემთვის. ეტყობოდა, საინტერესო სპექტაკლი იყო. ვინანე, რომ თავიდანვე არ ვესწრებოდი. ფარდას დიდხანს ვუყურებდი, მომწონდა მხატვრის ჩანაფიქრი. მესამე მიხაკი ისე იყო გადაკიდებული, გეგონებოდათ საღდაც არის გადავარდება და მტვერში ამოიგანგლებო. მერე მომეჩვენა, თითქოს პიესის: ავტორს, რეჟისორს, მხატვარს და მსახიობებსაც კი პირი ჰქონდათ შეკრული ზურაბის წინააღმდეგ. თითქოს ყველას ერთი მიზანი ჰქონდა — ნათელას ჯავრი ამოეყარათ, საქვეყნოდ შე-

ერცხვინათ ზურაბი. თუმცა საქმე ისე იყო აწყობილი, ასეთ ეშმაკებულ ვერ გამოსთქვამდი.

პირველი ზარი დაირქვა.

პარტერში ნელ-ნელა იწყეს შემოსვლა.

ძალიან მინდოდა დამენახა, როგორი ქალი იყო ნათელა, მაგრამ ფეხზე არ აღვა. მანია დეიდამ კი მოიხედა ერთხელ, თვალი მოავლო იარუსებს, მაგრამ ვერ შემინიშნა. თითქოს მინდოდა რომ შევენიშნე, თითქოს არც მინდოდა. რომ დავენახე, ალბათ მანიშნებდა, აქ მოდიო. მე კი რატომღაც არ მინდოდა მათთან მისვლა.

მესამე ზარის შემდეგ მანია დეიდასთან გოგონამ მიიბრინა. მას ხელში კონფეტით სავეს ქაღალდის პარკი ეჭირა. იქვე გაჩნდა დაბალი, ჩია, სიმპათიური მოხუცი კაცი. ნათელამ ბერიკაცს მოწიწებით გაუღიმა და სინათლევ ჩაქრა.

გოგონა ქეთუნა იყო, — პატარა მიხაკი. იგი დედისა და ბაბუას შუა ჩაჯდა (ეს მერე გავიგე).

მუსიკა მიწყნარდა, ფარდა შეიხრა და ნელ-ნელა აიწია.

დაიწყო ბოლო მოქმედება.

●

სცენის სიღრმეში კვლავ სამი სიმბოლური მიხაკი ჩანდა. ერთი აქაც ეშმაკებისკენ იყო გადაკიდებული...

სცენა წარმოადგენდა სასამართლო დარბაზს. დარბაზში ისხდნენ ახალგაზრდა ქალი — ნათელა, მის გვერდით ჩია ბერიკაცი, მისგან შორს, დარბაზის მეორე მხარეს — ზურაბი (ალბათ სამდვილი ზურაბი), იქვე ისხდნენ სვირის მოყვარულნი.

მოსამართლე და მსაჯულები რომ გამოჩნდნენ, ხალხი წამოიშალა. მოსამართლემ შემოსვლისთანავე მოჰკრა თვალი ცალკე გადახრილ მიხაკს. მიბრუნდა და გასწორება დაუწყო, მაგრამ როგორც კი ხელს გაუშვებდა, მიხაკი კვლავ გადაეკიდებოდა. მოსამართლემ ბევრი იწვალა, ვერაფერი გააწყო და თავი მია-

ნება. მერე თავისი ადგილი დაიკავა. განხნა საქალაღდე, საქმე ამოიღო და ამოიკითხა:

— მოქალაქე ზურაბ სამსონის ძე თავაძე. განათლება უმაღლესი, მსახიობი, ოცდაცამეტი წლის.

ზურაბი ფეხზე ადგა.

— იქ დაბრძანდით, — მოსამართლემ ბრალდებულის სკამი აჩვენა.

— იქ? რატომ? — შეცბა.

— სსსამართლოს ასე მიაჩნია.

ზურაბი უხალისოდ მივიდა და დაჯდა.

— მოქალაქე ნათელა დავითის ასული თავაძე. განათლება უმაღლესი, ფილოლოგი, ოცდახუთი წლის.

ნათელა ზეზე ადგა.

— იქ დაბრძანდით, — მოსარჩილის სკამზე ანიშნა.

ნათელა თავჩაღუნული მივიდა და დაჯდა.

— მოქალაქე ზურაბ სამსონის ძე თავაძემ ამა წლის თხუთმეტ აპრილს აღძრა საქმე მოქალაქე ნათელა დავითის ასულ თავაძესთან განქორწინების თაობაზე. მიზეზი ბუნდოვანია. ამიტომ სასამართლოს თვითონ მოახსენოს რამ აიძულა, ოჯახს რომ ანგრევს.

ზურაბი ადგა და თქვა:

— არ მიყვარს. მე მგონია ეს ყველაფერს ნიშნავს.

— რამ შეგაძულათ?..

— არ მყვარებია.

— მაშ, რატომ შეირთეთ?

— არ ვიცი. მეგონა, შემიყვარდებოდა.

— რით დამამტკიცებთ, რომ თქვენ არ გიყვარდათ თქვენი მეუღლე?

— მე არ ვიცი ასეთ რამეს რით ამტკიცებენ.

— რამე სხვა მიზეზი თუ გაქვთ, განქორწინებისათვის.

— არაფერი.

— გაქვთ კიდევ სათქმელი?

— არაფერი.

— დაბრძანდით.

„როგორ თუ არაფერი?! რას ამბობ, შე მართლა ლაყე? — აღვშოფდი გულში, — შენს კაცობას ასამართლებენ და

არაფერი გაქვს სათქმელი?! საქვეყნოდ გპრიან თავს, ქვეყანას უმტკიცებენ, რომ შენ არა ხარ კაცი და ვერაფერს ამბობ? მაგდენ სივლახესთან ერთად არც ვაქცაცი ყოფილხარ. სიმართლეს ვერ ამბობ? მომენტი გაქვს და ვერ იყენებ? მხდალო, პიესის ტექსტის იქით გადაბიჯებას ვერა ბედავ? გეშინია თეატრიდან არ გაგაგდონ და ამიტომ თავს უქნევ, — დიახ, სინამდვილეშიც ასეთი უსინდისო ვარო? შენს ვაქცაცობას რა ვუთხრა! აბა შენსა და თოჯინას შორის რაღა განსხვავებაა? მასაც ზომ ისე ათამაშებენ, როგორც რეჟისორი ბრძანებს და შენც...“

— მოქალაქე ნათელა თავაძე, სასამართლოს მოახსენეთ, რატომ ინგრევა თქვენი ოჯახი.

— მიზეზი მე თვითონ არ ვიცი, ბატონო, სასამართლოს რა მოვახსენო, — მხრებში მობუზულმა ქალმა საცოდავი ხმით თქვა.

— თქვენი მეუღლე ამბობს, არ მიყვარს და არასოდეს არ მყვარებიაო. რას იტყვიან ამის შესახებ?

— რაკი ამბობს, ალბათ მართალია.

— მერე თქვენ ვერ ატყობდით უყვარდით, თუ არა.

— მე? მე... ვერაფერს ვერ ვატყობდი.

— ცუდად გექცეოდათ?

— პირიქით. ისეთი მეუღლე იყო, ქალი უკეთესს ვერ ინატრებს.

— ეს ალბათ პირველ ხანებში, ბოლოს?

— ბოლომდე, ბატონო. უბრალო წყენა რა არის, ისიც კი არ მახსოვს მისგან. აბა როგორ მეფიქრა, რომ არ ვუყვარდი?

— გასაგებია, — თქვა მოსამართლემ, მაგრამ მე მაშინ ვერ მივხვდი რა იყო მისთვის გასაგები.

— დიახ, ყველაფერი გასაგებია. ახლა თქვენი საბოლოო სიტყვა რა არის?

— უსიყვარულოდ ერთად ცხოვრება

ვალერიან ჩაპუჩიშვილი
პირით თუ ნაცრით

დანაშაულია. რაკი ჩვენთან ცხოვრება არ უნდა, ამიტომ მე თანახმა ვარ.

— დაბრძანდით.

ნათელა დაჯდა.

მოსამართლე ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, რაღაცაზე ფიქრობდა. მერე მსაჯულმა რაღაცა ჰკითხა, კიო, თავი დაუქნია მოსამართლემ. ფანქარს ნერვიულად ატრიალებდა ხელში, რაღაც გადაწყვეტილებას იღებდა, ბოლოს წამოდგა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ის იმ წუთში მოსამართლეს აღარ ჰგავდა. რაკი მოსამართლე ოფიციალური თავდაპირველობისაგან გათავისუფლდა, დარბაზმაც დაკარგა სასამართლო იერი.

მოსამართლე ბრალდებულთან მივიდა. ზურაბს სახე გაუფითრდა რაღაცის მოლოდინში და ფეხზე წამოდგა. მოსამართლემ ღიმილით ანიშნა, დაჯექით. თვითონაც იქვე მოაჯირზე ნახევრად შემოჯდა, თავაძეს თვალებში შეხედა და უთხრა:

— ახლა მე მოსამართლე აღარა ვარ.

ზურაბმა მხრები აიჩეჩა, ვერ გავიგე რას მეუბნებიო.

— მე თქვენ ახლა არ გელაპარაკებთ, როგორც მოსამართლე.

— აბა?

— გელაპარაკებთ როგორც ტოლიტოლს, როგორც კაცი — კაცს.

— გისმენთ, — უთხრა, თან გარცეხული უყურებდა.

— თქვენ კარგად იცით, არც ერთი კაცი ოჯახის მიტოვებისათვის ციხეში არ ჩაუსვამთ. ძალიან რომ მინდოდეს, ვერც მე მოვახერხებ ამას, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონდეს თქვენს დაცილებას. ამიტომ, თუ ვაქცაი ხარ, თუ ნამდვილი ვაქცაი ხარ, პირდაპირ, ვაქცაიყურად თქვი სიმართლე. სამი წელი ხომ თამაშობდი იდეალური ქმრის როლს?

— ჰა?

ზურაბი-მსახიობი შეკრთა.

— თუ ვაქცაი ხარ, სიმართლე თქვი. ხომ იყო ასე?

— როგორ?

— თქვენ თამაშობდით იდეალური ქმრის როლს.

— ?!

— ხომ მართალია?

— არ ვიცი.

— იცით! თქვენ ბრწყინვალედ თამაშობდით უნაკლო მამაკაცის როლს. ნათელას ოდნავადაც არ შეპარვია ეჭვი თქვენს გულწრფელობაში, და თქვენ გინაბოდათ, რომ ასე დამაჯერებლად თამაშობდით. ეს თქვენი პროფესიული ნიჭის ბრწყინვალეობას ნიშნავდა. მაგრამ თქვენ ნათელა მართლაც არ გყვარებოდათ. ეს თქვენ წელან თვითონ სთქვით.

— დიახ, ვთქვი.

— თქვენ ელოდით ნამდვილ სიყვარულს. ბოლოს ისიც მოვიდა.

— დიახ, მოვიდა.

— და თქვენ სხვა ქალთან შექმენით ნამდვილ სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი.

— ჭეშმარიტებაა!

— არ არის ჭეშმარიტება! აბა გულში ჩაიხედე! არც ის არის ნამდვილი სიყვარული.

— არის!

— არ არის! თქვენ ეს ძალიან კარგად იცით, მაგრამ არ გინდათ აღიაროთ. თქვენ ახლა თქვენს გულსაც კი ებრძვით, გინდათ დააჯეროთ — ნამდვილი სიყვარულიაო. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი სიყვარული!

— ?!

— და იცით ამას რატომ სჩადიხართ? თქვენი მეორე სიყვარული ნათელასავით უთვისტომო არ არის. მას ჰყავს ნათესავთა და ახლობელთა ყოვლისშემძლე წრე. დღეის შემდეგ შენ ხელი აღარ მოგეცარება, ხომ ასე ფიქრობთ?

— ?!

— არ გინდათ აღიაროთ, მაგრამ თქვენ იმ მეორე ცოლთანაც კარგი, უწყინარი ქმრის როლს თამაშობთ. ეს საჭიროა თქვენი მდგომარეობისთვის.

— რა გინდათ ჩემგან? ბოლოს და ბოლოს მე შემიძლია თუ არა ვიცხოვროს, როგორც მე მსურს?!

— მაგრამ თქვენ ვინ მოგცათ ცხოვ-

რებაში როლებს თამაშის უფლებას? — „მოსამართლემ“ მთელი ხმით დაიშეკა და უმაღლვე ისევ კანონის კაცად იქცა. იგი რისხვით იყო ავსებული და კანკალებდა.

უცებ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ეს ამბავი სპექტაკლის ჩარჩოებს გადასცდა და სინამდვილედ იქცა-მეთქი. მოულოდნელობისაგან დაბნეული ზურაბი გაფითრებული იდგა.

— გეკითხებით და მიპასუხეთ, ვინ მოგცათ უფლება, ცხოვრებაში ითამაშოთ ისეთი კაცის როლი, როგორც თქვენ არა ხართ?.. იცით თუ არა, რომ თქვენს თამაშს შეეწირა ახალგაზრდა ქალის ოცნებები და მთელი ცხოვრება! იცით თუ არა, რომ თქვენმა თამაშმა პატარა გოგონას წაართვა ბედნიერება — ჰყოლოდა და ჰყვარებოდა მამა! იცი თუ არა, რომ შენი თამაშით საზოგადოებას დააკლდა კიდევ ერთი ოჯახი. ვინ მოგცა ამის უფლება, ვინ?!

— ?!

მოსამართლემ მაგიდიდან სამართლის წიგნი აიღო, ზურაბს დაანახა და ახლა უკვე დინჯად უთხრა:

— სამწუხაროა, რომ აი, ამ წიგნში გათვალისწინებული არსად არ არის სასჯელი, თქვენნაირი დამნაშავეისათვის. საჭირო კი არის ყოფილიყო. მეც ამიტომ არ შემწვევს ძალა — გაგასამართლო. მაგრამ ამ სასამართლოს ესწრება თქვენი თორმეტი წლის გოგონა. აგერ, იქ ზის. თუ სამართალია, მისმა ცრემლიანმა თვალებმა გაგასამართლონ!

...სინათლე ჩაქრა და პარტერში მართლაც გაისმა გოგონას ქვითინი.

მე უკვე ამერია, სად იყო სიმართლე, სად კიდევ — სპექტაკლი. სხვა სხვის უბედურებაზე არ ტირის. ვინც „სამი მიხაკის ზღაპრის“ შექმნის ამბავი არ იცოდა, მათ გოგონას ქვითინიც სპექტაკლის ნაწილი ეგონათ და აღფრთოვანებული უკრავდნენ ტაშს.

ძალიან მინდოდა იმ საღამოს შორი-ახლოდან დამენახა ნათელა. მანია დე-

და რომ აქებდა, ძალიან კარგი ქალიაო, იმიტომ უფრო მინდოდა მისი სხლოს ნახვა. გარეთ გავასწრებ, გამიწვინ და შევხვებ-მეთქი, ვფიქრობდი მაგრამ გარდერობთან ვილაკამ ხელი წამავლო. მოვიხედე, ჩემ წინ იდგა გურამი, — ჩემი კარგი და დიდხნის უნახავი ამხანავი. რაღას ვიზამდი, მინდოდა თუ არ მინდოდა, მას ავუწყე ფეხი. კი ვუყურებდი, ვათვლიერებდი, იქნებ მანია დეიდას და ნათელას ნამტირალევ თვალებს სადმე გადავეყარო-მეთქი, მაგრამ ვერსად ვნახე.

გარეთ ძალიან ციოდა.

მე და გურამი ავტობუსის გაჩერებასთან დავცილდით ერთმანეთს.

შინ რომ მივედი, მანია დეიდამ უკვე საშინაოდ გამოწყობილმა გამომხედა. მანქანით მოეყვანათ ნათელას და ქეთუნას ბაბუსა. პირველად არ სჯეროდა, რომ მეც ვიყავი თეატრში. მერე ზოგიერთი მომენტები გავახსენე და მეტი რა გზა ჰქონდა, დაიჯერა. მართალი რომ ვთქვა, იმ საღამოს ისეთ ხასიათზე ვიყავი, არ მინდოდა საუბარი. მაგრამ მოულოდნელად მითხრა:

— ნახე რა მოხდა?

— რა მოხდა, მანია დეიდა?

— ზურაბის როლში სხვა თამაშობდა.

— ჰა? — მოულოდნელობისაგან გავშეშდი. მე აქამდე მეგონა გაუგონარი ამბის მომსწრე ვავხდი, — კაცი საკუთარ როლში ვიხილე-მეთქი...

— არა, შვილო, მისმა დუბლიორმა ითამაშა. ზურაბი ამ საღამოს საერთოდ წასულა თეატრიდან.

— სად წასულა?

— დაუწინაურებიათ.*

— დაუწინაურებიათ?

— დიახ! მის მეორე ცოლს ბიძა მინისტრი ჰყოლია და...

ახლა უკვე წაღმა-უკუღმა დატრიალდა ჩემი აზრები სპექტაკლისა და ზურაბის შესახებ. იმ წუთში არ შემეძლო

ვალერიან ჩაპუჩიანი

კრიტიკოსი

გავრცეულიყავი, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, არ შემეძლო დეიდა მანიასთან ამ საკითხზე მსჯელობა. თავის ტკივილი მოვიმიზეზე, ბოდიში მოვიხადე, ჩემს ოთახში გავედი, გავიხადე, სინათლე ჩავაქრე და დავწექი.

კარგახანს ახლო არ გამკარებია ძილი. ძალიან ცუდი ჩვეულება მაქვს. ასე ვიცი თუ რამის შთაბეჭდილებების ბადეში გავვხვდები. ახლაც ნახული და გაგონილი ამბების ირგვლივ ვტრიალებდი. ვფიქრობდი და ვერ წარმომედგინა კაცმა ცოლად როგორ უნდა ითხოვოს ქალი, რომელიც არ უყვარს, მაგრამ მაინც ირთავს იმიტომ, რომ ცხოვრებაში ხელი აღარ მოეცარება. ეს ხომ იმის გაყიდვაა, რასაც ადამიანები არც ჰყიდიან და ვერც ყიდულობენ.

ხანდახან ვფიქრობდი, იქნებ ვცდებდი-მეთქი. შევეცდებოდი ზურაბი როგორმე გამემართლებინა. მაგრამ ამ ამბისთვის საიდანაც გინდა შემომეგლო, მაინც ერთ დასკვნამდე მივდიოდი: თუ გინდა უსიყვარულოდ შექმენი ოჯახი, თუ გინდა კირ-ცემენტის მაგიერ ნაცრით ააშენე სახლი, არც ერთს არ უწყერია დიდი დღე.

ამ საღამოს მთელი ჭეყანა შემოვიარე ფიქრით. ვის იტყვით, რომ არ გამხსენებოდა. ვინც კი დამიდგებოდა თვალწინ, ყველას ვეკითხებოდი: — აბა, შენ როგორღა გაქვს სახლი აშენებული, კირით თუ ნაცრით-მეთქი.

ასეთი შეკითხვებით ჩამოვუარე ჩემს სოფელს. ყველა ეზოს მივადექი და ნაცრობ სახეებს ვეკითხებოდი:

„კირით თუ ნაცრით?“

— ბეტონით, ძმაო, გოგი!

„კირით თუ ნაცრით?“

„ნაცარი რა ჩემი საქმეა, მე კირ-ღუღაბის კაცი ვარ, ძმაო გოგი!“

„კირით თუ ნაცრით?“

„კირითა, სწორავ!“

„კირითა თუ ნაცრით?“

„ღუღაბით, ძმაო გოგი! მე და ჩემს დიაცს სიკვდილის მეტი ვერა გავყვარის!“

სოფლის ბოლოში არ ვიყავი გასული, ტელეფონის ზარმა რომ გაქვიანდა. რეზონანსი და ლანდები. ვილაყვამყარ არიქული გეძახისო მეუბნებოდა სკამზე ჩამოდგომილი ტელეფონი. აბა-სხვა ვინ იქნებოდა იმ შავ-შუალამეში.

ყურმილი ავიღე.

— ალო, ვისმენთ.

ეტყობა, ჩემი ხმა არ ეპიტნავა, არ გამცა ხმა. მე რაღა მქონდა სახვეწარი? ავღეჭი, დავუყიდე ყურმილი.

არ გასულა წუთი, ისევ დარეკა.

— ვისი ბინაა? — იკითხა ვილაც კაცმა. ცოტა ენა ებმოდა, ეტყობოდა, გადაკრულში იყო.

— ახალაურის ბინაა, — თავმომწონედ ვუბასუხე.

— ბოდიში, ბატონო, — თქვა ზრდილობიანმა მთვრალმა და ყურმილი დაკიდა. ეტყობა, სხვაგან გზა ვერ გაიღო, მალე ისევ ჩემთან დარეკა. ყურმილი ავიღე, მაგრამ არ მითქვამს გისმენო. დავაცადე, თვითონ რას იტყოდა. ეტყობა, ის ჩემგან ელოდა ხმის ამოღებას. ერთხანს ასე გიჟივით ვცდუმიდით. ხაქმე გაძღვამდე იყო.

— ვინ ბრძანდებით! — მკითხა ბოლოს. ვიცანი, ისევ ის ხმა იყო.

— ვინ გინდა? სად რეკავ, სად?


— უჰ, ისევ შემეშალა, — თქვა ენის ბორძივით და ყურმილი დაკიდა.

იმ დამეს ბევრს, ძალიან ბევრს ვფიქრობდი ადამიანებზე, ოჯახზე და საერთოდ ცხოვრებაზე. ათასნაირი შემთხვევა გავიხსენე, ათასნაირ მდგომარეობაში წარმოვიდგინე თავი, თითქოს მინდოდა გამეგო, მე როგორღა მოვიქცეოდი ცხოვრებისეულ რთულ მომენტებში. ბოლოს ჩამეძინა და მესიზმრა:

სადღაც უცხო სოფელში ვიყავი.

თემშარაზე მარტოკა მივდიოდი, თან აქეთ-იქით ვიყურებოდი. ლამაზ ეზოებში ლამაზი სახლები იდგა: ზოგი დიდი, ზოგი — პატარა. ვითომ მეც სახლის აშენება მინდოდა, მივდიოდი და თავისუფალ სამოსახლოს ვეძებდი.

ერთ ეზოში დანგრეული სახლი დავინახე. გამიკვირდა, ასეთი ახალი სახლი



რამ დაანგრია-მეთქი. ღობეს მივადექი და ეზოში გადავიხედე. ნანგრევებზე ჭაღარა კაცი იჯდა, მკლავები მოხრილ მუხლებზე დაეწყო, თავი ზედ ჩამოედო და მიწას ჩაჰყურებდა. მომეჩვენა, თითქოს ტიროდა.

შემეცოდა.
 შევედი ეზოში და მივესალმე.
 მან სევდიანი თვალებით შემომხედა;
 — გაგიმარჯოს! — ისე მიპასუხა, თითქოს ამოიკვნესაო. მერე ისევ ჩაჰყურებდა თავი.

— ვინა ხარ? — ვკითხე.
 — აღამიანი, — მიპასუხა თავჩაკიდებულმა.

— მერე, აქ რას აკეთებ?
 — აბა სად წავიდე?
 — ვისია ეს სახლი?
 — ეს სახლი აღარ არის!
 — ვხედავ, ნასახლარია.

— ჩემია.
 — რამ დაინგრია?
 — ეჰ, რა ვიცი, მე თვითონ დავანგრიე.

— თქვენ თვითონ?
 — დიახ.
 — რატომ?
 — უფრო ლამაზი სახლის აშენება მინდოდა.

— მერე?
 — მერე აი ეს არის, რასაც ხედავ!
 — რატომ არ აშენებ?
 — ძალა აღარ შემწევს, — უღონო, გამხდარი მკლავები დამანახა.

— მერე, ამ სოფელში ხალხი არ ცხოვრობს?
 — კი ცხოვრობს, მაგრამ არ მენმარე-

ბიან. არა სჯერათ, რომ ისევ არ დავანგრევ.

— როგორ თუ ისევ დაანგრევ განიკვირდა.

— მე პირველად პატარა, ლამაზი სახლი ავაშენე. ისეთი ლამაზი იყო, ქვეყანა მომნატროდა. მე კი სხვაგან ვნახე უკეთესი სახლი. ასე მეგონა, უკეთესიაო. მოვედი, პატარა, ლამაზი სახლი დავანგრიე და ავაშენე უფრო დიდი. მაგრამ იმ პატარა სახლივით კოხტა ვერ აღმოვიდა. ქვეყანა იცინოდა, ამ კაცმა ეს რა ქნა, ეს რა ააშენაო. ავდექი და ისევ დავანგრიე. ახლა მინდა ისევ ისეთი პატარა და კოხტა სახლი ავაშენო, მაგრამ ვერ ვაშენებ.

— რატომ?

— არ ვიცი! ქვას-ქვაზე ვაწყო, აგურს-აგურზე ავიყვან კედლებს, მერე უცებ იგრიალებს და დაინგრევა. მერე ისევ თავიდან ვიწყებ, მაგრამ არაფერი არ გამოდის. მე ვატყობ, ისე მოვეკვდები, საკუთარ ჭერსა და სითბოს ვეღარ ველირსები, — ნაღვლიანად თქვა კაცმა.

„ოო, შენ ნაცრის კაცი ყოფილხარ! უკიროდ და უცემენტოდ გინდა სახლის აშენება“, — გავიფიქრე და წამოვდექი, მივდიოდი და მიმიხაროდა.

მივდიოდი და ვფიქრობდი: ამ სოფელში აუცილებლად მოგნახავ სამოსახლოს, დავდგები და ავაშენებ პატარა, ლამაზ სახლს. იმდენ კირსა და დულაბს გავუტრევე, ეშმაკმაც ვერაფერი დააკლოს. ჩემს სახლს აღმოსავლეთისაკენ ექნება ფანჯრები და ყოველ დილით მე და მზე საღამის დასწრებაში შევეჯიბრებით ერთმანეთს.



ხო-სუან-ხიონგი

ვიეტნამური პოეზიის დედოფალი ხო-სუან-ხიონგი დაბადებულია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქ ფხან-ლონგში (დღევანდელი ჰანოი).

ხო-სუან-ხიონგს ბევრი უმოგზაურია. შეუსწავლია თავისი ხალხის ადამიანების, ჩინური „შიცზინი“, ტანის ეპოქის პოეზია. იგი უმღერის ადამიანის პიროვნებას და სხეულს. მისთვის ახლოა სამყაროს რაბლებეული აღქმა. მისი ლექსი ნათელია და დახვეწილი.

ჰსანის ღუქანი

მზითა და წვიმით ყველაფერი ამოიწმინდა,
მიმწუხრის პირზე მოწყენილი მივალ მწუხარი,

ვჭერეტ: აღმართ-აღმართ მიწრიალებს ვიწრო წარაფი
და შორს, ნანგრევთან, ბჟუტავს ღუქანი.

ვისთვის არ არის საცნაური მსგავსი სანახი?
გაფოფრილია ჩალის ბურული,

ქოხის გარშემო ტანკენარი ბამბუკის ტყეა,
ტოკავს ბამბუკი ცად აწურული.

სულ ახლოს, ხე დგას, მარადმწვანე და სხვანაირი,
წრიალებს ჩიტი და ფოთლებში ცა იმზირება,

თვალისმომჭრელად ბრწყინავს მდინარე
და თავის ნებით მიედინება...

აი, ქოხმანის სახურავზე, ქალაღის ფრანი
ავარდა უცებ და მიერჭო ჩალას წივილით,

გუმზერ — და გულში სისარული იღვიძებს ჩქამით
და მაგიწყდება საწუხარი და სიმძიმელი.

ს ა წ უ ხ ა რ ი

მე აქ ამსოფლიურ ყოფნას დავაკვირდი
და გულმა დამიწყო ტეხა,

ყველა მოვიხილე, ყველა შევიცანი,
და გონი მემღვრევა ესლა.

რომ დავიბადები ამ ქვეყნად ისევ:—
ვიგემებ სიყვარულს ნამდვილს?

აქ რაც თავი მახსოვს, ტანჯვა-მწუხარებას
სიმწრის ფიალიდან ვსვამდი.

უხეუპრეპიტ მიჰვარტავ გხელარმეთაჰარს



ის არც მშიშარაა, აღარც ნაღვლიანი,
შეხედავ, — პატარა როდია,

იგი გზას ყოველთვის გაიგნებს, რამეთუ
წკვარამში სწავლობდა ბოლიალს.

მოტვლებილ თავზე რომ ჩაფხუტი ახურავს
წითელი ჩაფხუტი — შეჭფერის,

სახეში შეხედავ: მარად ჭაბუკია,
ზურგიდან შეხედავ: ბებერი.

წმინდა გლეხი მოქალაქის ტაქარტან*

დიდება შემოქმედს! ის უბრალოებით
არის უცნაურად დიდი და თავადი,

მისგან არს ყოველი ქვეყნად მოვლენილი,
ვისით იღუმალი ცხადდება მარადის.

ჩთაში, ალაგ-ალაგ, სუფთაა ადგილი,
მთაში, ალაგ-ალაგ, ბალახი ხშირია,

უჩინარ უღრანით წყარო რომ იფრქვევა,
უცებ რომ დასველდე აღარ გემინია?

ბნელში მიფრატუნებს ბერი-მონაზონი
და მერმე მღვიმის ზარს აღვიძებს ნელიად,

და ორი მორჩილი — ზურგშებრუნებულნი
დგანან და იღუმალს უხმოდ უმღერიან.

ვისაც სურს იხილოს უშრეტი ნათელი,
ვისაც ამ მსახურის მიბაძვა სწადია,

მუხლებს გაიცვითავს, ხელებს დაიკაწრავს,
და მაინც ყველაფერს შეიცნობს, ცხადია.

* მოქალაქის ტაქარი — შონ-ტვის პროვინციაში, ტაი-შონის მთის ფერდზე ბუღას სალოცავად აღმართული ტაქარი.

ს ა გ უ ბ ა რ ი



მოწყურებულმა მოსახვევეში შემოუხვია,
აი, წყალობა დასარწყულები!

ტბასთან, ჭაა თუ საგუბარი, თვალივით წმინდა,
მგზავრს ეკარგება და დიდი ხნით არ ჩანს სრულებით.

ვიდაცას წყალზე გაუდვია თხელი ფიცარი,
და ტოკავს ხიდი, მაგრამ ხიდი მაინც ხიდია,

სადღაც წყურგილე მოწანწკარებს შეუმჩნეველად
და წვეთების ხმა ისმის, როცა ხიდზე მიდიან.

წყლის საგუბართან მოზღუდული შევეტი ბალახი
იფხორება და იტყუებს ქათმებს,

წამით იელვებს მკვირცხლი წყება აქ ლიფსიტების,
და მერე ისევ ამოვა სადმე.

და მე არ მჯერა, ქვეყნად მგზავრი იყოს ისეთი,
რომ არ იგემოს ეს კრილა წყალი გემოთი.

ისმის ფუსფუსი.... ნაქარევედ ყვინთავს ბადია,
ლიპია ხიდი... დღე ილევა. მწუხრი შემოდის.

ვ კ ი ს ხ ა ვ უ ბ უ ნ უ რ თ *

საით, უგუნურნო! დინჯად, მოწიწებით,
საით მიფრატუნებთ დასად?

მე თქვენზე მსხემი ვარ. — მოდით, გაზიარებთ
წმინდა პოეზიის შნოსა და ლაზათს.

თუ კი მახვილია წვეტი საწერტელის
იგი ზმელ ღეროსაც გადაჭანის ორად,

ზეკეკა, როცა ამოსდის რქები,
ყოველგვარ ზღუდეს თანაბრად რჩოლავს.

თარგმან მუარამან ჯგუზურიამ

¹ უგუნური — იგულისხმება სწავლული კონფუციანელი, რომელიც ემზადება ხარისხის მოსაპოვებლად. მაღალი მოხელის თანამდებობის მისაღებად.





ბ ე მ რ ა ვ ლ ე ბ ა

მე აქ არ შევეუდგები ფრანტეზის რესპუბლიკის ვრცელ გეოგრაფიულ, გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ ან სოციალურ აღწერას. ვინ არ იცნობს ფრანტეზიას, მის თოჯინებს, მის ყველს, მის ბანკებს და ვინ არ იცის, რომ ფრანტეზიის დედაქალაქი ფრიკოლტია, განთქმული თავისი სასტუმროთი, მთავრობის სახლითა და საქმოსანთა კვარტალებით.

იმ დროს, რომელზედაც მე მოგახსენებთ, ფრანტეზიას მართავდა გენერალი ბრუმი. ასეც ხდება ხოლმე.

იმ დროს დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში ცხოვრობდა ალქიმიკოსი, სახელად პიერუნე, ტანმოორჩილი, წვერებიანი მოხუცი, ფრიად განსწავლული, მეტად თავაზიანი და ოდნავ ცბიერი კაცი, რომელსაც უყვარდა მეზობლების გაბრაზება, მაგრამ მულამ მზად იყო მათთვის სამსახური გაეწია.

როგორც ყველა ალქიმიკოსი, პიერუნეც ფილოსოფიურ ქვას დაიქებდა, მაგრამ მისი საქმიანობა მხოლოდ ამით როდი იფარგლებოდა. მას ბევრი რამ ჰქონდა გამოგონილი: კარაქის საჭრელი ელექტრონული მავთულით დაწყებული და ფრიად საჭირო სხვადასხვა წვრილმანით გათავებული. მისი უბანი ღარიბთა უბანი იყო, სადაც ხალხს ძლიერ უჭირდა. ისინი ხშირად აკითხავდნენ ბრძენ პიერუნეს რჩევასათვის და სთხოვდნენ, ერთი მაგიური სიტყვა გეასწავლეო. აქი მოგახსენეთ, პიერუნე დაუზარელი კაცი იყო-მეთქი, მაგრამ ისიც მოგახსენებთ, ხალხი მულამ სულწასულია. და ყოველ წუთს ათასობით კითხვას აყრიდნენ მისთვის:

— გვითხარი, პიერუნე, როდისღა გვაღირსებ იმ ფილოსოფიურ ქვას? თავზე საყრელი ოქრო! აი, რა უშველიდა ჩვენს ვაჭირებებს. გადასახადების შესამცირებელი საოცარი მანქანა როდის გვექნება?

პიერუნე ცისაყენ აღაპყრობდა ხელებს: — ცოტა მოიცადეთ, მუშაობა მაქვს! რაც გინდა, ყველაფერს უცებ კი ვერ გამოიგონებ კაცი! მე აღმოვაჩენე იმ წყველ ფილოსოფიურ ქვას, მაგრამ ამისთვის დრო და მუშაობაა საჭირო... მე მხოლოდ ორი ხელი მაქვს...

ერთ დღეს პიერუნესთან ტუმრად მოსულმა მეზობლის ქალმა მაგიდაზე პინცეტების, სატეხების, რეტორტისა და საცდელ მილებს შორის პატარა, ჯიბის სარკის მსგავსი სარკე შენიშნა.

— დახე, — თქვა მან, — თურმე კოპწიობაც გყვარებიან, ბატონო პიერუნე. სარკე გქონიათ. რა სარკეა ეს?

ცნობილია, რომ ქალები მულამ ცნობის-მოყვარენი არიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ასეა თუ ისე ტულეტს ეხება.

— ეს სარკე სარკეა, — უბასუხა პიერუნემ და იღუმალი დიმიითი დასძინა:

— მე მინდა მომავალ კვირას იგი გენერალ ბრუმს მივართვა, როცა ის ჩვენი უბნის დასათვალიერებლად ჩამოვიღის.

— რატომ უნდა მიართვათ სარკე გენერალ ბრუმს? — გაოცებით ჰკითხა ქალმა. — უმჯობესია, ეს სარკე ჩვენი უბნის რომელიმე ღარიბ ქალშვილს აჩუქოთ.

— ეს ჩემი საქმეა, — მკვახედ მოუწრა

პიერუნემ. ქალმა კარები გაიჭახუნა. პიერუნე კი ხელახლა რაღაც პრეპარატის შემზადებას შეუდგა. მერე თხელი ფენა სარკის ზედაპირს გადაუსვა და ფრანტუხის საუკეთესო სპილენძისაგან დამზადებულ ყუთში მოათავსა.

ერთი კვირის შემდეგ გენერალმა ბრუმმა, ქვეითი, ცხენოსანი და ეტლში მჯდომი მცველებით გარშემორტყმულმა, უბანში ჩაიარა. ტროტუარზე ხალხი ცოტა იყო. ამ დროს პიერუნე თავის სახელოსნოს წინ იდგა და გენერალ ბრუმის გამოჩენას ელოდა, რათა მისთვის შემოსხენებული ყუთი გადაეცა. მცველმა მას სარკე ჩამოართვა და სხვა მცველს გადასცა, მან შემდეგს გადააწოდა, იმან თავის მეზობელს, ამ უკანასკნელმა კი სარკე გენერალს მიართვა. გენერალმა თავი დაუკრა პიერუნეს, გასძახა — გმადლობთ, ჩემო კარგო, და უბნის დათვალიერება განაგრძო.

პიერუნე სახელოსნოში შებრუნდა.

მისმა გრძნეულმა კატამ ჰკითხა:

— შენის აზრით, გამოვა რაიმე?

— დარწმუნებული ვარ. მე ყველა ფორმულა შევამოწმე.

— ეს საგანგებო სარკეა გენერალ ბრუმისათვის?

— დიახ, საგანგებო.

— კიდევ მითხარი, რა მოხდება, — სთხოვა კატამ. — ახალი გენერალი მაშინ გადმოვა სარკიდან, როცა პირველი მისკენ ზურგით დადგება? — სწორედ ასეა.

კატამ თავები აღაპყრო ცისკენ:

— ჩვენ უამრავი გენერალი ბრუმი გვეყოლებოდა. შენ ეს საჭიროდ მიგაჩნია? გაიგე უბნის მცხოვრებთა აზრი ამის შესახებ?

პიერუნემ მხრები აიჩჩა:

— მე ზუმრობა მიყვარს. ხომ იცი, კუზიანს მარტო სამარე ვაასწორებს.

ფრიკოლტის ცენტრში, მთავრობის სასახლეში დაბრუნებულმა ბრუმმა გადაწყვიტა, თავის აპარტამენტებში განმარტოებულყო. ნაილილევს, ძილის წინ მან შეამჩნია სარკე, რომელიც ღამის მაგიდაზე დაედო. სარკე ყუთიდან ამოიღო და რამდენიმე წუთის განმავლობაში დიდი სიამოვნებით ათვალიერებდა თავის სახის თითოეულ ნაკვთს. შემდეგ თვალები დახუჭა. ამ დროს ახალი გენერალი ბრუმი ოთახიდან გვიდა. და რადგან ძალიან ცხელოდა, მეზობელ დარბაზისაკენ გაეშურა ერთი ქიჭა ფორთოხლის წვენი დასალევად. როცა პირველმა გენერალმა ბრუმმა გაიღვიძა, ღამის მაგიდაზე სარკე შეამჩნია და მოუხდა თავისი სახისათვის ზედახლა შეეცნო თვალს. მან სარკეში ჩაიხედა, შემდეგ კი პირსაბანი ოთახისაგან გაეშურა. ამ დროს ახალი გენერალი ბრუმი სარკიდან

გადმოვიდა, დარბაზი გაიარა და სასალონო ოთახისაკენ გაემართა.

მეითხველის მოთმინება ბოროტად რომ არ გამოიყენებ, გამოგტოვებ რამდენიმე ვარკველებას, როცა გენერალმა ბრუმმა შეიჭრეს სარკეში ჩაიხედა. ვიტყვი მხოლოდ, რომ საღამოსათვის მთავრობის სასახლეში უკვე თორმეტამდე გენერალი ბრუმი დადიოდა. ზუსტად არ ვიცი, თორმეტი იყო თუ თხუთმეტი, მაგრამ ესეც უკვე შემაწუხებელი იყო მომსახურე პერსონალისათვის და სტუმრად მოსული მინისტრებისათვის, გენერალის ღირსეულ მეუღლეზე რომ არაფერი ვთქვათ. წარმოიდგინეთ, რომ მეტრ ღოტელი ცისფერ სალონში შედის და გენერალ ბრუმს ვაჰრობის მინისტრ სენს ბარბიზონთან მოსაუბრეს ხედავს. მას ეძახიან და ყავის მოტანას სთხოვენ. ისიც მდებლად უკრავს თავს, გააოლის მეზობელ ყუთიელ სალონში და გენერალ ბრუმს ინდუსტრიისა და სპორტის მინისტრებთან მოთათბირეს ხედავს. აქ სამი ფუნჯანი ჩაის მოტანას სთხოვენ. მეტრ ღოტელი თავს ისევ მდებლად უკრავს, გადის, გაივლის წითელ სალონს და ხედავს, რომ გენერალი ბრუმი შინაურულად ესაუბრება ოსკარ მოლაფრუას, სათათბიროს უფროსს...

და რა გასაკვირია, რომ შემოხსენებულ მეტრ ღოტელი თვალებს არ უჭერებს. იგი სასწრაფო კონსულტაციისათვის სასახლის სამედიცინო პუნქტისაკენ მივბის. და როცა ნერვიულ დაავადებათა სპეციალისტის კარზე აპირებს დაგვეუბნება, კარები იღება და სპეციალისტი თავაზიანად უთმობს გზას... გენერალ ბრუმს, მეტრ ღოტელმა თვითონვე გაიგონა. როგორ ამშვიდებდა სპეციალისტი გენერალს:

— არაფერია, ბატონო გენერალო; ყველაფერი ორგანო. თქვენ შესანიშნავად ბრძანდებით. პატარა პალუცინაციებს, რომლებზედაც მიაბობოდით, მნიშვნელობა არა აქვს... გადალღობის ბრალია.

— ეს მაინც საოცარი ამბავია, ექიმო. გარწმუნებთ, რომ ერთი საათის განმავლობაში შევიღვერ, დაიზნახე ჩემი თავი... ჯერ ბაღში, მერე ჩემს სამუშაო ოთახში, შემდეგ ბიბლიოთეკაში...

— აქი გითხარით, გადალღობის ბრალია-მეთქი. კარგად რომ გამოიძინებთ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

მაგრამ ვაი, რომ ექიმო ცდებოდა. გენერალ ბრუმის გამრავლება, რომლის ფორმულაც ისტორიკოსებმა მოგვიანებით შეიტყვეს, — მომდევნო დღეებშიც არ წყდებოდა.

გენერალი ზმირად მიმართაედა მაგიურ სარკეს (მას საუუთარი მდგომარეობა აწუხებდა; პალუცინაციები კი უფრო და უფრო მატულებდა). ათობით გენერალი ბრუმი გამოდიოდა სარკიდან. ისინი სასახლეს, ქალაქ ფრიკოლტსა

და მთელ ფრანტუზიას ეღებოდნენ. ყველგან შეხედებოდით პრეზიდენტის კორტეეებს. პოლიციის მინისტრი საგანებელში იყო ჩაყარდნილი. გაზეთების რედაქციებშიც საშინელი არეულობა იყო. გენერალი გვესტუმრაო, იუწყებოდნენ ჩრდილოეთიდან, მაშინ როცა სამხრეთელი კორესპონდენტი ტელეფონში ღმერთს ფიცულობდა, გენერალ ბრუმს ახლანან ბაზრის მოედანზე მოკვარი თვალიო. აღმოსავლეთში სატელევიზიო კამერა საზეიმო გახსნის ცერემონიალს უჩვენებდა, მაშინ როდესაც გენერალი ამ დროს დასავლეთის გზებს სერაგდა უთუოდ. მალე უნდა გარკვეულიყო ყველაფერი. ფრიკოლტის ქუჩებში, ისევე როგორც დედაქალაქის ყველა მიყრუებულ უბანში, უამრავი გენერალი ბრუმი მიმოდიოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, საღამო ეამს ალქიმიკოსი პიერუნე თავის მისან კატასთან ერთად კარის წინ, გრილოში ჩამოაჯდა.

— ხედავ, საღამდე მივედი? — უთხრა კატამ, — მე მგონი, შენმა საოცარმა სარკემ ამ ბოლო დროს ბევრი იმუშავა.

— ჰო, — თქვა ალქიმიკოსმა, — ჩემის ანგარიშით, 1387-ჯერ.

— მაშასადამე, 1387 გენერალი ბრუმი გეყავს?

— დიახ, პრესისა და რადიოს ცნობებს თუ დავუჭერებთ, უკვე 1387 უნდა იყოს და ეს რიცხვი დღითი დღე მატულობს.

— ეს უკვე ბევრია, — თქვა კატამ, — იქნებ მეტისმეტად იყოს; რა უნდა გააკეთოს ამდენმა გენერალმა? საჭირო იქნება 1387 მთავრობის სასახლე, 1387 პოლიციის მინისტრი, 1387 ოფიციალური კორტეეი. ფრანტუზია საამისოდ არ არის მოწყობილი. მე შენ გეკითხები, რა უნდა ქნან ამდენმა გენერალმა? ხელფასები, პენსიები და პენსიონერთა სახლები გაითივალისწინეს?

— არაფერიც არ გაუთვალისწინებიათ, — მიუგო პიერუნემ, — თანხები არ ჰყოფნით. ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა დაიღწიოს თავი.

— საჭიროა, მათ სამუშაო გამოეუხახოთ, — თქვა კეთილმა კატამ. — იქნებ სკვერის ან მუზეუმის დარაჯებად, საწყობის გამგეებად ან სოლფეჯიოს მასწავლებლებად დავაყენოთ?

რამდენიმე ხნის შემდეგ ალქიმიკოსი პიერუნე თავის მისან კატასთან ერთად დილის საუზმეს მიირომეკდა:

— ახლა როგორაა საქმე? — ჰკითხა კატამ. გამრავლება ისევე გრძელდება? გუშინ 2345 იყო..

— უკვე გათავდა, — მიუგო ალქიმიკოსმა, — ეს ესაა შევიტყვე, რომ სარკე ერთმა პატარა გოგონამ იმოვა. ახლა პატარა გოგონები მრავლდებიან. გენერალი ბრუმები უკვე ყელამდე გმყავს.

კატამ კეფა მოიფხანა:

— კი მაგრამ მთავრობა? მთავრობაზე აღარ იზრუნე? ეს გენერლები მთავრობის მაგივრობას ხომ ვერ გავიწყვიტენ.

— სწორია, — თქვა პიერუნემ, — მე ამის შესახებ მოველაპარაკები უბნის მცხოვრებლებს. საერთო ძალით უთუოდ მოვახერხებთ ნორმალური მთავრობის შექმნას.

— ნეტამც მოვახერხოთ, — ჩაილაპარაკა კატამ, მერე წამით ჩაფიქრდა და დასძინა, — პრეზიდენტად ეცადეთ გზის მუშა აირჩიოთ და თუ ოდესმე შენი ჯაღოსურთი სარკე ჩაუყარდა ხელში, დიდი უბედურება მაინც არ მოხდება, გზის მუშები გამრავლდებიან და შესანიშნავი გზები გექნება.

ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ზიბილევიჩილა.

იპაკლე ლუკაშვილი

წარსულის უზრცლები

ალექსანდრე სუმბათაშვილი

1908 წელს მოსკოვში ემართავდით აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობის საუბილევო საღამოს. მომწყოები კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იყო ალექსანდრე სუმბათაშვილი, იმ დროს მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი და დირექტორი.

მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტების დავალებით მივედი თეატრში სუმბათაშვილთან, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. კაბინეტის წინა ოთახში თხუთმეტამდე არტისტი და სხვა პირი ელოდებოდა სუმბათაშვილთან შესვლის რიგს. მათ შორის შევნიშნე მცირე თეატრის არტისტები ერმოლოვა, საღოვსკი, პრავდინი და სხვები, რომლებიც სცენაზე უკვე ნანახი მყავდა. „აქ დიდხანს მომიწევს მოცდა“, — გავიფიქრე მე და შევეუგზავნე ჩემი სადარბაზო ბარათი. მივაწერე ორიოდე სიტყვა, რა მიზნით მინდოდა მისი ნახვა:

რიგს გარეშე მიმიღო და გულდასმით მომისმინა. შევთანხმდით, რომ ჩვენი ინსტიტუტიდან აკაკისადმი მისასალმებელ სიტყვას წავიკითხავდი უნივერსიტეტის დელეგაციის სიტყვის შემდეგ...

შეორედ სუმბათაშვილს შევხვდი ოღლა გრუხინსკის ოჯახში. ოღლა იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შეილიშვილი. ორი წლის განმავლობაში ყოველ კვირადღეს ვწერდი მისი კარნახით და ჩემი რედაქციით მის საყურადღებო მოგონებებს საქართველოს წარსულ ამბებზე, რაც მას გავიონიო ჰქონდა თავის მამისგან (ეს მოგონებანი დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში). ერთხელ, აღდგომის კვირას, როცა ჩვეულებრივ ვწერდით მოგონებებს, მოახლემ მოახსენა ოღლას: თავად სუმბათაშვილი გეწვიათ სადარბაზოდო. ალ. სუმბათაშვილი საზეიმოდ იყო გამოწყობილი. ხელზე ეამბორა მოხუც ქალს, რომელმაც

მას შუბლზე აკოცა. გაიმართა ჩვეულებრივო სადარბაზო ათწუთიანი ბაასი. გამომშვიდობებისას ოღლამ მისცა სუმბათაშვილს ხის წითელი კვერცხი.

— ეს კვერცხი, თავადო, სახლში გახსენი და, რაც შიგ ნახო, ჩემ სახსოვრად გქონდეს, — უთხრა ღიმილით დიასახლისმა.

— მანამდე გული როგორ გამიძლებს, — გაიცინა სუმბათაშვილმა და იქვე გახსნა საჩუქარი. კვერცხში ოღლას ჩადეო ვერცხლის მანეთიანი.

— ჩემი უღრმესი მადლობა, — გაეხუმრა სუმბათაშვილი, — გუშინწინ ათასი მანეთი წავაგე და ახლა ეს მანეთიანი სწორედ მისწრებაა ჩემთვის.

1922 წელს სუმბათაშვილი თბილისში ჩამოვიდა. მას ზემოთ შეხვდა ქართველი საზოგადოება.

სალამოთი გაუუმართეთ ნადიმი. თამადად ავირჩიეთ პაოლო იაშვილი, რომელიც სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა მოსწრებული ვქსპრომტებით. სუმბათაშვილი და ვასო აბაშიძე, როგორც სკოლის ამხანაგები, გვერდიგვერდ იხსნდნენ.

როცა შევესვით საბატო სტუმრის სადღეგრძელო, ვასომ აკოცა სუმბათაშვილს.

— შენ ძმობილო, — გაეხუმრა სუმბათაშვილი, — სანამ ვისმეს აკოცებდე, კბილში უნდა ჩაისხა.

ნადიმს ესწრებოდა პაოლო იაშვილის მამა — ჯიბო. თამადამ მას შიორით მიმართა:

ახლა მინდა ვადღეგრძელო
მამაჩემი — ჩემი ჯიბო,
ნეტავ იმისი ქონება
ჩემს ჯიბეში ჩავიჯიბო.

ატყდა ერთი სიცილი და ყიყინა. ყველაზე მეტად იცინოდა თვითონ სუმბათაშვილი. იმ წუთებში ჩვენს შორის იყო არა განთქმული არ-

ტიტი, არამედ სიოცხლით სავსე ქართველი კაცი, რომელიც გულიანად ერთობოდა თანამემამულეთა შორის.

სუბმათაშვილ-იუენიმა განასახიერა მრავალი როლი. აღენიშნავ მხოლოდ მის გამოსვლას მოხუცი პიმენის როლში (პუშკინის „ზორის გოდუნოვი“). პიმენის ცნობილი მონოლოგი მსახიობმა წაიკითხა ისეთი ღრმა გრძობით და ისე მკაფიოდ, რომ მთელმა დარბაზმა სული განაბა.

სურათის დასასრულს გამოვიწვიეთ მსახიობი. მისი გამოსვლა და თავის დაკვრა ღირსშესანიშნავი იყო. მსახიობს სახეზე აღბეჭდილი ჰქონდა იგივე განწყობილება, რაც მონოლოგის კითხვისას. მაღლობის ნიშნად თავს ზოგიერთებით აქეთ-იქით არ არხევდა. იღვა ვარი-

ნდული, ოდნავ თავდახრილი და ამით გამოხატავდა სრულ პატივისცემას მკაფურებისადმი, რომელიც ასეთი მქუხარე ტაშით თავის საყვარელ მსახიობს.

ახლა ზოგიერთი მსახიობი, მეტადრე ოპერისა, მოხდება ხოლმე, რომ სიკვდილის სცენის შემდეგ გამოდის ფარდის წინ და მკაფურებელთა ტაშის ცემაზე ღიმილით თავს აქეთ-იქით აკანტურებს; გაიხედავს ლოყებისაკენ, იქ ვიდაცას თავს განსაკუთრებით დაუყარავს — აშკარად არღვევს განსახიერებელი სურათის ილუზიას.

იქნებ ზოგიერთმა მსახიობმა საყურადღებოდ მიიჩნიოს ეს გულმართალი სტრიქონები და სათანადო დასკვნა გამოიტანოს.

თ ე ღ ო ს ა ხ ო კ ი ა

1895 წლის შუა ზაფხულში სააგარაკოდ მივემგზავრებოდით გორიდან ჩვენს მშობლიურ სოფელში — ბერუეთში. პაპანაქება სიციხე იდგა. შუაგზაზე, ერთი ხის ძირას, შეენიშნეთ ევროპულად გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი. როცა მგზავრს ჩაეუარეთ, მან თავაზიანად სალამი მისცა დედას და ნელი ნაბიჯით გამოჰყვა ურემს. გამოგვეცნაურა: თედო სახოკია ვარ, მასწავლებელი, სოფელ-სოფელ დავდივარ და ანდაზებს ვიწერო.

დედამ ურემზე მიიბატია.

— გამდლობთ, ქალბატონო, არც ისეთი მოხუცი ვარ, — გაეცინა მგზავრს. ბოლოს, დასთანხმდა და ჩემს გვერდით ჩამოკდა. მაშინ თორმეტი წლის ბავშვი ვიყავი და მასწავლებლებსა ძალიან მეშინოდა (იციმებოდნენ). თედომ მომიალერსა და გამოკითხა, სად სწავლობო. მე ვამიკვირდა მასწავლებლის ასეთი უჩვეულო ალერსი და ხალისიანად გაეციე პასუხი. საუბარში დედამ რაღაცა ანდაზა ჩაუბრო, რომელიც თედოსთვის უცნობი გამოდგა. მაშინათვე ქაბუკური სიმარღით ჩამოხტა ურმიდან, ამოიღო ზიბიდან უბის წიგნაკი და ჩაიწერა ის ანდაზა.

ამის შემდეგ ურემზე აღარ შემომგდარა, ფეხით მოსდევდა და ბეჯითად იწერდა დედის მიერ წარმოთქმულ ანდაზებს, რომელიც ჩვენმა მწიგნობარმა დედამ მრავლად იცოდა.

— აი, დღო გაფრინდა! — წამოიძახა დედამ, როცა მტრედმა თავზე გადაგიფრინა.

— ვინა, ვინა? — შეეკითხა გაკვირვებით თედო.

დედამ აუხსნა, ჩვენში მტრედს საალერსოდ დედოს უწოდებენო. თედომ ესეც მაშინვე ჩაიწერა, თან ისიც იკითხა, რომელ სოფელში იხ-

მარება ეს იშვიათი სიტყვაო. მე ყურადღებით ვუტყეპროდი ასე სწრაფად მომუშავე მასწავლებელს და ეს სამუდამოდ დარჩა ჩემთვის მისაბამ მავალითად.

რა ცოტა უნდა ბავშვს კარგის და ავის ასათვისებლად!

უკანასკნელად თედო სახოკიას შეგხვდი 1955 წელს, როდესაც ის უკვე 87 წლისა იყო და მეც 70 წელს გარდასული მოხუცი ვახლდით. თითქო ამ ასაკში აღარაფერი მესწავლებოდა, მაგრამ მოხდა ერთი რამ, რაც მოხუცს ისე გულში ჩამრჩა. იმ დროს მე ვიკვლევდი არსენას ლექსის ავტორის ვინაობას (იხ. ცისკარი, 1967 წ. № 1) და ამის თაობაზე ვეწვიე თედოს ბინაზე, რომ გამეგო იმისი აზრი.

თედომ ყურადღებით მოისმინა ჩემი გამოკვლევა და ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მაშინათვე გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა, სადაც მწყობრად ჩალაგებული ჰქონდა კარტოტეკის ქაღალდები, აღნიშნული ჰქონდა თავისი შრომების სახელწოდებანი. აუჩქარებლივ მოძებნა საჭირო ქაღალდი, სადაც ეწერა, სად და რა ალგავს ინახებოდა ეს ნაშრომი, ნელა წამოდგა, მიუახლოვდა წიგნების კარადას და ხეულად მონახა საჭირო წყარო.

ასე სწრაფად და გადაუდებლივ იცოდა მუშაობა იშვიათმა ქართველმა მოღვაწემ, მკვლევარმა, ეთნოგრაფმა, ლექსიკოგრაფმა — თედო სახოკიამ. პატივი და დიდება მის უკვდავ სახელს!

მანკალი ლუკაშვილი
წარსულის ფურცლები



1910 წლის 20 ნოემბერს შეწყდა რუსეთის დიდი მწერლის ლეე ტოლსტოის მაჯისცემა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით დაირხა მოსკოვში. იმავე დღეს შედგა სამგლოვიარო კრებები მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის საინჟინრო ინსტიტუტში. კრებაზე ამოგვიჩიეს დღევანდები, ისანია პოლიანაში ტოლსტოის დაკრძალვებზე დასასწრებლად. კრებაზევე მიღებულ იქნა ტოლსტოის ოჯახის სახელზე გასაგზავნი სამძიმრის დეპეშის ტექსტი, შემდგარი ორი სიტყვისაგან — „ველოვობთ ერთადერთს“.

21 ნოემბერს საღამოს 10 საათზე შევიკრიბეთ რკინიგზის სადგურის ფართო მოედანზე. დავედგით მწყობრად უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით და დავუწყეთ ლოდინი სავანგებოდ გამოყოფილ მატარებელს. მრავალი პოლიციელი და ჯაშუში შემოგვეხვია წყნარად მდგომ სტუდენტებს.

ძალზე ციოდა, მაგრამ ჩვენ მაინც მოთმინებით ველოდებოდით შედეგს. შედეგი კი სამწუთორო აღმოჩნდა. ბილეთები ყველას არ ერგო და უკანა რიგებში მდგომნი ვუღალაყვეტოლი დარჩნენ მოსკოვში. ეს განგებ იყო მოწყობილი: მთავრობას უნდოდა, რაც შეიძლება შეეზღუდა დასავლაცეებაზე დამსწრეთა რიცხვი.

...დილის რვა საათზე ჩვენი სამგლოვიარო მატარებელი გაჩერდა რკინიგზის პატარა სადგურ „ხასეკაზე“ (ახლა „ისანია პოლიანა“). ყველანი გამოვიდნენ ვაგონებიდან და გავემართნენ მეორე სადგურისაკენ, სადაც სავანგებო მატარებლით ტოლსტოის ნეშტი უნდა მოესვენებიათ.

მე გავეშურე ტოლსტოის სახლისაკენ, რომელიც დაშორებულია რკინიგზის სადგურიდან ხუთიოდე კილომეტრით. მინდოდა, სანამ შორი სადგურიდან მოასვენებდნენ მიცვალებულს, დამეთვალყურებინა მისი კარმიდამო.

თოვლით მოფენილ გზაზე ერთი საათის სიარულის შემდეგ მიუახლოვდი სოფელ ისანია პოლიანას, სადაც შევხვდი გლეხებს, გამოწყობილთ ქუჩებში. ხელში გრძელი ჭოხები ეჭირათ. მათთან ერთად შევედექი აღმართს და მალე მივაღწიეთ ტოლსტოის ეზოს, რომლის შესასვლელში აყუდებული იყო ქვითორის ორი თეთრი კოშკი. შევადეთ ქიშკარი და შევუღმე ჩით ცაცხვის ხეივანს. გაშენებულს ტოლსტოის ხელი. მას ემარჯვებოდა ხენათესვა, შემის დააობა, ჩექმების კერვა, დურგლობა და სხვა ამგვარი ხელოსნობა, რომლითაც ისვენებდა გამუდმებული სამწერლო მუშაობის შემდეგ.

ფართო ხეივანი მივედი ტოლსტოის ორსართულიან სახლთან, რომელიც მან ააშენა ნასახლარზე, ასე დაწერილობით რომ აქვს აღწერილი „ომსა და მშვიდობაში“... ეზოში დაეინახე

თოფ-იარაღიანი ვიღაცა ჩოხოსანს, მანაგანთოში ხელში.

— ეგ ვინ არის? — ვკითხე გლენს გაკვირვებით.

— ტყის მცველია, — მიპასუხა, — ქალბატონმა ტოლსტოის ცოლმა დაიჭირავე ჩვენს გასამართლებლად, თუ ვინიცობაა იმის ტყეში ორიოდე დერ შემას მოვკრიბო...

შევედი ტოლსტოის სახლში. პირველი სართლის დერფანში მოთავსებული იყო ტოლსტოის წიგნთსაცავი. შუშებიან კარადებში ელვავ მრავალზე მრავალი წიგნი, უმთავრესად — ტოლსტოის თხზულებათა თარგმანები ევროპის და აზიის სხვადასხვა ენებზე. წიგნები ავტორისათვის გამოეგზავნათ სამახსოვროდ, აქ იყო ჩინურ, იაპონურ და სხვა ენებზე თარგმნილი „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“ და სხვა ნაწარმოები.

გამოვედი გარეთ და გავემართე კარმიდამოს დასათვალიერებლად. მოვიკითხე ტოლსტოის მეეტლე, რომელმაც მიაბო:


გრაფი ტოლსტოი და მისი პირადი ექიმი დუშა (დუშანი) გამოვიდნენ ნაშუალამეც გარეთ, (10 ნოემბერს), გაამდიძეს და მხოვცეს, ეტლი გაამაზადო. ტოლსტოი ისე ჩქარობდა, რომ თვითონ მეხმარებოდა ცხენების შებმაში.

...ტოლსტოი თავის პირად ექიმთან ერთად ჩაჯდა ეტლში და გაემგზავრა ბნელ ღამეს რკინიგზის სადგურისკენ. იმ ღამეს მას დაეწერა წერილი თავის მეუღლისადმი, რომელშიც მალდობას უხდიდა ნახევარი საუკუნის მანძილზე ოჯახის უღლის წვეის გამო, სამუდამოდ ემშვიდობებოდა და სთხოვდა, არ ეძებნათ მისი კვალი.

მეორე დღეს ტოლსტოიმ ინახულა მონასტერში თავისი და, მოხუცი მარია, დემშვიდობა თვალერემლიანი და შეუდგა უკანასკნელ საბედისწერო გზას. ტოლსტოიმ არ მოასურვა, მგზავრობა არც რბილი ვაგონით, არც პლაცკარტით. შევიდა მგზავრებით სავსე საერთო ვაგონში, სადაც ეწეოდნენ იაფფასიან თამბაქოს, და ჩამოჯდა თავისუფალ ადგილზე. ამ დროს შემოვიდა ვიღაცა მთვარალი მგზავრი და აუტეხა ჩხუბი, ეს ავგილი ჩემიით.

ტოლსტოი მაშინვე წამოდგა და, რადგან ვერ იტანდა თამბაქოს კვამლს, გავიდა ვაგონის დერფანში, სადაც ჩამტვრეულ შუშაში ზამთრის ქარი უბერავდა.

პატარა სადგურ ასტაპოვოში (ახლა „ლევ ტოლსტოი“) მატარებელი გაჩერდა ორი წუთით. ვაგონიდან გადმოვიდა ორი მგზავრი. ერთი მაღალი, შუახნის კაცი და მეორე შუატნის ბერეკაცი, რომელსაც რბილი ქუდი თვალებამდე ჩამოეფხატა და ქალარა წვერი პალტოში ჩაემალა. ესენი იყვნენ ტოლსტოი, რომელსაც



ავადმყოფობის გამო მგზავრობის გავრცელება აღარ შეეძლო, და მისი ექიმი — ღუშანი.

ექიმი გაეშურა წითელქუდიან რკინიგზულთან, რომელიც ამ სადგურის უფროსი გამოდგა, და აცნობა, რომ ის ბერკაცი, ჩემოდანზე რომ ზის, ლეე ტოლსტოია, ავად გახდა გზაში. მგონი ფილტვების ანთებითო.

— ხომ არსად არის აქ ბინა, ავადმყოფი რომ მოვათავსო? — იკითხა ექიმმა.

სადგურის უფროსმა მაშინათვე დაუთმო მგზავრებს თავისი ბინა, რომელიც შედგებოდა სამი პატარა ოთახიდან თვითონ კი მთელი თავი იჯახით გადავიდა რკინიგზის დარაჯის სახეში.

მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი ჩააწინეს სხვის ლოჯინში. ავადმყოფი მხოლოდ იმას ითხოვდა, არავის შეატყობინოთ ჩემი აქ ყოფნა და ჩემი ოჯახობა არ შეაწუხოთო.

მაგრამ ასეთი დიდი ამბის დაძალება ვის შეეძლო? მეორე დღესვე ეს ამბავი მოედო მთელ რუსეთს. ამ პატარა სადგურს უამრავი ხალხი მოაწყდა. მიესივნენ ეურნალ-გაზეთების თანამშრომლები და ატეხეს გაზეთის ფურცლებზე მთელი განგაში. სადგურზე მოვიდნენ ტოლსტოის ვაჟი და ქალიშვილი, რომელმაც მამას მოუტანა მისი საკუთარი ბალირი და ზეწარი.

— საიდან გაიგეთ ჩემი აქ ყოფნა? — იკითხა გაკვირვებით ავადმყოფმა.

— კონდუქტორებმა გვითხრეს, — იტყუეს შეილებმა.

— სონია ხომ სახლში დარჩა? — იკითხა მწუხარება თავის მეუღლესზე. შეილებმა დაარწმუნეს, სახლში დარჩაო. სინამდვილეში ტოლსტოის მეუღლე მოვიდა განსაკუთრებული ვაგონით და იქვე სადგურზე ელოდებოდა ამბავს.

ექიმებმა ურჩიეს მას, არ შეეწუხებინა ავადმყოფი, და ისიც იძულებული გახდა ფანჯრის შუშიდან ფარულად ემზირა თავის განაწამებ მეუღლესათვის.

— როდის შეეძლებთ მოგზაურობის გავრცელებას? — იკითხა სიკვდილის წინ ტოლსტოიმ.

— იმედია, ორ-სამ დღეში უკეთ შეიქმნებით, — დაიმედეს ექიმებმა. მაგრამ 20 ნოემბერს, ნაშუალამევს, სულთმობრძავე დაჰკარგა გრძნობა. მარჯვენა ხელით საბანზე გამუდმებით თითქოს რაღაცას წერდა, სუნთქვა გაუხშირდა, მაჯის ცემა შეუსუსტდა, ერთი მძიმედ ამოიხსრა და განუტევა სული.

— 5 საათი და 40 წუთია, — თქვა ექიმმა ხმადაბლა და მიცვალებულს თვალები დაუხუჭა. მხატვარმა, რომელიც სხვებთან ერთად სადგურში იმყოფებოდა, ფანქრით შემოახსნა კედელზე ტოლსტოის სახის აჩრდილი და... ტელეგრაფით აცნობეს მსოფლიოს ტოლსტოის აღსასრული.

...22 ნოემბერს, შუაღლისას, გამოჩნდა სამგლოვიარო პროცესია. სტუდენტებს ხელით მოპ-

ქონდათ უბრალო რუხი კუბო. სრული სიჩუმე დაარღვია ჩემს გვერდით მღვთიმა ბერკაცმა: „დახე, დახე! — წამოიძახა მან და არც მღვდელი მოჰყვება, არც დიაკონი“.

როგორც ცნობილია, 1901 წელს „უწმინდესმა“ სინოდმა ეკლესიიდან განდევნილად გამოაცხადა ტოლსტოი. ამიტომ იყო, რომ ტოლსტოის სურვილისამებრ მას ასაფლავებდნენ უმღვდლოდ. ეს იყო პირველი სამოქალაქო დაკრძალვა რუსეთში.

კუბო შევიტანეთ პირველი სართულის ვიწრო ოთახში, სადაც, მისი შეილის განმარტებით, ტოლსტოიმ დაწერა „ომი და მშვიდობა“ და სხვა ნაწარმოებები. გავეწყვიდით რიგში და მძიმედ გავუარეთ კუბოს, სადაც ესევნა გრძელწერა, ჭიკარა, ფართოშებლიანი მწერალი.

ძალზე მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა თითქოს საშინლად სტანჯავდა რაღაცა მძიმე ფიქრი. ტანზე ემოსა თავისი ხელით შეკერილი შავი ტილოს ხალათი, ხელები ჯვარედინად ჰქონდა დაწყობილი გულზე და ისე ცოცხალივით იწვა 82 წლის მოხუცი, თითქოს ეს არის წამოდგება და შეუდგება დროებით შეწყვეტილ მუშაობასო.

ჩვენთან ერთად ოთახში შემოვიდა და კუბოს გვერდით აიტუნა ვიღაც ბოქაული. ტოლსტოის ექვმა სთხოვა; ახლავე გარეთ გაბრძანდითო.

— აქ წესრიგის დასაცავად ვდგევიარ, — უპასუხა იარაღში ჩამჯდარმა ბოქაულმა.

— მიცვალებული ჩვენია, წესრიგსაც თვითონ დავიცავთ, — განრისხებით უთხრა ტოლსტოის შეილმა და აიძულა ბოქაული, დაეტოვებინა დარბაზი, სადაც ჩვენ სრული წესრიგით მივდევდით ერთი-მეორეს. მხოლოდ ერთი ჩვენთაგანი შეჩერდა კუბოსთან, მღვდმარედ დააქერდა მიცვალებულს და... აკოცა მამწერალ ხელზე.

— არ შეიძლება! არ შეიძლება! — წამჩურჩულა სერგი ტოლსტოიმ.

დღის სამ საათზე ტოლსტოის ოთხმა ვაჟმა გამოასვენა კუბო, მაშინათვე იხუჭლა ამ ზღვა ხალხმა და ჩაიჩოქა თოვლში. გაისმა საერთო გალობა „საუკუნო ხსენება“ და ამ გალობით მიეასვენეთ საფლავთან, რომელიც იქვე ტყეში იყო გათხორცილი.

ამ დროს გაისმა ჩურჩული. — არავინ წარმოსთქვათ სიტყვაო, — და მიგვითითეს ცხენოსან პოლიციელებზე, რომლებიც მოულოდნელად საიდანღაც გაჩნდნენ მათრახებით ხელში ამ უღაურ ტყეში და აღუყა შემოგვარტყნა იმ ბოქაულის მეთაურობით.

ეს იყო ნამდვილი პროვოკაცია. არეულობის

პრეკლე ლუკაშვილი
წარსულის ფურცლები

თავიდან ასაცილებლად, უსიტყვოდ გამოვესალ-
მეთ ტოლსტოის ცხედარს.

კუბო მძიმედ ჩაუშვეს სამარეში. ამოსწიეს
თოკები და დაუწყვეს ნელ-ნელა მიწის მიყრა.

ამ დროს, ამ დაძაბულ სიჩუმეში, გაისმა სრუ-
ლილ მკაფიოდ: „მომეცე ვგ ნიჩაბი!“ ამ სიტყ-
ვებით მოხუცმა გლეხმა გამოიტაცა ახალგაზრ-

და მესაფლავეს ნიჩაბი და გლეხურად, მარჯველ
და სწრაფად ამოავსო საფლავი ზევი მიწით, ზე-
მოდან თოვლი მიყარა და გულმოდგინედ მო-
ტყებნა, თითქოს ეფიქრებოდა, არა უნდა დადეს
ცივი სამარეში იმას, ვინც ასე გულმუნურაა
ემსახურებოდაო ხალხს მთელი დაივის სიცო-
ცხლის მანძილზე...

რ ე ნ ტ ბ ე ნ ი

1903 წელს სასულიერო სემინარიის დამთავ-
რების შემდეგ გავემგზავრე მიუნხენში, პოლი-
ტექნიკუმში შესასვლელად, მაგრამ იქ მიღებაზე
ცივი უარი მიხრებს: ჩვენ ვიღებთ გიმნაზიის
სწავლა-დამთავრებულებს და არა სემინარიე-
ლებსო.

მაშინვე გავემართე უნივერსიტეტში, რომ იქ
მინც როგორმე ჩავწერილიყავ სტუდენტად
და შემდეგ გადასულიყავ პოლიტექნიკუმში.
უნივერსიტეტში დავესწარი ფიზიკის ლექ-
ციას, რომელსაც კითხულობდა პროფესორი
რენტგენი. ამ დღეს ის ჰყვებოდა მის მიერ აღ-
მოჩენილ სხივებზე, რომელსაც ყველანი უწო-
დებდნენ რენტგენის სხივებს, თვითონ კი მოკრ-
ძალებით უწოდებდა იქს-სხივებს.

კათედრაზე იდგა დარბაისელი, წაბლისფერ
წვერულვაში, შუახნის კაცი (ქართველსა ჰგავ-
და) და დალაგებით, აუჩქარებლივ გადმოგვეცე-
მდა სხივების თვისებებს. სადემონსტრაციოდ
ახლომჯდომები მიგვიწვია კათედრაზე და „გაგ-
ვაშუქა“ თავისი აპარატით. ჩემი ჩონჩხი ეკრან-
ზე რომ დაეინახე, შევეკრთი და მაშინვე ჩემს
ადგილზე დავბრუნდი. რენტგენს ჩაეცინა და
ყურადღებით შემომხედა უცხო ტომის ადა-
მიანს.

— ახლა თქვენ იცით, რა თვისებები ჰქონია
იქს-სხივებს, — დაამთავრა რენტგენმა და
ოდნე თავი დახარა ლექციის დამთავრების ნიშ-
ნად.

რენტგენი აუჩქარებლად გაემართა თავის კა-
ბინეტისკენ.

— ბატონო პროფესორო, თუ შეიძლება, საქ-
მე მაქვს თქვენთან, — მივმართე მოწინააღმდეგე-
ბით.

რენტგენმა შემიპატიყა კაბინეტში. ავუხსენ-
ი, რა აფერხებდა ჩემს მიღებას პოლიტექნი-
კუმში.

— მე რა შემიძლიან? — შემეკითხა გაკვირ-
ვებით.

ვთხოვე, დამხმარებოდა და ეშუამდგომლა პო-
ლიტექნიკუმის რექტორთან. ისიც ავუხსენი,
რომ რუსეთში სემინარიელებს იღებენ უმაღ-
ლეს სასწავლებლებში, აქ კი...

— თქვენი დიპლომი? — მომმართა მან მოკ-
ლელ.

ვიკარი ჯიბეში ხელი და გავუწოდე სემინა-
რიის ატესტატის გერმანული თარგმანი, სათანა-
დოდ შემოწმებული რუსეთის საკონსულოში.

— აქ სულ ხუთიანები გქონიათ, ამისთანა
ცული ნიშნებით როგორ გინდათ პოლიტექნი-
კური კურსის დაძლევა? — შემეკითხა გაკვირ-
ვებით მეცნიერი, რომელიც განათლებით ინჟი-
ნერი იყო.

თურმე გერმანიაში ხუთიანი ყველაზე ცუდი
ნიშანი ყოფილა, ხოლო ერთიანი ნიშნავს
ფრიადს.

კიდევ კარგი, რომ თვით ატესტატის მეორე
გვერდზე განმარტებული იყო, რომ ხუთიანი
ჩვენში ფრიადს ნიშნავს.

რენტგენმა მომცა წერილი პოლიტექნიკუმის
რექტორთან და საქმე მოგვარდა.

ასე დამეხმარა უცნობ ჰაბუქს უდიდესი მეც-
ნიერი და კეთილი გენია ვილჰელმ რენტგენი.



დიდ ბზაზე

1. ვეჯინუი

ურემი ვზაშარის პირას, ზღვის თავში, ბებერი კაკლის ხის ძირში იდგა.

მძიმედ მიაბიჯებდა. ტერფების ღრმა ნაკვალევი რჩებოდა უკან. ყურძნით საესე გოდრის ღღურებში ბეჭისთავებს სტკენდა.

სამოცდაათი ნაბიჯი იქნებოდა ურმამდე. წინ არ იყურებოდა. გაფუებულ ნაბარავზე თავის ნაფხურებს მისდევდა.

ყველაზე ძნელი იყო ბოლო ნაბიჯები.

როცა ზედადგარზე ტვირთი შემოდგა, მთელ ტანზე აღმური ეკიდა. შვებით ამოისუნთქა, სახელოთი თავსა და შუბლ-კისერზე გამონაყონი ოფლი შეიწმინდა.

კაკლის ქვეშ, ჩრდილში ხარები იწვნენ. თვალეზი დაეხუჭათ და ზანტად იცოხნიდნენ.

ქარვისფერ მტეენებზე დაცოცავდნენ დამძიმებული და ნექტარით დაოსებულ ფუტკრები. მათი ზუზუნი და მცხრალი მზე თენთავდა და ძილს გვრიდა ნაჯაფარ სხეულს.

ხელისგულივით მოჩანდა ზვარი.

მომწვანო-მოყვითალო მწკრივებში დროდადრო გამოჩნდებოდა დედის შავი თავსაფარი. დედასთან ერთად მეზობლის გოგო-ბიჭები: გურამ ონტყოფა, ომარ ნაცარქათამა, ნინელი ორშიმო და ზაირა კრუფდნენ ყურძენს. ისინი არ ჩანდნენ. არც ზაირა ჩანდა, მხოლოდ მისი წკრი-ალა ხმა გარკვევით ისმოდა. ისე ისმოდა, თითქმის აქვე ახლოდან, ურმის გადაღმიდან მოდი-სო.

მეტსახელი მარტო ზაირას არ ერქვა.

— ზურიკოლო....

ესეც ზაირას ხმა იყო, ალბათ მეორე გოდო-რიც გაავსეს.

ვანიერი პერანგის კალთები ქამარში ჩაიტრია. გოდორი ძარაზე წამოაბიჭებავა და მხარ-ილივ მოივლო.

მწკრივებს შორის ყურძნით საესე სათლები, ხელკალთები და საგულდაგულოდ შერჩეული, ქარვისფერმტეენებიანი ჩხები ეწყო.

დედას დაკრეფილ მწკრივში ჩაემუხლა, ვაზის ძირებთან ამოზრდილი ბალახებიდან თითო-თითოდ არჩევდა ჩაცვიფრულ მარცვლებს.

იმ წელიწადს დედა პირველად თავკაცობდა რთველში და მამას ბაძავდა. მამა ყურძნის მარცვალსაც არ დატოვებდა ზვარში.

დედამ პეშვი გაივსო და მარცვლები ხელკალთაში ჩაყარა. გოდორიც გაივსო.

ეს მათე გოდორი იყო. კიდეც ხუთი-ექვსი თულა იქნებოდა გასაზიდავი.

ბარაქა არ მისცა ზვარმა. კაცის ხელი აკლია. წამალიც აღარ ეტყობა ფოთოლს, აღრიანად ჩაყვითლდა, პრაქმა აჭრა და გაავერანა.

არც ძია იოსებას ზვარია უკეთესი. არც ძია როსტომასი. ისინიც მამასთან ერთად წავიდნენ და აღარ დაბრუნდებიან.

აღარ დაბრუნდებიან.

ამბობენ, ომი მალე გათავდებაო.

ისევე ხვთისო თორს თუ ექნება ხეირიანი მოსავალი. ცალხელა კაციც სჯობის უკაცოდ და-რჩენილ ოჯახებს.

კაცის ხელი ხელია, მადლი მოსდევს.

— ხიხი... ჰიჰი, — კისკისებს ზაირა.

— რას იკრიჭები? — ეკითხება გურამი.

— ნახეთ, ზურიკოს ჩამოეძინა, ყვინთავს.

— აბა, ერთი, მიდი, შენ აიკიდე ეგ გოდორი! — იბღვირება ომარ ნაცარქათამა.

— ეს დაკრეფილიც ავიტანოთ, შვილებო, და ვისადილოთ, თორემ ბიჭს გული გადაეღია, მოუკვდეს დედა!

ნინელი წინ გარბის, პატარა საესე კალათას მიაქანავებს, გარბის და ტომრის კაბის კალთე-ბიდან პაწაწინა ფეხისგულები მოუჩანს.

ბინდია.

ფანჯრიდან მკრთალი შუქი ანათებს წინა ეზოს. ხარებს ზურგზე ოხშივარი ასდით. თითები წარამარა სხლტება ტაბიკის ჩაკეანძულ, ხარის ოფლით გაყენილილ აპეტურზე. გამოუცდიელი მეხრის ხენვშას მორჩილად უსმენენ ქედდაულ-ლული პირუტყვები, მოთმინებით უცდიან უღლაღან გამოხსნას.

— ხეთისოს დაუძახე შვილო, ზაირა, მოგვეხმარეთქო!

ზაირას კაბის სახელოები იდაყვებამდე წამო-
უმკლავებია და გობს გულმოდგინედ რეცხავს.

— შვილო, ზაირა!

— აქა ვარ, სოფიო ძალო!

— ხეთისოს დაუძახე, შვილო, იქნებ მოგვეხმაროს.

ზაირა მარნიდან გადის, ბნელში იკარგება და ცოტა ხნის შემდეგ:

— ხეთისო ძიამ საწნახელში ვდგევარო, მანამ არ მოვრჩები, ვერაო.

ზურგიო საქმეს არიგებს:

— მერაბ, შენ ხარებს ჩალა დაუყარე.

— ომარ, მე და შენ გოდრები ჩავცალოთ.

— ზაირა, ნინელი მოიხმარე, საწნახელს ფიცარი მიუღმეთ, თორემ ყურძენი გადმოცივია.

— დაღამდა, — ამბობს ზაირა, — შინ უნდა წავიდე, გამიჯავრდებიან.

შაინც არ მიდის, სოფიო ძალოსთან ტრიალდება.

ღედას დიდი სპილენძის ქვაბი საწნახელთან მიუღვამს და პირმახვილი ჩოგნით ორმოს ჩიჩქნის, აღრმავებს, რომ ქვაბი მჭიდროდ ჩადგას და თან ღარის საწვეთურს შეუპირისპიროს.

ურემი დაცარიელდა. გრძელი საწნახელი და-
ზურგულია, სინათლეზე ვეება ოქროს შეფორაჯებული ზოდევით ბზინავს.

ქვევრებიდან მკრთალი კვამლი ამოდის. მარანში გოგირდის სუნი ღვას.

— აი, ცხელი წყალი და საპონი, შვილო. — ამბობს ღედა.

ზურგიო დიდხანს იბანს ბარძაყებამდე დაკარწახებულ ფეხებს. მერე ახალთახალი პირსახოცი იშმარალებს და საწნახელში დგება.

ფეხქვეშ ჯვრ ადვილად იქვილიტება მტევანი, მერე ფეხი მღვრიე წებოვან მისაში იფლობა, მაგრამ უფრო ღრმად ისევ მთელი მტევნებია. ცალ მხარეს უნდა გადაიტანო მთელი სიმძიმე, ისე ფსკერამდე ვერ ჩაუწვდენ. ამას მამაკაცის ძალა სჭირდება.

მამას მუხლისთაღებიც არ ემალებოდა საწნახელში, ფეხის თითო მონაცვლებაზე წყაროსავით იესებოდა სადენი ღარი.

იმ შემოდგომაზე რამდენი კაცი ტრიალებდა მარანში. მათი ხორხოცი და მაღალი ბანი თითქოს მარნის ჭერქვეშ არ ეტეოდა.

წვივებს მუხლებამდე სქლად მოსდებია ზადაგი და ბირკებევით მიუტარავს წიბა. დრო და დრო

ზეგად ჩამოწვება მტევანი და ფულამუშვით შედედებულ ტკბილსა და ჭაპის ფაფაში წვება. ისევ და ისევ უნდა მოუწავლო, ვეხი მტევანი ვაგირბის, უნდა მოიმწყვდო, დაღლაზე ფიქრიც არ შეიძლება, მამაკაცის საქმეს ვინ გააკეთებს.

ზაირას ხის კათხა საწვეთურთან მიიჭეს.

— სოფიო ძალო, აი, ნახე.

ღედა კათხას ტუჩს ადებს, თითქოს ილოცებაო.

— რა ტკბილია, აბა ნახე ზურგიო, აბა ნახე!

— ჰო, ტკბილია, მა რა! — და კათხას ისევ აწვდის.

მერე ნინელი ორი ხელით იმარჯვებს ვეება ჭურჭელს და სახე აღარ მოუჩანს. ერთი ბეწო თითებით ძლოვს იქერს.

— აბა, შენ ნახე, ომარ!

მერაბი საქმეში ჩახედული კაცივით ამბობს:

— კარგი ღვინო დადგება, ღმერთმანი.

ჰო, ისე აღარ არის, როგორც იმ წელწოდის..

მამინ კაცებმა ერთ საღამოს მოითავეს რთველი.

ყოველთვისაც ევრე იყო ხოლმე. ერთმანეთს ჩაუდგებოდნენ მხარში შუალამისას დიდ ნინაზე ჩამოსწურავდნენ ჭაპსა, ქვევრებს გარეცხილ ტომრებს წააფარებდნენ, მარანს დალოცავდნენ.

მერე შემოლაგებოდნენ ძია კოლაი, ძია იოსებაი, ძია მიშაი, ძია როსტომაი და სართველე ქვევრს მოხსნიდნენ. ღედა იქვე გაუშლიდათ სუფრას, ხორავით გააესებდა. მწვადებს შიშინი გაჰქონდა, მწვდზე აკრულ ცხელ ნახშირს წყაბურტით შემოაცილიდა ხოლმე მამაი.

გლეჯდნენ შემწვარ ნეკნებსა და ჩათქოლილ ბეჭებს, ოხშივარავარდნილ კანჭებს. ჯამეში ასხამდნენ ღვინოს, ილოცებოდნენ, ღედისკენ იშვერდნენ ჯამეზიან ხელებს.

მერე მღვროდნენ. ხმას ერთმანეთს უნაცვლებდნენ.

მამას ხმა — გეგონება ჭერი შეირყაო.

ძია კოლაი ევჯინის ბოლომდე გაუწვდენდა:

მიყვარხარ ტკბილო კახეთო,

დიდო ალაზნის ქალაო...

ძია იოსებაი, მიშა და როსტომაი ქვევრის ხმაზე აუბამდნენ ბანებს.


კარგი იყო.

●

ზამთრის დილაა.

რკინის ლემელში მქადი ცხეება. ლემელზე ალუმინის ქვაბი დგას და თუხთუხებს. სანელბლის სუნი თითქოს ცხვირ-პირში ვილიტინებს.

შუშაბანდის ფანჯრები დაგმანულია. ფანჯრებს იქით სუსხიანი ბინდია. შიშველი ტოტები ქანაობენ და ბრაზიანი ჭარის შხულილი გამთბარ თთახშიც სიცივეს გაგრძობინებს.



ზაირა წინდისჩინებით ნაქსოვი სვიტერის საყვლოს მალა იწვეს, მერე ღუმელის კარს ადებს და რკინის საყვიტით ჩამწვარ მუგუზლებს ეჩალინება.

— ცეცხლი ქრება, ზურიკო, არ შემომამტებ? ზაირას რეზინის ძირიანი სატალახოები გაუხლია, იატაკზე დაგებულ თუნუქის კიდზე ფეხები უწყევია და ცალი წინდიდან ცერა თითის წვერი მოუჩანს. წინდებს ორთქლი ასდით, დამდნარი თოვლის წვეთები ჭერაც არ შემორობია უმლზე.

ხეტისა ძიას თავი მუხლებში ჩაურგავს და თამბაქოს ახრჩოლებს.

ზურიკო შეშის მოსატანად მიდის. დია კარში სიცივე შემორბის. მერე ქვევიდან დიდხანს ისმის შეშის ჩეხვის ხმა.

მერამდენე დღეა, დედას სახე არ გამოუჩენია. წელში ერთბაშად მოიხარა. თალხი აბრეშუმის თავსაფრიდან ნამტირალევი თვალებით იყურება. დედა უცბად დაბერდა, მოტყდა.

— შე მივიღივარ, დედა, უკვე გადავწყვიტე! — მაინც არ იშლი, შვილო, არა? — არ ვიშლი, ოჯახსაც გამოვადგები, ჩემს თავსაც, ხელობას ვისწავლო.

დედას აღარ უკვირს, ყურგახედნილია და აღარც ტირის.

— იმოდენა ქალაქში ვინ ვიპატრონებს, შვილო.

— მე პატარა აღარა ვარ.

— პატარა აღარა ხარ, გენაცვალოს დედაი, პატარა აღარა ხარ.

— ჰოდა, ხელობას ვისწავლი, ვიმუშავებ.

— ისწავლი, განა არ ისწავლი, შვილო...

დედა ღუმელის კარს ადებს, ღუმელი გიზგიზებს, მერე ისევ ხურავს და გარეთ გადის, ვითომ შეშის შემოვიტანო.

არც შემოვა, ვიდრე გულს არ მოიოხებს. გარედან ხეთისო ძიას ხმა ისმის:

— მაშ, ბიჭმა მაინც არ დაიშალა თავისი!

— არ დაიშალა, ხეთისო, უნდა წავიდეთ.

— მერედა შენ რაღა გატირებს, ადამიანო.

ქალაქი რა, ქალაქი აქვე არ არის!

გამოაცლიეს. გურამი, ომარი და ნანელი დარცხვენილებივით იდგნენ. ტილოში შეხვეული ჩურჩხელები და ნიგოზი ჩაუდეს აბჯაში, მოგვიგონე ხოლმეთ.

— ზაირა სადღა? — იკითხა.

— წყაროზე იყო, — თქვა ნინელიმ, — ზურიკო მიდის-მეთქი და — თავი დამანებეთ, გამიჯვარდა..

გურჯაანის სადგურამდე გამოჰყენენ დედა და ხეთისო. ბაზარში შეიარეს.

გამარცულს ჰგავდა ბაზარი. დახლებზე ძველებურად აღარ ეწყო სანოვანე, ხორცი და კახური პური, ჩურჩხელა და ხილი. შესასვლელთან

ორი თუ სამი ორთვალა იდგა. ზედ კასრები ეწყო. პატრონებს იქვე ღვინით სავსე ბოთლები ჩაემწვრივებინათ და დღერემილები ელოდნენ ქუშტარს.

თუმარქუდიან კაცებს შორის ჩახალხალნი ბიც დააბოტებდნენ ბაზარში, ზოგს ხურჯინიდან ხალათები, გაცეითი ტყაბუშები და ქვინტებშელანძლული, მაგრამ ლაქით გაკრიალებული სატალახო ჩემები ამოელაგებინა და გამვლელ-გამომვლელს სთავაზობდა.

— ესენი იმერლები არიანო, — თქვა ხეთისო ძიამ, — ტანსაცმელი და ძველმანები აქეთ ჩამოტანილი ხორბალზე გასაცვლელადო.

...მატარებლთ პირველად მგზავრობდა მართო.

გულის ჯიბე მოისინჯა. იქ ედო სკოლიდან წამოდებული მოწმობები და მე-6 პროტექტორი სასწავლებლის მისამართი. ეს იყო მიმავლის იმედი.

2. მახინტოგორსკის ქუჩა

ლოტკინის მთის თხემზე დილის ნისლი რომ გაიცრიცება და მუშათა ახალდასახლების შემინული ლოჯიები პირველ სიხის აირეკლავენ, ზურაბ გველუკაშვილი უკვე ქარხანას უახლოვდება.

ქარხანამდე ათიოდე წუთის სავალია. თუ დარია, ზურაბი ფეხით სიარულს ირჩევს, პალტოს საყვლომდე შეიკრავს აყურატულად, კაშნეს მკიდროდ მოირგებს და მოსიერნე კაცის ნაბიჯით გაუყვება მახინტოგორსკის ქუჩისაკენ.

უკეთეს დილას ვერც ახლა ინატრებდა კაცი. ცა იყო გამჭვივალე. ქალაქს დილის ნათელი ადგა.

ტრამვაის გაჩერებასთან საათზე დაიხედა. მოსაცდელთან შეგჯუფებული ხალხი თვალებით გაცხრილა, მერე ბეტონის რიკულებიანი აივნებისაკენ გაიხედა.

„ნათუ არც დღეს მოვა? ცოტა ხანს დავუცდი“.

ერთბაშად ცუდ გუნებაზე დადგა, უმიზნოდ გამართა პარკის შესასვლელისაკენ, მერე პაპიროსების გამოტენილი ჯიხური დაინახა და სიგარეტი იყიდა.

მოვიდა ერთი ტრამვაი. ხალხი ერთბაშად აიკრიფა. და დაიძრა. ზურაბი მარტო დარჩა.

შუა მაგისტრალზე მილიციელი გადმოდიოდა. იცნო უმცროსი ლეიტენანტი უშანგი ბაბდაველიძე. უშანგი ამ ბოლო წლებში საოცრად გასუქდა, წელზე ქამარი აწყდებდა.

მეორე ტრამვაიც მოვიდა.

ისევ გაიხედა ბეტონის რიკულებიანი აივნებისაკენ.

ოთხარ დიპლომით

დიდ პუჩუბ

სიგარეტის ნაწივი ასფალტზე დააგდო და გასროსა.

— არ გეკადრება დამკვრელ კაცს ამისთანა საქციელი — თქვა მილიციის უმცროსმა ლეიტენანტმა.

— ა!

ზურაბმა მოიხედა. მილიციელს ეშმაკურად მოეხუტა თვალი.

— გამარჯობა. „თბილისს“ კითხულობ?

— როგორ არ ვკითხულობ. გაგიმარჯოს! — თქვა ზურაბმა.

— მერე, იქ რომ წერია, ვადაეპტოთ თბილისის სანიმუშო წესრიგის ქალაქად, შენ არ ეთანხმები?

ზურაბს გაეღიმა. გასრესილ ნაწივს ხელახლა გაუსვა ფეხი და ასფალტზე თამბაქოს ყვითელი ლაქალა დარჩა.

— მართალია, დამნაშავე ვარ, — თქვა შემდეგ.

მილიციელმა ერთბაშად მესაიდუმლე კაცის გამომეტყველება მიიღო და მკლავში წაავლო ხელი.

— რა მოხდა, წაიხსუბეთ თუ რატომ აღარ გვხვდები? — და თვალთი აიგინისკენ ანიშნა.

— ჰო, რა ვიცი, ცოტა წავლაპარაკდით, ნაწყენია, იტყობა.

უმცროსმა ლეიტენანტმა ახლა რაც შეიძლება გულწრფელად დაამედა:

— არ წახდი, კაცი, შეგირიგდება, ზიარა ჭკვიანი გოგოა, იცის წესიერი ადამიანის ფასი. შენისთანა დამკვრელი თითებზე ჩამოსათვლეოა ჩვენს რაიონში.

ოდესღაც, მილიციის უმცროს ლეიტენანტს რაიონის მოწინავე ადამიანთა საბატო დაფაზე ზურაბ გველუკაშვილის პორტრეტი ენახა და მის მერე ამოჩემებული ჰქონდა „დამკვრელი“. ზურაბმა გაიღიმა.

— აბა, არ წახდებ ხომ?

— დამიჯერე. ისე იქნება, როგორც ვითხარო.

— იმედიც კარგია, მაღარიჩი ჩემზე იქნება, ნახვამდის, სამსახურში მაგვიანდება, ამხანაგო ლეიტენანტო.

ჩინის მომატება შეიფერა მილიციელმა და ნაღამოვნებმა დააწია ზურაბს:

— აბა, ჰე, ნახვამდის.

რკინის ალყაფთან პატარა ჯიხურია. სარკმელიან ერთი ხელისოდენა რაფაზე ვახტერს იდაყვი დაუბჯენია და მოასფალტებულ გზოს გასცქერის. გზოში მუშები მანქანიდან პროდუქტებს ტვირთავენ. ლიმონათისა და ლუდის ბოთლებით სავსე ყუთებს იქვე, სასაიდლოს წინკართან აწყობენ, ერთს, მეორეს, მეთეს...

ვიღრე ალყაფს მანქანა, ან უცხო ვინმე არ მოაღებდა, ვახტერი უქმად ზის, რა გააკეთოს. ზის და ხელონიერი ბიჭების მუშაობით ერ-

თობა, ისინი მსუბუქად აწვდიან ერთმანეთს შიმშილს და ქარხნის დარაჯიც უთვალს ყუთის აწვე-დაწვევას გუნებაში ითვისებს.

მეკ, ერკუს, ირეკ, ჩორს... ტანს...
მერე ბიჭები საქმეს რომ მთავრდებოდა, თეთრხალათიანი კაცთან მიდის. ქალაქს უწვდის. თეთრხალათიანი გულის ჯიბიდან ავტოკალამს იღებს და ხელს აწერს საგზურს.

ამას ყველაფერს ხედავს ვახტერი, მაგრამ მოახლოებულ მანქანას მაინც არ უღლებს ალყაფს. საქმიანი სახით წამოდგება, კაბინასთან მიდის და სრულიად კატეგორიულად ამბობს:

— საგზური!

აუჩქარებლად შლის ოთხად მოკეცილ ქალაქს, ჯერ ისე შეათვალისებურად, მერე, როდის როდის, სათვალეს ამოიღებს, სახესთან შორიბხლოს მიიტანს და ხელმოწერას აკვირდება.

თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა იყოს. გამობრუნდება, რკინის ჭიშკარს ფართოდ გამოაღებს, გზას აძლევს მანქანას.

შოფერს ეღიმიება. ძარაზე წამოსკუბებულ ლურჯხალათიანი შავტუბა მუშებიც უცინიან ჩიანის კაცს:

— ნახვამდის, ძია ბაღდასარი! — და ქანგიან ხელებს მაღლა იშვერენ.

— ნახვამდის!

ძია ბაღდასარს იმისთანა სახე აქვს, თითქოს არც იმ თეთრხალათიან ექსპედიტორს იცნობდეს, არც შოფერს და არც ამ კბილებერეკია ბიჭებს, ყოველდღე რომ სურსათ-სანოვავე შემოაქვთ ქარხნის მუშებისათვის.

მერე საათზე დაიხვდავს.

ხელისგულისოდენა ძველებური ყაიდის ჯიბის საათს ატარებს ბაღდასარი. ჭარბაკაციობის დროინდელ ნივთს სათუთად უფრთხილდება, ვერცხლის ძეწვეზე აქვს გამობმული. მკლავის სიგარტე ძეწვეის მეორე ბოლო, ვარაუდიანი კაცის წესზე, საიმედოდ აქვს მიმაგრებული ქამარზე.

სიბერეს თავისი გააქვს, თვალი ისე აღარ ვიჭრის, ყმაწვილცატური სიჩაუქეც აღარ მოგდევს, დუნედ გამორჩილება და ვინ იცის, ვაგიტურდეს, მერე, იარე მესაათებთან, ხეირიანად გამართავენ თუ არა, ისიც საკითხავია. იქნებ მასხარადაც აგავდონ. ეს ჩიხრჩიხი საიდან შემოგარჩენიაო. ისეთები აღარ მოსწონს ჩვენს ახალგაზრდობას, ახალ მოდის ირჩევენ, ყვითელდაფიანი საათების მოდა შემოვიდა. ლამაზი კია, კაცმა რომ თქვას, ქალი და კაცი, მეტრად გოგო-ბიჭები სულ ამისთანა საათებს დაატარებენ. ისედაც ჰგვანან ერთმანეთს, ერთნაირად შეკრეპილები დადიან და ვითომ ერთნაირი საათები რაღას შეუშლის! — ფიქრობს გუნებაში.

ახლაც ფრთხილად ახადა სიძველისაგან დაჭორფილი ხუფი, ისრებს დახედა და უმაღლე დახურა. საცაა მუშაობა დაიწყება. აი, კიდევაც გამოჩნდნენ დღევანდელი პირველი მეკლავები.

ვახტერი ჯიხურთან დგება და ისეთი გამოემ-

ტყელებზე აქვს, ვითომ — მე ნაცნობი და უცნობი არ ვიციო.

წესრიგის კაცია ძია ბაღდასარი, მუშებს შესასვლელთან მოახლოებისთანავე ჯიბისაკენ მიჰქვით ხელი, — საშვი აუცილებელია.

ქარხნის შესასვლელთან თანდათან იზრდება მუშების ნაკადი, მერე ისე მოხლევადება, რომ ძია ბაღდასარი სახეების გარჩევას ძლივსა ახსრდება. რა ჰქნას, როგორ მოასწროს ყველას საგულდაგულოდ დაკვირება, ან საშვების გასინჯვა, არადა ვერც შეაჩერებ ამ დაქანდებულ ბიჭებს, საქმეზე აგვიანდებოთ.

იცის ეს ძია ბაღდასარიც, მაგრამ იხტიბარს არ იტებს, ზოგა საღამუხ უნასუგებს, ზოგჯერ მოვალეობის მოხდის გულისათვის შეეხმინება ტალღასავით მომსკდარ ქარხნელებს.

ამასობაში საყვირის ხმაც ისმის. მუშაობა დაიწყო.

ბაქანი ხმაურობს, ერთმანეთს ერთვის მძიმე ამწყების, ელექტროძრავების გუგუნის, დაჰიმულ გვარლებთან მოფუსფუსე ადამიანების ხმები, ორთქლმაგილის ქვაბის შხული, ტვირთქვეშ დაძაბული რესორების ჭრიალი...

რკინიგზის დიდი სატვირთო სადგურით გამოიყურება აქაურობა, მხოლოდ აქ ვერ შენიშნავთ ლიანდაგების განშტოებებს, ფერად ნიშანსვებებს, რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილ ადამიანებს, სადგურის წითელქუდიან მორიგეებს.

ბაქანი ქარხნის საკუთრებაა და აქ მხოლოდ ის პროდუქცია იტვირთება, რომელსაც ჩარხმშენებლები უმზადებენ ჩვენი ქვეყნის მრეწველობას.

სამაქროებში დღეს სიცოცხლე, თითოეული უბანი ცხოვრობს დიდი ცხოვრებით, გამრჯე ადამიანის ხელი აყვებებს საქვეყნო საქმეს, ჰედავს ლითონს, ჭრის რკინას და ფოლადს, ძერწავს ფიგურულ დეტალს. ყოველ ჩარხთან იღწვის ადამიანი და ამზადებს რთულ ნავეთობას. თითოეული კვანძი უზალოა, კვანძები საამყობო უბნებზე თავს იყრებიან, ერთმანეთს სიამის ტყუბებით შეერწყმიან და თანდათან გამოკვეთილ სახეს იღებს ახალი ტექნიკის საოცრება — უნივერსალური ავტომატური ჩარხი.

უბრალოდ ეღერს: უნივერსალური ავტომატური ჩარხი, — უბრალოდ, თუნდაც იმიტომ, რომ უნივერსალურ ავტომატურ ჩარხზეა შესრულებული ყველაფერი, რაც კი ადამიანის ოცნებას სადღესოდ თანამედროვე ტექნიკური პროგრესის გზაზე განუხორციელებია.

აქედან, კიროლის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნიდან ეს ჩარხები იგზავნება ყველგან, ჩვენი უკიდვანო ქვეყნის შორეულსა და მეზობელ მხარეში.

თბილისელ ჩარხმშენებელთა ადრესატები ჩამოთვლა ძნელია. ეს ქარხანა რომ ერთ წერტილად წარმოვიდგინოთ ქვეყნის ადრესატები ამ წერტილიდან მის ადრესატებზე სწრაფი ხარისხები გავავლოთ, მივიღებთ უზარმაზარ ალისფერ გვირგვინს, რომელიც უთვალავი სხვიით იქნება ამოქარგული.

ჩარხი ცვილივით თლის ფოლადს. ხარატს ვეგზე ხელი დაუბჯენია და უთვალთვალეს. საჭრის წახნაგზე იხვევს გახურებულ ბურბუშელას, ძრავა დღუღუნებს.

სამაქროს ტვირთს მოისმის ელექტროზარის წკრიალი. ხიდურა ამწეს მძიმე კორპუსი აუტაცინია და ნიშნის აძლევს:

ტვირთის ქვეშ დგომა არ შეიძლება, მოერიდეთ!

ზურაბს ეღიმიება, არც იხედება ამწისაკენ.

ჯერ არავის ახსოვს გვარლი გაწყვეტილიყო. მაგრამ ნასტია, ქერაყულულებიანი ქალიშვილი, ამწეს კაბინიდან გადმოხრილა და ბიჭებს უთვალთვალეს. როგორც კი რომელიმე მათგანი ტვირთს გაუსწორდება, თითს აქვრს ელექტროლოკას, — სიფრთხილეს თავი არა სტყვიან.

ხიდურა ამწეს მძიმე ფერმა ხრიგინით გადადის სამაქროს თავზე.

საჭრისის პირი შეუსვენებლად თლის და თლის, შინდელის გასწვრივ იხვევს ბურბუშელას.


თითხმეტი წლისა ჩამოვიდა ზურაბი თბილისში. მე-2 პროდუქციის სასწავლებელში დაიწყო პროფესიის დაუფლება. დაამთავრა და ჩარხმშენებელ ქარხანაში მოვიდა. აქ, მე-2 მექანიკურ სამაქროში გაუბიროვნეს სახარატო ჩარხი.

ხელმარჯვე ოსტატის ვახტანგ ზანგურაძის ხელმძღვანელობით მოკლე დროში შეიძლო დამოუკიდებლად მუშაობა, დაიწყო პროდუქციის დამზადება. ეს იყო დეტალები პირველი თბილისური მილდასამუშავებელი ჩარხებისათვის, რომლებზეც დიდ მოთხოვნილებას უყენებდნენ ქარხანის ჩვენი მეტალურგიული, ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკები.

რაც დრო გადიოდა, უფრო ხშირად ახსენებდნენ მის სახელს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის. ზურაბი ჩქაროსანგ ხარატი გახდა. სამ წელიწადში პირველი ხელის ოსტატის სახელი დაერქვა.

მაღე საქარხნო სპეცტანსაცემელი სამხედრო ფორმით შეიცვალა ზურაბმა. არმიაში ისეთივე სანიმუშო იყო, როგორც ქარხანაში. სერჟანტის წოდება მიაკეთვნეს და ქვემეხის მეთაურად დანიშნეს.

ოთარ დიპლომატი
ღიღ გზავნა



სოფელ ვეჯინში ზურაბის დედას სოფიო დავითის ასულს მადლობის წერილი მოუვიდა ქვე-განაყოფის უფროსისაგან მამაცი შვილის აღზრდისათვის.

სამი წლის სამსახურის შემდეგ ვალმოხდელი დაუბრუნდა ჩარხმშენებელთა კოლექტივს.

განუწყვეტლივ, დღენიდან სრულყოფდა თავის ოსტატობას. თანდათან მოიხვეჭა ჯერ საწარმოს საუკეთესო ხარატის წოდება, შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდა რაიონულ შეჯიბრებაში, ბოლოს კი ქალაქის საწარმოთა ცნობილი აღმაინების გვერდით დაიმკვიდრა ადგილი.

ოთხი წელიწადია აქვე ხარატად მუშაობს ზურაბის ყოფილი შევირდი სოსო დემეტრაშვილი, ცეზარ გოგოლაძეც მისი ხელმძღვანელობით ითვისებდა პროფესიას. საამქროს ოსტატი ელგუჯა თავალაშვილიც აგრეთვე მისი ყოფილი შევირდი. ახლაც დაუზარებლად ეხმარება დამწყებ ხარატებს. მის ჩარხთან ხშირად ნახავთ ახალბედა ყმაწვილებს, რომლებიც მე-6 პროფტექნიკური სასწავლებლიდან საწარმოო პრაქტიკას ვადიან სახელმძღვანელო სპეციალისტთან.

ფიქრი შეეებარება ხოლმე მუშაობისას ზურაბს.

ინჟინრის მოსვლა არ უგარქენია, მაშინღა მოიხედა, როცა მხარზე ხელი შეახო.

— დეშემა, — თქვა ვალერიან ასაშვილმა, — მოვსესიანი გიგზავინს.

ზურაბმა ქალღალი გაშალა და სწრაფად ჩაიკითხა სტრიქონები:

„გავგახარა თქვენმა გამარჯვებამ, ვეცდებით მოგყვეთ მხარში. არაქელ მოვსესიანი. ერევანი. ძერქინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა“.

თვალწინ დაუდგა არაქელის შეტრუხა სახე, გაფანტული წარბები და შავი, კუპრისფერი თვალები.

შარშან, სექტემბერში, მანქანათმშენებლობის საკავშირო დღეს რომ აღნიშნავდნენ, ზურაბ გველუკაშვილი და არაქელ მოვსესიანი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ნოემბერში ზურაბმა თანამოსამქმებთან ერთად ერევანში იქაურ მანქანათმშენებლებს ეწვია. ეს ტრადიციული ვიზიტი იყო. ქართველი და სომეხი კოლეგები 17 წელიწადია ერთმანეთს ეჯიბრებიან და გამოცდილებას იზიარებენ ერთმანეთისაგან.

ზურაბმა ძველენის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში არაქელ მოვსესიანის ჩარხზე აჩვენა მთელი თავისი ხელოვნება. შესვენებისას საამქროს ინჟინერ-ტექნიკოსები შეიკრიბნენ თბილისელი ხარატის ვარშემო და თვალს ადევნებდნენ მის თითოეულ ილეთს.

მუშაობა დაიწყო ისე, როგორც ჩვეულებრივ იწყებს აქ, მშობლიურ ქარხანაში. მოიშალა დასამუშავებელი ლითონი, მოითხოვა ნახაზი, სულ ოროდე წუთი მოანდომა ნახაზის წაკითხვას, რთული კონფიგურაციის კვანი გამოდგა. ხუთი ექვსი ოპერაცია მაინც სჭირდება. წინასწარ მო-

იმარაგა სხვადასხვა ტიპის საჭრისები, რამდენიმე სამარჯვი. ჩარხი გასინჯა, ტუპს სკანდავს შეა. მერე ამუშავდა. ვირტუალურად ასრულებდა თითოეულ ილეთს.

ერევენლებს მოეწონათ ზურაბ გველუკაშვილის სამუშაო ადგილის ორგანიზაცია, ინსტრუმენტებისა და სამარჯვების სათადარიგო მომზადების მეთოდი, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება. ხარატი ერთიდან მეორე ოპერაციაზე გადასვლას მხოლოდ რამდენიმე წამს ანდომებს. ნებისმიერად ემორჩილება ნახვერად-ავტომატი.

— ოთხი წუთით ადრე! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ტექნოლოგიური რეჟიმის მიხედვით კვანძის დამუშავებაზე 17 წუთი იყო ნაგარაუდგევი. გველუკაშვილმა კი 13 წუთის შემდეგ მოხსნა იგი ჩარხიდან.

ბოლოს დეტალი ხელიდან ხელში გადადიოდა. არაქელ მოვსესიანმა აღტაცება ვეღარ დაფარა:

— ნახაზის აბსოლუტური ასლია, — თქვა და მხარზე ხელი მოხვია სტუმარს.

ახლა დეშეშით დიდ გამარჯვებას ულოცავდა თბილისელ მეგობარს: ვაზეთიდან შეუტყვივა, რომ ზურაბ გველუკაშვილმა ხუთწლედის გვემა შეასრულა.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელ ქარხანაში ბევრი მარჯვე ხელის ოსტატია, მაგრამ მხოლოდ პავლე ტენიშჩივი მიჰყვება მხარში ზურაბ გველუკაშვილს. პავლემ ბევრი უფიქრია, ისე უფიქრია, როგორც ფალავნები ფიქრობენ ხოლმე ერთმანეთზე და თან ერთმანეთის ღირსებას პატივით ეპყრობიან.

თუმცა მთლად ასე როდი იყო. ფალავნები თუ საიდუმლოდ ინახავენ თავიანთ ილეთებსა და ფანდებს, ზურაბ გველუკაშვილი და პავლე ტენიშჩივი ხშირად მსჯელობდნენ ერთად სახარატო საქმის ახალ პროგრესულ მეთოდებზე, ახალი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენებაზე.

შეიყვარა ზურაბმა ეს გულმართალი და მშრომელი კაცი. შეიყვარა, რადგან საკუთარი მარჯვენით ვიცილია გზა და ააღო შრომაში დაუძმობილდა ქართველ ჩარხმშენებლებს.

ზურაბი თავის ბავშვობას ადარებდა პავლეს წარსულს. არც მას ჰქონია თურმე ლაღი ბიჭობის წლები.

ნაღვლიანად უსმენდა პავლეს ნაამბობს.

ჩაბნელებულ ქუჩებში მოსაწყენი რახარხით მიმოდრიდნენ უფანჯრეობა და მკრთალად განათებული ტრამვაის ეავონები, ავტომანქანები, ჩარდახიანი ფურცოვები. იშვიათად თუ შეხვდე-

ბოდი მხიარულ სახეს, ადამიანები მოწყენილად მიაბიჯებდნენ. თითქმის ყველა შენობის ფანჯარა ჰაერის დაფასებით იყო მოხატული ხელისგულისივანე მარლის ნაჭრებით.

ასეთი ნახა პირველად თბილისი პავლე ტენიჩევმა.

მამამ ქალაქის განაპირას შემოღობა პატარა ნაკვეთი. სახელდახელოდ გარანდული ფიცრებით შექმდა ჭობი.

სტავროპოლიდან ევაკუირებულმა ზაქარია ტენიშჩევის ოჯახმა საგულდაგულოდ დატყეპნილ სოხანეზე დაიწყო ცხოვრება თბილისის გარეუბანში.

იღვა სუსხიანი წელიწადი — 1942.

სწორედ აქ, მაგნიტოგორსკის ქუჩაზე, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში იმ წელიწადს შემოაღო კარი თბილისის ახალმა მეკიდრმა პავლე ტენიშჩევმა.

მამინ აქ თავდებოდა თბილისის საზღვარი. თანდათან იზრდებოდა ქალაქის ეს მხარე და პავლემ ვაჟაყადებოდა.

ზურაბი რომ ქარხანაში მოვიდა, მისი პორტრეტი უკვე თვალსაჩინო ადგილზე დადგმულ საპატიო დაფაზე ეკიდა.

მას შემდეგ ერთად აშენებენ სახარატო და უნივერსალურ სპეციალურ ჩარხებს, — თანამედროვე ტექნიკის საოცრებას.

3. ოჯახი

განათილისა ყინვა უფრო უჭერს. ფანჯრის მინებს ჭირბოლი მინც არ ეკიდება. შინ თბილა და მინებზე წვეთები მიცოცავენ.

გაჭურაზე ჩაიღანი დულს, ვიწრო ხერელიდან ცხელი ორთქლის ჰავლს უშვებს. იქვე შიშინებს სახურავდახუფული ტაფა. ზაირა მაგიდაზე ფრთხილად ალაგებს ჭურჭელს.

გარედან შორეული ყრუ გუგუნე აღწევს. ადრინად გამოსული მებულღოზებზე გაყინულ ძრავას ახურებს. ბოლო დროს სულ ძრავების ხმაურით იესება ახალდასახლება, გზები გაპყავთ, ასფალტი აგებენ, ღრმა ბაღავრებს იღებენ მრავალსართულიანი სახლებისათვის.

უთენია იწყებენ საქმეს მშენებლები.

სამინებელი ოთახიდან ზურაბის ბანი ისმის, დათოს და ავთანდილს რაღაცაზე ელაპარაკება.

დათო ოჯახის უფროსი ვაჟიშვილია, უკვე მესამე კლასში გადავიდა. სამცხედანი მაგიდასთან თავის გემოზე აქვს მოწყობილი წითელი კუთხე. მაგიდის პირდაპირ კედელზე გაკრულია საქართველოს რუკა, ვაკეთილები ცხრილი, ვალენდარი და ვაჟაფშაველას სურათი. უფრო ქვევით, სახატავი რვეულის ფურცელზე შესრულებული ნახატი დაკიდული. ნახატზე მოჩანს ზღვის სანაპირო. საცალფეხო ბილიკი ნაპირისაკენ მიიკლავება. სამი ევაკლიბის ქვეშ ისლით დახურული სახლი დგას. ეზოში ფეხდაბორკილი ცხენი ძოვს, შორს კი, ზღვის ჰორიზონტზე მო-

ჩანს გემი, გემიდან ცაში შავი კვამლი ასვტილა...

ამ ნახატით თავი მოსწონს დათოს. ძია ვაჟა რომ ჯარიდან დაბრუნდა, პირველად თავის ნახატთან მიიყვანა, — როგორღაო! ნამდვილი მხატვარი ყოფილხარო, უთხრა ძია ვაჟამ.

ახლა ძია ვაჟას სასტუმრო ოთახში სძინავს. ნამგზავრია, არ გააღვიძოთო, — გააფრთხილა ბიჭები მამამ.

— გაკეთილები გაიმეორე? — კითხულობს მამა.

— ზეპირად ვიცი, თუ გინდა მოგყვები, — ამბობს დათო და ჰყვება: კოლო და ლომი, იგავ-არაკი. კოლომ ლომი საომრად გამოითხოვა. ლომს ეს სასაცილოდაც არ ეყო. კოლოს ეწყინა, გაგულსდა...

— შენმა, — ყვირის ავთანდილი. — კოლომ იწყინა უნდა ეთქვა.

— დამაცადოს რა, მამი, ნუ მაშლევინებს, აი, შენა, აი...

და ბიჭები ბლარაქუნებენ.

— ჩუმთ, ბიძაქვენს გაეღვიძება, არა გრცხვებით?

— დათო, ავთანდილ, გამოლით ჩემთან! — სასტუმრო ოთახიდან ისმის ვაჟა ძიას ხმა.

— ქამარი მე! — ყვირის დათო.

— ქული და მეღალი — მე!

— ხელი გაუშვი!

— ნელა, თორე...

და საქმეში ისევ უფროსები ერევიან.

ვაჟა გულში იკრავს დიდი ხნის უნახავ ძმისწულეებს, ეალურსება, ვიდრე ზაირა არ დაუძახებს ბავშვებს:

— დათო, ავთანდილ, გამოლით, ხელ-პირი დაიბანეთ!

საუზმეზე ერთად სხდებიან.

დათო ლაპარაკობს და ლაპარაკობს.

— გაჩერდი ბიჭო, სულ შენ უნდა ილაპარაკო? — ამბობს ავთანდილი.

— შენ არავინ გეკითხება, — იბღვირება დათო.

— ჩქარა ჰამე, კერძი გაგიცივდა! — შენიშნავს დედა.

მერე პატარები უფროსების ლაპარაკს უსმენენ. მათ უკვე იციან, რომ ძია ვაჟამ მამას ქარხანაში უნდა დაიწყოს მუშაობა, ეს სამხედრო ფორმა გაიხადოს და მამასნაირი სპეცტანსაცმელი ჩაიცვას.

საუზმეს რომ მორჩებიან, დედა ჭურჭელს ალაგებს, მალმალ იხელება საათზე, როცა სამსახურში წასვლის დროა.

მერე ერთად გამოდიან სახლიდან.

დათო სკოლაში უნდა მიაცილონ, ავთანდილი — საბავშვო ბაღში, დედა პლასტმასის ქარხანაში წვა, მამა და ძია ვაჟა — ჩარხსაშენებელ ქარხანაში...



წიგნობა

პლაღიძე ჯიბაჯი

ოთარ ჭელიძის პოეზია

ოთარ ჭელიძის ლექსების პირველი წიგნი ომის შემდგომ წლებში გამოქვეყნდა. მასში უკვე ჩანდა მკაფიო პოეტური ხედვისა და ცოცხალი ინტონაციების პოეტი, მძაფრად რომ განიცდის სამყაროს ძალუმ სუნთქვასა და სიცოცხლის ამღვლეველ პათოსს, თანამედროვე ცხოვრების ოპტიმისტურ სულს. ო. ჭელიძის პირველ ლირიკულ ნაწარმოებებშივე იგრძნობოდა მათი ავტორის აშკარა მიდრეკილება სიუჟეტური ლექსისაკენ. ის თბრობითი ელემენტები, რომელიც ო. ჭელიძის ლირიკის თავიდანვე თან დაჰყვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საიმედო ნიადავი იყო მისი შემდგომი თვალსაჩინო მუშაობისათვის ეპიკურ ქანრში. მკითხველის მოლოდინი გამართლდა, პოეტმა მომდევნო წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო პოემა და მთელი სერია ბალადებისა. მისი ბალადები რუსული ლექსის შესანიშნავმა ოსტატმა პ. ანტოკოლსკიმ დაასაიათა, როგორც დაუცხრომელი მშფოთვარებითა და სიცოცხლით აღსავსე პოეტური ქმნილებები. მან განსაკუთრებით გამოიყო „ბუტაოს ბალადა“. „ამ ნაწარმოებში, — თქვა ანტოკოლსკიმ, — პოეტი ისეთ კლდეებს ეყრდნობა, რომ თითქოს ხედავთ, როგორ უსისხლიანდება მას ფრჩხილები ამ ლოდებთან ჭიდილში“.

ოთარ ჭელიძის ბალადებზე ფრიად საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული აგრეთვე გამოჩენილ სომეხ პოეტს გ. ემინს. იგი წერდა: „ქეშმარილად საოცარი ბალადაა „ორი მარბდელი“... ძალიან ნიჭიერადაა დაწერილი „მჭედლის სიკვილი“. ერთი სიტყვით, ო. ჭელიძის ბალადები ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელთა წვაითხვის შემდეგაც დიდხანს ფიქრობთ მათზეო. რით მიიქცია მკითხველისა და ლიტერატურული საზოგადოების ესოდენ დიდი ყურადღება ოთარ ჭელიძის პოეზიაში? თემის ორიგინალური გადაწყვეტით, იდეური სიმახვილით, დრამატიზმით, კეთილზნოვან მუსიკალურ ქდერადობაში გამოხატული ცოცხალი და საინტერესო სიუჟეტურობით, პოეტური მეტრის მრავალსახეობით, უადრესად მდიდარი და მუსიკალური რითმებით.

პოეტის სულის ყოველი მოძრაობა მულამ სამყაროს გამოძახილია. ამიტომ პოეტური ნაწარმოები მარად დაუდგრომელი საზოგადოებრივი ცხოვრების რეზონანსს უნდა წარმოადგენდეს, უნდა გამოხატავდეს იმ მაღალ ინტერესებს, რომლებიც თანამედროვეობას ასულდგმულებს და ამოძრავებს, მხარში უნდა ედგას დამიანს როგორც ბედნიერების, ისე მწუხარების ქამს. სწორედ ამით არის საინტერესო ო. ჭელიძის ნაწარმოებები, ჩვენი დროის ძახილს ესოდენ რომ ეხმარებიან და რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ მათს ავტორს ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების მხატვრული ასახვის დაუშრეტელი ენერგია გააჩნია.

ო. ჭელიძე ყოველთვის პოულობს მაღალ რეგისტრებს ჩვენი ცხოვრების აქტუალური პრობლემების, ჩვენი ადამიანების სულიერი სამყაროს გასახსნელად. მას შესწევს უნარი ნახული და განცილით, ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც მის სულში ღრმა კვალი დაუტოვებია, მაღალ მხატვრულ ხარისხში აიყვანოს, საყურადღებო ლიტერატურულ ფაქტად აქციოს. ბალადების: „ბოდიში“, „ქვისმოკდავი“, „უბედური შემთხვევა“ და სხვ. სიუჟეტი აღებულია ნამდილო შემთხვევებიდან, მაგრამ ეს შემთხვევები უბრალოდ კი არ არის გადმოცემული, არამედ გააზრებულია ფილოსოფიურად.

„უბედურ შემთხვევაში“ აღწერილი ამბავი

პოეტის თვალწინ მოხდა. ბალადის ავტორისათვის სრულიად უცნობ ადამიანს „ერთი პატარა გზაჯვარედინი ექცა სიცოცხლის გზაჯვარედინად“. იგი ავტომანქანის ქვეშ მოჰყვა. ბალადათექველი სასწრაფოდ წაიღეს. მოხუცის კეთილი სახე, მისი თვალები, მშველელს რომ ეძებდნენ და ყველას დახმარებას რომ თხოვდნენ, გულს ჩამებებდაო, ამბობს პოეტი. ამის შემდეგ იგი მოგვითხრობს თავის ფიქრებსა და განცდებზე. კარგა ხნის შემდეგ პოეტი უნაწიოდან თვალს მოკრავს იმ უცნობ მოქალაქეს, რომელიც მას მკვდარი ეგონა და რომელმაც ასე ააფორაქა მისი სული.

**თითქოს გაცოცხლდა საფლავს მძინარე
ყველა, ვინც მყავდა და აღარა მყავს,
მისი ზეიმის ვიყავ ზიარი,
ვთვლიდი მასავით თავს ბედნიერად,
და მე ვიგრძენი — ადამიანი
რომ მყვარებია ასე ძლიერად**

შკითხველი თანაუგრძნობს პოეტს, მასავით განიცდის უცნობი მოხუცის ვადარჩენით გამოწვეულ სიხარულს.

საესებით სწორია ის აზრი, რომ „გრძნობა თავისთავად ჭერ კიდევ არ არის პოეზია: გრძნობას იღვანა უნდა ჰბადებდეს და იღვანა უნდა გამოხატავდეს“. „უბედურ შემთხვევაში“ ჩაქსოვილ დიდ ადამიანურ გრძნობას სოციალისტური ჰუმანიზმის იღვა ჰბადებს და ამავ იღვანა გამოხატავს იგი უადრესად ნათელი ფორმით.

როდესაც კითხულობთ ბალადას, რომელსაც „ბოდიში“ ეწოდება, თხრობის უშუალოება და მღვლვარე ტონი გარწმუნებთ, რომ აქ გადმოცემული ამბავი პოეტს პირდაღ განუცდია და შემდეგ ლექსში აღუბუძღავს. ვიღაც მგზავრი გადმოიბრუნეს გზაჯვარედინს და ქუჩაში მიმავალ პოეტს შეაჩერებს, ხელს მაგრად ჩამოართმევს. მოხდა გაუგებრობა: მგზავრი ცნრამეტი წლის შემდეგ შეხვდა ადამიანს, რომელიც საოცრად ჰგავს მის ფრონტელ მეგობარს, მას, ვისაც ეს მგზავრი სეღლ სანგარში ემხო, ვისთანაც პური გაუტეხია მამიმედლებში. ომგადახდილი ვაჟკაცის წარმოდგენაში ჩრდილოვით ვაიბრებს მთელი საფრონტო ცხოვრება, თავისი სიხარულითა და ტკივილებით. მაგრამ მგზავრი ჩქარა რწმუნდება, რომ შეეშალა, ბოდიშის მოხდით გამოგმწეიდობება დაღუბული ჯარისკაცის ორეულს და ხალხის ზღვაში ჩაინთქება. ხოლო ფიქრებაშლილ პოეტს იღუმალი ხმა მოესმის:

**ცოცხლიხა და მკვდრის წინაშე
გმართებს ვალის მოხდა.**

ამ მაღალი შეგნებით და სულისკვეთებით არის შთაგონებული ოთარ ჭელიძის პოეზია, ასე რომ ეხმაურება მკითხველის სულსა და

გულს და ეს იმიტომ, რომ პოეტი წერს ისეთ მოვლენასა თუ საგანზე, რაც მას ღრმად აღუღვებს. კონკრეტული გარემოებით, ვინც წერს, ამაბით შთაგონებული ლექსი მუღდმ მნიშვნელოვანი და ემოციურია. ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს ო. ჭელიძის „ქვისმკოდავი“, რომელშიც დახატულია გულმართალი და მკლავდალოცვილი უბრალო ადამიანის უადრესად შთაგონებული ნაშეგირდალი, რომელიც მადლიერების გრძნობით არის გამსქვალული იმ კაცის მიმართ, ვინც ანბანი ასწავლა „ქვაზე ლექსად დატირების“, ვინც ლოდებზე დააძაღა წერა ეპიტაფიებს. ვადის დრო, დიდი ხნის უნახავი ჰყავს ბერიაცი უკვე ოსტატს და აი, ერთ დღეს იგი მიდის სოფელში იმ ღრმა რწმენით, რომ მოხუცი მას გულით მიიღებს და სიხარულით აღივსება, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ჯანგატხილი მასწავლებელი ვერ იცნობს და ცივად შეხვდება მას. მალე ის შეიტყობს, რომ ბერიაცი ქვის კოდვაში დაბრმავებულა. წრფელი დეღვა მოიცავს ორივეს, როცა ისინი ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს და ბერიაცი მიხვდება, თუ ვინ დვას მის წინ. ამ წრფელა მშობლოური სიყვარულის ქრუანტიელი ედება ბალადის შკითხველსაც.

ბრმა ბერიაცი პოეტს თხოვს, ხალხს ლექსით მოუთხროს სიმართლე მის პატიოსან შრომაზე, მღვლვარე ცხოვრებაზე. „და თუ ისეთ სიტყვას დაწერ, გაიმეტო მხოლოდ შენთვის, შეიძლება მაშინ ავცდეს ქვისმკოდავის ბელი შეგირდს“. მოხუცის სიტყვებდა სრულიად ახალი სამყარო გახსნა პოეტის წინაშე. ეს არის სამყარო ხალხზე და ხალხისათვის სიმღერისა, რეალისტური პოეზიისა, რომელსაც ახასიათებთ უბრალოება (მშენიერიის აუცილებელი პირობა) და ცხოვრების მართლად ასახვა. მოხუცს სურს მსგავგირდალის ლექსის წყარო სინამდვილე იყოს, იგი ისევე ეჭიდებოდეს სიტყვას, როგორც ის ეჭიდებოდა ქვას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. პოეტი მიყვება უსტაბამის ანდერძს. ამას ცხადყოფს ჩვენი დროის ცხოვრებაზე, თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე, საქართვლოს აწმყოსა და წარსულზე დაწერილი მისი ესოდენ უშუალო და მკაფიო ნაწარმოებები. ლეე ტოლსტოი ამბობდა: „სადა და არახელოვნური შეიძლება არ იყოს კარგი, მაგრამ ის რაც არ არის სადა და ხელოვნურია, არ შეიძლება კარგი იყოს“.

ო. ჭელიძის ბალადები, რომელთაც ესოდენ დაძაბული შინაარსი აქვთ, სადა და არახელოვნურია, მაგრამ მართო ამიტომ კი არ არიან ეს ბალადები კარგი და შესანიშნავი,

ვლადიმერ ჯიბუჭი

ოთარ პეღნიძის პოეზია

არამედ და უმთავრესად იმიტომ, რომ ისინი მოტივებს ცხოვრებიდან იღებენ, არსებითში ღრმად იხედებიან და მთავარს მაღალმატარული სახეებით გამოხატავენ.

ლექსი, ახალი სიცოცხლის დაბადებასავეთ, დიდი ტკივილებისა და ამავე დროს დიდი სიხარულის ნაყოფია. შემოქმედებითი პროცესი მწვევე შინაგანი ბრძოლაა. ამას მკითხველი კარგად გრძნობს, როცა კითხვულას ბალადას „აჩანყებული გული“. აქ ჩანს, თუ რაოდენი სულის სიმტკიცე და ნებისყოფა, შინაგანი პოეტუცია საჭირო იმისათვის, რომ ქვეშარბით ლექსი დაიბადოს. ამ ბალადაში ისიც კარგად ჩანს, რომ ო. ჭელიძის ყოველი ნაწარმოები გულის კარნახით, მისი მოწოდებით არის შექმნილი. ერთი დიდი მწერალი წერდა, პოეტი სიტყვის ასპარეზზე ისევე უზადო და უხინჯო უნდა იყოს, როგორც ყველა სხვა ადამიანი თავის სარბიელზეო. შთამომავლობა არ დაეძვბა, ვის უძღვის ბრალი იმაში, რომ მწერალმა სისულელე ან უაზრობა თქვა, ან, საერთოდ მოუფიქრებელი და უმეფიარი აზრები გამოთქვა. ის არ დაიწყებს იმის გარჩევას, თუ ვინ არის დამნაშავე ნაადრევი ნაწარმოების გამოქვეყნებისათვის. ო. ჭელიძეს ეს ღრმად აქვს შეგნებული. მისი პოეტური ქმნილებები დაუცხრომელი შრომის და ძიების შედეგია:

**ჯანიმც გავარდეს, ზინდა ისევ დამე გავტეხო,
და გავამთელო სტრიქონების ძველი**

**ზარანიში,
ოუ ვერ შევძელი, მაშინ პირქვე უნდა
დავემხო,
გათენებისას მივატოვო სველი ბალიში.**

პოეტი, რომელიც ემყარება მხოლოდ ნიქს, ერთფეროვანი, თემატიკურად შეზღუდული და მოსწყენია. ტალანტი ნაყოფიერი და სასარგებლო მხოლოდ მაშინ არის, როცა ის ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეით წარმართება.

ცხოვრების, ისტორიის, ჩვენი ხალხის ზნეჩვეულებების ღრმაცოდნის საფუძველზეა შექმნილი არა მარტო ზემოთ განხილული ბალადები, არამედ აგრეთვე „კახეთის საოცრება“, „მეორე მკლავი“, „მკვდლის სიკვდილი“, „ორი მარბადელი“, „სისხლიანი სუფრა“, „მღუმარე მასპინძელი“ და სხვ. ამ უკანასკნელ ნაწარმოებებში პოეტმა დიდი მღვდვარებით მოგვითხრო ქართველი გლეხკაცის სტუმარ-მასპინძლობაზე, რომლის ოდიოვან დაძველებულ წმინდა წესს მასპინძელი მწუხარების უამრავ არ ივიწყებს.

ო. ჭელიძის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს „ოდა — ლეგენდა“, სადაც ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ბედზე, სადაც ქრონოლოგიური წესით განლაგებული ფაქტები მგზნებარე პოეტური სიდიადითაა გაცოცხლებული და ამტყველებული.

რაც მთავარია, ავტორი ჩვენს ისტორიაში მრავალ ადამიანურ საწყისებს ეძებს და თვენი ხედავთ და გრძნობთ ქვეყნის ხალხს მძლავრ და გაუტყველ ნებისყოფას, სიტუცხლისა და დაუცხრომელი შემოქმედების იმ დიდ მაღლსა და ნიშანს, რაც წითელ ზოლად ვასდევს მთელ ჩვენს ისტორიას. საერთოდ კი პოეტი მასალას ისტორიული წარსულიდან იღებს თუ თანამედროვეობიდან, ყოველთვის ახერხებს უმასუხოს დღევანდულობის ინტერესებს, ადავსოს მკითხველი პატრიოტიზმისა და პუმანიზმის დიადი სულით.

მთავარი თემა პოეტისათვის — ჩვენი ცოცხალი თანამედროვეობაა. თანამედროვე ადამიანის დამახასიათებელი თვისებები თავმოყრილია ინეინერ კახაბრიძის (ბალადა „კახაბრიძე“) პიროვნებაში. ამ ადამიანის უზომო სიყვარული სამშობლოსადმი მოქმედებაში, დაუცხრომელ მოღვაწეობაში ჩანს. გვირუკი ბრძოლისა და შრომის ტემპერამენტით აღსავსე კახაბრიძე განზოგადებული ხასიათია და იგი ჩვენს თანაგრძნობას იმიტომ იმსახურებს, რომ მისთვის არ არსებობს პირადული ხალხის ინტერესებისაგან დამოუკიდებლად. ამ შესანიშნავ კაცს პოეტი პირველად ხვდება კავკასიის ფრონტზე, სადაც მან გამოამჟღავნა დიდი პატრიოტული თავგანწირვა, თავისი საქმის იშვიათი ცოდნა, სამაგალითო თაოსნობა, მისი გეგმითა და უშუალო ხელმძღვანელობით მართლაც საოცარი ამბავი მოხდა: მდინარეზე „ხილი ვასდეს ერთ ლამეში“, ხოლო ამ ხიდს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

მტერზე გამარჯვების შემდეგ პოეტი სოფელ ანაგაში კვლავ ხვდება თავის საყვარელ გმირს, როგორც მშვიდობის ჯარისკაცს, რომელიც ამჯერად ახალი ხიდეებისა და გზების გაყვანის საქმეს ემსახურება. კახაბრიძე ტიპური სახეა საბჭოთა ადამიანისა, რომელიც სამამულო ომში თავგანწირულად იბრძოდა, ახლა კი ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის მშენებლობაში აქტიურად არის ჩაბმული და მამაცურად იღწვის ხალხის კეთილდღეობისათვის. აი კიდევ სამამულო ომის მეორე მონაწილე, — მისთვის ომის ჯოჯოხეთურ ქარცეცხლს მძიმე ფიზიკური და სულიერი ტრავმა მიუყენებია. კლემით დაავადებული, ომგადახდილი რუსი ვაჟაკი აბასთუმანში მკურნალობს. ვადის ხანი, პოეტი მოსკოვში კვლავ ხვდება თავის რუს მეგობარს, ამაჯრად იგი უკვე საესეებით განკურნებულ და გაჯანსაღებულაა. შეხვედრის ეს ამაღლებული სცენა პოეტს ზედმიწევნით კარგად აქვს გადმოცემული. ბალადაში ძალუმად ჩქეუს დიდი ადამიანური სიყვარული და გამარჯვებული სიცოცხლის ხალისი.

**აბასთუმანში მწვანე ნაძვები
ქლექის სიციხიან ჰამაკს არწვენენ,
რძეს ღვინოსავით სვამენ კაცები**

და მთვრალეზივით დაბარბაცებენ.
ძიარს კილობუების მწვანე ხავერდში
ჩრდილოეთელნიც წამოწოლილან,
თითქოს თავიანთ ნაძვებს სამხრეთში
გამცილებლებად წამოყოლიან.

ეს სტრიქონები მოგვყავს, როგორც ნაწარ-
მოების წინაარსის ემოციურად წარმოდგენის
კარგი ნიმუში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ
პოეტის ორიგინალობა თემის გადაწყვეტის თა-
ვისებურებაში მდგომარეობს. მაგალითად, სამ-
გორზე ბევრი ლექსი დაიწერა, მაგრამ ო. ჭე-
ლიძის „ქარის სიკვდილი“ სრულად განსხვავ-
დება მათგან. ეს ბალადა ისეა დაწერილი,
თითქოს ამ დღი აზრის შევნებლობაზე მანამ-
დე არაფერი თქმულიყო. ამის თქმის სა-
ფუძველს გვაძლევს ნაწარმოების მხატვრული
ქოვილი, მისი უაღრესად დინამიური სტრი-
ქონები, რომლებიც ნათლად გვეგარჩნობინებენ,
თუ როგორ თანდათან ეჭრება მუხლი სამგო-
რის ველზე საუკუნეთა მანძილზე მოთარეშე
ბნელიან ქარს. გზადახშული, უთავშესაფროდ
დარჩენილი ქარის ჩივილი მოზეიმე სიცოცხ-
ლის გამარჯვებაზე მეტყველებს:

**მწვანე მიწის მკერდს მომწყდარი
მივარდება ქარი ღრუბლებს
და გულმკვდარი მომაკვდავი
განწირულ ხმით დაიდმუჯვლებს.**

ო. ჭელიძის პოეტური მეტყველება უაღრე-
სად რიტმულია, ეს მოყვანილი სტრიქონები-
დანაც ნათლად ჩანს. მაგალითისათვის ეს
სტროფიც საკმარისია, მაგრამ ერთ ადგილს
მივნიც მოვიყვანთ ბალადიდან „მინდვრის
მბრძანებელი“, რომელშიც რიტმს ქმნის თა-
ნაზომიერი სამეტყველო ერთეულების გამეო-
რება.

**აშოლტილი გოგო მიდის,
ქვეშ ეგება მწვანე ველი,
გოგო მოდის როგორც მინდვრის
წარბშეკრული მზრძანებელი.
შავი პელების მოხამხამე
ფრთებს მოუგავს წამწამები,
მკერდზე წყვილი მოკამკამე
უჩანს ოქროს ვარსკვლავები.**

საულისხმოა, რომ ო. ჭელიძის პოეტური
შთავონება, მისი ფიქრები მუდამ თავს დასტ-
რიალებს უბრალო ადამიანებს, იმას, რაც
ძვირფასია ამ ადამიანებში და რასაც სიკეთე
და ბედნიერება მოაქვს დედამიწაზე. აქ მხედ-
ველობაში გვაქვს არა მარტო „მინდვრის
მბრძანებელი“, „ქვის მკოდავი“ და სხვ., არა-
მედ აგრეთვე ბალადა „კახეთის საოცრება“,
სადაც კოლმუერნე ქალის — აივანაშვილის
სახე ჭეშმარიტად წარმტაცი საღებავებითაა

დასახტული და ესოდენ ღრმად განგვაცდენინებს
ახალი ყოფის პათოსს.

ო. ჭელიძის ბალადებს ნოველისებურ სი-
უცუტე აქვთ. ამასთან, მის თხრობას ნოველისე-
ლირიული სითბო ახლავს. უფრო მეტიც:
ზოგჯერ ო. ჭელიძის ბალადების ლირიზმი იმ-
დენად მძაფრი და ემოციურია, რომ მათი
კითხვისას ნათლად გრძნობთ, როგორ ვად-
მოდის თქვენს არსებაში პოეტის მღელვარე
განცდების ნაკადი. ამას ნაწარმოებს თუნდაც ბა-
ლადა „მესამე“. ეს ნაწარმოები გამოირჩევა
თავისებური პოეტური გააზრებით. პოეტს
სიკვდილმა წაართვა მამა, მაგრამ ვერ წაართვა
მისი ომანიანი ხმა, მამის ხმა დარჩა შვილის
ხმაში, როგორც სიცოცხლის ჩაუქრობლობა,
მისი მარადიულობა.

მამის ნათელი ხსოვნითაა შთავონებული აგ-
რითვე „ხმა“, სადაც პოეტის წინაშე კვლავ
აღიმართება მამის აჩრდილი, სიცოცხლის წარ-
მავლობაზე დაფიქრებულ შვილს რომ ამხნე-
ვებს და კვლავ მჩქეფარე, მღელვარე ცხოვრე-
ბისაკენ მოუწოდებს. „მონოლოგი“ მამის სა-
ხე წარმოდგება, როგორც სიკეთის, პატიოს-
ნების, ყოველივე გონიერულის შთამავონებე-
ლი სიმბოლო. პოეტის სულში ეს სახე ბრწყი-
ნავს, როგორც სიცოცხლის ძალა, როგორც
ღიადის რწმენა და ჩაუქრობელი გრძნობა.
მამის აჩრდილი და ბავშვობის დღეები ეხმაუ-
რებიან პოეტის დაეჯაკცებას, მთელ მის სი-
ციოცხლეს სინათლესავით მოჰყვებიან.

საერთოდ რით არის საყურადღებო „მონო-
ლოგი“?

თავისი უშუალობით, გულში ჩამწყვდომი კო-
ლორიტული სურათებით, ცხოვრებისეული სა-
ხეებით. ბალადა იწყება ბავშვობაში სოფლად
გატარებული დღეების გაცოცხლებით და
თქვენ გხიბლავთ პოეტის სულისა და სოფლის
ყოფის საოცარი ჰარმონია, რაც ბოლომდე არ
ირღვევა.

ერთი შეხედვით უბრალო ამბავსაც კი პოე-
ტი საზოგადოებრივ ქედრადობას აძლევს. ამის
ნათელი მაგალითია, თუნდაც „მოულოდნელი
შეხვედრა“. პოეტის დაეჯაკცებასთან ერთად
იზრდება და ეყვარება მისი მშობლიური სო-
ფელი, სადაც ბატარა ნაკადულიც კი ხალხის
მუყაით შრომას სიცოცხლისა და ახალი
ცხოვრების მადლიან წყაროდ უქცევია. ჯრიალ
საყურადღებოა აგრეთვე ბალადა „მეორე
მკლავი“, სადაც ომაგადახდილ, ცალხელა ვაჟ-
კაცს მარჯვენასავით ამშვენებს და გზას უკა-
ფავს მისი გრძნობების თანაზიარი ქალიშვილი.

**ომგადახდილს, თვალმფართოს
მოყავს ღარდის წამქოხნელი,**

**ვლადიმერ ჯიბუჭი
ოთარ ბელნიც კომეზი**

**ცალი მხარი ქალს მიანდო,
შეძინა ცალი ხელი.**

მწერლობა სინამდვილის ფიქსაცია კი არ არის, არამედ ობიექტური სინამდვილის შემოქმედებითი წარმოსახვა. წარმოსახვა ტალანტია, ხოლო ვისაც ეს ტალანტი არ გააჩნია, ის არც შეიძლება ნამდვილი პოეტი იყოს. ო. კე-ლიძე იმიტომ არის ქემშარიტი პოეტი, რომ ოგი დაჯილდოებულია წარმოსახვის უაღრესად ძვირფასი ნიჭით. ამის ერთ-ერთი უდავო საბუთია ფართოდ გავრცელებული ბაილა „ორი მარაბდელი“, რომელშიც მოთხრობილია შარავნაზე პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი „ყაჩაღ“ არსენას შეხვედრის ამბავი. არსენა პირველად ვერ იცნობს თანასოფელს და იარაღის დაყრას უბრძანებს. მაგრამ იგი მხედარს მალე შეიცნობს, გზის ნაპირას ნაბაღს გაშლის და „უღვთიურე მთვლემარ ხურჯინს გადაუხსნის თავს ყაჩაღი“. მისპინძელი და სტუმარი სუფრას მოუსხდებიან და გულითად საუბარს გამართავენ. თვითეულ მათგანს თავისი საკუთარი შეხედულება აქვს უსამართლო სამყაროზე, ბორცვებით აღსავსე საწუთროზე. ერთი უბრალო ხალხის უფლებებს იარაღით იცავს, მეორე კი პოეტური სიტყვით. აი, განშორების ეპიკე დადა. „ადად არსენ მარაბდელი, საღვგერძელო რაღა დარჩა... ვერცხლისფერად დანაფერი ფიცხლად იძრო მან დამბაჩა, ცივი ლულა გადუქონა, კაცი ღმერთკაცს ჰგავდა მამინ, ყანწის დარად გადულოცა იარაღი ბარათაშვილს. — გქონდეს, ამით დავახსომდეს ჩვენი კარგი პურ-მარილი, სადაც შეგხვდე, არასოდეს არ დამიხვდე სტუმარივით..“

**განდევნილი დავით სოფლად
მე ყაჩაღი, შენ მგოსანი! —
თქვა არსენამ და გაშორდა
ერთუროს ორი ცხენოსანი.**

ასე დამთავრდა მათი შეხვედრა, თვითეული თავისი გზით გაემგზავრა, ჩვენ კი, მკითხველები, კიდევ დიდხანს გავცქერით მათ კვალს. სწორია ის აზრი, რომ ხალხურობა ნაწარმოების ღირსება კი არ არის, არამედ მისი პირველი და აუცილებელი, ძირითადი პირობაა. ხალხურობაში ჩვენ ვგულისხმობთ ცხოვრების მართლად და სწორედ ასახვას, სოციალური პროგრესის რწმენას, ღრმა იდეურობას, უწმინდეს გრძნობას, ძლიერ ნებისყოფას, მაღალ მორალურ სულსკვეთებას, მხნე განწყობილებას, კეთილშობილ სურვილსა და მისწრაფებას, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც ესოდენ დამახასიათებელია ხალხის ბუნებისათვის. ოთარ კელიძის თითქმის ყოველ ნაწარ-

მოებს ხალხურობის ბეჭედი აზის, მათ შორის „ორ მარაბდელსაც“.

ოთარ კელიძემ, რომელმაც „სტარამბოლოს გააფართოვა თანამედროვე მართლმადიდებლის ჩარჩოები და მნიშვნელოვნად გაამდიდრა იგი დრამატული ელემენტებით და ფილოსოფიური მოტივებით, მწვავესიტყვეტიანი ბაილებით, „მკედლის სიკვილიში“ გადმოგვცა ერთი უბრალო კაცის მთელი ცხოვრება, მგზნებარე ჰაბუკობიდან სამელოვიანო პრეტენსიამდე. ახალგაზრდა მკედელი გატაცებით ემსახურებოდა ხალხს, ვის არ შეგხვდებოდით მის აკამაღებულ სამკედლოში, რიგში იდგნენ მეხრე, მკელი, ხურო, მევენახე, გუთნისდედა და ა. შ. აი, გადის დრო, მკედელი მოხუცდა, სიკვდილმა მიაკთხა მის მიერვე გამოქვედრი ცელით, ტყეში მოჭრეს კოჭრიანი ძელქვა მისი ხელით გაპირული ცულით, კუბოს ფიცრებსაც ამავე მკედლის ხერხით ხერხავენ, სასფლაოსაც მისი ხელით გამოქვედილ წერაქვით თხრიან. „შენის ხელით გამოპირულ გუთნით გადახანული გაცილებდნენ ყამირები, გაცილებდნენ საითებლო, გაცილებდა ყვავილებით ჭრელი გაზაფხული. მზის ჩასვლისას, როცა გაჭრეს დედამიწის ბურთი, სასწაული, უცნაური არაფერი მოხდა. ჩავასვენეს, ყველამ უხმოდ მოიხადა ქული“. თითქოს ვალძობილი მოხუცის წინაშე ყველამ თავისი ვალი მოიხადა. მაგრამ არა, პოეტი სხვა აზრისაა:

**გადუხდელ ვალად დარჩათ
დიდი ვალის მოხდა.**

ვინც ხალხის საკეთილდღეოდ დაუღალავად შრომობს, ვისაც სამშობლოს წინაშე ვალო პირნათლად მოუხდია, ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბევრი რამ გაუკეთებია, ვინც არ უნდა იყოს ის, მკედელი თუ სხვა პროფესიის ადამიანი, შთამომავლობა ყოველთვის მის ვალში იქნება. აი, ამ ნაწარმოების ფილოსოფიური იდეა.

ო. კელიძის ლექსებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „წერილი შვილს პონერთა ბანაკში“. აქ პოეტის ფიქრი თავს დასტრიალებს ერთადერთ პირშმოს, რომელსაც იგი ცხოვრების სიღრმიდან ესაუბრება. სწორია ის აზრი, რომ „საუკეთესო საშუალება, შთაუნერგო ბავშვებს მამულის სიყვარული, ის არის, რომ ეს სიყვარული მათ შამებს ჰქონდეს“. ო. კელიძეს, როგორც მამას, აქვს ეს სიყვარული, იგი შვილისაგან მოითხოვს მასზე უფრო მეტად უყვარდეს სამშობლო და იყოს მომავლის უკეთესი მშენებელი:

**უპანასკენლად მინდა დავრწმუნდე,
რომ ხარ მშვენება
ჩემი მამულის
და ჩემზე კარგად რომ შეგეძლება**

**ჭეკინის შენება
და სიყვარული.**

ამ სტრიქონებს აღმზრდელობით გავლენა აქვს.

თემის თავიებური ვადაწყვეტით გამოირჩევა აგრეთვე ლექსი „დატყვევებული ცხენები“. აქ საინტერესო კუთხით არის დანახული და გააზრებული ცხენის ძალის ცნება, როგორც მოძრაობის სიმბოლო. ლექსში „მიუწვიდომელი მწვერვალი“ პოეტის ფრჩხილებით ეწოდება სალ კლდეებს და შეუბოვრად მიიწევს წინ, რათა მიალწიოს კეთილშობილ მიზანს:

**ჭეკების ფხაქნით, ხოხვით, ცოცვით,
მაგრამ მაინც წინ და მალდა,
მთელი ჩემი სულით, ხორციით
მთის დაპყრობა მინდა ახლა.**
**ცეცხლის ღმერთი ვხედვები წუთით,
ძახილს მალდა ვატან ნიავს,
რომ მწვერვალმა თეთრი ქული
მოუხადოს ადამიანს.**

ბუნების დამორჩილების ინტერესი ამ ლექსში ჩამოყალიბდა როგორც იდეა, როგორც ბუნებაზე ადამიანის გამარჯვების რწმენა.

შემოქმედებითი სამყარო უზომოდ გრცელია, ამოუწურავი და უსაზღვროა. სათქმელიც ბევრია. საქმე მხოლოდ ის არის, როგორ იყვიე მას, რა ხერხებითა და საშუალებებით გამოთქვამ აზრს.

ო. კელიძე თვითმყოფი პოეტია, ამას მოწმობს მთელი მისი პოეზია.

ო. კელიძე არ კმაყოფილდება თავის დღევანდელი პოეტური მიღწევებით, იგი მუდამ ხვალისდღე დღეზე ფიქრობს (ეს ჭეკინის პოეტის თვისებაა). მან შესანიშნავად იცის ლექსის ფასი და მნიშვნელობა: „ჩემს გულს ელღენად სიტყვამ გაუარა, და ვთქვი ხმამალა: — რაც უწმინდესია, სისხლის ძარღვებით დაწნული ლექსია, რომელიც დაგწვავს, ისევე გაგაცოცხლებს, ახლო წინაპრის ღირსებას გადმოგცემს, დედამიწიდან ავისგრის ხომალამდის, გიმშობს მფრინავი ზღაპრული ხომალდის და ვინმე მოყმე მთაწმინდას აყოცებს — მთაწმინდას — ლექსი თავისით რომ ადის და მალაჩრ ვაზად ეხვევა ცივ კლდეებს და უკვდავება შეილივით იკედლებს, და კივის გული: — რაც უწმინდესია, ხვალდასაწერი ქართული ლექსია“. პოეტის ამ სტრიქონებმა

რატომღაც გამახსენა ერთი ფილოსოფოსის ნათქვამი: „ბუნებამ ადამიანს ხელთ მისცა იარაღი — ინტელექტუალური და მორალური, მაგრამ მას შეუძლია ეს იარაღი მიმართულებითაც გამოიყენოს“. ჩემი აზრით, „სისხლის ძარღვებით დაწნული ლექსი“ ადამიანის ზნეობრივ აღზრდაში ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს. მას ბევრი რამ შეუძლია გააყეთოს იმისათვის, რომ ადამიანმა ინტელექტუალური იარაღი არა მოსასპობად, არამედ შესაქმნელად გამოიყენოს. ამიტომ მწერლის ნაწარმოების შეფასების დროს უნდა ვხეიძმძღვანელობდეთ პრინციპით: რამდენად ვამოადგება ეს ნაწარმოები ხალხს დიდი მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ თვალსაზრისით ვიხილავთ ო. კელიძის პოეზიას და ვამბობთ, რომ მის ნაწარმოებს საკმაოდ დიდი საზოგადოებრივი ღირებულება აქვთ.

ო. კელიძე დახვეწილი გემოვნების პოეტია, მისი ლექსის ფორმა გამჭვირვალეა, აზრს იგი ნათლად გამოთქვამს. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ო. კელიძის თითქმის ყველა ლექსი მდიდარია კეთილზმოვანი რითმებით. საილუსტრაციოდ მოიყვანთ მავალით:


**მეორესთვის ეს საწუთრო
უფსკრულია მარად ბნელი,
თუ ამხედრდა, ვერ გაუსწრებს
ვერც არსენა მარაბდელი,
ვერც სიკვდილი დაიწევა,
ვერც ძახილი მუხთალ დღეთა,
ხვედრს მეხვიით დაეცემა.
თუ აჩანდა, თუ ამხედრდა.**
(„ორი მარაბდელი“)

ეს გარემოება მით უფრო აღსანიშნავია, რომ პოეტი ახერხებს, ესოდენ მდიდარი და კეთილზმოვანი რითმები რეამარცვლიანი ლექსის ვიწრო ჩარჩოებში ჩაატოს.

ო. კელიძე მარჯვედ იყენებს ალიტერაციას, რაც ამდიდრებს და დინამიკურს ხდის ლექსის რიტმს.

**მე, მკედელი ბერიაცო,
ბევრი ნახე, ბევრი გახსოვს.**
(„ამბაკო, მკედელი“)

ო. კელიძის პოეტური ლექსიკის შიშიდრის საფუძველი ხალხის ცოცხალ, საღაპარაკო ენაშია, სწორედ ამიტომ, რომ მისი ლექსისათვის დამახასიათებელია ლაღი და თავისუფალი მდინარება.





შოთა გავროშია

საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი

განუზომლად დიდია პრესის როლი სოციალისტურ საზოგადოებაში. იგი მტკიცედ შევიდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში და თვითებულად ამოიწყო საშუალებას აძლევს შეიცნოს მის ირგვლივ მყოფი სინამდვილე, გაარკვიოს თავისი როლი და ადგილი კომუნისტურ მშენებლობაში, დაინახოს ის, რაც მშობლიურ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ხდება, მართებულად გაიაზროს მოვლენები და ფაქტები.

საბჭოთა პრესა, აგრეთვე რადიო და ტელევიზია უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებენ.

როდესაც პრესის საზოგადოებრივი ფუნქციების შესახებ ვლაპარაკობთ, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ პრესა ახორციელებს მიზანმწარაფ საქმიანობას საზოგადოების საკეთილდღეოდ, იმ კლასების ინტერესებისათვის, რომლის შეხედულებებსაც ის გამოხატავს. ცნობილია, რომ ყოველ იდეოლოგიურ ან პოლიტიკურ ზედნაშენს გარკვეული როლი აქვს საზოგადოებაში. ზედნაშენურ მოვლენებში პრესას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რაც იმით გამოიხატება, რომ იგი იდეოლოგიური ბრძოლის ქმედითი საშუალებაა. იგი ეკუთვნის ისეთ პოლიტიკურ ზედნაშენთა რიცხვს, რომელთა კავშირი კლასებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, მთელ სახელმწიფოებრივ წყობასთან უფრო პირდაპირი და უშუალოა. ამიტომ უფრო მიზანმწარაფი და ყველასათვის ნათლად დასანახია მისი საზოგადოებრივი საქმიანობაც.

კომუნისტური პრესის ფუნქციების, პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, სოციალისტური საზოგადოების სისტემაში მისი ადგილისა და როლის შესახებ ძირეული თეორიული დებულებები ყოველმხრივ დაამუშავა და ჩამოაყალიბა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს

შემქმნელი დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ კომუნისტური პარტიის ხელში პრესა მშრომელი მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და ორგანიზაციის მძლავრი საშუალებაა.

თავის ცნობილ სტატიაში „რით დავიწყოთ?“, რომელშიც ამომწურავად არის განსაზღვრული პროგრესული პრესის საზოგადოებრივი ფუნქციები, ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ გაზეთის მეშვეობით პროლეტარულ პარტიას შეუძლია მიზანმწარაფი გავლენა მოახდინოს ხალხზე, განუმარტოს მას თავისი პოლიტიკა, იდეურად გააერთიანოს მუშათა და გლეხთა, ყველა მშრომელთა ფართო მასები. მაგრამ გაზეთის როლი, წერდა ვ. ი. ლენინი, არ ამოიწურება მარტო მარქსისტული იდეების გავრცელებით, მარტო მასების აღზრდით, პროლეტარიატისა და მისი პარტიის მხარეზე პოლიტიკური მოკავშირეების, თანამოაზრეების მოზიდვით. „გაზეთი არის, — აღნიშნავდა ლენინი, — არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც“.

ვ. ი. ლენინი წიგნში „რა ვაკეთოთ?“ უბრუნდება საკითხს, შეიძლება თუ არა გაზეთი იყოს კოლექტიური ორგანიზატორი, და ამბობს, რომ „მთელი დედააზრი სტატიისა „რით დავიწყოთ?“ სწორედ ამ კითხვის დაყენებასა და მის დადებით გადაწყვეტაში მდგომარეობს“.**

თავის თეორიულ მოსაზრებაში მარქსისტული პრესის საზოგადოებრივი ფუნქციების შესახებ ვ. ი. ლენინი ეყრდნობოდა მთელ რიგ გარემოებებს. ჭერ ერთი, ის ითვალისწინებდა ამ საკითხზე მეცნიერული სოციალიზმის ფუნქციონირების მრავალრიცხოვან გამონათქვამებს და მათს მდიდარ ეურნალისტურ პრაქტიკას.

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 13.

** იქვე, გვ. 635.

მარქსი და ენგელსი მუშათა პარტიაში ხედავდნენ მასებზე რევოლუციური გავლენის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, სოციალისტური იდეების განხორციელებასათვის პოლიტიკური ბრძოლის მძლავრ იარაღს.

მშრომელთა ფართო მასებთან მარქსისტული პარტიის დაბაჟებულ პაროლტარულ გაზეთში თავიანთ მიზანილობას ვ. ი. მარქსი და ე. ენგელსი განიხილავდნენ, როგორც ფრიად მნიშვნელოვან რევოლუციურ მუშაობას. პაროლტარული გაზეთი, რომელსაც მასებზე იდეური და ორგანიზაციული ზემოქმედების უდიდესი ძალა აქვს, „პოლიტიკური ციხე-სიმაგრეა“, და ამ ციხე-სიმაგრეს მარქსი და ენგელსი იყენებდნენ, როგორც ბაზას რევოლუციურ მებრძოლთა არმიის მოსამზადებლად.

მარქსისტული პრესის ძირითადი ფუნქციების განსახორციელებს ვ. ი. ლენინი ამასთანავე ერთად ითვალისწინებდა მის, როგორც თანამედროვე საზოგადოების ყველაზე პროგრესული კლასის ბეჭდვითი სიტყვის სოციალურ თავისებურებებს. პაროლტარული პრესა კომუნისტური იდეების, ჩვენი ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეების მქადაგებელია და ამიტომ მას მშრომელზე იდეოლოგიური ზემოქმედების უდიდესი შესაძლებლობები აქვს; თავის მხრივ მუშათა კლასი, მშრომელთა მასები თავიანთი სოციალური მდგომარეობის გამო, რევოლუციური მსოფლმხედველობისაკენ მოისწრაფვიან, ხალხით ითვისებენ, ეუფლებიან მას.

როდესაც პაროლტარული პრესის ორგანიზატორული როლის შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ეყრდნობა გარკვეულ სოციალურ საფუძველს, უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მარქსიზმის იდეების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის პროპაგანდით იგი იდეოლოგიურად აერთიანებს, რაზმავს და მტკიცედ აკავშირებს მშრომელ ხალხს, და მათ უნარსა და ენერგიას მიზანსწრაფულად წარმართავს ერთი საერთო მიზნის განხორციელებისაკენ. ამავ დროს მუშათა კლასს, თავისი სოციალური მდგომარეობის გამო, ყველაზე მეტი უნარი აქვს იმისა, რომ დარაზმოს, გააერთიანოს რევოლუციური ძალები. მას არ გააჩნია სოციალური წინააღმდეგობანი, ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორცაა ეგოიზმი, ანგარება, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია. რაც უფრო მაღალია მუშათა მასების კლასობრივი შეგნება, მით უფრო მონოლითურია მათი ორგანიზებულობა, სოციალისტური ერთიანობა, ინტერნაციონალური სოლიდარობა. ყოველივე ამის გამო, როგორც არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, კომუნისმის მშენებლობის ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ მიადრეკს თავისი ძალები უმადლეს ორგანიზებულობას და მაქსიმალურად დარაზმავს თავის გარშემო ყველა

მშრომელს. მშრომელთა ამ უმადლეს ორგანიზებულობის განსახორციელება კომუნისტური პარტია, რომელიც მთელ თავის ძალებს ახმარს ისეთ კეთილშობილურ საქმეს, რაველიცაა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე მშრომელთა ფართო მასებში იდეური აღზრდა და პოლიტიკური დარაზმვა საზოგადოების მთელი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის. ამ ისტორიული მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში პარტიის უმნიშვნელოვანეს იარაღს სწორედ პრესა წარმოადგენს.

მარქსისტული პრესის საზოგადოებრივი როლის საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი სტატიაში „თუ შედეგება და ფაქტები“ წერდა: თუ ბურჟუაზიული გამოქვეყნებისათვის, რომლებიც ბეჭდვით სიტყვას განიხილავენ, უწინარეს ყოვლისა, როგორც შემოსავლიანი კაპიტალისტურ საწარმოს, „გაზეთს მნიშვნელობა აქვს გასაღების თვალსაზრისით — სულ ერთია, სად სალდება იგი, სულ ერთია, რაზმავს იგი განსახორციელებლად კლასს თუ არა და რომელ კლასს, — მარქსისტისათვის და თანამიმდევარი დემოკრატიისათვის გაზეთს მნიშვნელობა აქვს როგორც ნამდვილად მოწინავე კლასთა განათლებისა და დარაზმვის ორგანოს.*

ვ. ი. ლენინი პრესის საზოგადოებრივ ფუნქციებში ხაზს უსვამდა მათს კოლექტიურ ხასიათს. ყოველი ჩვენი გაზეთი წარმოადგენს არა ერთპიროვნული გამოცემის ან რედაქტორის ინდივიდუალურ ქმნილებას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მრავალი ადამიანის კოლექტიური შრომის შედეგს. ყველა საბჭოთა გაზეთი თავიანთ ბოლომდე კოლექტივიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ვ. ი. ლენინი შემთხვევით არ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ მუშათა პრესის გამოცემა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ ლიტერატორის, ჟურნალისტის ინდივიდუალური საქმე. ინდივიდუალიზმი დამახასიათებელია მხოლოდ ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვისათვის, იქ ის კანონზომიერად ასახავს კაპიტალისტური საზოგადოების ნიშან-თვისებებს, ბურჟუაზიის მისწრაფებას, ერთი მხრივ, დამალოს კაპიტალის ძალაუფლებაზე პრესის ნამდვილი დამოკიდებულება, და, მეორე მხრივ, გაამართლოს ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული პრესა მოწყვეტილია უბრალო ხალხს, მშრომელთა ფართო მასებზე.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც კოლექტივიზმის მძლავრი სულისკვეთებით არის გამსჭვალული, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი

* ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 51.

შოთა გავროშიძე
საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი

ცხოვრების ორგანული, განუყოფელი ნაწილია. საბჭოთა გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემლები არიან საბჭოთა ორგანოები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც გამოხატავენ მშრომელთა კოლექტიურ ნებისყოფას, შეარჩევენ თავიანთი პერიოდულად გამოცემების ხელმძღვანელებსა და სარედაქციო კოლეგიების წევრებს და რაც მთავარია, მათ ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გენერალურა ხაზით.

საბჭოთა პრესა კიდევ ერთი თავისებურებით ხასიათდება — მისი საქმიანობის კოლექტიურ ხასიათს განსაზღვრავს აგრეთვე ფართო მონაწილეობა რედაქციის გარეშე აქტივისა, რომელიც ხალხის მოწინავე წარმომადგენლებისაგან შედგება. უფრო მეტიც, ვაშეთის გამოცემისათვის, მისი ხარისხისათვის, მისი პოლიტიკური სიმკაცხისათვის ზრუნავს მილიონობით მკითხველი.

ამავე დროს არც ერთ რეაქციულ ბურჟუაზიულ გაზეთს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ამგვარი კავშირი მასებთან. ბურჟუაზიული პრესა, რომელიც სარგებლობს გაბატონებულ კლასებთან კავშირით, მთავრობის დაწესებულებათა მფარველობით, მონაბოლური მდგომარეობით სახელმწიფოში, მიმართავს სიცრულსა და დეზინფორმაციას, ობიექტულების ქვენა გრძნობების გაღვივებას და ცდაობას საზოგადოებრივი აზრის შექმნას იმპერიალისტთა სასარგებლოდ.

ამიტომ არაკითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბურჟუაზიული ბექვლითი სიტყვისა და რადიოს იდეოლოგიური დივერსიის როლის შეუფასებლობა; მათ იმპერიალისტები იყენებენ როგორც იარაღს სოციალისტური ქვეყნების ხალხების და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშრომელი მასების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა ქვეყნის და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატების იმპერიალისტები ცდილობენ მოახდინონ თავიანთი ვაჭრული რეაქციული იდეოლოგიის ექსპორტი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში. ბურჟუაზიული ბექვლითი სიტყვა რომ საშიში იარაღია, რომელსაც შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს სოციალისტურ ქვეყნებსაც კი, ეს ცხადყო 1956 წელს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში და გასულ წელს ჩეხოსლოვაკიაში მომხდარმა ამბებმა. ამავე დროს ბურჟუაზიულ პრესას ახასიათებს დაუძლეველი სოციალური შეზღუდულობა, რაც განპირობებულია მისი რეაქციული, ანტიხალხური ხასიათით, და ის მსოფლმხედველობა, რომლის პროპაგანდას იგეგმავდა, მიუღებელია მშრომელთა ფართო მასებისათვის.

მარქსისტული პრესა, ბურჟუაზიულიაგან განსხვავებით, არის ხალხის ბექვლითი ტრიბუ-

ნა, გამოხატავს მის კოლექტიურ ნებას, მის კოლექტიურ მოქმედებას, რასაც კომუნისტური პარტია წარმართავს.

საბჭოთა ბექვლითი სიტყვა კომუნისტური პარტიის მძლავრი იარაღია. პრესის მეშვეობით პარტია ყოველდღიურად იცავს საბჭოთა დამიანების შეხედულებებს, ხალხის კოლექტიურ აზრს, და ამავე დროს ის მიზანსწრაფ ზემოქმედებას ახდენს მშრომელთა ფართო მასების შეგნებაზე მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, თავისი მეცნიერული პოლიტიკის შესაბამისად, რაზმავს მათ უშიშვრელადანის საარსებო ამოცანების გადასაწყვეტად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანი პრაქტიკულად ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, თავდადებით ასრულებენ სახალხო მუშაობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების გეგმებს, ამენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. ამ ამოცანების განხორციელებისათვის მასების დარაზმვის საქმეში პარტიის ერთგული თანაშემწეა პრესა.

საბჭოთა ბექვლითი სიტყვის მეშვეობით ჩვენი პარტია ხალხს განუმარტავს თავის პოლიტიკას, საბჭოთა ადამიანებს ეხმარება დიქციონარისათვის ადგილი საერთო-სახალხო მწყობრში, მასებს ყოველდღიურად აცნობს ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებულ უდიდეს წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ყველა სფეროში.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ჩვენი პრესა თავდადებით იბრძოდა და იბრძვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის და კომუნისტური პარტიის პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რაზმავდა და რაზმავს ხალხის მასებს ჩვენი ქვეყანაში დიდი რევოლუციური გარდაქმნების უზრუნველსაყოფად. სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებისდაჯვალად სახეს იცვლიდა პრესის წინაშე მდგომი ამოცანები, სრულყოფას განიცდიდა მისი საზოგადოებრივი ფუნქციები, ყალიბდებოდა და მდიდრდებოდა მისი საქმიანობის პრინციპები. უცვლელი რჩებოდა და კვლავაც უცვლელია ჩვენი ბექვლითი სიტყვის ის მთავარი დანიშნულება, რომ იგი კომუნისტური პარტიის იდეური იარაღია, რომ პრესის მუშაების — ეურნალისტების უპირველესი მოვალეობაა — გულმოდიანად, პატოსიანად, თავდადებით ემსახურონ კომუნისტების გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის დიად და კეთილშობილურ საქმეს.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ბოლშევიკური პარტია თავის ბექვლითი სიტყვის იყენებდა მშრომელი მასების პოლიტიკური მოზადებისათვის მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლების დასაშობად, მშრომელთა ხელისუფლების დასამყარებლად. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა ბოლშევიკების მთელი ოქტომ-

ბრამდელი პრესის პროპაგანდისტული, საავი-
ტუო და ორგანიზატორული საქმიანობის კონ-
კრეტულ ხასიათს და პოლიტიკურ მიზანსწრაფ-
ვას.

პარტიული ბეჭდვითი სიტყვის პროპაგან-
დისტული, საავიტუო და ორგანიზატორული
მუშაობის მიზანობის და მიმართულება სხვადას-
ხი ვახდენ საბჭოთა საზოგადოების პირობებში.
თუ ოქტომბრამდელი ბოლშევიკური ბეჭდვითი
სიტყვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ხალ-
ხის მასების ბრძოლის ორგანიზაცია თვითმპ-
ყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის და-
ამხობად, სოციალისტური წყობილების პირო-
ბებში ჩვენი პრესის წინაშე სხვა ახალი ამო-
ცანები დაისახა. ოქტომბრის რევოლუციის გა-
მარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარების შემდეგ საბჭოთა პრესამ ენერგიული
ბრძოლა გააშალა ახალი პოლიტიკური წყობი-
ლების განმტკიცებისა და სრულყოფისათვის,
ქალაქად და სოფლად სოციალისტური ეკონო-
მიის შექმნისათვის, მასებში შრომისა და სა-
ხალხო საკუთრებისადმი შეგნებული დამოკა-
დებულების აღზრდისათვის.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების
შემდეგ ვ. ი. ლენინმა სოციალისტური მშენ-
ებლობის განხორციელებათა ერთ-ერთი პირ-
ველი ადგილი დაეთმო საბჭოთა პერიოდულ
ბეჭდვითს სიტყვას. ის აღნიშნავდა, რომ საბ-
ჭოთა პრესა უნდა იყოს სოციალისტური მშენ-
ებლობის, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური
და ეკონომიური აღზრდის მძლავრი იარაღი.
იგი მოწოდებულა ასწავლოს მუშებს და გლე-
ხებს შრომის ახლებურად მოწყობა.

მასების ეკონომიური აღზრდა და ხელახლო
აღზრდა ამ პერიოდისა საბჭოთა პრესის ერთ-
ერთი ძირეული ამოცანა იყო. საჭირო იყო ახა-
ლი, მასამდე არჩახული შეგნებული შრომის
დისციპლინის შექმნა ფაბრიკებსა და ქარხნებში.
რომლებიც მთელი ხალხის საკუთრება
ვახდნენ. მუშათა მასებისათვის უნდა აგვეხსნა,
რომ საბჭოთა წყობილების პირობებში ისინი
მუშაობენ მხოლოდ თავიანთთვის, თავიან-
თი სოციალისტური სახელმწიფოსათვის.
1917 წლის ოქტომბრამდე ჩვენი პარტია არ
მოუწოდებდა და მას არც შეეძლო მოეწოდებ-
ნა მუშებისა და გლეხობისათვის განემტკიცე-
ბინათ შრომის დისციპლინა და ავტომატურად
შრომის ნაყოფიერება. ხოლო როცა საბჭოთა
ხელი უფლებამ კაპიტალისტური საკუთრების
ექსპროპრიაცია მოახდინა, ეს ამოცანა პირე-
ლი რიგისა გახდა.

კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა მთელი
ქვეყნის მუშათა კლასს განემტკიცებინა შრომის
დისციპლინა და შეუნელებლად ავტომატურად
შრომის ნაყოფიერება, რადგან ამას მოითხოვდა
ეკონომიური და პოლიტიკური აუცილებლობა,
კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვებისათვის

ბრძოლა. პროლეტარიატის დიქტატურის პი-
რობებში ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების
მთავარ საკითხებად იქცა შრომის ორგანიზა-
ციის მუშაობის ძველი, ყოველდღიური მუშაობის
დებარეობის კრიტიკა, ახლის ყლორტების დადებითი
გამოცდილების ფართოდ ჩვენება. პირველ ად-
ვილზე დადგა სოციალისტური შევიხრების
ამოცანა, რომლის გადაწყვეტა უზრუნველყოფ-
და საუკეთესო წარმატებების მიღწევას შრო-
მის დისციპლინის განმტკიცებისა და წარმოების
ორგანიზაციაში, შრომის ნაყოფიერების ამაღ-
ლებაში, ფაბრიკებისა და ქარხნების აღდგენა-
ში. და ამ უძველესი ამოცანების გადაწყვეტა-
ში უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა საბ-
ჭოთა პრესას. „მშრომელთა თვითდისციპლინის
ასამაღლებლად და მუშაობის ძველი, ყოველდ-
ღიური უფარვის ხერხებიდან ამ კაპიტალისტურ საზო-
გადოებაში არსებულ მუშაობის თავდაპირე-
ნის ხერხებიდან გადასაწყველად, მთავარი
საშუალება, — წერდა ვ. ი. ლენინი „პირველ-
დელ მონახაზში სტატიისა „საბჭოთა ხელისუფ-
ლების მორიგი ამოცანები“, — უნდა იყოს
პრესა“.

ლენინის, კომუნისტური პარტიის ღონისძიე-
ბათა შედეგად საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა ახა-
ლი საზოგადოებრივი ფუნქციები დაეკისრა.
პრესა უფრო დაუახლოვდა ცხოვრებას, გაამ-
ლიერა მან თავისი ყურადღება ხალხის ყოველ-
დღიური საქმიანობისადმი და უდიდესი როლი
შეასრულა მუშებში შრომისადმი ახალი დამო-
კიდებულების აღზრდაში, სახალხო მეურნეობის
აღდგენაში.

ამასთან, ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა
ეტაპზე პრესის საქმიანობის ამა თუ იმ სფე-
როში წინა პლანზე დგებოდა ხან ერთი, ხან
მეორე ფუნქცია. მაგალითად, 1925—1929
წლებში, კოლმურწეობებში გაერთიანებისათ-
ვის გლეხობის მომზადების პერიოდში საბჭოთა
პრესის, განსაკუთრებით გლეხთა გაზეთების
მოავარი ამოცანა იყო ფართოდ, გულდასმით
მოფიქრებული პარტიული პროპაგანდით დაერ-
წმუნებინათ საშუალო გლეხობა მეურნეობის
კოლექტიურად წარმართვის უპირატესობაში.
ფსიქოლოგიურად მოემზადებინათ სოფელი
ცხოვრების კერძომსაკუთრული წყობილებიდან
ცხოვრების სოციალისტურ წესზე ნებაყოფლო-
ბითი, შეგნებული გადასვლისათვის. ხოლო
მთლიან კოლექტივიზაციის დაწყებისას, საქ-
მემ მოითხოვა ყოველდღიური პროპაგანდის,
გაძლიერება, ამ ღონისძიების განმტკიცება ბეჭ-
დვითი სიტყვის ორგანიზატორული საქმიანო-
ბით (პრაქტიკული მუშაობით კოლექტივების

* ვ. ი. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ,
თბილისი, 1962, გვ. 720.

შოთა ზაბოშვიძე
საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი

წევნა, მათი პოლიტიკური და ორგანიზაციულ-
დინამური განმტკიცებისათვის ბრძოლა და
სხვ. შემთხვევითი როლი იყო, რომ სწორედ
ამ პერიოდში პარტიამ შექმნა მრავალტრია-
ლური გახლეჩის ფართო ქსელი მანქანა-ტრაქ-
ტორთა სადგურების პოლიტიკურად გაფორმებისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავ-
რობის მიერ დასახული ისტორიული ამოცა-
ნების განხორციელება მოითხოვს ყველა პარ-
ტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავში-
რული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცი-
ების უდიდეს მასობრივ-პოლიტიკურ და ორ-
განიზატორულ მუშაობას. პარტიის გადაწყვე-
ტილებათა პოლიტიკურ აზრს, სახალხომეურნე-
ობრივ მნიშვნელობას, კომუნისტური საზოგა-
დოების მშენებლობაში ხუთწლედის დავალე-
ბათა შესრულების უდიდეს მნიშვნელობას რომ
განუმარტავინ მასებს, პარტიული ორგანიზა-
ციები ამასთან ერთად ახორციელებენ კონკ-
რეტულ ორგანიზაციულ ღონისძიებებს პარტი-
ულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის,
რამავენი მასებს და ამ საქმეში უნარიანად
იღვნიებენ პრესას.

საბჭოთა პრესის თვითეული ორგანი თავის
საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებს არა
გაწყენებულად, არამედ კონკრეტულად, იბრ-
ვის პარტიისა და მთავრობის გარკვეულ გადა-
წყვეტილებათა შესრულებისათვის. მთავარა
ამოცანა, რომლის განხორციელებასაც ახლა
პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა
ხალხის ძალდონე ხმარდება, ეს არის პარტიის
XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრუ-
ლება. ეს ამოცანა მთავარია ჩვენი ბეჭდვითი
სიტყვიერებისათვის. ჩვენი ვაზეთები და ჟურნალები
აქტიურად იბრძვიან მშრომელთა დასარაზ-
მავალ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური
ბაზის შექმნისათვის, კომუნისტური მორალის
პრინციპებზე საბჭოთა ადამიანების აღზრდისა-
თვის.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის
წარმატებანი დიდად არის დამოკიდებული პარ-
ტიის იდეოლოგიური მუშაობის გაშლასა და
ქმედობისაზე, თვითეული საბჭოთა ადამიანის
პოლიტიკური შეგნებულობისა და კულტურის
ამაღლებაზე. იდეოლოგიური მუშაობა მშრო-
მელებში, ფართო მასების კომუნისტური აღზ-
რდა ახლა პარტიის ერთ-ერთი მთავარი ამო-
ცანაა და, მაშასადამე, მთელი ჩვენი ბეჭდვითი
სიტყვის. მთელი საბჭოთა ჟურნალისტიკის
პირველხარისხოვანი მოვალეობაა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თან-
მედროვე პირობებში განუხომლად იბრდება
პრესის, როგორც მასებზე მიზანმსწრაფი იდეო-
ლოგიური ზემოქმედების საიმედო საშუალების
მნიშვნელობა.

„კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში,—

ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — იდე-
ოლოგიური მუშაობა სულ უფრო მაღალი
დაქტორი ხდება. რაც უფრო მაღალია საზოგა-
დოების წევრთა შეგნება, მით უფრო სწრა-
ვად და უკეთოდ ვითარდება მათი შემოქმე-
დებითი აქტივობა კომუნიზმის მატერიალურ-
ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნის-
ტური ცირობების და ადამიანთა ახალი ურთი-
ერთობის განვითარებაში და, მაშასადამე, მთ
უფრო სწრაფად და წარმატებით წყდება კო-
მუნიზმის მშენებლობის ამოცანები“*.

უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანების
განსახორციელებლად საბჭოთა ბეჭდვითი სიტყ-
ვის უაღრესად ფართო შესაძლებლობანი აქვს.
რადგანაც იგი თავის გველენას აერცვლებს
ხალხის უფართოეს მასებზე. შეუენელებლად
იხრდება ჩვენი პერიოდული ბეჭდვითი სიტყ-
ვის როლი საბჭოთა ადამიანების შეგნების ზე-
მოცალიბებაში, ახალი ადამიანის, კომუნისტური
საზოგადოების ადამიანის კეთილშობილური
თვისებების ყოველდღიურ აღზრდაში.

პარტიის XXIII ყრილობამ მოითხოვა ავა-
მალოთ პრესის როლი ხალხის კომუნისტურ
აღზრდაში. გაბედულად დავაყენოთ მასში და
პრობაგანდა გავუწიოთ აქტიურად პოლიტი-
კურ, სამეურნეო, იდეოლოგიურ და მორალურ-
ეთიკურ პრობლემებს, ხალხის მასების ისტო-
რიულ წემოქმედებასთან განუყრელ კავშირში
გვააქმიოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ
დებულებები. ვაზეთები და ჟურნალები მოწი-
დებულნი არიან განდენენ უფრო ქმედითი სა-
ხალხო ტრიბუნა, პასუხი გასცენ მასებს ყველა
საპრობორატო საკითხზე, აქტიურად შეიჭრან
ცხოვრებაში და უაღრესად ენერგიულად დახ-
მარონ პარტიას კომუნისტური მშენებლობისა
და მშრომელთა აღზრდის კონკრეტული ამოცა-
ნების გადაწყვეტაში. სკკპ XXIII ყრილობამ
ხაზავს მით აღნიშნა, რომ თანამედროვე ეტაპ-
ზე იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია ყველა
მშრომელის აღზრდა და მაღალიდევრობის და
კომუნისტულადი ერთგულების, შრომისა და
საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნის-
ტური დამოკიდებულების სტრისკვეთებით
ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ამოცანაა დაარწმუ-
ნოს მასები კომუნისტური პარტიის პოლიტი-
კის მეცნიერულ სისწორეში, გააძლიეროს
მშრომელებში ენთუზიაზმი, მხურვალე მისწრა-
ყება მუშაობაში ახალი წარმატებების მოპო-
ვებისათვის, მოაწყოს მათი შეჯიბრება კომუ-
ნიკური შრომის დამკვერდის, პრივიდის, სა-
ამჭროს და საწარმოს წოდებისათვის. ეს კი
მოითხოვს პრესის მასალების შინაარსისა და ხა-
რისხის შემდგომ გაუმჯობესებას, თვითეული
საგაზეთო მასალის ქმედითობის გაძლიერებას.
პრესა ვალდებულია ხშირად ბეჭდოს დადებითი

* სკკპ პროგრამა, თბ. 1967, გვ. 132.

მაგალითების შესახებ, ფართოდ ასახოს საბჭოთა ხალხის გრამდობითი წარმატებები, მხარი დაუჭიროს და გაავრცელოს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ახლის, კომუნისტურის ყლორტები. მისების აღზრდა ხალხის ცხოვრების ყველა სფეროდან აღებული დადებითი მაგალითებითა და ნიმუშებით, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი პრესის მთავარი ამოცანა ჩვენი ქვეყნის კომუნიზმზე გადასვლის დროს.

იმ მასალების გამოქვეყნება, რომლებიც აღმიაწვდის ადრევე სურვილს იმუშაონ უკეთ, გზარეზიან კომუნიზმის მშენებლებს შეხედონ თავიანთს ნაშრომს საერთო-სახალხო ტრიბუნაზე, — ყოველივე ეს არის გაზეთის მიერ თავისი პროპაგანდისტული როლის მიზანშეწავლილი განხორციელება.

ამასთან ყოველი გაზეთის გვერდებზე ქვეყნდება კონკრეტული, ნათელი, მრავალფეროვანი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს პრაქტიკულად სხვადასხვა პროფესიის საბჭოთა აღამიანები პარტიოტულ მოვალეობას თავიანთს სამუშაო პოსტებზე, ყოველდღიურად მოუთხროს თავის მკითხველებს საბჭოთა აღამიანების შრომითი მამაცობის ამბები — ბევრდღიოთი სიტყვის პირდაპირი მოვალეობაა ნათელი, ჭკუისასაწავლებელი ინფორმაცია საბჭოთა ხალხის აქტიურობის სხვადასხვა გამოვლინების შესახებ არის კიდევაც აგიტაცია ფაქტებით, აგიტაცია ახლის, პროგრესულისათვის ჩვენს ცხოვრებაში, ცხოვრებასა და შრომითი საქმიანობის კომუნისტური ფორმების გამარჯვებისათვის.

მეგრამ მარტო მკაფიო ინფორმაციით როდი ახორციელებს ჩვენი ბევრდღიოთი სიტყვა კოლექტიური აგიტატორის როლს. აგიტაცია, მოწოდება კონკრეტული მოქმედებისაკენ პროპაგანდისტული ხასიათის მასალებშიც არის, თუ ისინი დაწერილია შემოქმედებითად, თუ თეორიული საკითხების გაშუქება, სკვპ პროგრამის, პარტიის ყოველდღიური პოლიტიკის განმარტება დაკავშირებულია მოცემულ დარგში მუშებისა და გლეხების კონკრეტულ ამოცანებთან, მათს ყოველდღიურ შრომითს საქმიანობასთან.

კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული საკითხების კოლექტიური პროპაგანდისა და აგიტაციის გაშლასთან ერთად გაზეთები ბევრს მუშაობენ მუშებისა და კოლმუერნეების სოციალისტური შევიბრების ორგანიზაციისათვის, პარტიისა და მთავრობის გეგმიანი დავალებების გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოც. შევიბრების ოპერატიული, მოფიქრებული გაშუქებით, ნამდვილი მოწინავეების ჩვენებით, ჩამორჩენილების პირდაპირი კრიტიკით, გაზეთი მასებზე მათგანზედ გავლენას ახდენს, მათს ნებისყოფას, ყურადღებას და ფიზიკურ ძალღონეს წარმართავს

შრომის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისაკენ, ისეთი მეცნიერულ-ტექნიკური ორგანიზაციების განხორციელებისა და შრომის ინტენსივობის ორგანიზაციისაკენ, რომლებიც მუშაობენ ოპიონის, ოქქის, რესპუბლიკის კონკრეტულ პირობებში მაღალ სახალხომუერნობრივ ეფექტს იძლევიან.

ახლის, მოწინავეისათვის აგიტაცია განუყოფელია ნაკლოვანებათა კრიტიკისაკენ. რედაქციებმა დროულად უნდა შეამჩნიონ ნაკლოვანებები საწარმოში, კოლმუერნობაში, უნარანად უქარანაღონ მათი დაძლევის საშუალებები, დროულად გააფრთხილონ ისინი, რათა თავიდან აიცილონ უფრო სერიოზული შეცდომები და ნაფარდები.

მასების შევიბრების გაშუქებაში მნიშვნელოვანი მომენტია საჯაროობა. სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, მიღწეული შედეგების შედარება, პრესაში იმ მეცნიერულ ხერხების გაშუქება, რომლებითაც მიღწეულ იქნა უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება, სახალხო-სამუერნო გეგმის დავალებების ვადამდ შესრულების პროგრესული მეოღების ვარჩევა.

შევიბრების საჯაროობის, მისი რეალური შედეგების შემოწმების უზრუნველსაყოფად რედაქციები პერიოდულად მუშგლეხკოროთა რეიდებს აწყობენ, ხოლო ზოგ უბანზე კი საჭიროებისდა მიხედვით მუშგლეხკოროთა პოსტებს ქმნიან; თავიანთს მუშგლეხკოროთა აქტიუვზ დაყრდნობით გაზეთები ყოველთვის შევიბრების მიმდინარეობის საქმის კურსში არიან და მასზე უშუალოდ თუ შესაბამისი პარტიული და საბჭოთა ორგანიების მეშვეობით თავიანთს მათგანზედ გავლენას ახდენენ.

ზეთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რაც ჩვენი პრესის ორგანიზატორული საქმიანობის მნიშვნელოვანი მომენტია — მოწოდებულთა ემსახურეოდენს გაზეთების წინაშე დაყენებული ამოცანების გადაჭრას. მუშგლეხკოროთა თაბიბრები და სემინარები, მკითხველთა კონფერენციები, მუშგლეხკოროთა რეიდების მოწყობა, სამრეწველო და საოფლო-სამუერნო წარმოების, მშენებლობისა და ტრანსპორტის უმნიშვნელოვანეს ებნებზე მუშგლეხკოროთა პოსტების შექმნა — ყოველივე ეს მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ პრაქტიკულად ეწყობოდეს ხელი პარტიის XXIII ყრილობის დაწყვეტილებების წარმატებით შესრულებას.

ჩვენი ბევრდღიოთი სიტყვის ორგანიზატორული როლი მარტო კარგად დაყენებულ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაზე როდია დამოკიდებული. როგორც უკვე აღწერული იყო, ეს

შოთა ბაგოშიძე

საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი

როლი ორგანულად გამომდინარეობს მისი პრო-
პაგანდისტული და საავიტაციო საქმიანობიდან.

პარტიის დიად წინასწარდასახულობათა და
მისი პოლიტიკის ავტაციით, მასების იდეური
და პოლიტიკური სიმწიფის ამაღლებით ჩვენი
ბექდვითი სიტყვა სულერად აერთიანებს მათ
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგ-
ვლევ, აკავშირებს და წარბართავს მშრომელთა
ძალღონეს კომუნისტის მშენებლობის ამოცა-
ნების განხორციელებისათვის, რედაქციის ორ-
განიზაციულ-მასობრივი მუშაობა აძლიერებს
გაზეთის ორგანიზატორულ ფუნქციას და, ამა-
ვე დროს, ამაღლებს მისი საავიტაციო-პროპა-
განდისტული გამოსვლების მამობილიზებულ
როლს.

ასეთია ჩვენი ბექდვითი სიტყვის საზოგადო-
ებრივი ფუნქციების ურღვევი ორგანული კავ-
შირი და ურთიერთმოქმედება მისი საქმიანობის
ველა დარგში. საქმე ენება ტექნიკურ პროგ-
რესის მრეწველობაში, თუ სოფლის მეურნეობის
პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლას, ქალა-
ქის მეურნეობას თუ საკოლმეურნეო სოფლის
კეთილმოწყობას, — ყოველ საქმეში ცხოვრე-
ბა დაიწინებთ მოითხოვს ეურნალისტებისაგან
უზრუნველყო პარტიული მიზანსწრაფულობა
პერიადული გამოცემების პროპაგანდისტულ,
სავიტაციო და ორგანიზატორულ საქმიანო-
ბაში.


გაზეთის მამობილიზებელი გავლენა მასებზე
პირდაპირ კავშირშია მის ოპერატიულობასთან
და მისი მასალების ქმედითობასთან, იმასთან,
თუ როდენ გულისხმობდა ეხმარება გაზეთი
მომწოდებულ ცხოვრებისეულ საკითხებს და
აყენებს მათ მკითხველთა წინაშე პრაქტიკული
ამოცანების სახით. საბჭოთა პრესის მრავალ-
წლიანი გამოცდილება თვღნალოვ გვიჩვენებს,
რომ საგანთო საქმესთან შეუთავსებელია ჩა-
საშინენა ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური,
სამეურნეო, მეცნიერული ან კულტურული
ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქე-
ბაში. გაზეთი ის ერთ-ერთი მაცოცხლებელი
წყაროა, რომლიდანაც საბჭოთა ადამიანები
იგებენ საშინაო და საერთაშორისო ცხოვრე-
ბის უმნიშვნელოვანეს ახალ ამბებს, ფაქტებსა
და მოვლენებს, იმდირებენ ცოდნას ცხოვრე-
ბაზე. გაზეთი, რომელიც აგვიანებს მასებისა-
თვის საინტერესო უმნიშვნელოვანესი საკითხე-
ბ-ის გაშუქებას, კარგავს ავტორიტეტს მკითხ-
ველებში. გაზეთის არ შეუძლია განურჩეველი,
პასიური იყოს იმის მიმართ, რაც აინტერესებს
ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

საბჭოთა გაზეთის ოპერატიულობის საფუძე-
ლუბი ძირეულად განსხვავდება იმ მიზეზებისა-
გან, რომლებიც განაპირობებენ რეაქციული
პრესის მისწრაფებას ოპერატიულობისაკენ.
კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიულ გაზე-
თებს შორის წარმოებს კონკურენციული ბრძო-

ლა ხელმომწერებისა და ცალკობით შემსკილ-
ელებსათვის. აქ ერთმანეთს ენასკვება გაზე-
თის გამომცემლის მისწრაფებები მრეწველობაში
და მის ზურგს უკან მყოფი ბურჟუაზიული პო-
ლიტიკური დაჯგუფების ინტერესები — შეი-
ნარჩუნოს და გააფართოოს თავისი იდეოლოგი-
ური გავლენა საზოგადოებრიობის გარკვეულ
წრეებზე. ბურჟუაზიულ გაზეთებში ამბების გა-
შუქება, როგორც წესი, ამ მიზნით სწარმოებს.
რომელიმე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებთ
სენსაციური ცნობის ყველაზე ადრე გამოქვეყ-
ნება და მისი თავისებური პოლიტიკური გან-
მარტება ნიშნავს, ჭერ ერთი, წაართვას მკი-
თხველები სხვა გამოცემების, გაყიდოს გაზეთის
ყველაზე მეტი გეგმმლარი და მიიღოს სხვაზე
მეტი მოგება, მეორე, შთაუნერგოს მკითხვე-
ლებს თავის შეხედულებანი ცხოვრებაზე, გარ-
ყენას მათი შეგნება ობიექტული წერილმა-
ნებითა და ჭორებით.

როგორც აღენიშნეთ, ბურჟუაზიული გაზე-
თების ოპერატიულობა და სენსაციურობა გა-
ზატონებელი კლასების ინტერესებს ემსახურე-
ბა. გაზეთ „ნიუ-იორკ ტიმისი“ დილის გამოშ-
ვების გამომცემელმა ლესტერ მარკელმა თხუთ-
მეტოდე წლის წინ განაცხადა, რომ პრესა
(მას მხედველობაში ჰქონდა, უპირველეს ყოვ-
ლისა, ამერიკული პარლას (სამი) „ტ“-ს ავადმ-
ყოფობითაა შეპყრობილი: «tabloiditis»
(სურათების ავადყოფობა ტაბლოიდების სა-
ხით), «trivialitis» (ტრივიალურობის ავადყოფ-
ობა), «tensenessitis» (გართობის ავადყოფ-
ობა). ხოლო ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა და
დრამატურგმა ჯონ პრისტლიმ დაახლოებით
იმავე წლებში გამოთქვა აზრი იმის შესახებ,
რომ ბრიტანეთის ბულვარულ პრესაში საშინაო
არა ინდენად მისი უწყისობა და სენსაციებით
გატაცება, რამდენადც მისი შეგნებული და
მუდმივად მზარდი ტრივიალურობა. პრისტ-
ლი აღმფთვებთი ამბობდა, რომ ინტელგენ-
ტური, მაგრამ მთლიანად გარყვნილი ეურნა-
ლისტები წინასწარ განზრახვით აყალიბებენ
მოუწმიდებელ ადამიანებს. პრისტლი, რა თქმა
უნდა, არ დაპარაკობს მსხვილი მონოპოლიების
კლასობრივ ინტერესებზე, რომლებიც „ყვითელ-
ი პრესის“ იმ მძიმური სენსაციურობის უკან დგა-
ნან, მაგრამ ავი, თავისი სურვილის წინააღმ-
დეგ, აღიარებს, რომ მასების გაბრუება წარ-
მოებს შეგნებულად წინასწარგანზრახვით. რა
თქმა უნდა, ძნელი არ არის ჩვენ აქ დაჯდა-
გინოთ მიზეზობრივი კლასობრივი კავშირი. საკ-
მარისი დავევათ ჭერ კიდევ ძველი რომაელე-
ბისათვის კარგად ცნობილი იურიდიული კი-
თხვა: Qui prodest? ე. ი. ვისთვის არის
სასარგებლო მშრომელთა გაბრუება? პასუხი ამ
კითხვაზე თავისთავად ცხადია.

* ვისთვის არის ეს ხელსაყრელი?



როდესაც ბურჟუაზიული პრესის მიერ სენსაციებით გატაცებულ ვლადიმერს, მეტად დამახასიათებელია ბურჟუაზიულ ჟურნალისტებს შორის მეტად გავრცელებული აფორიზმი, რომელსაც ლორდ ნორტკლიფს* მიაწერენ: „თუ ძალად უქებენ ადამიანს, ეს არ არის საგაზეთო მასალა. თუ კაცი უქებენ ძალს — იგი ეს არის საგაზეთო მასალა“. ბაზლ სპირტ მოსწრებულად აღნიშნავს, რომ ამ ფორმულამ თანამედროვე პირობებში ერთგვარი ტრანსფორმაცია ვანიცდა და მასების გაბრუნების ეს დამახასიათებელი დევიზი ასე ჟღერს: „თუ სახელგანთქმულ ადამიანი უქებენ სახელგანთქმულ ძალს“***...

თვით ბურჟუაზიული ჟურნალისტები არ მალევენ, რომ მათი გაზეთები ყველაზე ქვედა ინსტინქტებს ქადაგებენ. ჩარლზ დანმა, ნიუ-იორკის გაზეთ „სანის“ ყოფილმა რედაქტორმა ამისათვის, რომ გაემართლებინა გაზეთის ფურცლებზე დანაშაულობათა, მკვლელობათა და სექსუალურ მასალათა სიმრავლე, უსინდისოდ განაცხადა: მე არ მრცხვენია ჩემს გაზეთში დაგვიტოვო ის, რაც ღმერთის ნებით ხდებაო. აი სადამდე დაეცა ბურჟუაზიული ჟურნალისტთა მორალე. თავიანთი ბინძური საქმეების შესანიღბავად ღმერთს იშველიებენ!

საბჭოთა პრესის ოპერატიულობა სრულიად სხვა საფუძვლებს ემყარება. ჩვენს ბექდვის ორგანოებს შორის არ არის არც პოლიტიკური და არც ფინანსური კონკურენცია. თვითველ მათგანს თავისი ადგილი უჭირავს ბექდვითი სიტყვის საერთო ქსელში; ჩვენი გაზეთები მოქმედებენ — ემსახურებიან ერთ დიად საქმეს და ამიტომ მათ შორის კონკურენციისათვის არავითარი მიზეზი არ არსებობს. საბჭოთა გაზეთების ოპერატიულობა ემყარება ჟურნალისტების კანონზომიერ მისწრაფებას ყოველდღიურად და დროულად დააკმაყოფილონ ჩვენი ადამიანების ინტერესები ცოცხალი სინამდვილის შეცნობაში. ჩვენი გაზეთები მისწრაფიან, რაც შეიძლება სწრაფად გააცნონ მკითხველებს, განუმარტონ მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური მნიშვნელობა, დროულად წარმოართონ მასები კომუნისმის მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

ჩვენი შეიძლება მხოლოდ ჯანსაღი შეჯიბრება, იმის მისწრაფება, რომ რაც შეიძლება სწრაფად, უკეთ, ნათლად მოემსახურონ თავიანთს მკითხველებს კარგი, ჭკუისსასწავლო

სტატიებით, კორესპონდენციებით, ნარკვევებით, ახალი შთამბეჭდავი ინფორმაციით, მგბრძოლი რეპორტაჟით.

იმის ვასაღებს, რომ გაზეთის მკითხველს იყოს და მკითხველების რიცხვი იზრდებოდეს, ვ. ი. ლენინი ხედავდა მის სიცოცხელსა და მრავალფეროვნებაში, ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხების მწვევად დაყენებაში, დროულ გამოხმებურებაში ყოველივე იმაზე, რაც ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ხდება. მაგრამ უკანასკნელ დროს ზოგი რედაქცია თავისი გაზეთით დანტერესების ამიღლებს ცდილობს ე. წ. საბჭოთა სენსაციის მეშვეობით, რაც არასწორია. როდესაც სენსაციის შესახებ ვლადიმერს, მხედველობაში უნდა გვექონდეს, რომ, ჭერ ერთი, იგი არის ბურჟუაზიული ჟურნალისტების ძირითადი პრინციპი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფაქტებისა და მოვლენების შერჩევისა და შეფასების მისი მეთოდი. მეორედ, სენსაცია, როგორც წესი, საყოფაცხოვრებო, სისხლის სამართლის და ცხოვრების სხვადასხვა ჩრდილოვანი მხარეების ფარგლებშია მოქცეული. სენსაციურობა არ ახასიათებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის არც საზოგადოებრივ, არც პოლიტიკურ და არც ეკონომიურ ცხოვრებას.

საბჭოთა ბექდვითი სიტყვის მთავარი თემებია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითადი საკითხები. ახლა, როგორც არასდროს, საჭირობოტოტა ვ. ი. ლენინის ანდერძი: „რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრების მიერ შემოწმებული ფაქტებისადმი — ეს ლოზუნგი განუწყვეტლევ უნდა ვიმეოროთ ჩვენ ყველამ, ჩვენმა მწერლებმა, ავტორებმა, პრეზიდენტებმა, ორგანიზატორებმა და სხვ.“***)

მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორ ქმნიან საბჭოთა ადამიანები ყოველდღიური შრომით კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას; ავითარებენ თავიანთს კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, სრულყოფენ თავიანთს ზნეობრივ სახეს, მთელ თავით ცხოვრებას აგებენ კომუნისმის მორალური კოდექსის საფუძველზე.

სენსაციის ცნებაში ივლისსხმება ფაქტებისა და მოვლენების გაშუქების სენსაციური, მყვირალა ხასიათიც. სენსაციაშიც, როგორც ყოველ მოვლენაში, ფორმა და შინაარსი განუყოფელია.

* სინამდვილეში, როგორც ამას ბაზლ სპირტ აღნიშნავს, ეს აფორიზმი ეკუთვნის ნიუ-იორკის „სანის“ რედაქტორს ჯონ ბოგარტს (იხ. „მომწამვლელები“, გვ. 157).

** იქვე.

*** თხ., ტ. 29, გვ. 488.

შოთა ბაგოშიძე
საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი

და როცა ზოგი ეურნალისტი ცდილობს სენსაციური ფორმით გადმოსცეს საბჭოთა სინამდვილის ესა თუ ის არასენსაციური ფაქტი, ეს ჩვენს მკითხველებში სინანულსა და გაოცებას იწვევს. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ გაუფრთხილებია პრესის მუშაკები ამა თუ იმ ნაკლოვანებათა კრიტიკის დროს პარტიული პოზიციებიდან გადახვევის დაუშვებლობის შესახებ. „მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების მწვავე კრიტიკისას, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის გამოხატვის ქმედითობის ამაღლების შესახებ“, — არ შეიძლება მათი გაზვიადება; მათით ობიექტული ტიპობა, რაც გათვალისწინებულია სენსაციისათვის.“*)

მარქსისტული გამოცემების სიცოცხლის, სიმკვეთრის, ოპერატიულობის ამაღლებისათვის, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, ჩვენი გზით, პროლეტარული გზით უნდა მივდიოდეთ.***) და ბურჟუაზიულ პრესას არ ვებაძვდეთ. საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ამოცანაა ყოველდღიურად აღზარდოს მასები კომუნისტური მშენებლობის ყველა სფეროდან აღებული ცოცხალი, კონკრეტული, უაღრესად მრავალგვარი ფაქტებით. პოლიტიკური სენსაციის მოხდენით შეუძლებელია მასების კომუნისტური აღზრდის შეცლა.***)

კომუნისტური საზოგადოების ყველა მხარის, იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბნის ოპერატიული, დროული, პარტიული დიანტრეცეზიით გაშუქებისათვის ეურნალისტებს უნდა ჰქონდეთ ახლის გრძნობის უნარი, შეეძლოთ ამ ახლის მიგნება, მხარდაჭერა, საზოგადოებრობისათვის გაცნობა, სხვა საწარმოებსა თუ ორგანიზაციებში გავრცელებისა და დანერგვის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მისი გამოყენების სურვილის გაღვივება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გაზეთი ოპერატიული ბეჭდვითი სიტყვის ორგანოა და ყველაფერი, რაც მასში ქვეყნდება, უნდა შეესაბამებოდეს დღევანდელი და არა გუშინდელი დღის მოთხოვნებს: უფრო მეტიც, გაზეთის მასალები კარგია მაშინ, როცა ისინი შუქს ხვლინდელ დღესაც ჰყენენ, მკითხველებს მყობაღმის ახედებენ, ჩვენი ბრძოლის პერსპექტივებით აღაფრთოვანებენ.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის საზოგადოებრივი ფუნქციების განხორციელებაში უდღეს

* ეურნალი „სოვეტსკაია პეჩატ“, № 10, 1962, გვ. 2.

** ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 35, გვ. 88

*** ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 343.

როს ასრულებს საგაზეთო მასალების ქმედითობა.

საგაზეთო მასალების ქმედითობა დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, სტატიის სტრუქტურის პირობების კონკრეტულობაზე და შემეცნებით სიღრმეებზე. კრიტიკული გამოხატვის ქმედითობას უზრუნველყოფს საკითხის სწორად და მწვავედ დაყენება, იმის დამაჯერებლად ჩვენება, რომ დაშვებული შეცდომა ზიანს აყენებს ხალხს, გაზეთის მიერ იმ კონკრეტულ გზებასა და საშუალებებზე მითითება, რომლებითაც ნაკლოვანებათა დაძლევა შეიძლება.

კრიტიკული მასალების სარგებლიანობა, შემოქმედების ძალა, როგორც წესი, სუსტდება არაკეთილმოსურნე, შეურაცხყოფილი გამოხატვით იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც შეცდომა დაუშვა. ყოველი მასალა თავის მიზანს მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა მასში არის ზომიერების გრძნობა, საბჭოთა ადამიანებთან ურთიერთობაში საჭირო ტაქტიკა და ჰუმანური დამოკიდებულება მათდამი. ხელაღებით გაზიარება, სენსაციური ელფერით გადმოცემა, ნიშნის მოგება ნაკლოვანებათა გამო უტყბო ჩვენი პარტიული პუბლიცისტიკისათვის, შეუთავსებელია საბჭოთა პრესასთან.

კომუნისტური მშენებლობის პირობებში, როცა ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა უფრო მეტად, უფრო სრულად უნდა განიმსჯელოს სოციალისტური პუბლიცისტიკის სულისკვეთებით. მისი ამოცანაა, იბრძოდეს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, გულისხმიერად, გულითად, მზრუნველობით დამოკიდებულებისათვის იმათდამი, ვინც თავადებული შრომით ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა სიუხვეს. და ის ვერ დაუშვებს ადამიანთან უპატივცემულო დამოკიდებულების ნატამალსაც კი. სიმკვეთრე დასაშვებია და აუცილებელია მხოლოდ დამანაშავე ელემენტების, სხვადასხვაგვარი გარყვნილის, შეგნებულად, კარიერისტული მიზნებით ჩვენი დიდი საქმისათვის ზიანის მიმყენებელი პირების მიმართ. ისეთ ადამიანებზე, როგორც არიან ქურდები და თაღლითები, უქნარები და სხვადასხვა ყაიდის სპეკულანტები, წერა რისხვის, სიძულვილის გარეშე შეუძლებელია.

დადებითი საგაზეთო მასალების ქმედითობა — რამდენადაც მათში გაშუქებული და განხორციელებულია კომუნისტური მშენებლობის მოწინავე გამოცდილება — პირდაპირ პროპორციულია იმისა, თუ რამდენად კონკრეტულად გამოცდილების ანალიზი, რაოდენ დამაჯერებლად არის ნაჩვენები მისი პოლიტიკური და სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა.

ყოველნაირად უნდა ვერიდოთ საგაზეთო მასალებში ლიტონ მსჯელობებს, ისინი უნდა

განდევნათ, რადგან მათში არაფერია მკითხველებისათვის სასარგებლო. ბექვდითი სიტყვა მოწოდებულია ნათელი ფაქტებითა და მაგალითებით, და არა ზოგადი ფრაზებით, ნათელყოს შრომის ნაყოფიერების ამაღლების კონკრეტული გზები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მისი ყოველდღიური მოვალეობაა არა მარტო განაზოგადოს კომუნისტური შრომის მოწინავე მეთოდები და პრობაგანდა გაუწიოს მათ, არამედ ყველა მისაწვდომი საშუალებით იბრძოლოს იმის მისაღწევად, რომ ყველგან დანერგონ ისინი პრაქტიკაში, სამრწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მშენებლობაში და ტრანსპორტში.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საგანთო მასალების ქმედითობისათვის ბრძოლაში ჯერ კიდევ ბევრი ნაყოფი არის. ისინი საფუძვლიანად არიან მხილებული სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის სექტემბრის დადგენილებაში „საბჭოთა ბექვდითი სიტყვის გამოსვლების ქმედითობის ამაღლების შესახებ“. ზოგჯერ განეთის კრიტიკულ მასალებს მხარს არ უჭერენ ცალკეული პარტიული ორგანოები, საბჭოთა დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათი გარკვეული ნაწილი დროულად და საქმიანად არ ეხმარება ბექვდითი სიტყვის იმ გამოსვლებსაც, რომლებშიც მოცემულია მოწინავე გამოცდილების პრობაგანდა, გამოვლინებულია შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სამრწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებისა და გაძლიერების შინაგანი რეზერვები. და თვითონ რედაქციებიც ყოველთვის როდი იბრძვიან აქტიურად განეთისა და ჟურნალის გამოსვლების ქმედითობისათვის.

პრესის გამოსვლების ქმედითობის ამაღლების ყველაზე ეფექტიან ფორმად სკვპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მიჩნეულია საზოგადოებრივი კონტროლი. განეთებისა და ჟურნალების რედაქციებს წინადადება მიეცათ პრესის ქმედითობისათვის ბრძოლაში ფართოდ ჩააბან ავტორთა აქტივი, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, ამ მიზნით გამოიყენონ მუშ-ვლენკოვთა პოსტები, მასობრივი რეიდები, რედაქციის საზოგადოებრივი მისაღები, შემოწმების შტატგარეშე ბიუროები და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სხვა ფორმები, რომლებმაც თავიანთი დანიშნულება უკვე გამართლეს პრაქტიკაში.

სკვპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება ნათელი გამოვლინებაა პარტიის ლენინური ზრუნვისა კომუნისმის მშენებლობაში საბჭოთა ბექვდითი სიტყვის საზოგადოებრივი როლის ამაღლებისათვის.

საბჭოთა პრესა კომუნისტური მსოფლმხედველობის მძლავრი პრობაგანდისტი, შრომისაღ-

მი შეგნებული დამოკიდებულების შექმნაგებელი, კომუნისტური მორალის აღმამინის ყოველდღიური აღმზრდელია. პარტიის მხრივ შეუწელებელი ხელმძღვანელობისა და ყოველდღიური ზრუნვის წყალობით ჩვენი ბექვდითი სიტყვა წარმადგენს სოციალისტური შეგნარების შესანიშნავ ორგანიზატორს, კომუნისმის მშენებლობის მაღალი ტემპებისათვის აქტიურ მებრძოლს.

ჩვენი პრესა ეხმარება პარტიას აამოძრაოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მსეები, წარმართოს მათი ენერგია ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად ჩვენი დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

ყოველ საქმეში წარმატების საკითხს, როგორც ცნობილია, წყვეტენ კადრები, აღამიანები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ინიციატივით განახორციელონ პარტიის პოლიტიკა, იბრძოლონ პარტიის პროგრამის, სკვპ XXIII ყრილობის და სკვპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ეს განსაკუთრებით მართებულია პრესის, რადიოს და ტელევიზიის მიმართ. ჟურნალისტთა კადრები ფრიად დიდ როლს ასრულებენ სოციალისტური საზოგადოების ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ბირთვებში ჟურნალისტური აპარატის გარეშე საქმეს ვერ გართმევს ხალხის ვერც ერთი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. მით უფრო ფართოდ განშტოებული ჟურნალისტური აპარატის გარეშე ვერ იარსებებს ქვეყანა, რომელიც ვაშლით ფრონტით აშენებს კომუნისმს, მდილი განათლების ქვეყანა, რომელიც ზღაპრული სისწრაფით მიაბჯებს მთელი მოწინავე კაცობრიობის ავანგარდში.

საბჭოთა ბექვდითი სიტყვა კომუნისტური პარტიის ბასრი მახვილია, ხოლო ჟურნალისტები — მისი დიადი საქმის აქტიური მებრძოლები არიან. ისინი ყოველთვის პარტიის გვერდით დგანან, მისი ერთგული თანამეგმენი არიან, მათ ყოველდღიურად შეაქვთ მასებში მისი ნათელი იდეები, მისი ცხოველყოფელი გადაწყვეტილებები.

საბჭოთა ჟურნალისტებს მინდობილი აქვთ მუშაობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მწვევე უბანზე. და ისინი მოწოდებული არიან იმუშაონ ძალების დაუზოგველად, მთელი უნარის, შემოქმედებითი ინიციატივის ამოქმედებით, ლენინური მგზნებარებით. მათი თვითეული სიტყვა, პრესის, რადიოს და ტელევიზიის ყოველი გამოსვლა მოწოდებულია საბჭოთა აღამიანების საზოგადოებრივი ცნობიერება ჩამოაყალიბოს კომუნისტური მსოფლმხედველობის სულისკვეთებით.

ვენილ ჩანგლაძე

ქართული ეკონომიკური უზი „ვეფხისტყაოსანში“

მიმდგენა ფოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს

ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს გადმოსცეს დიდი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის აზროვნების ერთი დარგი — ეკონომიკური შეხედულებები¹.

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა გვარწმუნებს, რომ რუსთაველი დგას თავისი დროის მსოფლიო ეკონომიკური აზრის მწვერვალზე. იგი, როგორც დიდად და მრავალმხრივად განვითარებული, ამასთანავე ღრმა პრაქტიკული დაკვირვების ადამიანი, იცნობდა მეცნიერების მრავალ დარგს და მათ შორის ეკონომიკასაც. ყოველივე ამას ერთგვარად აპირობებდა ის გარემოება, რომ იმხანად საქართველო თავისი მძლავრი ეკონომიკით, მაღალი კულტურითა და პოლიტიკური მდგომარეობით ახლო აღმოსავლეთში იქცა საერთაშორისო მნიშვნელობის ძალად. საქართველო სავაჭრო ურთიერთობაში იმყოფებოდა მრავალ ხალხთან და მრავალი ქვეყანა კიდევ საქართველოს სავაჭრო ვზით უკავშირდებოდა ერთმანეთს.

რუსთაველისათვის კარგად იყო ცნობილი ჯვაროსნული ომები, არაბეთის და შემდეგ სელჩუკებისა თურქული ტომების შემოსევა და განდევნა საქართველოდან. რუსთაველი მომსწრე იყო განვითარებული მსოფლიო სანამეღეთო და საზღვაო ვაჭრობის, მაღალ განვითარებული ხელოსნობისა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში, საქართველოს სახელმწი-


ფობრივი ცენტრალიზაციის, საქართველოში მუდმივი და დაქირავებული არმიის შექმნის, გლეხთა ბრძოლების და ფართოდ გავრცელებული მეკობრეობის, ხელოსანთა დიდგვარიან ფეოდალთა განდგომა-გამოხტომების, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ საერთო და სიეკლესიო დიდგვარიან ფეოდალების მისწრაფებათა შეზღუდვის, ვაჭართა და ხელოსანთა, საერთოდ, „სიმდიდრით აღაღებულთა“ დასის მიერ მეფის ხელისუფლების ერთგვარი პარლამენტური ფორმით შეზღუდვის მოთხოვნის, რელიგიის წინააღმდეგ ხალხთა მასების ამოძრავების და სხვადასხვა მისტიკურ-ერეტიკულ იდეათა გავრცელებისა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში.

რუსთაველის ეპოქაში სპეციალური ეკონომიკური ტრაქტატები არ იწერებოდა, ეკონომიკური საკითხების სისტემატური დამუშავება არ წარმოებდა, თვით მეცნიერებანიც სპეციალობებდა დაყოფილი არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ მოვლენათა საფუძვლიანი შესწავლის პირველი ნაბიჯები გადადგეს XVI საუკუნეში მერკანტილისტებმა და განსაკუთრებით უილიამ ჰეტიმ, რომელიც ემყარებოდა პრაქტიკულ მასალის, ცალკეული ფინანსური (გადასახადური) საკითხების, სიღრმისეულ შესწავლას, ფიზიოკრატებამდე ეკონომიკური მეცნიერება არ წარმოადგენდა თავისთავადურ მეცნიერებას, ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემას.

ამ დრომდე ეკონომიკას სწავლობდნენ პრაქტიკული მოსაზრებებით ფინანსისტები, ბანკირები და ვაჭრები, ან თეორიულ ასპექტში ისეთი ყოველმხრივად განათლებული ადამიანები, როგორც იყენენ ჰობსი, ლოკი, იუმი, რო-

¹ პროფ. ს. ნ. ბულგაკოვი მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების მწვერვალთა ეკონომიკური მსოფლმხედველობის ზოგად სისტემებს უწოდებს პოლიტიკური ეკონომიის პოეზიას. თუ ბულგაკოვის ამ გამოთქმას გამოვიყენებთ, ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს რუსთაველის „ეკონომიკური პოეზიის“ გამოვლინების ცდას.



მელთაეთის ეკონომიკა წარმოადგენდა ენციკლოპედიური ცოდნის ერთ-ერთ დარგს.

პოლიტიკური ეკონომია ძველ დროში სათავეებს იღებდა იმ დისციპლინიდან, რომელსაც დღეს ფინანსურ მეცნიერებას ვუწოდებთ.

კაპიტალიზმამდე არსებულ საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციებში, კერძოდ, მონათმფლობელურსა და ფეოდალურში ეკონომიკის საკითხებს შეისწავლიდნენ ფილოსოფოსები, იურისტები და ლეთისმეტყველები, ისინი თავიანთ მსჯელობაში ეყრდნობოდნენ ეკონომიკური კატეგორიების ამა თუ იმ გაგებას. ასევე, ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის საკითხები ასახულია მხატვრულ ლიტერატურაში. ყველა ესენი, როგორც ზედნაშენური მოვლენები, ასახვენ ბაზისს, ეკონომიკას, რომელმაც წარმოშვა ისინი პირდაპირად თუ არაპირდაპირად, რომელსაც მოემსახურებიან და მის განვითარებაზე უკუგავლენას ახდენენ პროგრესული ან რეგრესული მიზნით.

ფ. ენგელსის გამოკვლევაში — „ოჯახის, საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“ — გარკვეულ ნაწილში წყაროდ არის გამოყენებული მწერლების, პოეტების, დრამატურგების თხზულებები. ასეთებია: ჰომეროსი, თეოკრატე, მოსხი, ესქილე, პლუტარქე, არისტოფანე, პორციუსი, ლუციანე და სხვ.

ჩვენ ვგრძნობთ დასახული ამოცანის განხორციელების მთელ სიძნელეს არა მარტო იმიტომ, რომ ეს პირველი ცდაა საკითხის ამ ასპექტში გაშუქებისა, არამედ იმიტომაც, რომ აქ საჭირო არის რუსთაველის ფილოსოფიური და მხატვრული შეხედულებების წარმოდგენა ბაზისთან დაკავშირებით. ფილოსოფიური და მხატვრული შეხედულებები შედარებით უფრო შორს დგანან თავიანთი ბაზისისაგან და უფრო გვიან ასახვენ ბაზისში მომხდარ ცვლილებებს. ამასთანავე, მდგომარეობას ართულებს ის ვარემოებაც, რომ მოცემული ზედნაშენების ჩამოყალიბებაში ძველ ზედნაშენის ელემენტებიც მნიშვნელოვნად მონაწილეობენ.

ფეოდალიზმის საზოგადოებრივი ფორმაციის ზედნაშენური — ვანსაკუთრებით რელიგიური, ფილოსოფიური, მხატვრული მოვლენები ქმნიან რთულ სურათს; ისინი პირდაპირად თუ არაპირდაპირად ასახვენ ფეოდალიზმის ბაზისს, ამასთანავე ამა თუ იმ ფორმით და მეტნაკლები ზომით ითავსებენ გარდასულ საზოგადოებრივ ფორმაციათა (პირველყოფილი თემურის, მონათმფლობელურის) ზედნაშენურ გადმონაშთებს და შეიცავენ მშობლის ჩანასახებსაც.

ჩვენს ნაშრომში შესწავლილია შოთა რუსთაველის შეხედულებები პოლიტიკური ეკონომიის ძირითად კატეგორიებზე, როგორცაა: I. სიმდიდრე (მისი წყარო); II. საქონლის წარმოება (შრომა, გაცემა, საქონელი, ღირებულება); III. ფული, ფასი; IV. ვაჭრობა, ქალაქური მეურნეობა, ხელოსნობა, სეკულარული კაპიტალიზმი; V. სარგებლის მომცემი კაპიტალიზმი; VI. სახელმწიფო ფინანსები.

მოცემული სტატია მოკლედ გადმოგვცემს ზემოაღნიშნული წიგნის პირველი თავის ნაწილს.

შ. რუსთაველის უხიდაშუღებავ სიმდიდრეზე

საზოგადოებრივი სიმდიდრის, მისი წარმოებისა და განაწილების პრობლემა პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხია. მის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ საკითხს სწავლობდნენ ანტიკური დროის ფილოსოფოსები, შუა საუკუნეების მწერლები, XVII-XVIII საუკუნეების ეკონომისტები და სხვ. საკითხის შესწავლა თანდათან უფრო აუცილებელი შეიქნა და მან მეტი ყურადღებაც მიიპყრო. აღამ სმიტმა ეს პრობლემა იმდენად წინ წამოსწია, რომ თავის პოლიტიკურ ეკონომიის უწოდა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების შესახებ“. კ. მარქსი თავის „კაპიტალს“ საზოგადოებრივი სიმდიდრის განმარტებით იწყებს.

საინტერესოა, როგორ არის ეს პრობლემა წარმოდგენილი და გაგებული „ვეფხისტყაოსანში“? უკვდავი პოემის დაკვირვებულ შესწავლა გვარწმუნებს, რომ მის ავტორს ესმოდა მხატვრული წარმოების დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

შოთა რუსთაველის აზრით, აღამიანმა რომ იცხოვროს მალალი ცხოვრებით, ისაქმიანოს შაირობით, სიბრძნით, გონიერებით, დატყბეს სილაპაზით, დაშურეს მიჯნურობის აღმაფრენით, დაიწვას მეგობრობისა და სამშობლოს სიყვარულით, სჭირდება „სმა-კამა დიდად შესარგი“, ტანსაცმელი, ბინა, საკრთოდ, მატერიალური დოლათი, სიმდიდრე. ეს კარგად და მკაფიოდ ჩანს მთელი პოემიდან.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში განსაზღვრულია მიჯნურის დამახასიათებელი ნიშნები, სადაც ნათქვამია:

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ
 * ვითა მწეობა,
 სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყრმე და
 მოცალეობა,
 ენა, ჭონება, დათმობა, მძლეოთა მებრძოლთა
 მძლეობა. (სტროფ. 23).¹

¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედაქტირებული ირაკლი აბაშიძის, ალექსანდრე ბარამიძის, პავლე ინგოროყვას, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის მიერ. თბ. 1966 წ.

ვანისი ჩანტალაძე
 ძირითადი ნაშრომები აზრი „ვეფხისტყაოსანში“



აქ ჩამოთვლილი მიჯნურის დამახასიათებელი ნიშნები შესაძლებელია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად. პირველი, ბუნებრივად მოცემული ფიზიკური ნიშნები: თვალად სიტურფე, სიყრმე, მძლეობა მძლეობა; მეორე, ეკონომიკური — სიმდიდრე, სიუხვე; მესამე, სულგობრი თვისების გამოხატველი ნიშნები, ზედნაშენური სფერო — სიბრძნე, ენა (ე. ი. მეტყველება, ლამაზი ენა), გონება, ღამობა.

რუსთაველის მიხედვით ყველა ეს ნიშანი მიჯნურის ცნების აუცილებელი ელემენტია; თუ მას გამოაკლდა რომელიმე ნიშანი, მიჯნურობა დამდაბლდება. იგი ასკენის: ვისცა ეს სრულად არა სკირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა (სტროფ. 28).

ამგვარად, რუსთაველმა მიჯნურის ცნების განმსაზღვრელ აუცილებელ ნიშნებად დასახა ეკონომიკური კატეგორიები — სიმდიდრე და სიუხვე. ეს აზრი მოცემულია არა მარტო პროლოგში, არამედ ის წითელი ზოლივით გასდევს მთელ პოემას თავიდან ბოლომდე.

მიჯნურის ცნების ეს აუცილებელი ელემენტები — სიმდიდრე და სიუხვე, როგორც მატერიალური დოვლათები, მიიღება წარმოებით, შრომით. იმავე პროლოგში რუსთაველი ასახელებს ადამიანის საქმიანობის სამ სფეროს: შრომას, მეომრობას და მიჯნურობას. ესენი დასახელებულია იმ თანმიმდევრობით, როგორც აქ არის მოტანილი. რუსთაველი ჯერ ასახელებს შრომას, მერე მეომრობას და შემდეგ მიჯნურობას. იგი წერს:

მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს; კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს. (სტროფ. 11).

ეს ადგილი თავისთავად ბევრი რამის მოქმედი, ის ლაპარაკობს შრომის ფორმაზე, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე, შრომის სოციალურ ხასიათებზე, რაც საზოგადოებრივი ფორმაციის თავისებურებებით არის გაპირობებული და სხვ. ეს საკითხები ჩვენ განხილული გვაქვს ჩვენი წიგნის შესაბამის თავებში. აქ კი ყურადღებას ვამახვილებთ შრომის, მეომრობისა და მიჯნურობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე.

რუსთაველის მიხედვით, რადგან მოცემულია ამგვარი სახის შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ამ პირობებში მიჯნურობა რომ შესაძლებელი იყოს, მუშა უნდა მუშაობდეს, ქმნიდეს მატერიალურ დოვლათებს, სიმდიდრეს, მეომარი გულოვნობდეს შექმნილი სიმდიდრის დაცვას ან მიტაცებაში. შესაძლებელია მატერიალური დოვლათები ძალმომრეობითი განაწილებითაც მივიღოთ, მაგრამ თუ არავინ შრომობს, არავინ აწარმოებს, მაშინ წესართმევიც არა იქნება რა და ძალმომრეობითაც ვერაფერს გადმოვიწაწილებთ. ამიტომ განაწილებას, რა

სახითაც არ უნდა ხდებოდეს ის, წინ უნდა უსწრებდეს წარმოება, შრომა, „მიწყვი მუშაკობდეს მუშაობა. სწორედ ამიტომ რუსთაველის ცნებით, მიჯნურის რომ „მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს“, მეომარი უნდა გულოვნობდეს და პირველ რიგში „მუშა მიწყვი მუშაკობდეს“. კ. მარქის წერდა: „...ყოველი ერი დაიღუპებოდა, რომ მას შეეჩერებია მუშაობა, არა თუ წლით, არამედ თუნდაც რამდენიმე კვირით“¹.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველის აზრით, სიმდიდრე მიეკუთვნება მიჯნურის ცნების ნიშანთა ეკონომიკურ კატეგორიას. მაგრამ რუსთაველი ეკონომიკის როლს არ შემოფარგლავს იმით, რომ მიჯნურის ცნების დამახასიათებელ ელემენტებს შორის ასახელებს სიმდიდრესა და სიუხვეს, არამედ გვიჩვენებს ეკონომიკის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას მიჯნურის ბუნებრივ ნიშნებზეც, მაგალითად, თვალად სიტურფეზე, მძლეობამძლეობაზე და სხვ.


ეკონომიკური კატეგორიები: შრომა, შრომის ფორმა, მის მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათები, საერთოდ, სიმდიდრე, როგორც საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების ურთიერთობათა გამოხატულება, რუსთაველს ატანილი აქვს ესთეტიკურ კატეგორიებამდე, დამყარებული აქვს კავშირი შრომის პროდუქტებსა და სილამაზეს შორის.

როგორც ვიცით, შრომამ თავისებური გავორგება მისცა ადამიანის გარეშე სამყაროს და იგი ერთგვარად გაალამაზა, ადამიანის ხელით შექმნილი ადამიანმა მიიჩნია ლამაზად. მაგალითად, ლამაზი ტანსაცმელი და მოკაზმულობა, რომელიც თვით ბუნებრივად მოცემულ თვალად სიტურფეს თავისებურ იერს აძლევს და ამაღლებს.

შრომამ მიიმუშა ადამიანად გადააქცია, შრომამ იგი ადამიანმა თავისი თავიც ჩამოაყალიბა და გაალამაზა. საერთოდ, სილამაზე შრომასთან კავშირშია, მაგრამ ლამაზი და ტურფა ყოველთვის უშუალოდ არ არის დაკავშირებული შრომასთან. წარმოების პროცესში ადამიანის შემოქმედებით და შეცნობით უნარის ზრდასთან ერთად ადამიანის წარმოდგენაც გაიზარდა სილამაზეზე. ამიტომ სილამაზის კავშირი შრომასთან მრავალ შემთხვევაში გახდა შორეული. გამეშვეობითგებული. ის დაუკავშირდა ადამიანის გარკვეულ ოდებებს,

¹ კ. მარქის წერილი ლუდვიგ კუგლმანისადმი, 11 ივლისი, 1868 წ. (K. Маркс и Ф. Энгельс, соч., ტ. 32, გვ. 460, 1964).

ზანსილ ჩანტლაძე
მართული ეკონომიკური აზრი „მეფხის-ტაქოსანში“



რომლებიც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი შრომის პირობებით არიან განსაზღვრული. ადამიანის ესთეტიკური იდეალები საზოგადოებრივი წარმოების წესით არიან დაპირობებული.

ანტაგონისტურ-კლასობრივ საზოგადოებებში სილამაზის კავშირს შრომისთან აბნელებს შრომის ექსპლოატაციური ბუნება, შრომის დამქანცველი და დამჩაგრელი ხასიათი.

შოთა რუსთაველს, როდესაც თავისი სახელოვანი გმირების სილამაზეს გვიხატავს, ყველგან და ყოველთვის ნაჩვენებია აქვს მატერიალური დოვლათები, სიმდიდრე, რომლებიც მათ ბუნებრივ სილამაზეს აძლიერებენ, ამალეებენ, რომელთაც მათი თვალად სიტურფე მაღალ რანგში აპყავთ. რუსთაველის გმირების ფიზიკური თვისებებით გაპირობებული სილამაზე დახატულია პარმონიულობაში ადამიანის ხელით, შრომით შექმნილ მატერიალური დოვლათების სილამაზესთან. ასეთებად რუსთაველს მოტანილი აქვს ტანსაცმელი, მორთულობა, მოკაზმულობა, ბინა და ხშირად ადამიანის ხელით გარდაქმნილი ბუნებრივი გარემო. ავთანდილი შეეჯიბრა მეფე როსტევეს ნადირობაში, ვაეკაცობაში. იგი ილით ეწვია როსტევეს სანადიროდ იმგვარად მორთული, რომ გამოაჩინოს თავისი ვაეკაცობა. როგორ დახატა რუსთაველმა ავთანდილის თვალად სიტურფე?

დილასა ადრე შოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწუულითა მოსილი, პირად
ბროლ-ბალახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია, შეენოდა
ქარქაშოსანი,
მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა თეთრ
ტაიქოსანი (სტროფ. 71).

როგორც ვხედავთ, ავთანდილის სიტურფე, ვაეკაცობა, რუსთაველმა წარმოადგინა ეკონომიკური ნიშნებით. ავთანდილი შემოსილია ძოწუულით, უშაღღსი ღირსებისა და სილამაზის ტანსაცმლით, ვაკეთებული აქვს ოქროქსოვილი პირბადე, შეიარაღებულია ლამაზად გაწყობილი იარაღით, „შეენოდა ქარქაშოსანი“ და ზის თეთრ ტაიქზე, ფიცხ და სწრაფ-მავალ ცხენზე. აქ ჩამოთვლილი საგნები, ვათავებული ცხენით, არის შრომის პროდუქტები.

რუსთაველს ბუნებრივი ნიშნებიდან დასახელებული აქვს: „ნაზარდი სოსანი“ და „პირად ბროლ-ბალახშოსანი“, ე. ი. ტანად ავთანდილი ჰგავდა „ნაზარდ სოსანს“ და პირად „ბროლ-ბალახშოსანს“. რუსთაველს თვით ბუნებრივი სილამაზეც დახატული აქვს ეკონომიკის მოშველიებით. სოსანი არის შრომანი — ლამაზ-ყვავილიანი მცენარე, რომელსაც ბაღებში ამწევენ. სოსანს თავისი ბუნებრივი სილამა-

ზე აქვს, მაგრამ შრომამ თავისი წვლილი შეიტანა მის გაუმჯობესებასა და ვალამაზეობაში. ამგვარად, ავთანდილი რუსთაველმა დააჩაბდა ნაზარდ სოსანს.

მეორე მავალით: ავთანდილს ჰკლავს თინათინის მშვენება, გულში მალავს მის მიჯნურობას. ერთ მშვენიერ დღეს მას თავისთან იხმობს თინათინი. მას სურს თავი მოაწონოს თინათინს, იყოს ტურფა, ლამაზი. ამისათვის რუსთაველი ავთანდილს ხატავს ლამაზ, საგანგებოდ შერჩეულ ტანსაცმელში.

აღგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა
ქრელისა. (სტროფ. 120).

ავთანდილი ისედაც ლამაზი იყო, მაგრამ სიმდიდრით კიდევ უფრო აძლიერებს თავის სილამაზეს. მეტად მკაფიოდ არის მოცემული რუსთაველის აზრი ტანსაცმლის როლის შესახებ სილამაზის გაძლიერებასა და აღქმაში. როდესაც ავთანდილმა გაიხადა ვაჭრის სამოსელი და შეიმოსა საქაბუკოდ, მოიმატა მისმა მშვენებამ და ლომი დაემსგავსა მზეს.

ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო ამა
დღესა“
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა;
მას დღე ყოვლი საქაბუკო შეიმოსა ტანსა
მხნესა,
მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მესა
(სტროფ. 1244).

ავთანდილი თავისთავად იყო ლომი, მაგრამ ტანსაცმლის გამოცვლამ მზეს დაამსგავსა, გაამშვენიერა.

ნესტან-დარეჯანის მშვენებას აძლიერებს სიმდიდრე, რომელშიაც ის ზის და რომლითაც შემკულია. ტარიელი ამბობს:

ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა
ძალითა,
სადა დგა კუბო შემკული ბალახშითა და
ლალითა;
შიგან ჭდა იგი პირითა მზისაებრ
ელვა-მერთალითა,
მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის
ტბისა თვალითა. (სტროფ. 387).

მძიმე ფარდაგი, კუბო შემკული ბალახშითა და ლალით. მელანი, ყველა ესენი შრომის პროდუქტებია.

მეტად საინტერესოა, როგორ აქვს რუსთაველს დახატული თინათინის თვალად სიტურფე, როდესაც მან ავთანდილი მოიხმო თავის-

ვასილ ჩანტლაძე
მართლში იკონომიკური აზრი „მეფის-ტაქროსანი“

თან. აქ რუსთაველს ჯერ მოცემული აქვს მატერიალური დოკუმენტები, ტანსაცმელი, რომლითაც შემოსილია თინათინი და შემდეგ მისი სხეულის ბუნებრივი სილამაზის გამომახატველი ნიშნები:

გაძრვილია ტანსა ემოსნეს ყარყუმნი
უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი ფასისა თქმად
საპირონი. (სტროფ. 122).

„ყარყუმი უსაპირონი“ და „რიდე“ (ბეწვეული და პირბადე) შრომით შექმნილი მატერიალური დოკუმენტებია და ეკონომიკური მოვლენაა. მაგრამ აქ რუსთაველს საკითხი დასახული მიმართულებით კიდევ უფრო განვითარებული აქვს, პირდაპირ მითითებული აქვს მათში ასახული წარმოებრივი ურთიერთობა და ამდენად უფრო მეტად აქვს გაშლილი ეკონომიკის როლი ბუნებრივად მოცემული სილამაზის გაძლიერებაში. აქ რუსთაველს ნაჩვენებია აქვს სიმდიდრის არა მარტო ნივთობრივი მხარე, არამედ ღირებულებრივიც. თინათინს რომ რიდე „ებურნი“, ისეთი მაღალი ღირებულებისა იყო, რომ მისი ფასის თქმა გაკვირდებოდაო. ამგვარად, რუსთაველმა სილამაზის გასაძლიერებლად და მისი აღქმისათვის ისეთი რთული ეკონომიკური კატეგორიაც გამოიყენა, როგორც არის ფასი.

ამგვარად, რუსთაველმა ადამიანის შრომით შექმნილი დოკუმენტები, ეს განუზომელი ფასის სიმდიდრე, დაუკავშირა თინათინის ბუნებრივი სილამაზის ნიშნებს და მოცემული სტროფი დაამთავრა შემდეგნაირად:

შენოდეს შავნი წამწამნი, გაულისა
გასაგპირონი,

შას თიფარსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თინანი
არ-უსპირონი (სტროფ. 122).

„ვეფხისტყაოსნიდან“ შესაძლებელია მოტანილ იქნეს უამრავი ანალოგიური მაგალითი.

თავისი გმირების თვალად სიტურფის დახასიათებისა და გაძლიერებისათვის რუსთაველს შემოაქვს საცხოვრებელი ადგილის, ბინის ელემენტებიც: დიდი დარბაზი, ტურფა საგებელი, კეკლუცად ნაგები ბანის-ბანები, ქვად ფაზარი, იაგუნდის და ლალის კუბო, ვარდის წყლის აბანო, რუსთავის გაკეთებული ქვის ან ძელის ღარი, რომლითაც საბანლად ვარდის წყალი მიედინება. ტარიელი ამბობს:

შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა
საგებელითა. (სტროფ. 342).

შემავლო სახლი, ნაგები კეკლუცად
ბანის-ბანითა. (სტროფ. 401).

მეფემან კოშკი ააგო, შიგან საყოფი ქალისა: ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა. (სტროფ. 322).

მრავლად იყო სარაჩები ვარდის წყლისა
აბანოსა.

ყარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები
ოქსინოსა. (სტროფ. 335).

ამგვარად, სასახლე შემკული იყო ფარდა ბევრდითა და უძვირფასესი მიწისძვლითი ქსოვილით, ამასთანავე ალვას უკმევედნენ:

დღე და ღამე მუჯამრითა ეცმოდის ალვა
თლილი. (სტროფ. 323).

რუსთაველს თავისი გმირების თვალად სიტურფის გასაძლიერებლად, მიჯნურობის დასამშვენებლად დახატული აქვს გარემო — ბაღა, რომელიც შრომის საშუალებებით ვარდაქმნილია და სიმდიდრით გალამაზებულია:

ბაღა ვნახე უტურფესი ყოვლისავე
სახლისოსა:

მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი
სირინოსა;

მრავლად იყო სარაჩები ვარდის წყლისა
აბანოსა.

ყარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები
ოქსინოსა. (სტროფ. 335).

რუსთაველი მძლეობის გასაძლიერებლად უთითებს ეკონომიკურ ფაქტორზე, როდესაც ტარიელი კაცს გზავნის ხატეთში და სწავლია შეატყობინოს, რომ ინდოეთი ძლიერი ქვეყანაა, მიუთითებს ინდოეთის ეკონომიკის სიმდიდრეზე. ის ატყობინებს; რომ ინდოეთი მდიდარია და მშეირი არა ჰყავს:

...მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ
ძლიერი!

მათი ერთგული გაძღების ყოველი სული
მშეირი! (სტროფ. 380).

ამასვე ადასტურებს მრავალი სტროფი „ვეფხისტყაოსნისა“, სადაც მითითებულია ლაშქართა მოკავშულობაზე, აბჯართა ხვარაზმულობაზე, ტაიჭთა სიმადლეზე, როგორც ვარკვეულ ეკონომიკურ ფაქტორზე, სიმდიდრეზე, რაც ვადადის სამხედრო ძლიერებაში, მასთანამე, მძლეობაში.

აღლუში ვნახე, მეკეთა ლაშქართა
მოკავშულობა,

სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად
დარაზმულობა,

ტაიჭთა მათთა სიმადლე, აბჯართა
ხვარაზმულობა (სტროფ. 396).

შეყარნა სპანი ჰრადეთს, აღარა ხანსა ზმულია, კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკავშულია. კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია (სტროფ. 1553).

როგორც ცნობილია, რუსთაველი უმღერის არა იდეალისტურ, საზეო, საღეთო სიყვარულს, არამედ ამქვეყნიურ, მიწიერ, ხორციელ სიყვარულს.

რულს. „თქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხედებიან“ (სტროფ 21). მაგრამ, რუსთაველის აზრით, ეს სიყვარული არის თავისუფალი და მაღალი გრძნობა და ის არსებითად განსხვავდება იმ მიწერი „სიყვარულისაგან“, რომელსაც ეწოდება სიძვა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ალ. ბარამიძე წერს: „ვეფხისტყაოსანში ასახული სიყვარული მართლაც უაღრესად ადამიანურია, მაღალზნობრივი, მგრძობიანობითი, ანუ ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სქესობრივი სიყვარული“¹. რუსთაველის აზრით, კემშირბიტი სიყვარული არის შინაარსიანი, რომლის განხორციელება ხდენიერებას ანიჭებს არა მარტო შეყვარებულთ, არამედ სხვებსაც, საზოგადოებას და მთელ ერს. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კოლესპონდენტი პაატა გუგუშვილი წერს „...სიყვარულის გამარჯვება არა მხოლოდ შეყვარებულთა უშუალო მიზანწრაფვის, პირადული ბედნიერების განხორციელებას, ის საზოგადოებრივი სამართლიანობა და სიკეთის, კიდევ მეტი. ხალხთა შორის მეგობრობისა და უცხოთაგან ურთიერთგაგების გამოცხადება“².

ეს არის სიყვარული უაღრესად პირადული, ინდივიდუალური და თავისი შედეგებით და მნიშვნელობით ზედმიწევნით საზოგადოებრივი, კოლექტიური ხასიათისა. ეს სიყვარული შეიცავს მეგობრობას, პატრიოტიზმს, საქვეყნო საქმეს; ემსახურება ხალხის ინტერესებს, ითავებს საკაცობრიო იდეალებს. აქ პირადული და საზოგადოებრივი ისე გადახლართულია ერთმანეთთან, რომ სიყვარულს გადალახული აქვს ეროვნული, სახელმწიფოებრივი, რასობრივი, სარწმუნოებრივი საზღვრები და ამალეებულია საკაცობრიო იდეალამდე.

ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სიყვარულის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობს საზოგადოების ყველა ფენა; მეფეები, დიდგვარიანი რაინდები, აზნაურები, მსახურნი, დიდი და წვრილი ვაჟრები, მხედრობა, მთელი სახელმწიფო და სახელმწიფოები, საერთოდ, მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ყველა გამსჭვალულია ერთი მიზნით, დაეხმაროს ნესტანსა და ტარიელს. ყველას მათი საქმე მიანიათ საზოგადო, საკაცობრიო საქმედ, ამავე დროს თავის საქმედაც; ყველა მათთვის ცეცხლს მოიდებს, წყალში დგება, თავსა წირავს. ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობის განხორციელებას, ნესტანის განთავიზღვლებას შეეწირა რამდენიმე ათასი სიცოცხლე.

¹ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 22.

² პაატა გუგუშვილი, შოთა რუსთაველის სოციოლოგიის საკითხისათვის (ყურ. „საქართველოს ეკონომისტი“, № 9, 1966 წ. გვ. 55).

ასეთი მაღალშინაარსიანი და ამალეებული სიყვარული, ცხადია, ვერ განხორციელდება საზოგადოებრივი სიმდიდრის გარეშე. მიჯნურობის მატერიალური საფუძველი საზოგადოებრივი წარმოება, მატერიალური დოკლამების წარმოება, საზოგადოებრივი სიმდიდრე.

როგორ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი სიმდიდრე „ვეფხისტყაოსანში“? როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ან ეროვნული სიმდიდრე წარმოადგენს მატერიალურ დოკლამთა კრებადობას, რაც წარმოების წესის შესაბამისად მოცემულ ღომენტში იმყოფება ამა თუ იმ საზოგადოების ცალკეული კლასების, ფენების ან პირების საკუთრებაში.

ეროვნული სიმდიდრე შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ეროვნული ქონებისა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისაგან.

ეროვნული ქონება არის დროთა ეითარებაში დაგროვილი შრომის პროდუქტები (შრომის იარაღები, ნედლეული და სამომხმარებლო საშუალებათა მარაგი), რომლებიც აღირიცხება ნატურალურ და ფულად გამოხატულებაში.

ქვეყნის ბუნებრივი რესურსები (მიწა, წილი, წყლები, ტყეები და სხვ.) წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივსა და აუცილებელ პირობას; იგი აღირიცხება ნატურალურ მაჩვენებლებში.

რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო მის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ქონება ანუ ადამიანის შრომით შექმნილი სიმდიდრე. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანში“ მაჩვენებელია XII-XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს მაღალი საზოგადოებრივი-ეკონომიკური განვითარებისა.

საზოგადოებრივი სიმდიდრის შემადგენელი დოკლამები ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით განიყოფება წარმოების საშუალებებად (შრომის იარაღები, ნედლეული და ბუნებრივი რესურსები) და მოხმარების საგნებად (საზრდო, ტანსაცმელი, ბინა და სხვ.)

„ვეფხისტყაოსანში“ მდიდრად არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი სიმდიდრის შემადგენელი „სახელმწიფო“. „ვეფხისტყაოსანში“ ამა თუ იმ ზომით დასახელებულია საზოგადოებრივი სი-

პროფ. ნ. ქოიავამ გამოქვეყნა ნარკვევი „შრომის იარაღები და პირადი მოხმარების საგნები“ ვეფხისტყაოსანში“. 45 გვერდის მოცულობით, თბ. 1967 წ., რომელშიც, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, აღნუსხულია ხსენებულ პოემაში დასახელებული სამეურნეო იარაღები და პირადი მოხმარების საგნები. იხ. გვ. 2.

ვასილ ჯანაღაძე
პირთული ეკონომიკური აზრი „ვეფხისტყაოსანში“

მდიდრის ყველა ელემენტი, დაწყებული შრომი-
საშუალებებიდან გათავებული სახალხო მეურ-
ნეობის არაწარმოებრივი საშუალებების, მოსა-
ხლეობის პირადი ქონებისა და მუშაკთა წარ-
მოებრივ და მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდი-
ლებათა დასახელებით. ამ მოხსენიებულია შენო-
ბები, ნაგებობანი, ვაწყობილობა, მზა პროდუქ-
ციის მარაგი, სოციალურ-კულტურულ მოთხო-
ვნილებათა დაკმაყოფილების საგნები (ქაღალდი,
კალამი, წიგნი, საკრავი ინსტრუმენტები), მოსა-
ხლეობის ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები,
სამხედრო აღჭურვილობა, სხვადასხვა სახის ხე-
ლოსანთა და ხელოვანთა პროდუქციების დასახე-
ლება და სხვ.

რუსთაველი მოღვაწეობს იმ ეპოქაში, როდესაც საქართველო მაღალი ეკონომიკური განვითარებით ხასიათდება, დიდ სიმდიდრეს ფლობს და მოწინავე სახელმწიფოთა ახლო აღმოსავლეთში. ამ ეპოქის მაღალი ეკონომიკური დონე, მისი ეროვნული სიმდიდრე გამოკვეთილად არის მოცემული ისტორიულ დოკუმენტებში.

სხენიებული ისტორიული წყაროები სავსეა მავალთებით, თუ რა სიმდიდრის მფლობელი იყო ან რა სიმდიდრე შემოდირიდა საქართველოში იმ ხანად. საქართველოს ერთ-ერთ დიდ გამარჯვებულთან დაკავშირებით ნათქვამია: „ამისა შემდგომად შევიდეს ქალაქად, და თვთულმა იწყო ძლევითა მოღებად: ოქროსა და სამკაულისა, და ქურქუელთა მისთა, თულთა პატიოსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჭაჭუთა, მუზარადთა, ხმალთა ამთ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქროქსოვილთა და შესამოსელთა მრავალსასყიდლოანთა, ცხენთა და ჯორთა, მინაყთა ოქროსათა თულანთა — მარგალიტიანთა, სულნელთა მრავალფერთა და ალვისა ხეთა სპილენძებითა ტვრთულად. იწყეს ანაკოფის ციხით ვიდრე ციხემდე გულისტანისა. სეფენი აზნაურთანი აღიხსნეს ტყვთა რჩეულთა, და ყოველნი სავამტურნი ოქროთა, ვითარცა მიწათა, და ინდოურთა ქვითა, და პატიოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხეთა“¹.

როგორც ცნობილია, ასეთი ადგილები „ქართლის ცხოვრებაში“ — ბეგრია. ასევე ბეგრია მსგავსი ადგილები თვით „ვეფხისტყაოსანში“ ქორწინების, ზემის, სიღნაღობის, სამხედრო ნადავლის ადების და სხვ. შემთხვევებში.

რუსთაველი თავისი ეპოქის საზოგადოების ეკონომიკურსა და სხვა მხარეებს ასახავს ისეთი ზედმიწევნით, როგორც იმ დროის ისტორიულ დოკუმენტებშია მოცემული.

რუსთაველი ლაპარაკობს დიდ ეროვნულ

სიმდიდრეზე, მის „განუზომებლობაზე“, რომელსაც „ვერ იანგარიშებ“, „უზომო“, „უღრვიანა“, „უთვლელია“, „აღიღებები და ვერ მოთვლია“, „ვერ შეიგნებ მის რაოდენობას“ და „ვერ დევ პროდუქტების რაოდენობას“ (ისტორიულ დოკუმენტებზე მოვლენას — „ხეცით ნაბუქას“.

... გასცა უზომო, უანგარიშო, უღრვი (სტროფ. 52).

უცხო ფერთა საქურჭლეთა. დავეზრები, თუ მოვსთავაზვიდე (სტროფ. 453).

ვინმეა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა (სტროფ. 1353).

ვერცა ვისგან დანათვალნი, ვერცა ვისგან შეგებულნი (სტროფ. 1884).

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანში“ ლაპარაკია დიდ ეროვნულ სიმდიდრეზე, რომლის აღრიცხვაც შეუძლებელია. საკითხავია, როგორია სტრუქტურული შედგენილობა იმ საზოგადოებრივი სიმდიდრის, რომელსაც რუსთაველი გვიხატავს?

ეს სიმდიდრე მეტწილად წარმოდგენილია საქურჭლის სახით, რომელიც მოიცავდა: 1. ფულს, როგორც მონეტას (როგორც მოქრილ-პედურ ფულს).

... უხვად გასცეს ნაბოძვარი, მარგალიტ ვითა დრამა (სტროფ. 677).

ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა (სტროფ. 537).

ამ მოხსენიებული დრამა იყო ძველბურთვიერ ცხლის მონეტა.

„ვეფხისტყაოსანში“ საზოგადოებრივი სიმდიდრე გამოხატულია სხვა სახელწოდებების ვერცხლის მონეტითაც — ასეთია დრამკანი:

ხარჯა დასდევს, შემკვეთეს დრამკანი ასჯერ ასია (სტროფ. 464).

შესამოსელი შემოსეს დრამკანისა ბევრ-ათასისა. (სტროფ. 1001).

აქვე რუსთაველის მიერ მოხსენიებულია ოქროს ფული — პერპერა, რომელიც დაფანტული ეყარა მიწაზე და ხალხი ფეხით სცვეთავდა.

პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთენ, ვითა ხილსა (სტროფ. 1423).

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი საზოგადოებრივი სიმდიდრის ერთი ნაწილი გამოხატულია ძვირფასი ლითონების — ოქრო, ვერცხლი, სპილენძი — ზოდების, ნივთების ან სამკაულების სახით:

თავსა აყრიდეს ოქროსა, ხვეტს ჭარი მუნ ნარონები (სტროფ. 1448).

გამედიოდა წახალბლად ატლასი და ოქრო მყარი (სტროფ. 1539).

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ. აუხიშვილის მიერ, თბ. 1959, გვ. 128-129.

კვლა ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ
ხალსისა (სტროფ. 1424).

გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა
მონები (სტროფ. 1448).

თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა
გობითა (სტროფ. 1871).

ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო
(სტროფ. 782).

წელთა ოქრო შემოირტყა, საღარიბოდ
შეეკაშმა (სტროფ. 168).

გლახაკთა მიეც საჭურჭლენ, ოქრო, ვერცხლი
და რვალია (სტროფ. 156).

საზოგადოებრივი სიმდიდრის ნაწილი წარ-
მოდგენილია ძვირფასი ქვების¹, როგორც სამ-
კაულების, სხვადასხვა საფუფუნო საგნების
სახით, რომლებიც რიგ შემთხვევებში ბრუნვამი
გადიოდა როგორც ფული.

პოვეს საჭურჭლენ უსახო, კვლა უნახავი
თვალისა,
მუნ იღვა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად
განათალისა,
ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა
საბურთალისა (სტროფ. 1358).

მოკრიფეს ჭორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს
შალეები;
სამათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდნი და
ლალები (სტროფ. 1412).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ
ეს ქვები დიდი ზომისაა და ამავე დროს გათ-
ლილია, ადამიანის ხელითაა დამუშავებული;
იგი მთლიანად ხელისნური წარმოების პრო-
დუქტიაა.

ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ-ღანადები
ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად
ხასისა (სტროფ. 1424).

ნესტან-ღარქანს ყაბაჩა უძღვნა, შემკული
თვლითა,
იაგუნდითა წითლითა, ბალახშითა და
ლალითა (სტროფ. 1425).

მოიდგეს ძღვენი უსახო ფრიდონის
არ-აქლატისა,

¹ ძვირფასი ქვების საკითხს პროფ. ნ. ქოი-
ვამ უძღვნა შრომა: „ძვირფასი ქვები შოთა
რუსთაველის პოემაში“. აქ საკითხი შე-
სწავლილია ტექნოლოგიურ-ტერმინოლოგიური
თვალსაზრისით.

ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა
კვერცხი ბაქისა,

კვლა ერთი თვალი, სამსვავსო მწიფი
შუქ-მონამატისა (სტროფ. 1451/1035)

კვლავ უძღვნა თვითო ფარღული,
გარდასაყრელი ყელისა,
მრგვლად დათლილისა თვალისა, იაგუნდისა
მრთელისა (სტროფ. 1452).

... ტაბაკი ხავსეა მარგალიტითა სხვილითა.
მოდიოდა მარგალიტი მოფანტული,
მონაყარი, (სტროფ. 1539).

თვითო სკიპტრა და პორფირი და
გვირგვინები თვალისა (სტროფ. 1543).

კვლა უძღვნა ძღვენი ორთავე, მსვავსი
მათისა ბედისა,
ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა,
კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი
ტრედისა (სტროფ. 1544).

ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი
თავ-შედგმული (სტროფ. 1545).

ტარიელს სძღვნინა უცხონი თვალნი ლალისა
ქვისანი,
მათ ყოვლთა მათნი ელვანი ჰფარავენ მართ
ვითა მზისანი (სტროფ. 1546).

კვლა ქურჭელი თვალთა თლილთა, არ
კოვზები, არ ჩამჩები (სტროფ. 1576).

ერთი თვალი, — წამლებელმან ვერა თქვას.
თუ: „ცუდად ვზიდ“, —
ღამე მზეებერ განანათლის, ჩნდის, სადაცა
შებეღვიდე (სტროფ. 1577).

საილუსტრაციოდ მოტანილ მაგალითებში მო-
ნეტების, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი
ქვების სახით მოცემულია საზოგადოებრივი სი-
მდიდრის არამწარმოებლური ნაწილი. „ვეფხისტ-
ყაოსანში“ წარმოდგენილი სიმდიდრის ერთი
ნაწილი ამგვარი ხასიათისა არის. ეს არის საქო-
ნელთა ის ნაწილი, რომელიც ფუნქციონირებს
როგორც ფული და არ მიეკუთვნება არც ინ-
დივიდუალურ და არც წარმოებრივ მოხმარებას.

ინდივიდუალური ან წარმოებრივი მოხმარე-
ბისათვის დანიშნული ზროლექტი ანუ სახმარი
ღირებულება წარმოადგენს სიმდიდრის ნიჯ-
თობრივ ფორმას იმისგან დამოუკიდებლად, ის
წარმოებულთა საქონლად თუ არა საქონლად.
„ვეფხისტყაოსანში“ ასახულ მთელი საზოგა-
დოებრივი სიმდიდრის საყვედლო ფორმას
არ წარმოადგენს საქონელი, ვინაიდან ამ სიმ-

მასილ ზანტლამე
მართლმადიდებელი ეკლესიის უფროსი „ვეფხისტ-
ყაოსანში“

დიდრის შემადგენელ პროდუქტთა ნაწილი არ იწარმოება როგორც საქონელი. მაგრამ საზოგადოებრივი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი ფუნქციონირებს როგორც საქონელი და, მაშასადამე, მიღებული აქვს ფულის ფორმა. ამიტომ გავრდილია ოქრო-ვერცხლის და სპილენძის ის რაოდენობაც, რომელიც გამოყენებულია, როგორც მიმოქცევის საშუალება, გადახდის საშუალება და სხვ. ეს ნაწილი რჩება არამწარმოებლურ ფორმაში.

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი საზოგადოებრივი სიმდიდრის ნაწილი სამრეწველო პროდუქტია: ეს არის ლარი — სხვადასხვა ძვირფასეულობა, ქსოვილები; ეს არის ქალისა და კაცის სხვადასხვა სამკაულები, ცხენის მოკაზმულობა, სამხედრო საქურველი, საოჯახო ნივთები და სხვ. მათი დიდი ნაწილი ქალაქური, ხელოსნური პროდუქტია.

ფრიდონმა ტარიელი და ავთანდილი

დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანეთისა
მჯობითა (სტროფ. 1371).

მუნ იღვის გოზი ლარისა, სტავრისა და
ატლასისა (სტროფ. 1424).

თვითო კაბა თვლიანი, უცხო ფერთა შუქთა
მფენი (სტროფ. 1428).

აივსო ხახლი სტავრითა და ოქსინოთა
ლბილითა (სტროფ. 1458).

უბოძა ტურფა მრავალი მათ-მათი
შესადარები (სტროფ. 1485).

როსტანისთვის წაატანა ძღვნად ტურფები
ჯუბაჩები (სტროფ. 1576).

ქალსა ქალმან გაუფხავნა ყაბაჩა და ერთი
რიდე (სტროფ. 1577).

ტურფა ნიშნავდა „სხვადასხვა ძვირფას ქსოვილებს“¹.

სტავრა ნიშნავს ძვირფას ნაქსოვს, ატლასი — უძვირფასეს ფარჩეულს, ოქსინო — ფერად ხავერდს, ჯუბა — ხალათს, კაბას, ყაბაჩა — მოკლე ქითიბს, რიდე — პარსაბურავს, ჩადრს. „ვეფხისტყაოსანში“ ლაპარაკია მრეწველობის, ხელოსნობის განვითარების მაღალ დონეზე, ქსოვილების სიმრავლესა და სილამაზუზე; ნათქვამია, რომ ხატეთზე გამარჯვებისას ტარიელმა ნახა „ყაბაჩა და ერთი რიდე“, რომელთა სახელი არ იცოდა, ისეთი მაღალი ღირსების ქსოვილი იყო, მისი სახელის ცოდნას კაცი ინატრებდაო. ამას ლაპარაკობს მაღა-

ლი წრის წარმომადგენელი, სასახლეში აღზრდილი, საუკეთესო ტანსაცმლის მწარმოებელი და არმონატრული ტარიელი.

ვერა შვიგენი, რა იყო ანუ ნქმანო რაოდენად
ვისცა ვურჩენი, უკვირდის, ღრმთისაგან
თქვის სასწაულად;
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც
ორხაულად;
სიმტკიცე ჰგავნდა ნაქედსა; ვთქვი ცეცხლთა
შენართაულად (სტროფ. 455).

მე რომე გიძღვნი ტურფათა, აქოთ ლარისა
ჭრელობა. (სტროფ. 1482).

უბოძა ტურფა მრავალი მათ-მათი
შესადარები,
კვლა ფრიდონისნი აავსნა, სპა ჰყვა თუ
სპასალარები. (სტროფ. 1485).

დახვდა სოფლები, ციხები, ხშირ-ხშირად
თანის-თანები,
მუნ შიგან მყოფსა ემოსა ტანსა ლურჯი და
მწვანები. (სტროფ. 1489).

მოხსენიებულია აგრეთვე მაღალი ოსტატობისა და გემოვნების სუფრის კურკული:

იაგუნდისა ჯამები იყვის, ლაღისა ჭიქები,
კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის
უცხო-უცხო სიქები (სტროფ. 1537).

ჯამი და ჭიქა-ყველი ფეროზისა და ლაღისა
(სტროფ. 470).

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული საზოგადოებრივი სიმდიდრის ნაწილს შეადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტია, განსაკუთრებით მისი ორი სახეობა — მიწათმოქმედების პროდუქტია და მეცხოველეობის პროდუქტია.

„ვეფხისტყაოსანში“ ვგვხვდებით სოფლის მეურნეობის აღმნიშვნელი ტერმინები „ჭირნახული“, „მომკა“, „თესვა“, „ჭერიმი“, ე. ი. ფეტვი, „მჭელი“, რაც ნიშნავს ნამგლის ერთი მოსმით მოჭრილ მუჭაპურს და სხვ.

„ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია:
წახდა ჩემი ჭირნახული, ვერ მოვჭმე, რაცა
ვსთესი (სტროფ. 1189).

მამა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა
უმუშაკო (სტროფ. 868).

მე მარგალიტსა მოგიმიკი, თქვენ ჭერიმი
დაგიეთსია (სტროფ. 1207).

... მხეცსა სურთან ვითა მქელსა (სტროფ. 965).

მოხსენიებულია სოფლის მეურნეობის წარ-

¹ ს. ვ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 30.

მოების იარაღები: სახნისი (სტროფ. 1030), ბა-
ჩა (სტროფ. 1104).

XII საუკუნის საქართველოში მიწათმოქმე-
ლება მაღალგანვითარებული იყო. გავრცე-
ლებული იყო მარცვლულის კულტურების
მრავალი ჯიშის, ჰქონდათ განვითარებული სახე-
წილი იარაღი; საქმარისად მაღალ დონეზე
იდგა მელორატია და საქართველო იკვებებოდა
საკუთარი მარცვლულით. „ვეფხისტყაოსანში“
აღწერილია დიდი და ფართო მასშტაბის პურის-
ქამა, სმა-ქამა, ნაღიმები, ღრეობა, რომლებ-
შიც მონაწილეობას ღებულობდნენ მასებშიც და
რომლებიც ხშირად რამდენიმე დღე ან თვე
გრძელდებოდა. ყოველივე ეს შეუძლებელი იქ-
ნებოდა უხვი მოსავლისა და, საერთოდ, სოფ-
ლის მეურნეობის მაღალ დონეზე დაყენების
გარეშე.

საქართველოში მაღალგანვითარებული იყო
მევენახეობა, მეღვინეობა და მეხილეობა.
„ვეფხისტყაოსანში“ ღვინო და ხილი მრავალ-
ჯიშის გვხვდება. მაღალგანვითარებული მევენ-
ახეობა-მღვინეობის გარეშე ყოველად შეუძ-
ლებელი იქნებოდა „ვეფხისტყაოსანში“ ლაპა-
რაკი ღვინის წყაროზე, რომელიც მოვლინება
მილის მსგავსად.

დღე ერთ გარდახდა, პურობა, სმა-ქამა იყო,
ხილობა,

ნაღიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი
შემოყრილობა (სტროფ. 56).

ფრიდონისგან უსაზომო ქოჩრწილია დღესა
რვახა:

ყოვლთა დღეთა მითრთმედს უფასოსა
ძღვენსა მზასა (სტროფ. 1454).

მსმელთათვის წყარო ღვინისა ახგან დის,
მხგავსი მილისა,

ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდახდა
ჟამი დილისა (სტროფ. 1538).

ზღვათა მეფე გარდაიხდის მუნ ქორწილსა
მეტად დიდსა.

... არ გაუშვა დღესა შეიდსა (სტროფ. 1423).

რას ვაგრძელებდე? გარდახდეს დღენი
ერთისა თვისანი.

თამაშობდიან, არ იყვენს ყოლა გაყარანი
სმიხანი (სტროფ. 1546).

ავთანდილმა ოთხმოცი ათასი ცხენოსნით
მიაცილა ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ინ-
დოეთს და სამი თვის განმავლობაში ღვინოს
სვამდნენ და დროს ატარებდნენ:

სამ თვენ ვლეს...

მიდორსა შიგან სადილად გარდახდეს

უდილალოსა,

ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს,
არ დოსა (სტროფ. 1564).

ფატმანი აცნობს ავთანდილს, რომ ვაჭრებიც
მართავდნენ ნაღიმებს:

დიღსა შეიქმან მეფენი პურობა-დარეჯანისა
(სტროფ. 1108)

ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა-გვაც დარბას

მიღება ძღვენისა,

მათ საბოძერისა ბოძება მართებს მსგავსისა
ჩვენისა;

ათ დღემდის ისმის ყოველგნით ხმა

წინწილისა, ეზნისა,

მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა
დგენისა (სტროფ. 1110).

„ვეფხისტყაოსანში“ მდიდრულად არის
წარმოდგენილი სოფლისმეურნეობის მეორე
დარგიც — მესაქონლეობა, რომელიც გავრცე-
ლებული და საკმაოდ განვითარებული იყო სა-
ქართველოში. მეცხოველეობის პროდუქციიდან
მოსხენიებულია საკვები — ხორცეულის პი-
რუტყვი, და განსაკუთრებით მუშა-პირუტყვი,
სატრანსპორტო პირუტყვი. ტრანსპორტი რო-
გორც ცნობილია, წარმოადგენს წარმოების ვი-
გრძელუბას. ასეთ პირუტყვად მოხსენიებულია
ცხენი, ხარი, აქლემი, ვირი, ჯორი, აზავერი.

ზემოთ მოხსენიებულ ნაღიმებს ამშვენებდა
სხვადასხვა სახის ხორცეული:

დაიწყეს მოერთმა პურისა ლაშქართა მის
მესავრისა,

ზროხა და ცხვარი დაკლული არის

უმრავლესი მხავისისა (სტროფ. 1536).

ამილახორო, მოახსი რემა, ჯოგი და ცხენია.
(სტროფ. 54).

ათასი ცხენი ტაიქი, სიდიდით მსგავსი
ქედისა (სტროფ. 1544).

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით ბოვენს
მეტეო,

სამი ათასა აჭიდეს... (სტროფ. 1412).

ჯორ-აქლემი ათერ-ასი, — ყველაკი
წვივ-მაგრობდა (სტროფ. 455).

დაიწყეს მოხმა ცხენისა,... შესხდა
სიმრავლე მოყმისა... (სტროფ. 1494).

ვერ მოვეყავ აქლემითა, აზვარები ვაზავარი.
(სტროფ. 1096).

თვარა ლამითვე ტვირთები შენი წიად
ვირითა (სტროფ. 1096).

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული საზოგადოებ-
რივი სიმდიდრის უდიდეს ნაწილს საქონლური
ნასიათი აქვს. ამას ეკუთვნის ხელოსნური
წარმოების პროდუქცია და, საერთოდ, ქალაქ-
ური მეურნეობის პროდუქცია, სამშენებლო მა-

შასილ ჩანაღამი

მართლში გემონიკიპური აზრი „ვეფხის-
ტანაოსანში“

სალა და მშენებლობა, უცხოეთიდან შემოზიდული და უცხოეთში გასახიდი საქონელი. ამავ კატეგორიას ეკუთვნის ფული, ძვირფასი ლითონები ზოდებისა და სამკაულების სახით და ძვირფასი ქევიბი.

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ იმ ხანად „არ მოიპოვებოდა ისეთი სავანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა, რომელიც სოფლდაც კი არ გაყიდულიყოს“¹.

საქონლური ხასიათი აქვს აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარკვეულ ნაწილსაც. სურსათ-სანოვავე ქალაქად იყიდებოდა „ვეფხისტყაოსანში“ წერია: „სასმელ-საკმელი მოიღეს, ქალაქს ნასყიდი ღრამითა“ (სტროფ. 1205).

აღებშიცემობის სავანს წარმოადგენდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის იარაღები — სახისი და სხვ., ყანა, ვენახი, მიწები ნაჭრობლე და სოფლები მთლიანად.

იყიდებოდა აგრეთვე სატრანსპორტო

პირუტყვი:

მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, აჩ უძღვანა (სტროფ. 1360).

იყიდებოდა მუშაძალაც:

მოახსენეს კაცი შიდავნი, დამიზღებულნი ღრამითა (სტროფ. 1050).

ე. ი. დაქირავებულნი ფულით; დაქირავებული მუშები გამოიყენებოდა იმხანად აგრეთვე მშენებლობაში. ბროსეს დამოწმებით ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია მუშაკნიც².

საქ. სსრ მეცნ. აკად. ნამღვილი წვერი შ. ნუტუბიძე წერს: „რანდული სიყვარულიდან ეპურულ სიყვარულზე გადასვლის საკითხი დადგა, რაც შინაგანი აუცილებლობით თანაყვავეოდალურ-არისტოკრატიული ვითარებიდან სავაჭრო კაპიტალის ვითარებაში გადასვლის ამბავს“. პროფ. შ. ნუტუბიძე საკვებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ „აკად. ნ. მარი, შიშმარიოვი და მათი თანამოაზრე ე. ი. ვირმენსკი უღვაღოდ შეცდნენ, როცა „ვეფხისტყაოსანში“ რანდული სიყვარული გამოაცხადეს საკანონმდებლოდ. ეს რომ ასე მომხდარიყო, „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაიწერებოდა. რანდული სიყვარულის ბედი ეპურულმა სიყვარულმა გადაწყვიტა“³.

ამას ჩვენ უნდა დავძინოთ, რომ „ვეფხისტყაოსანის“ კომპოზიციურ-სიტუეტურ განვი-

თარებაში „რანდული სიყვარული“ ეპურულ სიყვარულზე გადასვლის საკითხს დადგამა დეკ“ შ. რუსთაველი სცნობს სიყვარულითა და სიყვარულითა პრაგრესულ როლს ფეფხისტყაოსანში. რუსთაველი იმთავითვე აღიარებს საქონლური მეურნეობის, ვაჭრობის ფართო გავრცელებას და ამ ყოფიერების ასახვას რანდულაზროვნებაშიაც, რასაც ადასტურებს ავთანდილის შემდეგი სიტყვები:

მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად (სტროფ. 160).

აქ მეტად საყურადღებოა ის ვარემოება, რომ მარგალიტში ნაგულისხმებია თინათინის სიყვარული, თინათინის დავალებით ავთანდილი მიღია ტარიელის საძებნელად. შერმადინს ავთანდილს თხოვს, რომ ისიც თან წაიყვანოს, რაზედაც ავთანდილი უპასუხებს, რომ მიჯნურმა დავალება მარტო უნდა შეასრულოს, მან უნდა დაიმსახუროს თინათინის სიყვარული. ეს მისი მტკიცე გადაწყვეტილება რომ საცილობელი არ იყოს, იგი ცდილობს შერმადინს წარმოუდგინოს დამაჯერებელი და თან ადვილად გასაგები საბუთი. აი მაშინ ეუბნება ავთანდილი, რომ მარგალიტს ვერვინ მიიღებს „უსასყიდლოდ“, „უვაჭრელად“-ო. აქ რუსთაველს ორი ეკონომიკური ტერმინი აქვს ერთად გამოყენებული. არ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველმა ტერმინები „უსასყიდლოდ“ და „უვაჭრელად“ იხმარა სინონიმური მნიშვნელობით, ან ლექსის სიძვირისათვის. თუ როგორ ესმის რუსთაველს სპეციალური განსხვავებულობა ამ ეკონომიკური ტერმინებისა და, საერთოდ, სავაჭრო კაპიტალის როლი, ამის შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვქმნება თავის ადგილზე — იქ, სადაც ვაჭრულია რუსთაველის შეხედულება ღირებულების კატეგორიაზე. ამჟამად ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ისეთ მაღალ სავაზზე მსჯელობის დროსაც კი, როგორც არის მიჯნურობა, მიჯნურისათვის საგმირო საქმის ჩვენება, ისეთი მაღალი რანგის რანდის მიერაც კი, როგორც ავთანდილია, დასაბუთება მოტანილია ვაჭრობის სფეროდან. იმის დასასაბუთებლად, რომ მიჯნური ვალდებულია დამისახუროს სიყვარული, რუსთაველს შეეძლო მაგალითი და ანალოგია მოეტანა მრავალი სფეროდან, მაგრამ ჩანს, საქონლურ-ფულად მეურნეობა იმდენად გავრცელებული იყო, რომ მან ამისათვის სწორედ ვაჭრობის სფერო გამოიყენა.

ამასვე ადასტურებს მეორე მაგალითი; როდესაც ავთანდილი ფრიდონთან მივა და ტარიელის სახელს უხსენებს, მათ ერთმანეთს ძალიან მოეწონებათ, უცხოობით ერთმანეთს არ მოერიდებიან და ერთმანეთს გადაეხვევიან. შ. რუსთაველს ამ მაღალი გრანობის, მეგობრული გრანობის გამოსახატავდაც გამოყენებული აქვს ეკონომიკური კატეგორიები: „ბაზარი“, „ვაჭრობა“, „ყიდვა“. რუსთაველი ამბობს:

რა მკერეტელთა იგი ნახონ, მზე მათანა
გააფლიდონ,
მომკალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა
ანუ ყიღონ (სტროფ. 976).

საკითხს ამავე მიმართულებით ეხმარება
შემდეგი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“, სადაც
ნაჩვენებია, რომ ტარიელის საქმენლად წა-
სულმა ავთანდილმა თან წაიღო ოქრო.

წელთა ოქრო შემოირტყა, საღარიბოდ შეე-
კაზმა (სტროფ. 168). მან ცოცხალი შრომა არ
გამოიყენა, შერმადინი არ წაიყენა, მაგრამ
წარსული შრომა განიეთებული, ოქროში კრის-
ტალიზებული კი თან წაიღო. რუსთაველს ნაჩ-
ვენები აქვს ოქროს, როგორც მსოფლიო ფუ-
ლის ფუნქციაში გასვლა. ავთანდილს უნდა
ემოგზაურა სხვადასხვა ქვეყნებში, ის ამისა-
თვის პურსა და ფეტვს ვერ წაიღებდა, მას
უნდა წაეღო სიმდიდრე საყოველთაო ფორ-
მით — ოქროს სახით.

ასევე, ნესტან-დარეჯანის საქმენლად გამ-
გზავრებულ ავთანდილს ფრიდონმა გაატანა:

სამოცი ლიტრა წითელი აწონით,
არ-ნაკულულითა (სტროფ. 1007).

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული სიმდიდრე
ძირითადად შედგება ორი ნაწილისაგან: უძ-
რავი სიმდიდრისაგან — ადგილმამულებისაგან
და მოძრავი სიმდიდრისაგან — ფულადი თან-
ხებისა და ვაჭრული კაპიტალისაგან.

პირველი ლაპარაკობს ეროვნულ ენაზე, მეო-
რე კი — ყველა ენაზე.

ეს ქალაქური სიმდიდრე მრავალგზის არის
ნაჩვენები „ვეფხისტყაოსანში“, მაგალი-
თად, — მდიდარი ქალაქები ფრიდონისა და
მისი ბიძების სამეფოში:

მივედიო, ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და
მდიდარი (სტროფ. 604).

რომელთა შესახებ განცვიფრებული ტარიელი
ამბობს:

მომკალ, თუ ლარი დალიოთ ან აკიდებით
ან ტენით (სტროფ. 610).

ამასვე ლაპარაკობს დიდი სიმდიდრე ვაჭართა
ქარაუნისა, რომელსაც ავთანდილი დაეხმარა,
ან სიმდიდრე, რომელიც მეკობრეებს ჰქონ-
დათ მიტაცებული.

საკმაოდ განვითარებულია ვაჭრული კაპი-
ტალი XII-XIII საუკ. საქართველოში. მე-
ფეები გრძობენ, რომ სახელმწიფოს ინტერე-
სები ვერ შემოიფარგლება მხოლოდ უძრავ
საკუთრებასა და უძრავ სიმდიდრეზე დამყარე-
ბით. თანდათანობით აუცილებელი ხდებოდა,
რომ სახელმწიფო მოძრავ ქონებასაც და-
ბატონებოდა. ამ მიზნით მეფეებს უკავშირ-
დებიან ვაჭართა კლასს. მეორე მხრივ, თვით

ვაჭართა კლასის ინტერესები მოითხოვდა
სახელმწიფოებრივ დაცვას. ფეოდალური და-
ქუცმაცებულობის საწინააღმდეგო კომპრო-
ლისტური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის
გაძლიერებისათვის ხელშეწყობას.

ვაჭრობასა და, განსაკუთრებით, სავაჭრო
ვაჭრობაში ერთ-ერთ მეტად ხელშემშლელ გა-
რემოებას წარმოადგენდა იმ დროისათვის ფარ-
თოდ გავრცელებული მეკობრეობა, რაც განსა-
კუთრებულად ახასიათებს საერთოდ ვაჭრული
კაპიტალის ეპოქას.

როშაქ ბრძანა:...

მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა
ავივებები (სტროფ. 1211).

გვიტობრა მისთა ხელისათა: „წავალ, თანა

წამოშევიო!“

წავგიტანა მონა ასი, ყველაკაი მისგან

ჩჩევიო.

დღისით, მზისით ვმეკობრობდიო, ღამეთაცა

ვიყვნით თვეით;

ღია ვღეწეთ ქარავანი, ლარი ჩვენეც

გარდმოვდევიო. (სტროფ. 1212).

შუა საუკუნეებში ზედმეტი პროდუქტის
მთავარი მფლობელი არის ფეოდალური მება-
ტონე და სახელმწიფო; მათი სიმდიდრე სა-
მომხმარებლო სიმდიდრეა, რამდენადაც მახეს
უგებს ვაჭარი, რასაც თავის დროზე სწორად
შენიშნავდა ა. სმიტი. მარქსის თქმით, სავაჭრო
კაპიტალის გაბატონება ავითარებს ძარცვა-
გლეჯის სისტემას. იგი ყოველთვის „დაკავში-
რებული იყო ძალადურ ძარცვა-გლეჯისთან,
მეკობრეობასთან...“¹ მარტინ ლუთერი წერდა,
რომ „... ვაჭრები ძალიან უჩივიან თავადაზ-
ნაურებს ან ყაჩაღებს იმას, რომ ისინი დიდ
ხიფათში არიან ვაჭრობის დროს, რომ გარდა
ამისა, მათ იჭერენ, სცემენ, გამოსალეხს ადებენ
და ძარცვავენ“².

რუსთაველის ეპოქაში ფართოდ გავრცელებ-
ული იყო მეკობრეობა. ვაჭრული კაპიტალის
ინტერესები მოითხოვდა მეკობრეობის წი-
ნააღმდეგ ბრძოლას. 1179 წელს მამა-შვილის
ვიორგი III და თამარის მეფობის დროს
გამოიცა კანონი მეკობრეობის წინააღმდეგ,
რომელიც ითვალისწინებდა უმაღლეს სასჯელს
მეკობრეობისათვის. ეს კანონი არსებითად
ფეოდალთა კლასის წინააღმდეგ იყო მიმართუ-

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნ. I, 1959, გვ. 419-420. Martin Luther, Von kaufshandlung und wucher (wittenberg), 1524.

მანილ ჩანალაძე

მართულ ეკონომიკურნი აზრნი „მეფხის-
ტყაოსანში“

ლი, რაც გამოხატავდა ვაჭრული კაპიტალის ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას. ვაჭრებს შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი, ძვირფასი საფუფუნო საგნები, რომელთაც ხარბად იძენდნენ მსხვილი მემამულეები და ამგვარად კმაყოფილდებოდა მათი პატივმოყვარეობა. ვაჭრებს გაჰქონდათ სხვადასხვა ნელღეული და ამდენად, მოემსახურებოდნენ მემამულეთა ინტერესებს; მათ გაჰქონდათ სამრეწველო პროდუქცია და ამდენად მოემსახურებოდნენ მოქალაქეთა, ხელოსანთა ინტერესებს. ისინი ეხმარებოდნენ მეფეებს ფინანსურად, განსაკუთრებით სამხედრო უწყების ხაზით, ჭარისათვის საჭირო აღჭურვილობის დამზადებისა თუ შემოზიდვის მხრივ და სხვ.

„ვეფხისტყაოსანში“ ნაჩვენებია ეს კავშირური თეორია ანუ ორ კლასს შორის. ვაჭრები საჭიროებენ მეკობრეთაგან დაცვას, რაინდთა და მეფეთა დახმარებას. ტარიელი და ავთან-

დილი მაღალი რანგის რაინდები, თითქმის მეფეები, ებრძვიან და ანადგურებენ მეკობრეებს, იცავენ ვაჭართა ქარავნებს.

„ვეფხისტყაოსანში“ ნაჩვენებია ვაჭართა დახმარება მეფეებისადმი, რაინდებისადმი. ვაჭართა უხუცესი უსენი ფინანსურად ეხმარება გულანშაროს ხელმწიფეს მელიქ სურხავს; ეხმარება აგრეთვე სარძლოს არჩევაში¹. უსენის ცოლი ფატმანი, რომელიც ქმრის სხვაგან ელონის დროს ეწეოდა ვაჭართა უხუცესობას, ინახავს, მაღავს ნესტან-დარეჯანს, ეხმარება გაპარვაში, ეხმარება ფინანსურადაც, ეხმარება ავთანდილსაც ნესტანის მოძებნასა და გამოსწავლაში.

¹ საფულისხმოა საქართველოს ისტორიიდან ის მოვლენა, რომ დიდ ვაჭარს ზანქან ზორაბაბელს დაეველა თამარისათვის საქმროს მოყვანა.



ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“

ვაიუს ვალერიუს ფლაკუსი სეტინუს ბალბუსის სახით I საუკუნის (ახ. წელთაღრიცხვით) რომაულ ლიტერატურას ჰყავდა ერუდიტებული და ბრწყინვალე ნიჭით დაჭილდობილი პოეტი, რომლის შემოქმედებას მისი სიცოცხლეშივე იცნობდნენ და აფასებდნენ. დასადასტურებლად საკმარისია მოვიტანოთ ანტიკური ხანის უდიდესი კრიტიკოსის, კვინტილიანეს ცნობილი სიტყვები: „ახლანდის ბევრი დავკარგეთ ვალერიუს ფლაკუსის სახით“.

ი. პეტერსი თავის მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ბევრ ცნობილ მეცნიერს და კულტურის ისტორიის მკვლევარს უცდია ვალერიუს ფლაკუსის შემოქმედების შესწავლა. მათ შორის: მარკლანდოს, პენზიუსს, ბურმანუსს, ვაგნერს, ტილოს და სხვა.

მაგრამ მეტად მცირერიცხოვანი მასალა მოგვეპოვება პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და ამიტომაც ვალერიუსის ბიოგრაფიის უმთავრესი ფაქტების დადგენა მხოლოდ ჰიპოთეზების შემწეობით ხერხდება. პოეტის პიროვნების შესახებ ძუნწე, მაგრამ მწაწკნელოვან ცნობებს მისივე პოემა „არგონავტიკა“ გვაწვდის.

განსაკუთრებულ ინტერესს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პოეტის წარმოშობის ანუ სადაურობის საკითხი, რადგან ტრადიციულად რომის მოქალაქე სამ სახელს ატარებდა. ფლაკუსს კი დამატებით გააჩნია კიდევ ორი სახელი — „ბალბუს სეტინუსი“.

ზოგიერთ მკვლევარს (შენკელს, პეტერსს, მოდესტოვს) მიაჩნია, რომ ორი უკანასკნელი სახელი პოეტის უცხოურ წარმოშობაზე მიუთითებს.

მათი აზრით, სიტყვა „სეტინუსი“ („Setinus“) ვალერიუსის სამშობლო ქალაქის სახელწოდებაა. ეს ქალაქი ესპანეთში მდებარეობდა.

მეორენი უარყოფენ ამ აზრს და ვალერიუსს მიიჩნევენ რომის მკვიდრად. მაგალითად, პენზიუსი აცხადებს: „ბალბუს სეტინუსი“ — სახელწოდება არ უნდა მივაკუთვნოთ ვალერიუსს, რადგან სიტყვა „ბალბუსი“-ს შესატყვისი მნიშვნელობას არსად ვხვდებით.

ჩვენი აზრით, ვალერიუს ფლაკუსი წარმოშობით ესპანელი უნდა იყოს. ამას ადასტურებს ქალაქის სახელწოდება „სეტინუსი“; ხოლო, რაც შეეხება სიტყვა „ბალბუსს“, მისი მნიშვნელობის დადგენა ძნელია, რადგან არ მოგვეპოვება სათანადო მასალა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ რომ იგი ან იმ მხარის სახელწოდება უნდა იყოს, სადაც ქალაქი Setia მდებარეობდა, ანდა იმ ტომის სახელი, რომელსაც პოეტი ეკუთვნოდა.

ფლაკუსი რომ მკვიდრი რომელი არის და უცხო ქვეყნიდან ჩამოვიდა რომში, ამაზე ნათლად მეტყველებს ერთი საყურადღებო ფაქტი.

მისი ესპანური წარმოშობა ეჭვს აღარ გამოიწვევს, თუ გავიხსენებთ, რომ პოეტის მოღვაწეობა იმ დროს ემთხვევა, როდესაც იმპერიას მართავდა ვესპასიანე.

ცნობილია, რომ ვესპასიანე წარმოშობით მდებარე იყო და მან მხოლოდ პირადი ღირსებების წყალობით მოიპოვა სახელი და ღირებულება. ამიტომ ბევრი უცნობი, მაგრამ ნიჭიერი პირი დააწინაურდა და ზოგი მათგანი სენატშიც კი შეიყვანა. ციკერონის მსგავსად, ვესპასიანეს სწამდა, რომ

აღმაინს პირადი ღირსებები ამაღლებს და არა დიდგვაროვნება.

ვესპასიანემ ესპანეთის მრავალ თემს მიანიჭა რომის მოქალაქეობრივი უფლებები, ბევრი ღირსეული უცხოელი დაიბაძო.

ფლავუსი სწორედ ამ დროს უნდა დაახლოვებოდა იმპერატორს. იგი ალბათ რომში იმპერატორმა დაიბარა როგორც ქურთუმი და სიბილას წიგნების საიდუმლოებათა ამხნელი.

თუ როგორი სახელი მოიხვეჭა ვალერიუსმა და რა ადგილი დაიჭირა ძველი რომის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში, ამას გვაუწყებს ცნობილი რომელი ეპიგრაფისტი მარციალი ერთ-ერთ თავის ეპიგრამაში, რომელიც მან ვალერიუს ფლავუსს მიუძღვნა.

ამ ეპიგრამაში საუბარია ფლავუსის დამსახურებაზე სახელმწიფოს წინაშე, ნავთლისხმევია პოეტის ყოფნა კუნძულ კვიპროსზე და მისი დაბრუნება რომში პრეტორობის მისიის დამთავრების შემდეგ. მეგრე წიგნის 56 ეპიგრამაში კი მარციალი თანამედროვე პოეზიის დონის დაქვეითებას უჩივის, ხოლო ვალერიუს ფლავუსს საყოველთაოდ აღიარებული ვერგილიუსის გვერდით აყენებს.

ვალერიუს ფლავუსს რომ დიდი თანამდებობა ეჭირა და გავლენა ჰქონდა, ამას გვაუწყებს თვითონ „არგონავტიკის“ შესავალში: „მარქეი, ო ფებოს, თუ სიბილას წიგნებს (ე. ი. საორაკულო წიგნებს) შინ ვიცავ“ (ვ. ფლავუსი, არგონავტიკა, თარგ. პ. ბერიძის, I, 5). ეს ცნობა ცხადყოფს, რომ ფლავუსი მაღალი თანამდებობის პირი იყო და ქვირდეციმვირების კოლეგიის წევრთა რიცხვს ეკუთვნოდა, რადგან მხოლოდ მათ, ნდობით აღჭურვილ ქვირდეციმვირებს შეეძლოთ სიბილას წიგნების საუბრის სახლში შესახვა.

ვალერიუსის გარდაცვალების თარიღი უნდა დავეუკუვშიროთ 90 წელს. «Он умер при Домициане, незадолго до того времени, когда Квинтилиян писал последние книги своего знаменитого сочинения об ораторском образовании, которое окончено около 90 по р. х.» (Модестов, Лекции по истории римской литературы, С-II, 1888).

ვალერიუს ფლავუსი მეტად ორიგინალური, ნიჭიერი პოეტი, მისი შემოქმედება თავის თავად საინტერესოა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, მისი პოემა ქართველ მკვლევარებს სავანებოდ არ შეუსწავლიათ, მეორეც, ფლავუსის „არგონავტიკა“ შეიცავს უამრავ საყურადღებო და ღირსშესანიშნავ ცნობებს ძველი კოლხიისა და კოლხური ტომების შესახებ.

პროფ. აკ. ურუშაძეს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში არგონავტიკის შესახებ მოცემული აქვს ვალერიუსის პოემის საერთო დახასიათება. მკვლევარი სწერს: „ვალერიუს ფლავუსის მიერ მოწოდებული ცნობები კავკასიისა და მისი მოსახლე ტომების შესახებ ძვირფასი წყაროა შვი ზღვისპირეთის ისტორიისათვის“ (აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი, ტფილისი, 1964, 95). საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში მრავალ ერთან ჰქონდა ურთიერთობა და კავშირი. ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი მოღვაწეობა, მისი გმირული წარსული ასახულია ამ ერების მატიანეებსა და მწერლობაში (ი. ჯაჭვავაძე, აი ისტორია, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 11, 1941, 315-391).


ძველ უცხოურ მწერლობაში მოპოვებულ ლიტერატურულ მასალებს საქართველოს ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ბუნებისა და ცხოველთა შესახებ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის ისტორიისათვის და ლიტერატურისათვის. ცნობას ძველი კოლხეთის ერთ-ერთი დიდი მდინარის, ფაზისის (რიონი) შესახებ ვალერიუსის პოემის პირველსავე სიმღერის მეორე სტრიქონში ვხვდებით: „ჯერადე უქმლემბაჲს ღვთის ნაშობ გმირს ზღვათა დამალავგლს“.

მერე ნავს გრძნელს, მოამყვეს ფაზისად მისელს“ (I, 1-2). ამავე თავის შემდეგ მონაკვეთში კვლავ გვხვდება ცნობები ძველი კოლხეთის შესახებ. ამ ცნობებს შეიცავს მეფე პელიასის სიტყვა. მეფე მიმართავს იაზონს, სურს რა ტახტის კანდიდები მემკვიდრე უთვლან მოციულოს და ამისათვის ავალებს მას ოქროს საწმისი მოიპოვოს (I, 40-63).

იმ დროს ალბათ ბერძენებისათვის კოლხეთში გამგზავრება დღევანდელ კოსმოსში გაფრენას უდრიდა, თორემ რით უნდა აიხსნას ეს სიმწელებები და უამრავ ხიფათზე ლაპარაკი, რაც ახსიათებს რომორც მკვლევებს, ასევე ინდივიდუალურ ნაწარმოებებს.

„შენ, რომელსაც ძალაც შეგწევს, სულის სიმტკიცეც, წადი, ჩვენო მშვენიეგავ, მოჰგვარე ელინთა ტაძარს ოქროს საწმისი, ჩასთვალე შენი თავი ღირსეულად ესოდენი სიმწელებების გადასალახავად“. მეფე, რომელიც ასეთი სიტყვებით არწმუნებდა იაზონს, მბრძანებელს უფრო გავდა, ვიდრე მთხოვნელს. იმის შესახებ, რომ სკვითთა ზღვაში კიანჯ კლდეები ეჯახებოდნენ ერთმანეთს და ოქროს საწმისის სდარაჯობდა უზარმაზარი გველშაპი, მრავალრიცხოვან ბორჩხალა ენებს ლასლასით რომ მიმოაქცევდა და რომ მეფის ასული მედეა მიუჯარებელი ადგილებიდან იხმობდა მას ჯადო — მფეროდ, მსხვერპლით აოკებდა მას, ჰკვებავდა თავლით, რომელიც ყვითლდებოდა წინადლის შხამისაგან, — არაფერი უთქვამს“ (I, 56-64).

„არგონავტიკის“ IV თავში ვალერიუსი აგვიწყერს, თუ როგორ თანაუგრძნობდნენ ღმერთები ბერძენ მოგზაურებს გასაჭირის დროს. შემდეგ გვიყვება, როგორ ჩამორჩა პერაკლე გზაში თავ-



ეს თანამებძოლებს უზუნაესი ქალმერთის, პერას სურვილის გამო. აბოლონი კი გვირებს თანაუგრძნობს და ამიტომ შესთხოვს ღმერთთა ღმერთს იუპიტერს აკმაროს გმირს ტანჯვა. ამ დროს უეცრად აბოლონი იგონებს პრომეთეს თავგადასავალს, რომელიც მიჯაჭვულია კავკასიონის კლდეზე და სთხოვს იუპიტერ-ზევს მასაც აკმაროს ტანჯვა: „არის მწვერვალს ქორის საზარდო შესაზარელი, რომელიც ნაღვლიანი მოთქმით იუპიტერის სმენას შეზარავს“ (IV, 68-69).

ვალერიუსი არ ასახელებს პრომეთეს, მაგრამ იღვწალებით მოცული გმირის ვინაობის გამოცნობა ძნელი არ არის. ცნობილია, რომ „ცეცხლის“ (1,67) ღმერთებს პრომეთემ მოსცა „ქორის საზარდო“ (1,68) — სწორედ ის არის.

აკად. ვ. ვ. ლატიშევის თავის ნაშრომში — («Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе», ВДИ, 1949, 2, 346—351), რომელშიც იგი თავს უძრის ცნობებს კავკასიისა და სკიეთეთის შესახებ. ეს ადგილი რატომღაც გამორჩენილია. ვაჭირობთ, საქიროა ვალერიუსის ცნობის გაშიფვრა, რამდენადაც იგი ლაპარაკობს ერთ-ერთ საუკეთესო მითზე, რომელიც კავკასიონთანაა დაკავშირებული და პრომეთეს დასუსტა ენება. ზემოდ დასახელებულ თავში მოცემულია გმირის თავგადასავლის ინტროდუქცია, რაც გმირის განცდათა აღსაწერად ერთგვარ ფონს ქმნის.

დასახელებული თავი განსაკუთრებით მდიდარია ცნობებით ძველი კოლხური მდინარეების შესახებ: ირისი — თანამედროვე იემილ-ორმაკი, თერმოლონი — თერთმე ჩაი, ფაზისი — რიონი).

პარპიებისაგან განთავისუფლებული ფინევსი, ზევის მიერ დასჯილი მისანი, რომელსაც საზიზლარი ფრთოსნები სტაცებდნენ საქმელ-სას-მელს, თავის წინასწარმეტყველებაში ასახელებს ერთ-ერთ უძველეს და სახელგანთქმულ ქართველურ ტომს — ხალიბებს. ხალიბები თურმე მეტად მიძობი სამუშაოს ასრულებდნენ: აღნობდნენ და აწრთობდნენ რქინას. ზღვის მთელ სანაპიროზე, მეფეთა ურიცხვი სამფლობელოებია გაშლილი, უამბობს ფინევსი არგონავტებს და აფრთხილებს იაზონს არ ენდოს მათ სტუმართმოყვარეობას: „ასე წასული, სწრაფ ფაზისის ტალღებს მიაღწევ, ხოლო იქ კპოვებ სკიეთთა ბანაკს, ერიონას ძმის გამო ამდგარს“ (IV, 616-617).

აკად. ვ. ვ. ლატიშევის ეს ადგილი ასე უთარგმნია: «Там уже скифский стан и поднимается братская Эриния», ხოლო სქოლიოებში იმ ერიონას უკავშირებს ფრიქსეს სულს: «Т. е. требующий отмщения дух Фрикса», რაც ორიგინალის შინაარსს არ შეეხებამება. აქ

უნდა თარგმნილიყო არა ძმური ერიონა, არამედ ძმის გამო ამხედრებულ ერიონა (შუარის საძიებლად), ე. ი. ფრიქსეს, სული კი არ მოითხოვს სამავეეროს გადახდას, არამედ მხოლოდ სული. ჯერ კიდევ I სიმღერიდან ვხვდებით, რომ სწორედ ჰელეს სული მოუწოდებს შუარისძიებისაკენ იაზონის ბიძას, პელონას:

„ჰელეც მაქეზებს გზაძოდ ზღვათა საოცრებათა“ (I,50).

ამავე თავში ვხვდებით პონტოს აღწერილობას, როცა არგონავტები შავი ზღვის სანაპიროს მიუახლოვდნენ: „მაშინ ზღვა იგი ჯერ არვისგან ნახულ-პოვნილი, გაოცდა პირველ ნავის ხილვით, პონტოს სიგრევით“ (IV, 711-712).

როგორც ჩანს, არგონავტები პირველნი იყვნენ, ვინც ვალაკურთა ევქსინის პონტი, რადგან „არგონავტების მითი ერთ-ერთი უძველესი თქმულებათაგანია ბერძენთათვის. ის უფრო აღრინდელია, ვიდრე ტრიოს ციკლის გადმოცემები, ხოლო, როგორც ცნობილია, ტრიოს ამბები XII-ზე აქეთ გადმოსატანი არ არის. არგონავტების ლაშქრობის მითის რეალური საფუძველი იყო, ალბათ, სიმღერით განთქმული კოლხი-დაში ბერძენი ტომების მოსვლა ამ სიმიდირის ხელში ჩაგდების მიზნით. დროთა ვითარებაში ეს გადმოცემა საგმირო და სატრფიალო ეპიზოდების დართვით შეიცვალა.“ (თ. ყაუხჩიშვილი, პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1960, 38).

ვალერიუსი დაწერილებით აგვიწერს ევქსინის პონტოს ბუნებრივ პირობებს. იგი აღნიშნავს, რომ არსად არ იხევენ ისე უკან ზღვის ნაპირები, როგორც პონტოსი. მარილის სძლია რა მდინარეთა სიჭარბემ, ასპარჯზე ჩრდილოეთის ქარს, ბორეას მუსუსხავ სუნთქავს დაუთმო. ზამთარში ზღვის ჩრდილოეთი ნაწილი ადვილად იყინება. ცალი გვერდით პონტო ევროპას აკრავს, მეორეთი — აზიას, და ისეა მოხრილი, ვითომც მშვილდი. ზღვას თავზე ნისლი აწევს, ნათელი დღე იშვითია და მზე წყვიდადს მაშინაც ვერ ფანტავს, როცა ვაზაფხულის ბუნიობის ქამი დგება. მხოლოდ კუროს ქამს უბრუნდება იგი თავის ნაპირებსო.

ამ წერილში ჩვენ მიზნად არ დავგვისახავს აკად. ვ. ვ. ლატიშევის მიერ მოწოდებული ცნობების ინტერპრეტაცია სკიეთთისა და კავკასიის შესახებ. ჩვენ მხოლოდ იმ ადგილებს შევეხებით, რომელიც უშუალოდაა ძველ კოლხეთთან დაკავშირებული.

მეხუთე თავში, ვალერიუსი აგვიწერს მდინარე თერმოლონტის მიდამოებში მოსახლე მეომარ ქალთა ტომს, ამძონელებს. პროფ. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს ტომი ახლო ურთიერ-

ცისნანა გიბაურც
ვალერიუს ფლავიუსის „არგონავტიკა“

თბაში უნდა ყოფილიყო ძველ ქართველურ ტომებთან. განსაკუთრებით კი ხალიბებთან, რადგან ტერიტორიულად მათი მეზობლები ყოფილან.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ წინასწარ-მეტყველის, ფინევის სიტყვაში, როდესაც იგი არგონავტებს მომავალი მგზავრობის შესახებ მოუთხრობს, არ ვხვდებით ყველა იმ ადგილისა და ტომის დასახელებას, რომელთაც შეიძლება მოგვარები გადაეყარონ. მხოლოდ მომდევნო, V თავში გვაუწყებს იგი, თუ სად მოუხდათ ყოფნა მამაც გვირებს და ასახელებს ხალიბებს: „და ამე ბისას ღედამიწის დახშულ ქვაბთაგან, ისმის ხალიბთა უძილოთა შრომა სიმძიმო“, V, 141-142). სწორედ ამ დროს გადადის ავტორი უძველეს ქართველ ტომთა ჩამოთვლაზე:

„ზურგს მოიტოვეს ტიბარენთა მწევანე ქაობნი“ (V, 149). (ტიბარენები ხალიბთა მეზობლად მოსახლე ქართველი ტომი ყოფილა). ავტორი აქვე ახსენებს მოსინიეებს: „თქვენც, მოსინიეო, უცხო ნავის ხილვა იოცეთ“ (V, 151); მაკრონებს: „თქვენც მაკრონებო, ბინადარო სახლთა მალათა“ (V, 152) და „მომთაბარე ბიძებებო, ფილირნის მკვიდრო“ (V, 153).

მაკრონები — კოლხური ტომია, რომელიც პელასგთა ბატონობის დროს ევებაზე (მაკრონზე) მოსახლეობდა; იგივე მაკრონები (მეგრელები), სანები (ჭანები), (ა.ე. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონ. თქმულ. თბ. 1964, 528); ბიძებები, ასევე, ძველი კოლხური ტომია, რაც შეეხება ფილირნის მკვიდრთ, ანუ ფილირებს — ეს ტომი მაკრონების მეზობლად ცხოვრობდა ძეფიერიონის (ახლანდ. ზეფერ) მთისწინეთში. (დასახ. შრ. გვ. 541).

იმ დროს, როდესაც არგონავტები კოლხეთში შესასვლელ უკანასკნელ ყურეს მოუახლოვდნენ, საიდანაც მოსჩანდა ის კლდე, რომელზედაც პრომეთე იყო მიჯაჭვული, იქ ამ დროს მოსულა უძლეველი პერაკლე ტანჯული გმარის განსათავისუფლებლად.

„ამ დღემ ალიდი! მოიყვანა ადგილსა ამას,
ტიტანის ბედის შესაცვლელად. ხაზინელი
ძალით
უკვე ყოველ მხრივ არყევს ბორკილს, ძველ
კირხლით ფარულს,
ხელი ჩასჭიდა და კლდის ძირით მოგლიჯა
ჩაქვი
მარცხენა ფეხზე დაყრდნობილმა: შედრკა
კავასი,
და მაღალი მითი წამოსულნი მოსწყდნენ
მორები,
ძირს ჩაენარცხნენ, მდინარეთა აღმა ქნეს
პირი.
იქნა ჭახი რამ თითქოს ეძრას ცის ბურჯნი
ზევისს.

1. ალიდი — პერაკლეს რომაული სახელი.

ან კიდევ ნებტუნს მიწის ფეხენი
შეცავრცობს.
და შეერთა პონტოც. მასთან ურბად იმერტო
არმენთ მეზობლად ტალა ზღვათა მოიქცა
უკან,
და მინიელთა მოაგონდათ კიანთა ხაფრთხე“
(V, 157-168).

მგრამ საიდან მოიფიქრებდნენ არგონავტები, რომ ალიდი აქ იყო და რა იცოდნენ, რომ ისინი მოწმენი ვახდებოდნენ მის მიერ ჩადენილი გმირობისა. არგონავტები გაოცებულნი უყურებდნენ უზარმაზარი, მომავლელი არწივის ჩრდილს, რომლის სისწლი წვიმად იღვრებოდა.

შემდეგ (V, 416-428) ფლაკუსი აგვიწერს კოლხების შესანიშნავ, მიღირსულად მორთულ ტაძარს, რომელიც აოცებს მომხდურთ.

„ტაძრის კარების სიდიადე იტაცებს მის (ე. ი. იზონის) თვალს.

აქ კოლხთა ტომის წარმოშობა გამოუხატავთ“ (V, 418-419). ამის შემდეგ ფლაკუსი გადმოგვემს ლეგენდას ეგვიპტის მეფის სესოსტრისის ლაშქრობის შესახებ. ეგვიპტის მეფე ვეტთა ტომებს ებრძოდა და მტერს რომ ხელოდან დასხლტომოდა, ხალხს ვახიზნა: ნაწილი თებეში გადაასახლა, ნაწილი კი ფაისში. ამ უკანასკნელებს კოლხები შეარქვა. მსგავსად, აპოლონიოს როდოსელისა ვალერიუსი იმეორებს პეროლოტეს შეხვედრებას კოლხების ეგვიპტელთაგან წარმოშობის შესახებ.

რაც შეეხება დიდ ბერძენ ისტორიკოსს, პეროლოტეს, როცა იგი თავისი „ისტორიის“ მეორე წიგნში გვიყვება მითს ძველი ეგვიპტის მეფის, სესოსტრისის შესახებ, წერს: „ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან, ამას მე თვით მიგხვდი უწინ. ვიდრე მოვისმენდი სხვათაგან და ისე ვიტყვი და რადგანაც ეს მე ფიქრებში მქონდა, შევეცოხთე ორივეს. კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათ მიაჩნიათ, რომ კოლხები არიან სესოსტროსის ლაშქრიდან“ (გ. მელიქიშვილი, ამ. ქართველთა, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხოსათვის, თბ. 1965, 8).

შემდგომ, პოეტი (V, 456-464) აგვიწერს კოლხეთის მეფის ოჯახს. „მზის შვილი (ე. ი. აეტ-მეფე) შედის მშობილ მამის დიდ დადრბაშში, მცირეწლოვანი გვერდით უღვას აფსიონტ — ვაჟი, პაპის იმედი, მართლაც დიხსი უკეთეს ხვედრის“. (V, 457-459).

ბრწყინვალე დადრბაშში სხვა დიდებულთა შორის არიან აგრეთვე მეღვას სათხოველად მოსული სპაშიო ალბანეთიდან სტირუსი, რომლის ქორწინება ხანგრძლივმა ომმა დააბრკოლა, ფრიქეს ვაჟები: ფრონტოსა, არგოსი, მელასი და კიტისორი.

VI თავში მოთხრობილია თუ როგორ შევლიან იაზონი და მისი თანამგზავნი ბერძნები კოლხეთის მეფე აგეს მის წინააღმდეგ ამხედრებულ პერსესთან (აგესის მასთან) ბრძოლაში. ვალერიუსი აქ (VI, 101) ასახელებს მდინარე ალაზანს, რომლის ხსენებასაც უკავშირებს მდინარე დუნაის ერთ-ერთ შენაკადს, ნოვოს ნაპირზე მცხოვრებ უცხო ტომს, ბატერნებს. ისინი, ფლავიუსის სიტყვით, პირველად მოსულან საქართველოში და ალაზანი ჯერ არ გაუფლავიოთ.

ალაზნის ხსენება ამ შემთხვევაში მრავალი ასოციაციების მომგვრელია. შესაძლოა, ავტორს იმის თქმა უნდა, რომ ვისაც უღამაზესი ალაზნის ველი არ უნახავს, საქართველოს ჯერ არ იცნობსო. ალაზნამდე კოლხეთში მყოფთ ჯერ არ მოუღწევიათ, რითაც ავტორს იმის თქმა უნდა, რომ დიდია საქართველოს საზღვრებიო.

შესაძლოა მაშინდელი ეას სახელმწიფო, ანუ კოლხიდა ისევე აერთიანებდა მთელ საქართველოს, როგორც VIII საუკუნეში ფეხაზეთის სამეფო.

აქმა, მართალია, აღუთქვა იაზონს მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ოქროს საწმისით დაჯილდოვება, მაგრამ შემდეგში პირობა დაარღვია და სხვა მოთხოვნები წაუთავსა.

VII თავის დასაწყისში პოეტი გვიყვება, თუ როგორ განიცდის მედეა უცხოელი გმირის მდგომარეობას, რომელიც თავდავწყევით შეუყვარდა. აქ-მეფე უბრალოებს ბერძენ გმირს დაუღვლოს ცეცხლის მტრქვეველი ხარები, მოხნას ომის ღმერთის, არესის ველი, დათესოს მონხელში დრაკონის კბილები და გამარჯვება მოიპოვოს კბილებიდან ამოსულ გოლიაფებზე (VII, 35-77). მედეა ეხმარება იაზონს დავალების შესრულებაში: „როდი მოაკლო საზრუნავი ჰემონელ ქაბუკს, მისი გულსითვის გაეხარა ჰქვეყნად სიცოცხლით, ან მომკვდარიყო მისი ნების სრულსაყოფელად“ (VII, 351-352). მედეა არ ემაყოფილება ძველი შეროცებით და სთხოვს აგესს დას, ჰეკატეს ასწავლოს მას ახალი ლოცვები, რაც მას ძალას შეჰმატებს. ის არ ემაყოფილება მისთვის ცნობილი სამკურნალო ბალახებითაც, ამიტომ შემოიკალთავს კაბას, მიაშურებს კავკასიონს და პრომეთეს სისხლის ძარღვიდან ამოსულ ყვავილს პოელობს, რომელსაც ჰყვებავეს ქარი და ზრდის წმინდა სისხლი თოვლსა და სუსსში. პრომეთეს ღვიძლით გამძლარი ძერა ყვავილს ნისკარტიდან რწყავს. ეს ყვავილი **მარად მწვანეა** და არასოდოს არ ჰქნება, მას უღვავ კი ვერაფერს აკლებს. მრავალ ტანჯავთა გარდა, ვალერიუსს პრომეთესათვის კიდევ ერთი ტანჯვა მოუმატებია. სამკურნალო ყვავილის ძებნით გატაცებულ არი კოლხელი ქალი, ე. ი. მედეა, ყურადღებას არ აქცევს პრომეთეს ტანჯვას, რომელიც მუდარით უყურებს ქალს სახეში და ყველა კუნთს სქიმავს ტკივილისაგან (VII, 249-370). საყუ-

რადღებოა პოეტის მიერ აღწერილი მწვანე ყვავილი *immortale virens* მარად მწვანე მწვანეს, წელითა სრბოლა ვერც კნობს“ (VII, 361). *Immortale virens* უკვდავს, მარადიულად მწვანეს. მარად მწვანე ყვავილი რომ უძირფასეს მცენარეს წარმოადგენს, ამაზე მეტყველებს ვალერიუსის მიერ მისი ძვირფას სამკურნალო ყვავილად დასახელება.

ფლავიუსი მარად მწვანე ყვავილს, რომელსაც სამკურნალო თვისებები აქვს, აგვიწერს მასინ, როცა კავკასიას ეხება. ამ ყვავილს ხომ თვითონ გრძნეული მედეა უკლის, იგი ატარებს „მწვანე ყვავილას“ სახელწოდებას, რადგან მარად უქნობია.

ცნობილია, რომ საქართველოში ბევრ ადგილას ხარობს მწვანე ყვავილი, ხარობს ქუთაისშიაც, უფრო მეტიც: ქუთაისის ერთი უბნისაკენის „მწვანეყვავილა“ უწოდებიათ.

შესაძლოა, ამჟამად „მწვანეყვავილა“-ს სახელწოდებით ცნობილ უბანში ოდესღაც გაშენებული იყო ჰეკატეს ბაღი, რომელშიც იზრდებოდა ეს ძვირფასი ყვავილი.

მედეა ეხმარება იაზონს მეფის დეალებთან შესრულებაში. თავის გრძნეულობით უქმნის ყოველგვარ პირობებს ოქროს საწმისის მოსატაცებლად და ამის შემდეგ გარბის მასთან ერთად შორეულ ელდაში.

VIII თავში პოეტი აგვიწერს მედეას ვანცდას. მეფის ასულს არ სჯერა, რომ მოძავალი მას ბედნიერებას მოუტანს; სწორედ აქ წყდება პოემა.

ე. ვ. ლატიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვალერიუსის მიერ მოტანილ ცნობებს და წერს: «Историк древнего Причерноморья не может пройти мимо уникальных сведений, сообщаемых Валерием Флакком».

ვალერიუსის თეორიული არსენალი იქვეებოდა წინამორბედი დიდი ბერძნული კულტურით: როდოსელის, ვერგილიუსის, ჰომეროსის და სხვა სახელმწიფოეპიკო პოეტების შემოქმედებით. თავის მხრივ, მას დიდი გავლენა ჰქონია შემდეგდროინდელ ეპიკოს პოეტებზე.

შესაძლოა, ვალერიუსს „არგონავტიკის“ გარდა სხვა ნაწარმოებებიც ჰქონდა მანამდე დაწერილი. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენამდე მხოლოდ მისმა ერთმა პოემამ მოაღწია, ისიც არასრული სახით; მაგრამ პოეტის შესაძლებლობებსა და ნიჭზე ეს ერთი ნაწარმოებიც ბევრს მეტყველებს.

I თავის 11-12 სტრიქონებში პოეტი გვაწვდის ცნობას, საიდანაც ჩანს, რომ პოემის წერა მან დაიწყო მას შემდეგ, რაც ვესპასიანეს უფროსმა ვაჟიშვილმა ტიტუსმა, რომლის მამამ აჩანებულ ოუღვევლების წინააღმდეგ

ცისანა გიგაშრი

ვალერიუს ფლავიუსის „არგონავტიკა“

წარგზავნა, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. საფიქრებელია ისიც, რომ ტიტუსის ლაშქრობის წინასწარმეტყველური რიტუალი თვით ვალერიუსმა შეასრულა და ქურუმის სიტყვამ ბედნიერება მოუტანა რომაელებს. სიხარულის გრძნობით აღსავსე პოეტი თავს ვალდებულად სთვლის მიუძღვნას ტიტუსს პოემა, რომელშია-აც ასახავს საგმირო საქმეებს, გმირთა თავგადასავლებს და მოპოვებულ გამარჯვებებს:

„წმინდაო მამავ, ქებად ღირს მყავ ვეყვითა იღვწოს, შენმა მემკვიდრემ დასცა იღუმენ და წარსთქვა ლექსი იერუსალიმის კედელთ ლეწვით ძამიან შმაგქმნილმან“.

უდავია, რომ პოემა დაწერილია იერუსალიმის აღების შემდეგ. ე. ი. 70 წლის შემდეგ, რადგან ეს გამარჯვება რომაელებმა სწორედ ამ წელს მოიპოვეს.

„არგონავტების მითის საფუძველზე პოეტმა დავისურათა რომის მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება, მისი ცალკეული მხარეები და მიზნად დაისახა რომის სახელმწიფოს განდიდება“ (ა. ყ. ურუშაძე, დასახ. შრ. გვ. 93).

აქვე მინდა დავსძინო, რომ ვალერიუსის პოემა ცოტა არ იყოს ძნელად წასაკითხი ნაწარმოებია. იგი მკითხველისაგან მოითხოვს აქტიურობას, განათლებას და მოვლენათა ერთმანეთთან დაკავშირების უნარს. ამიტომ ზოგიერთი სკეპტიკურად განწყობილი მეცნიერი ღრმად არ სწვდება ამ ღირსშესანიშნავ პოემის მხატვრულ ღირსებებს და უარყოფით შეფასებას აძლევს მას.

ეპოქა — ეპოქას სცვლის: იცვლება ხანა, იცვლება საზოგადოების გემოვნება. ის, რაც წინათ აღფრთოვანებდასა და ოვაიებს იწვევდა, დღეს შესაძლოა მოქველდებულადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ მსოფლიო სავანტურში შესული ლიტერატურული ძეგლები მუდამ უკვდავია ყველა დროისათვის. განა შეიძლება მოიძებნოს აღმანი, რომელიც დაიწუნებს ფირდიოუსს და რუსთაველს, გოეთეს ან დანტეს, შექსპირს ან სხვა მსოფლიოს მანათობელ ვარსკვლავს იმისათვის, რომ მათ ნაწარმოებებში ბუნდოვანი ადგილები გვხვდებოდა.

ბუნდოვანება სრულიად არ ნიშნავს, რომ ნაწარმოებები ცუდია. ამის გამო ჯერ არავის დაუგმია მსოფლიო ლიტერატურის შედეგებში.

ვალერიუს ფლავუსი საინტერესოა არა მარტო როგორც ერთდღივად პიროვნება და ჩვენი მჭევრის შესახებ ცნობების მომწოდებელი მწერალი, არამედ როგორც ორიგინალური შემოქმედი და თავისი დროის ნიჭიერი პოეტი.

მეტად საინტერესოა „არგონავტიკის“ არქიტექტონიკის საკითხი, რასაც ნაკლებად ეხებოდნენ მისი მკვლევარები.

საკიროა აღინიშნოს, რომ ფლავუსთან ჩვენ ვხვდებით ცნობილი მითის მეტად თავისებურ დამუშავებას, სადაც უინაარსობრივი განსხვავების გარდა, ყურადღებას იქცევს მთავარი

მოქმედი პირობის, განსაკუთრებით კი, იახონის სრულიად ახლად დახასიათება.

ფლავუსთან იახონი მამაცი მეომარია, პატროსანი, ღირსეული, — ჭეშმარიტად რომელიმე რაინდი. იგი აღჭურვილია უამრავი დაღმართი თვისებებით. ერთი სიტყვით, ბერძენთა წინაპრული ვალერიუსის იდეალური გმირია. აი რას ვკითხულობთ რომის ლიტერატურის ერთ-ერთ გამოცემაში: «Вместо лживого, робкого и коварного Язона, соблазителя, убийцы мальчика Апсирта и неверного мужа, беспомощного и постоянно падающего духом Валерий Флакк изображает очень храброго и надменного витязя, ценящего выше всего славу и честь, сознательно идущего на любую рискованное предприятие, т. е. подлинного римлянина в его лучших и худших чертах».

როგორც ა. ყ. ურუშაძე წერს, ვალერიუსმა „გავრცელებულსა და მრავალგზის დამუშავებულ სიუჟეტს ახალი სული შთაბერა“.

ფლავუსის პოემა ორი ნაწილისაგან შედგება. ჯერ იგი მოვეთხრობს ხომალდ „არგონავტის“ თავგადასავალს, სანამ კოლხეთის სანაპიროს მიადგებოდეს, შემდეგ კოლხეთში მომხდარ ამბებს და კოლხების მიერ გაქცეული არგონავტების დევნას. პოემა წყდება მეტად საინტერესო ადგილზე: სწორედ მაშინ, როცა მოსალოდნელია ბრძოლის დაწყება ბერძენებსა და კოლხებს შორის. თუ ნაწარმოებს დასრულებულად წარმოვიდგინებთ, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ პოემა ჩვენამდე მოღწეულ შეიდ ნახევარი თავის გარდა, შეიცავდა კიდევ 3-4 თავს: ბერძენების დაბრუნებას ირლკში; იახონისა და მედეას ოჯახურ ცხოვრებას, მათ დაშორებას და ა. შ.

საფიქრებელია, რომ ვალერიუსმა გამოიყენა მითის ის ვერსია, რომელსაც პეროდოტე გვწვდის: „აეტმა საბერძნეთში გაგზავნა მოციქული, მოითხოვდა დაქაყოფილება ქალის მოტაცებისათვის და მისი დაბრუნება. ბერძენმა შემოუთვალეს: რადგან კოლხებმაც არ დაგვამაყოფილეს, ვერც ჩვენ დაგვამაყოფილებთ მედეას მოტაცებისათვისო. ამ ამბავმა კოლხეთში არეულობა გამოიწვია“ (თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. შრ. გვ. 24).

თავი, რომელშიაც აღწერილი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი ბრძოლა ბერძენებსა და კოლხებს შორის, პოემის აპოგეა იქნებოდა, რადგან სწორედ აქ დაგვანახებდა ვალერიუსი ბერძენთა მამაცი, უძლეველი ბელადის ორგანიზატორულ ნიჭს; ამ თავში მოჰყვნდა შარავნადედს იახონს, მისი სახით წარმოვეიდგინდა ტიტუსის შესანიშნავ თვისებებს. სწორედ ასეთი თვისებებით უნდა ყოფილიყო შემქმელი ტიტუსი, მომავალი იმპერატორი, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა იერუსალიმისათვის ბრძოლაში.

მცდარია თუბა, თითქოს ვალერიუს ფლაკუსი მთლიანად აპოლონიუსისაგან და სხვა ბერძენ-რომაელ შემოქმედთაგან იყო დავალებული.

პოემის საერთო კომპოზიციური ჩანაფიქრი თითქოს უახლოვდება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“-ს. აპოლონიოსთან ამავე სქემას ვხვდებით, მაგრამ სხვაგვარად არც შეიძლება მოხდარიყო, რადგან არგონავტთა თქმულებს დამმუშავებელს არ შეეძლო გვერდი აეარა პოემის სიუჟეტური ქარგისათვის. ასე რომ ფლაკუსის პოემის მსვლელობა თვით სიუჟეტური მონაცემებითაა ნაყარნახევი. მაგრამ თვით ამბების თანამიმდევრობას რომ ვანებოთ თავი, ფლაკუსს საკუთარი შემოქმედებითი ფანტაზიისათვის საკმაოდ დიდი გასაქანი მიეძეოა.

ვალერიუსი შესანიშნავად იცნობდა ძველ ეპიკოს მწერლებს, განსაკუთრებით კი ჰომეროსს, რომლისაგანაც დავალებულია ყველა ეპიკოსი პოეტი. ამას „არგონავტიკის“ მრავალი ადგილი ადასტურებს, მაგრამ ვალერიუსი ორიგინალური ნიჭის პოეტი იყო, რომელსაც საკუთარი სტილი და ენა ჰქონდა. სიუჟეტის მსგავსების მხრივ ვალერიუს ფლაკუსი ახლოს დგას როდოსელთან. ეს ორი ეპიკოსი პოეტი ერთდამხვე თემას შეეხო, მაგრამ ორივე ერთად და თითოეული ცალკევე შესანიშნავი პოეტები და თავის დროის სახელოვანი შეილები არიან.

როგორც როდოსელს, ასევე განსაკუთრებით, ვერგილიუსს მოეპოვებათ ვერბიიდესეული ფსიქოლოგიზმით გატაცების დამადასტურებელი პასაჟები, რაც ფლაკუსთან საერთოდ გამოიციხულია. მართალია მის პოემაშიც გვხვდება პათეტიკური ადგილები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს პათეტიკა ეპიკურ სტილშია. ეპიკური სიდიადითაა გადაწყვეტილი; გრძნობა-განწყობილების დეტალურ აღწერას, ვერბიიდესეულ ფსიქოლოგიზმს, არსად არ ვხვდებით.

ვალერიუსის პოემაში გმირთა მოქმედების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა შიშის გრძნობაა. სწორედ შიშმა აიძულა პელიასი გაეგზავნა ეზონიდე სახიფათო საქმეთა მოსამოქმედებლად. ეს არ იყო ჩვეულებრივი სამხედრო ოპერაცია, რომლის მსგავსი ხშირად ხდება ცხოვრებაში. ეს იყო საშიში, გამოუცნობი გზა, საესე ხიფათითა და მოულოდნელი დაბრკოლებებით. პოემა იწყება პელიასის მონოლოგით (I, 40-63). ფლაკუსი ამ მონოლოგს იყენებს როგორც სიუჟეტის განვითარების თავისებურ ხერხს. ეს ხერხი საერთოდ დამახასიათებელია ეპიკური ნაწარმოებებისათვის; მონოლოგი დინამიზაციას ანიჭებს ნაწარმოებს.

ფლაკუსი ბევრ რამეს ხსნის შიშის გრძნობით, იყენებს მას ამა თუ იმ გმირის სულიერი სიმტკიცისა და ვაჟკაცობის გამოსავლინებლად. მაგალითად, ჰერაკლე კლავს საზარელ ურჩ-

ხულს და იხსნის მეფე ლომედონტის ასულს სიკვდილისაგან, მაგრამ, სანამ ჰერაკლე ამ საგმირო საქმეს ჩაიდენდა, ფლაკუსი გვიჩვენებს როგორმა შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო მანკი ნავტები, როცა ურჩხული გამოჩნდა.

ჰერაკლესი მშვილდს ამზადებს და ამ დროს ერიქს-დიდი, რომელიც „შეაშფოთა ურჩხულმა მეტად“ ისარს ესერის საშინელ მხეცს, მაგრამ ვერაფერს დააკლებს.

ფლაკუსი დიდი მხატვრული შთაგონებით აღწერს გმირის უმწურო მდგომარეობას: ვაჟკაცს შერცხვა, რომ ხელი მოეცარა, შიშმა აიტანა. იგი უკან იხევს (II, 526-528). შიშისაგან თრთის და სწორედ მაშინ გამოჩნდება სიმამაცისა და ძლიერების განსახიერება, უძლეველი ჰერაკლე, როცა მიახლოვებულ ურჩხული მსხვერპლის გადასაყლაპავად ემზადება და „დააწყვეტავს კლდეს ურჩხულის კისერს ლასლასს“ (II, 533).

შიში იპყრობს არგონავტებს მაშინაც, როცა ბედისწერამ ისინი კიზიკოს — მეფის სამფლობელოში დააბრუნა და გზაბნეულებმა სტუმართმოყვარე მასპინძლები გაწყვიტეს. იმედიანი, მზიარული განწყობილება იცვლება სიკვდილის თარეშის სურათით და მწუხარე განწყობილებით:

მაგრამ ვერცა დღემ, ვერცა ღამემ ზრუნვით
აღსავსემ,

ელინთ თვალთაგან უღვტის რისხვა ვერ
განარიდა.

აფრა ქარს უწოდს, გმირთ მწუხარეთ საღდა
აქვთ რწმენა!

აზრიც, გონებაც ვარამს მწვავეს

გარემოუცავს.

მათ გულს უღონებს ხოცვის, უღვტის
უსაფუძვლობა,

შორს სამშობლოდან ძნელი საქმე წინ
უღვეთ გმირებს,

ნიშნის სიციფე გულსა და სულს დარდით
უმსჭვალავთ.

(III, 362-368)

არგონავტთა თავზე შეყრილ შიშის მიმეღრუბლებს მოფსუს-ქურუმნი გაფანტაჟს. იგი მგზნებარე სიტყვით მოუწოდებს არგონავტებს განაგრძონ გზა, მოიპოვონ ოქროს საწმისი. მოფსუს-ქურუმის სიტყვას ფილოსოფიური ელფერი გადაჰკრავს. კიზიკოსის სიკვდილით გამოწვეული დარდი რომ შეუმსუბუქოს, იგი ეუბნება იაზონს: „შენ ღმერთთა უმადლესთა ცეცხლის ხარ თესლი, შენ უნდა ჰკლა, ხოცო, რკინით დასჭრა ყოველი სულნი ზეციურ თესლთა ცის წიაღში დასაბრუნებლად“. (III, 330-

ცისნაა გიჟაური

ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“

382), ე. ი. ღმერთთა ნების მაუწყებელი მისანი ბუნებაში დაკანონებულ და გარდაუვალ, მუდმივ ცვალებადობაზე მიუთითებს იაზონს: ცალკეულ არსებათა სიკვდილი არას აცნებს სამყაროს მუდმივ მოძრაობას. ბუნება არ დაუშვებს მოსაწყენ ერთფეროვნებას და იმას, რასაც წარმოქმნის და შემდეგ გარდაცვლილი სახით იბრუნებს, რათა კვლავ შექმნას ახალი სახეები და ფორმები. ღმერთთა ნების უნებლიე შემსრულებელი — იაზონი, არ უნდა მიეცეს ვაებას. იგი ვალდებულია ჩამოიხსნას დარღვის მანძილად და სულის მტარველი ფიქრები იმედით შესცვალოს: „ჩვენ უნდა ისევ დაუვბრუნდეთ ზღვას, რადგანაც ბედისწერა თანაბრად დაძრწის ზღვასა და ხმელეთზეო“. (III, 387-388).

შიშის გრძობა ეუფლება არგონავტებს, როგორც კი ფინევსი თავის წინასწარმეტყველებას დაამთვრებს. ქურუმის ბნელით მოხილი სიტყვები, მის მიერ ჩამოთვლა იმ საშიშროებებისა, რომლებიც გმირებს ელის, მოსვენებას დაუქარავს მათ. მაგრამ იაზონი აღზარდა ტროადის ომის გმირის აქილევის გამზრდელმა, ქენტავრმა ქირონმა, რომელმაც მას რაინდული ქცევა ასწავლა და სიძამაცე შეათუნერგა. ძღვეამოსილმა გმირმა იაზონმა იქვე გადაწყვიტა განშორებოდა საშიშ ადგილს, რათა გაეფხტა მეგობრების გულში გამჯდარი შიში: „იაზონმა ძრწოლისაგან ვანსარიდებლად, უმაღვე წასვლა გადაწყვიტა შიშის მოკვებად“. (IV, 626-627).

როგორც კი იაზონი იგრძნობს, რომ კიანეს კლდთა დანახვამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა გმირებზე, გააოგნა და გააშეშა ისინი, ის მათ დასამშვიდებლად იგონებს ბებრიკთა მეფესთან, საშინელ ამიკოსთან შერკინების ამბავს, რომელიც მათ სასტიკად დაამარცხეს. იაზონის სიტყვები იმედის ნაქრწკალივით გაღვივდა გმირების გულში, რაც მალე დიდ კოცონად იქცა და ერთიანად მოედო ყველას. საყვედური შოლტივით აუწყავს გმირებს ზურგს: „რამ შეგაშინათ? ამგვარ გულით მომდევდით განა?“ (IV, 650). გონს მოსული არგონავტები შიშს უქუაგდებენ: „აღმოღებულნი, შერცხვენილნი ნიჩბებს ეძგერნენ“ (IV, 655) და ისე თავგამეტებულად შეებრძოლნენ ზღვის აბოზოქრებულ ტალღებს, რომ თვით ღმერთები გააოცა მათმა ეაკეატურმა შემართებამ.

შიშის გრძობას თვით მზის შვილი, ე. ი. აეტმეფეც კი ვერ გაუტრის, როცა გაიგებს, რომ ბერძნებს ოქროს საწმისის მოტაცება სურთო. იგი ევედრება მამას მფარველობა გაუწიოს განსაცდელის ემას: „შენი მარჯვენა ჩემდა შევლად გადმომიწოდე“, „მაღალ მუხაზე შეინახეთ ოქროს კრავი“. (V, 247-251).

შიში ყველგან თან სდევს მედეას, რომელსაც სურს გადაარჩინოს უცხო მოყმე, ე. ი. იაზონი. შუალამეს, წყვილადმი გაოგნებულ მიილის იაზონთან, რათა აუწყოს, რომ მზადაა დაეხმაროს ვასკიპროს (VII თავი).

შიში გახდა უზრუნველად გაზრდილი მდედურ მუდმივი თანამგზავრი. VIII თავში მოთხრობილია თუ როგორ იტანება იგი ომის გეოპოლიტიკულალატა მამასა და ქვეყანას, და უცნობა მუემეს მიემხრო.

მედესა ემინია ზღვებს ტალღების მქინვარების, არცერთი სხვა ქვეყანა არ ეგულის თავს შესაფერად, მაგრამ საყვარელი ადამიანის გამო მინც მზადაა პირველსავე ნაეში ჩაქდეს. გაქცევის წინ ლოყებს იხოკს, თმებს იშლის, ეხვევა თავის საწოლს, რომელსაც გერ კიდევ აწნა მისი სხეულის კვალი. მედეას გაქცევის სცენა ღრმად ემოციური და დამაბულია. ვალერიუსი დიდი ოსტატობით აღწერს საყვარულის ყოვლისშემძლე ძალას, რომელიც მეფის ასულს ყველას და ყველაფერს ათმოპინებს მიუხედავად იმისა, რომ გაქცევის წინ გული შოშინსაგან ეკუმშება. მედეას უკან დახვევა მინც არ შეუძლია და მწარედ მოსთქვამს:

„პოი მამაო, გაქცეულიო ასულისაო, მომხვედრი, რომ გეხილა ცრემლები ჩემა, შენზე ძვირფასად როდი ვსახვ, ვისაც მივყვები,

საშიშ ტალღებზე, შეუცნობთა, თავზარდამცემთა.“ (VII, 10-13)

ელადაში მიმავალ მედეას სტანჯავს გამოუცნობი მომავალი:

„უნდა შევიტყო, ვშიშობ, ქმარო უერთგულესო, რამე არ მოხდეს, შემობრალე და პირს ნუ შიტებს.“ (VIII, 419-420)

პოეტის ერთ-ერთი ღირსება ისაა, რომ ყოველთვის ლაკონიურობისაკენ ისწრაფვის. ზოგიერთი მკვლევარი ვალერიუსს მრავალსიტყვაობას უსაყვედურებს, მაგრამ ამგვარი აზრი დაუსაბუთებელია, ბერულე დაიკვირება შედეგია.

ცხადია, ამ სტატიაში ჩვენ ვერ მოვიყვანოთ ლაკონიურობის ყველა მაგალითს. ამგვარი მაგალითები „არგონავტიკაში“ უმრავლად, ასევე ვერ მოვიყვანთ ყველა იმ პასაჟს, სადაც პოეტი აგვიწერს გმირების მიერ გადატანილ საშინელებებს, მათ შიშსა და დაბნეულობას. მაგრამ შევეცდებით ორიოდ სიტყვით ამ ბრალდებების გაბათილებას. ცალკეული შონაკვეთების და სტრიქონების მხატვრული ფუნქციის განსაზღვრისას მტკიცდება, რომ ფლავიუსის დიდი ზომიერების გრძობა გააჩნია და სტრულიად არ ტვირთავს ნაწარმოებს რიტორიკულ მსჯელობით. პირიქით, იმისათვის, რომ ამ თუ იმ პასაჟს განსაკუთრებული ელექტი მიანიჭოს, გმირთა გრძობები ღრმად განგვაკდევინოს. იგი ამბებს ისე აღწერს, თითქოს თვითონ იყოს:

სიუჟეტზე ამის მოწმე და ამავე დროს იყენებს თავის, ქურუმების პროფესიისათვის დამახასიათებელ ხერხს: მთავარ სიუჟეტურ ქარავში შექმნის მითოლოგიური ამბები, რითაც აღიდრება ნაწარმოებს და ამელაენებს თავის დიდ ერუდიას.

მაგალითისათვის ავიღოთ შემდეგი სტრიქონები:

„ჭერედ ვუმდეროთ ღვთის ნაშობ გმირს
ზღვათა დამლაზველს,
მერე ნავს ფრძნეულს, მოამაყეს ფაზისად
მისვლის,
ვინც გადალახა სიპირქუშე საზარელ
კლდეთა
და დაემკვიდრა ცეცხლით გზნებულ
ოლიმპის მწვერვალს“.

(I, 1-4)

როგორც ჩანს, პოეტს მთავარი თემა განუვტრია, მაგრამ თანამიმდევრობისთვის არ უღალატა: ჯერ მთავარი მოქმედი პირია ნახსენები, მერე ნავე, რომელმაც ფაზისის ნაპირებამდე მისვლა შესძლო და საოცარი საგმირო საქმეების აღსრულების შემდეგ ცეცხლოვან ოლამპზე იქნა ატანილი. აქ არაა მოხსენიებული „ღვთის ნაშობი“ გმირის სახელი, მაგრამ იგუიულისხმება და ყველამ იცის, რომ ეს გმირი იაზონია. ამგვარი შეპარვითი თქმა ზოგჯერ პირდაპირ თქმზე მეტს ნიშნავს; აქ არც ოქროს კრაველია ნახსენები, მაგრამ ისიც იგულისხმება.

ნაწარმოების შესავალი ფლავიუსისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებითაა აგებული. ქვეტექსტში იგულისხმება როგორც ღმერთთა მიერ ნაშობი იაზონი, ასევე ოქროს საწმისიც.

ლაკონიურობით, სიმეტრიული, მეტისმეტად პარმონიული არქიტექტონიკით, მასალის ზუსტი შერჩევითა და მხატვრული ზემოქმედების ძალით გამოირჩევა ის ადგილი, სადაც იაზონი ევედრება ზევსს არ შეისმინოს ბოროტი მეფის, პელიასის თხოვნა, არ დაღუპოს არგონავტები განსაცდელით აღსავსე გზაზე. იგი ამბობს, რომ ოლიმპიდან ცეცხლის მოტაცებას არ ამბობს:

„არ მიწოდს ღლაღვა მთის მწვერვალთა
დასალახავად,
ოლიმპის თხემით რომ მოვტაცა ზევსს
ნაპერწყალი“

(I, 195-199).

საინტერესოა ამ პასაჟის მომდევნო სცენა. მოფსუ-ქურუმი იწყებს წინასწარმეტყველებას და ხელდას უამრავ დაბრკოლებებს, საფრთხეს: პერაკლეს მგობრის, ჰილასის დაღუპვას, პოლექსის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას, ცეცხ-

ლისმტრეველ ხარებს, მიწიდან ამოსულ მკარბოლებს, საწმისს, ვეულშას, მეღვას.

მოფსუსის წინასწარმეტყველება მკვეთრად დანაწევრებული კომპონენტებისაგან შედგება: მაგრამ ამ კომპონენტებს სულ 16 სტრიქონი უჭირავს. თემატიურად კი მთლიან ლაშქრობას ეხება და შემდეგ საკითხებს შეიცავს: ღმერთთა კრებას, ღმერთებისადმი ვედრებას, გზაში გადამხდარ ათასგვარ საფრთხეს და კოლხეთის ამბებს.

ავიღოთ თუნდაც ყველაზე გრძელი მოთხრობა: ლემნოსელი ქალების ამბავი.

სანამ არგონავტები კუნძულ ლემნოსს მიაღებოდნენ, ფლავიუსი გვიამბობს როგორ შთააგონა ვენუს — ქალღმერთმა ლემნოსელ ქალებს ქმრები ამოუწყვიტათ.

მეტად ლაკონურია გამოთხოვების სცენა, სწორედ ის სცენა, სადაც ბევრი რამ უნდა იყოს ნათქვამი. შეუღარებელია შეყვარებულ ქალების სულიერი ტანჯვის აღწერა, როცა მათ შეატყობინებენ, რომ არგონავტებმა გამზავრება გადაწყვიტეს. ქალების მწუხარებას ვალერიუსი ჰიფსიპილეს სიტყვებით გადმოგვცემს. იგი მიმართავს იაზონს და ცდილობს ისეთი არგუმენტები გამოახსოს, რომელიც აიძულებს საბრძენს არ დატოვონ მარტოხელა ქალები. რაბრალო ჰიფსიპილე მოვაგონებს გმირს, რომ:

„ოუკი ნავსადგურს გაცხდა გემი, უმაღ
ორაკენი,
მოადგებთან ჩვენდა სამტროდ ამ სანაპიროს“

(II, 405-406).

მაგრამ გონიერ დედოფალს ესმის, რომ ყოველგვარი ცდა უაზრობაა და ცრემლმდმორეულა საკუთარი ხელით მოქსოვილ ძვირფას მონასხამს აჩუქებს ოქროს საწმისის მძივებელ გმირს. გამოთხოვების სცენას სულ 6 სტრიქონი უჭირავს.

ამ შემთხვევაში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იაზონის კეთილშობილება. იგი თავისი ბრწყინვალეობით ჰომეროსის ჰექტორს გვაგონებს, რომლისთვისაც სამშობლოს სიყვარული, მეტრზე გამარჯვება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სიყვარული. იაზონი მოვალუობის გრძნობას უფრო მაღლა აყენებს და საყვარელ ქალს, ჰიფსიპილეს ტოვებს.

ვალერიუსი უხვად იყენებს მითურ ამბებს, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ადგილს: ვალერიუსი სიმბოლოურად იყენებს მრავალტანჯული ოსს მითს და ამ მითის ფონზე გვიხატავს არგონავტთა უმწვეო მდგომარეობას, რომელთა ბედი დამოკიდებულია ღმერთთა ნება-სურვილზე.

ცისნანა გიგანური

ვალერიუს ფლავიუსის „არგონავტიკა“

როდესაც გმირები ბოსფორს მიუახლოვდნენ, ერთ-ერთმა სახელოვანმა მომღერალმა, ოაგრემ, დაიწყო სიმღერა და სრუტეს დაუქავემირა იოს თავგადასავალი. მომღერალი ყვება, როგორ ეტრფოდა არგასელი გმირის, ინაქოსის ქალიშვილს, იოს ზევისი და როგორ სასტიკად იყარა ექვიანმა ჰერამ ჭაჭრი: იო მან ჯერ ძროხად გადაქცია, შემდეგ მიუჩინა მრავალთვალეზა გოლიათი — არგუსი, რომელიც მკაცრად დარაჯობდა და საბრალო ქალს თვითმკვლელობის საშუალებასაც კი არ აძლევდა. ვალერიუსი ახსენებს საზარელ კრახანასაც, რომელიც თავს ესხმოდა ტანჯულ ქალს და სისხლს სწოვდა. ბოლოს იომ ნილოსის ნაპირებს მიაღწია, ხოლო ამ ადგილს, სადაც ჰერას მიერ დევნილი ქალი დახეტიალობდა ბოსფორი დაერქვა: „ბოსფორი შეარქვეს ხეტიალის და წყევტის ნიშნად“. (IV, 1419).

ფლავიუსის მაღალმხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს აგრეთვე მხატვრული შედარების სიუხვე. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

I თავში აღწერილია თუ როგორ გადაჭრის იაზონი გემის ბავირს, რათა აუშვას „არგო“. იგი შედარებულია იმ მონადირესთან, რომელმაც ვეფხვის შინ არ ყოფნის დროს, მას ლეკვეცი მოსტაცა. (I, 489-493).

ამ შედარების შინაარსი, ერთი შეხედვით, ძნელად ამოსახსნელი გვეჩვენება, მაგრამ როცა გავიხსენებთ, რომ პელეასის-ძე, აქასტე, იაზონმა მამის სურვილის წინააღმდეგ გაიყოლია თან, ყველაფერი გასაგები ხდება.

იმ მიზნით, რომ იაზონი მხნე ვაჟიკად წარმოვედინავინოს, ჩამოაშოროს მას ადამიანური სისუსტე, ყოველგვარი სიტუაციიდან გამარჯვებული გამოიყვანოს, შეუწარჩუნოს სიამავე, რაინდული ზნეობა, პოეტი მას აღარებს მებრძოლ მერანს:

„ეით მებრძოლ მერანს უქმად ნაყოფს ხანგრძლივ მშვიდობით, და მოკლე წრეში სიარულით გაზარმაყებულს.

აზრი სულ პატრონს მოაგონებს მინც ძველებურს“ (II, 386-388). V თავში პოეტი გვიამბობს, თუ როგორი სიხარული გამოვდა ერგინუსის გულში, როცა მას ნდობა გამოუცხადეს და საქის მართვა ანდეს: ამ სიხარულის გამოსახატავად ვალერიუსის მოქმედს ასეთი შედარება: „როგორც ანაზღად ჯოგისაგან მომწყდარი ხარი, ვახარებელი, ტრფობისაგან ატაცებული, მესაუკუც ასე სიხარულით მოახტა ზღვის ზურგს“ (V, 67-69).

განსაკუთრებით ლამაზ შედარებას იყენებს ვალერიუსი მედეას განწყობილების გამოსახატავად: „უცებ დამფრთხალ მტრედისებრ მოსხლტა ასული და როგორც მდევარი არწივის შიშით ჩრდილში გადახეწილი უფარდება ვილაც

მგზავრს ხელში“ (VIII, 32-34). ასე ჩაუვარდა ხელში იაზონს შიშით შეპყრობილი მედეა.

და ბოლოს, იაზონის გამარჯვებულმა ტავად, ვალერიუსი მას ჰერაკლეს აღარებს რადგან მან უმარავი დაბრკოლება გადალახა და გვიყვება როგორ დაუფლა ფრიქსეს მიერ მრავალი წლის წინად ჩამოტანილ საწმისს არგონავტთა ბელადი:

„ზელი მოავლო განძს და მიზანს ესოდენ ღვაწლის, განძს, ფრიქსეს მიერ მრავალ წელთა წინად მოგვრილსა.

ხემან გრძნეულმან (ე. ი. — რაზედაც ეკიდა საწმისი)

ღმუილის ხმა გაიღო მაშინ, მერე წყვილადში ჩაიქუფრა სრულად გარემო“ (VIII, 117-120).

და შემდეგ იაზონს ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოსილ სასახლეს აღარებს:

„განათდა ველი და იაზონ საწმის მოსხმული, ვარსკვლავ მოსილი სასახლისებრ სხვითა აფრქვევდა. საწმისს ხან ყელზე, ხან კი მხარზე გადაიგდებდა“ (VIII, 128-129).

და იგონებს გმირთა გმირ ჰერაკლეს, რომელმაც დაამარცხა ნემეის ლომი და მისი ტყავით შეიმოსა. მხარზე საწმისს გადაიკიდებულ იაზონს ავტორი ჰერაკლეს აღარებს.

„ასე ვიღოდა ჰერაკლესი ინაქოს ქვაბსა, რომს ლომის ტყავი ნემეისა თავტანს ებურა“ (125-126).

ყოველი მხატვრული ხერხი, რომელსაც პოეტი იყენებს მეტად მნიშვნელოვანია და ნაწარმოებს ამდიდრებს, ხოლო მკითხველს ესთეტიურ სიამოვნებას გვრის. ვალერიუსი ფაქიზად ეპყრობა თვითეულ სტრიქონს, ხეყს მას, მელოდიურ ელერადობას ანიჭებს. იგი თანაბარი ოსტატობით აღწერს, როგორც ბუნების სიდიადეს, ასევე დამრთობის საკრებულოს, გმირის შინაგან ვანცლებს, მის მოქმედებას. ვალერიუსის დიდი ერუდიცია და პოეტური ნიჭი მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი ვულცივად კი არ გვიყვება გმირთა თავგადასავალს, გრძნობათა ნაცვლად ქრონოლოგიურ ამბებს კი არ გვაწვდის, არამედ ნაწარმოების პერსონაჟებთან ერთად განიცდის ყველაფერს და მკითხველსაც იძულებულს ხდის გულთან ახლოს მიიტანოს არგონავტთა თავგადასავალი და ისუნთქოს იმავე ჰაერით, რომლითაც მისი გმირები სუნთქავენ.

ქართული მრავალხმიანობის საწყისები

საქართველო საგუნდო მრავალხმიანობის კლასიკური ქვეყანაა. ხალხური შემოქმედების წიაღში ჩასახული ამ მხატვრული ტრადიციის ფესვები ჩ. წ. აღრიცხვამდე III-II ათასწლეულთა მიჯნის მხატვრული კულტურის წიაღში იკარგება. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ფაქტების მთელი რიგი, რომლებიც ქართული მხატვრული კულტურის დათარიღებულ ძეგლთა (იგულისხმება არქეოლოგიური ვახტანგების შედეგად გამოვლინებული შემდეგი ნიმუშები: თრიალეთის ვერცხლის თასი, ჩ. წ. აღ-მდე II ათასწ. XV ს., თრიალეთის ბრინჯაოს სარტყელი ჩ. წ. აღ-მდე II ათასწ. შუა ხანა, „ყაზბეგის განძი“ — ჩ. წ. აღ-მდე I ათასწ. (VII-VI ს. ს.) და წერილობით წყაროთა (XI, XII, XIII ს. ს.) ანალიზიდან გამოდინარეობენ. ეს უკანასკნელნი ეროვნული მუსიკალური აზროვნების სისტემის თავისთავადობისა და მისი თანდათანობითი სრულყოფის ნივთიერ საბუთს წარმოადგენენ. ამასთან ერთად, მიუთითებენ რა განვითარების პროცესის სტადიალურ ხასიათზე, ამჟამად ავლენენ მის მამოძრავებელ ძალას — ხმათა ვერტიკალში კონსტრუირების პრინციპს. ამ კანონზომიერების შეცნობამ ცხადი გახადა, რომ ქართული მრავალხმიანობის ჩასახვა-განვითარების დიდი ისტორიული გზა არის თვისობრივი გარდასახვის და არა გამოსახვის საშუალებათა რაოდენობრივი ზრდის პროცესი, როგორც ადრე აღიარებულ იქნა. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება იმის ხაზგასმაც, რომ ქართულ ხალხურ სიმღერაში მრავალხმიანობის ფორმათა ჩასახვა-განვითარების ტრადიციული თვალსაზრისი სათანადო სიღრმით ვერ ხსნიდა ქართული მრავალხმიანობის ბუნებას, ვინაიდან მუსი-

კალურ დიალექტთა მექანიზტურ კლასიფიკაციას ემყარებოდა. კერძოდ, იგი მრავალხმიანობის ორი ტიპის — პოლიფონიური და გომოფონური მრავალხმიანობისადმი ამა თუ იმ დიალექტის მიკუთვნების პრინციპით ხელმძღვანელობდა. როგორც მუსიკალური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, კლასიკური პოლიფონიიდან (ე. ი. დასავლეთ ევროპული მრავალხმიანობიდან) ნასესხები ასეთი კლასიფიკაცია არ ითვალისწინებს თვისობრივი გარდასახვის პროცესის მამოძრავებელ ფაქტორებს და, როგორც გამოირკვა, განვითარების ისტორიული გზის მიღმა ტოვებს ქართული მრავალხმიანობის დადგენის „არქაულ“ საფუძვლს. ეს უკანასკნელი კი, წარმოადგენს ქვეყნობედს, რომელზედაც დაეფუძნა როგორც „ხალხური პროფესიონალიზმის“ დიდი სკოლა, ისე ათასწლეუანი ტრადიციის მქონე ძველი ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურა. კვლევის პროცესში ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ქართული მრავალხმიანობის განვითარების საფუძვლად დადგენისას გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცენიჭებინა მუსიკალურ დიალექტთა შორის სტილისტური განსხვავებულობის ფაქტისათვის. აქედან გამომდინარე კი, პოლიფონიურ და გომოფონური სტილის ნიმუშთა შიგნით მოგვეძებნა ის გარდამავალი ფორმები, რომლებშიც ამა თუ იმ სტილის სრულყოფის წინამძღვრები მოჩანდა. კვლევის

1 ამ კლასიფიკაციის მიხედვით, პოლიფონიური სტილი წარმოდგენილია გურული, იმერული, აჭარული და ნაწილობრივ მეგრული სიმღერით. გომოფონური სტილი — ქართლ-კახური, სეპნური, რაჭული და სხვა დიალექტებით.

ასეთი ხაზით წარმართვამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა, რომ ქართული მრავალხმიანობის განვითარებაში 3 საფეხური შეინიშნება:

- 1) აკორდულ-ქორალური წყობა,
- 2) პოლიფონიური სტილი,
- 3) გომოფონურ-პოლიფონიური ტიპის სიმღერები.

მრავალხმიანობის განვითარების ეს სამი საფეხური ამავე სახელწოდებებით აღნიშნულ სამ სტილისტურ კატეგორიას შეესაბამება. თვითონველი მათგანის ფარგლებში ცალკეულ დიალექტთა ნიმუშების განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს შევიცნოთ, როგორც ამ უკანასკნელთა დამახასიათებელი ნიშნები, ისე „ერთიანი სამეცხველო ენის“ კილო-პარამონიულ პრინციპთა საერთო ძირიდან წარმომავლობაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია ავლენს ქართული მრავალხმიანობის განვითარების „არქაულ“ საფეხურს. თუ რაოდენ დიდია ზემოთხსენილი დაყოფის უპირატესობა, ჩანს იმ უცილობელი ფაქტიდან, რომ აკორდულ-ქორალური წყობის სიმღერებს მიეკუთვნება მთელი ეპირი — საფერხულო სიმღერები. ეს უკანასკნელი კი ხელოვნების ადრინდელი სინკრეტისში აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს. ისინი შესაძლებლობას ქმნიან მრავალხმიანობის არქაული ფორმების მიღმა ამ მოვლენის „წინისტორიული“ ხანის კანონზომიერებანიც შევიცნოთ.


აკორდულ-ქორალური წყობის სიმღერებისადმი საფერხულო სიმღერების მიკუთვნების ფაქტი შესაძლებელს ხდის მრავალხმიანობის განვითარების აღნიშნულ საფეხურს „საფერხულო წყობა“ ვუწოდოთ. რომ ქართული მრავალხმიანობის ქვაკუთხედს სწორედ აკორდულ-ქორალური, ანუ „საფერხულო წყობა“ წარმოადგენს, ამაში დარწმუნება არ გავგივირდება, თუ მუსიკალური მასალის ანალიზიდან გამოვდინარე ამ დასკვნებს მატერიალური კულტურის ძეგლებიდან და წერილობითი წყაროებიდან მომდინარე ფაქტებით განვამტკიცებთ. ამ უკანასკნელთა განხილვისას ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, იმ პირდაპირ საკითხის გარკვევას მივამტკიცოთ, თუ როგორ აღიბეჭდა მათში „საფერხულო ქმედების“ კვალი. და საერთოდ, რა დამოკიდებულება აქვს ამ უკანასკნელს ქართულ ხალხურ სიმღერაში მრავალხმიანობის ფორმათა ჩასახვის პროცესთან.

საკითხის ასე დაყენება მითითებულ წყაროთა ახლებურად წაყიხების აუცილებლობის წინაშე გვაყენებდა. ამიტომაც არის, რომ ჩვენი შემდგომი მსჯელობისას, თვით იმ შემთხვევებშიაც კი, როდესაც სამეცხველო ლიტერატურაში აღრე უკვე აღბეჭდილ მასალაზე გვიხდება მითითება, ყველგან აღვნიშნავთ, რომ აქ ცნობილ ფაქტთა ახლებურად გაშუქებას აქვს ადგილი.

ქართული მრავალხმიანობის საწყისების კვლევა როგორც ხალხური, ისე ძველი ქართული პროფესიული მუსიკის მრავალხმიანობის გზის სწორად წარმოსახვის რთულ ამოცანასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ არანალებ მნიშვნელობას იძენს ხალხურ მუსიკალურ ტრადიციათა და ძველი ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის გარკვევაც. მით უმეტეს, რომ არსებითად საკითხის ასე დაყენებისადგ არის დამოკიდებული ცვლელის სწორად წარმართვა და სწორი პასუხი. სამწუხაროდ, ქართული მუსიკისმცოდნეობა დღემდე არც თუ ისე დიდ ყურადღებას აქცევდა წერილობით წყაროებს, რომლებმაც ჩვენ მიერ წამოჭრილ პრობლემას ირგვლივ მრავალი ცნობა შემოგვინახეს. და ეს მანძი, როდესაც ხელთ გვაქვს ეპოქისას გადარჩენილი XI-XII სს და XVIII საუკ. უარესად მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროები და აგრეთვე, ნოტირების ერთიანი სისტემით შესრულებული 9 ქართული ხელნაწერი, სხვა საკითხია, რომ ისინი სათანადო სიღრმისით არ არის შესწავლილი.

მეცნიერულ ლიტერატურაში რამდენჯერმე იყო განხილული ზოგიერთი იმ წყაროთაგანი, რომელთა შესახებაც ჩვენი შემდგომი მსჯელობისას გვექნება საუბარი. ისინი მოყვანილია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორების: ვრ. ჩხიკვაძის, შ. ასლანიშვილის, მუსიკისმცოდნე გ. გეახარიას და მკვლევარ პ. ინგოროვას, პ. როფ. ა. გაწერელიას შრომებში, რომელთა შესახებ სათანადო კონტექსტში იქნება მითითებული. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვიხდა და, რა თქმა უნდა, ხაზგასმით, რომ ჩამოთვლილ მკვლევარებს ეს ცნობები XI საუკუნის ქართულ პროფესიულ მუსიკაში მრავალხმიანობის მხოლოდ ფაქტის დადგენის თვალსაზრისით ანტიერგებთ. რაც შეეხება მათ მიღმა თვით მოვლენის არსის ძიებას, ასეთი პრობლემა არც ერთი მათგანის წინაშე არ წამოჭრილა.

წერილობით წყაროებში ქართული მრავალხმიანობის შესახებ ცნობების უკვე XI საუკუნეში ფიქსირებაზე მეცნიერულ ლიტერატურაში პირველმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა. იყრდნობოდა რა ძველი ქართული ხელნაწერების გულმოდგინედ შესწავლის შედეგად გამოვლენებულ ფაქტებს, იგი ამტკიცებდა, რომ ტერმინები „შებანება“ და „მხათა შეწყობა“ ქართულ საეკლესიო გალობაში მიღებული ყოფილა უკვე XI საუკუნეში. ამ აზრის დასასაბუთებლად სახელოვან მეცნიერს თავის შრომაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ მოჰყავს ციტატა „ბიბლიის“ XI საუკუნის ქართული თარგმანიდან, სადაც ნათქვამია: „დავითი



უცემდა ორღანოთა შებანებულითა¹. რომ ამ თარგმანში სწორედ მრავალხმიანობის არსებობის ფაქტზეა მიითვლება და არა „ბანის“ საყოფმანებრთა ფუნქციანზე, ამის შესახებ სარწმუნოდ მიგვაჩინა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფ. გრ. ჩხიკვაძის შემდეგი მოსაზრება, რომ „მოცემულ თარგმანში გამოთქმის „შებანებულითა“ ხმარება გვიჩვენებს, რომ XI საუკუნეში ქართველებს წარმოადგენდა ჰქონდათ „ბანის“ საყოფმანებრთა როლზე, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ მეტყველებს ქართულ მუსიკაში მრავალხმიანობის არსებობაზე, „წინააღმდეგ შემთხვევაში ნათქვამი იქნებოდა „შებნობალითა“, ე. ი. თანხლებით².

ქართული წერილობით წყაროთა შორის ვხვდებით გაცილებით მრავალსიმეტრულ ძეგლებს, რომლებიც მეტყველებენ ძველ-ქართულ პროფესიულ მუსიკაში XI საუკუნისათვის მრავალხმიანობის არამარტო არსებობის შესახებ, არამედ იმაზედაც, რომ იგი ასულია თავისი კლასიკური ტიპის — სამხმინანობის სტადიაზე. მხედველობაში გვაქვს XII საუკუნის დიდი ქართველი ფილოსოფოსის — იოანე პეტრიწის შრომის „განმარტება პროკლესთს დიაღოზოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათს“ ბოლოსიტყვაობაში მოცემული ახსნა სამხმინანობის არსისა. აგრეთვე, „ანდრძი“, დართული ბერძენი ჰიმნოგრაფის ანდრია კრიტიელის „დიდი კანონის“ თარგმანისადმი, რომელიც XII საუკუნის მეორე დიდ მოღვაწეს — არსენ იყალთოელს ეკუთვნის. ეს ორი შრომა XII საუკუნის ეროვნულ-პროფესიულ მუსიკაში ქართული მრავალხმიანობის კლასიკური ტიპის — სამხმინანობის კულტივირების ურყევ საბუთს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ისინი აშკარად მიუთითებენ ეროვნული მუსიკალური აზროვნების სისტემის თავისთავადობაზე მეცნიერულად დასაბუთებელი თვალსაზრისის არსებობაზეც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზ. პეტრიწის მიერ მოცემული შემდეგი განმარტება: „არამედ სამუსიკელოა... არს ჩუენი ისე სამოწყუსოი... ვიტყვ სამთა დაბამებათა, რომელთა მიერ შეინაწევრების ყოველი შეყოვლებული: მზახრ, ყირ და ბამ რქმულნი და რანივე არიან მრთველობანი ძალთა და კმათანი“³. მოტანილი ციტატი ახდენს სამხმინანობის კულტივირების ფაქტის ფიქსირებას. ამასთან, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იძლევა ამ უაღრე-

სად რთული მოვლენის არსის შეცნობის შესაძლებლობას.

სამხმინანობის კულტივირების ხანდაზმობის დიდდენისა და ქართული მუსიკალური აზროვნების სისტემის თავისთავადობის დასაბუთების თვალსაზრისით, არანაკლებ საყურადღებოა არსენ იყალთოელის „ანდრძი“. მასში ნახსენებია ტერმინი „ძლისპირი“, რომელიც „წინამძღვარ ხმას“ ნიშნავს და რომელიც მრავალხმიანი ფაქტურის მქონე კომპოზიციის შუა ხმის (ანუ დამწყობის) შესატყვის ცნებას წარმოადგენს⁴. მეცნიერულ ლიტერატურაში ამ ტერმინს პირველად აკად. ი. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. პ. ინგოროვამ კი მისი თვალსაზრისი გაიზიარა.

როგორც მუსიკალურ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, „წინამძღვარ ხმის“ მნიშვნელობა აღნიშნული ფუნქციის მატარებელ ხმას მრავალხმიანობის ფორმათა ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში უნდა მინიჭებოდა. კერძოდ, მისი დაკანონებისათვის ნიადგი სამხმინანობის არსებობას განუსაზღვრავს. ამ კანონზომიერების შეცნობა შესაძლებელს ხდის აღდგინოს იქნას მუსიკალური გამომსახველობის საშუალებათა სრულყოფის დიდი ისტორიული პროცესი. ამჯერად კი, მხოლოდ შემდეგი გვიანტერესებს: შესაძლებელია თუ არა ტერმინ „ძლისპირი“ შინაარსზე დაყრდნობით ვამტკიცოთ, რომ მრავალხმიანობა, კერძოდ, მისი უმაღლესი ტიპი — სამხმინანობა „დასაბამიერ“ მოვლენას წარმოადგენს ქართულ ხალხურ მუსიკაში?

ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემისას საჭიროა გავითვალისწინოთ ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშთა შემცველი 9 ხელნაწერიდან უმთავრესი — მიქაელ მორდუკილის კრებულში აღბინებლია ის ფაქტი, რომ ნოტირების ერთიანი ეროვნული სისტემით შესრულებული ყველა კრებული „ძლისპირთა“ კრებულს წარმოადგენს.

რაც შეეხება იმას, თუ რა გეზით მიემართებოდა ძველი ქართული პროფესიული მუსიკის განვითარება, ან რა მიმართებაში იმყოფებოდა იგი ხალხური მუსიკის ტრადიციებთან, ამ საკითხთა გადაჭრა საგალობელთა კონკრეტული ნიმუშების ცოდნის გარეშეც საკლებით შესაძლებლად მიგვაჩნია. ქართული მრავალხმიანობის საწყისთა კვლევისათვის, პირველ ყოვლისა, ტრადიციის მემკვიდრეობითობის გამომკვლევებას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

საკითხის ასე დასმისას განსაკუთრებული მნი-

⁴ „ძლისპირი“ — ირმოსის „მსგავსი ცნებაა“.

მზია იაშვილი
ძარბაზლი მრავალხმიანობის საუჩინებრი

¹ იხ. აღნიშნული შრომა, გვ. 303.
² Сборник «Грузинская музыкальная культура», Изд. Муз. Газ., 1957, გვ. 26—27.
³ ციტატი მოტანილია ი. პეტრიწის შრომის „განმარტება პროკლესთს დიაღოზოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათს“. გვ. 217.

შენელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ გრანდიოზული მასშტაბის ენციკლოპედიურ შრომაში — მიქაელ მოდრეცილის კრებულში — აღილი ჰქონია საკულტო მუსიკის ნიმუშთა არა მარტო ფიქსირებას, არამედ ეროვნული მუსიკალური ხელოვნების ძირითადი თეორიული პრობლემების მეცნიერულად გაშუქებასაც. სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, კრებულს სწორედ ის თავები აკლია, რომლებშიც X საუკუნის დიდი ქართველი მუსიკოსის თეორიული ნაშრომები უნდა იღებდეს გამომხატულებას. რომ შრომა ასეთი ხასიათის ნაწილსაც შეიცავდა. ამაში ეკვის შეტანას ნიადაგს აცლის თვით მიქაელ მოდრეცილის „ანდერში“ დაცული მითითება: „მე... მიქაელ მოდრეცილმა ვიღუფე და ყოვლით კერძო შრომად ვაჩუენე უხეშოთა ძალისა ჩემისა და ფრიალითა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შეეკრიბენ ძლისპირნი, ესე ყოველით კერძოვე, რომელი ვბოვენ ენითა ქართველთათა სრულნი ყოვლითა განგებითა და დავწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ჭეშმარიტებითა“.¹

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაწილის ნაკლებობისა, თვით კრებულის მიზანდასახულობა და მასში ფიქსირებულ საგალობელთა კომპოზიციურ პრინციპზე აშკარა მითითება (იგი „ძლისპირთა“, ანუ „წინამძღვარ ხმათა“ კრებულს წარმოადგენს) ცხადყოფს, რომ მ. მოდრეცილის შრომა ასაზრდოებს შემდგომი ხანის თეორიულ აზრს მუსიკის შესახებ. ამ უპარესად მნიშვნელოვან გარემოებაზე მინიშნება გვიტრდება მხატვრულ ტრადიციითა, კერძოდ, მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციის მემკვიდრეობითობის ნათელსაყოფად. ხალხური შემოქმედების წიაღიდან ამ უკანასკნელის პროფესიულ მუსიკაში შეღწევის ფაქტის დასადგენად.

აღნიშნულმა გარემოებამ გვიბიძგა ძველი ქართული პროფესიული მუსიკისა და ხალხური შემოქმედების წიაღში კიდევ რაღაც ახალი, დღემდე უცნობი მხატვრული ფაქტების მიგნებისაკენ.

იმ აზრმა, რომ მიქაელ მოდრეცილის საგალობელთა კრებული, ე. ი. არსებითად ენციკლოპედიური ხასიათის შრომა, უნდა ასაზრდოებდეს შემდგომი ხანის თეორიულ აზრს მუსიკის შესახებ, ხოლო ამ უკანასკნელს აუცილებლად უნდა შემოენახა პროფესიულ მუსიკაში ხალხური შემოქმედების ტრადიციითა შეღწევის გზის ანაბეჭდი, მიგვიყვანა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნის კულტურული ყოფის დამახასიათებელ მოვლენათა შესწავლამდე.

როგორც მოსალოდნელი იყო ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვანი მონაპოვრის დაცვისა და აღორძინების პერიოდი, რომელიც

ე. წ. „ძნელბედობის ხანის“ სახელწოდებით არის ცნობილი, ფასდაუდებელ ცნობებს ვაჭყვიათ მრავალხმიანობის „ასაკის“ განსაზღვრისათვის.

ქართული მუსიკის ისტორიისათვის სრულად განსაკუთრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა XVIII საუკუნის I ნახევრის დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ მოცემულ მუსიკალურ ტერმინთა განმარტებანი. მათი შინაარსის ამოკითხვა საფუძველს გვაძლევს ახლებური თვალსაზრისით შეხედვით ძველი ქართული პროფესიული მუსიკის განვითარების გზებს. თავის მხრივ უპარესად საგულისხმაოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერ მოწოდებული ეს განმარტებანი აცხებდა მუქს ჰენს XII საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნეების — ი. პეტროვისა და არს. ივლითელის შრომებში დაცულ ცნობებს. იგივე მასალა საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ მ. მოდრეცილის კრებულის შესწავლის შედეგად გამოვლინებულ შემდეგ ფაქტში: მ. მოდრეცილის კრებულში ერთმანეთსაგან მკვეთრად არის გამოჩენილი „საგალობელი ძეგლი“ და „საგალობელი ახალი“² თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მ. მოდრეცილის „საწელიწადო იადგარის“ სტრუქტურულ ჩონჩხს შეადგენს VIII-IX საუკუნეთა დიდი ქართველი მოღვაწის — გრიგოლ ხანძთელის „საწელიწადო იადგარი“, რომელიც თავის მხრივ აგრეთვე წარმოადგენს „ძლისპირთა კრებულს“, ხოლო ამ უკანასკნელში V-VIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფიის ნიმუშებია თავმოყრილი, ცხადი ვახდება, რომ ძველ-ქართულ პროფესიულ მუსიკაში მრავალხმიანობის კულტივირებას უკვე VII-VIII საუკუნეებამდე უნდა ჰქონოდა ადგილი.

ცხადია, ასეთ პირობებში დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერ მოწოდებული ცნობები პირდაპირ მიუთითებენ საკულტო მუსიკაში ამ ტრადიციის შეღწევის გზაზე. თავის მხრივ კი, ეს უკანასკნელი გადაშლის ქართული მუსიკალური კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დღემდე უცნობ ფურცელს.

კვლევის ამ გეზით წარმართვამ ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ვამახვილა „სიტყვის კონაში“ დაცული ტერმინის — „უპირობდ“ — განმარტებისადმი. თუ დავძენთ, რომ ამ უკანასკნელს პირდაპირი კავშირი აქვს ცნებასთან —

² იხ. პ. ინგოროყვას შრომა — „გ. მერჩულე“, გვ. 732-733, აგრეთვე 051,065; 0100, 01001.

³ სინას მთაზე დაცულია „საწელიწადო იადგარის“ არქაული სახეობა, რომელიც გრ. ხანძთელის კრებულზე ადრინდელია. იხ. პ. ინგოროყვა, „გ. მერჩულე“, გვ. 756-758.

¹ ვ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, გვ., 225.

„ძლისპირი“, ცხადი გახდება, რატომ იქცა იგი განსაკუთრებული შესწავლის საგნად. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ტერმინისათვის დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება და, რა თქმა უნდა, არც მისი „ამონსა“ უცდია. და ეს მაშინ, როდესაც სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნულ სიტყვას შემდეგნაირად განმარტავს: „უპირობდა“, — ესე არს საგალობელთა და ძნობათა წინა უძლოდეს კმითა“¹.

რით იქცევს ეს ფორმულირება ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას?

იმ დამირისპირებით, რომელიც მასშია მოცემული. როგორც ფორმულირებიდან ჩანს, ტერმინ — „უპირობდა“ — განმარტებაში სულხან-საბა ორბელიანი ერთმანეთის გვერდით იხსენიებს „საგალობელსა“ და „ძნობას“. ამასთან გარკვევით აღნიშნავს, რომ „საგალობლის“ მსგავსად „ძნობასაც ძლისპირი, ანუ „წინამძღვარი ხმა“ გააჩნია, ე. ი. ისიც მრავალმხიანი სტრუქტურის მქონე კომპოზიციაა.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დავისვას კითხვა: რას წარმოადგენს „ძნობა“ და რატომ იხსენიება იგი საკულტო მუსიკის მიმართ ტრადიციულად ხმარებული ტერმინის — „საგალობლის“ გვერდით?

ჩვენთვის სავსებით ცხადი იყო, რომ ამ ორი ტერმინის ერთმანეთის გვერდით ხსენება „საგალობლისა“ და „ძნობის“ მხოლოდ ფორმისშემქმნელ პრინციპებზე მითითების აუცილებლობით არ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ამ მხრივ, როგორც მოცემული ფორმულირება გვიჩვენებს, მათში სრულ იგივეობას აქვს ადგილი. მაშ რაღაზე მეტყველებს ს. ორბელიანის მიერ მოწოდებული განმარტება ტერმინისა — „უპირობდა“? უდავოდ იმაზე, რომ XVIII საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვე „საგალობლისა“ და „ძნობას“ შორის ყანრობრივი სხვადასხვაობის ფაქტს ხედავდა. მამასადამე, ისინი ქართული საკულტო მუსიკის ორ სხვადასხვა ენარად მიაჩნდა.

ამ ფაქტის დადგენა ძირფესვიანად ცვლის ძველი ქართული პროფესიული მუსიკის შესახებ არსებულ ტრადიციულ თვლსაზრისს და, რაც მთავარია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული მრავალმხიანობის საწყისთა კვლევისათვის.

ქართულ საკულტო მუსიკაში ორი ენარის — „საგალობლისა“ და „ძნობის“ არსებობაში დღემდე არავინ დაჰქვებულა, თუმცა, როგორც დავიანახავთ, ამისათვის გარკვეული წინამძღვრები არსებობდა. თვით აკად. ი. ჯავახიშვილსაც კი, რომელსაც თავის შრომაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ ციტირებული აქვს ს. ორბელიანის ჩვენს მიერ

მოყვანილი განმარტება: „უპირობდა“. — ესე არს საგალობელთა და ძნობათა წინაუძლოდეს კმითა“, უყურადღებოდ დაუტოვებია იგი². და მხოლოდ ტერმინის — „წინამძღვარი მრავალმხიანობის“ არსებობის დამადასტურებლად გვიჩვენებია. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის მრავალ ნიმუშზე დაყრდნობით სახელოვანი მეცნიერი თვითონვე ადგენს ტერმინების — „ძნობისა“ და „მძნობისა“ შინაარსს. წყაროებით კი ირყევია, რომ „ძნობა“ მგალობელ-მროკველთა მწყობრის აღმნიშვნელი ტერმინია³. რელიგიური შინაარსის ფერხულის მნიშვნელობით იხმარება იგი „ბიბლიის“ ქართული თარგმანიდან მოტანილ შემდეგ ციტატაში: „მოვიდნენ ასულნი იგი მკვდრთა სელომისთანი მძნობრები ძნობად“⁴. ფერხულის მნიშვნელობით იხმარება ეს ცნება XII საუკუნის ქართული პოეტების მიერ შეათევისა და ჩაბრახაძის ნაწარმოებებშიც.

იგივე ფაქტზე მეტყველებს ის გარემოება, რომ გუნდობრიობის აღმნიშვნელი ტერმინის — „ძნობის“ ძირად აკად. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია სიტყვა „ძნა“. ნ ეს უკანასკნელი კი ს. ორბელიანის განმარტებით ნიშნავს „ყანის კონას“. ვინაიდან „ყანის კონა“, ანუ „ძნა“ მრგვალი საგანის გაგებას შეიცავს. უნდა დავუშვათ, რომ „ძნობა“, ანუ „საკულტო როკვა“ წრითელი ფორმის ფერხულის გაგებასაც შეიცავს, აქ ინტერესმოკლებული არ იქნება ს. ორბელიანის თეორიის კიდევ ერთი განმარტების მოტანა. გვეულისხმობთ, სიტყვა — „გუნდა“, რომელსაც დიდი ლექსიკოგრაფი შემდგენიარად ხსნის: „გუნდა — მრგვალი სამღერული თუ რაღაც“, როგორც ვხედავთ, აქაც იგივეობა მრგვალ საგანთან.

ტერმინ „ძნობის“ წარმომავლობის დადგენა და იმის დასაბუთება, რომ იგი ისწორედ წრითული ფორმის საკულტო როკვას წარმოადგენს, ექვს არ ტოვებს იმეში, რომ ტერმინის — „უპირობდა“ განმარტებაში ს. ორბელიანი აშკარად მიუთითებს საკულტო მუსიკაში ორი სხვადასხვა ენარის — „საგალობლისა“ და „ძნობის“ პარალელურად არსებობაზე. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის გამოყვანება კი შესაძლებელს ხდის გავარკვევით, თუ რა პირობებში უნდა მინიჭებოდა „წინამძღვარი ხმის“

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 236.

³ იქვე, გვ. 49-50.

⁴ იქვე, გვ. 49.

⁵ იქვე, გვ. 51.

⁶ ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა“, გვ. 80.

¹ ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა“, სახელგამი, 1949 წ., გვ. 664.

ფუნქცია მრავალხმიანი კომპოზიციის შუა ხმას.

რით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში ტერმინის — „უბირობდა“ — ჯერ კიდევ ადრე ფიქსირების მიუხედავად, კვლევა მისი ჭეშმარიტი შინაარსის ამოკითხვის გზით არ წარიმათა? 1 რა იყო ამის მიზეზი?

პირველყოვლისა, რა თქმა უნდა, ის არასწორი თვალსაზრისი, თითქოს ქართული საეკლესიო რიტუალი თავიდანვე ისეთი „წმინდა“ სახისა იყო, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის აღზევების ხანაში, ე. ი. XI-XII საუკუნეებში მოჩანს.

ამ თვალსაზრისით, ცხადია, დაუშვებლად მოჩვენებოდათ იმის აღიარება, რომ ქართულ ქრისტიანულ რიტუალს თვით XII საუკუნის დამდგამვე შემორჩა წარმართული კულტის აღმონათმეხი. და არა თუ შემორჩა, არამედ აშკარად წარმართული ძირის მოვლენა — „ძნობა“ საკულტო მუსიკის სრულფუნქციან ენარსაც წარმოადგენდა. აი ფაქტებიც:

პირველყოვლისა, ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სინკრეტული ტიპის ენარის „ძნობის“ აღნიშვნელი თვით ტერმინი, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, XIII საუკუნეში უკვე მწიგნობრულ ტერმინადლა მოჩანს. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოცემული ხანისათვის აღნიშნული ენარის განვითარება უკვე შეფერხებული ყოფილა.

პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, რას უნდა გამოეწვია ამ ენარის განვითარების შეფერხება?

უდავოა, მის სპეციფიკას.

როგორც დავინახეთ, „ძნობა“ სინკრეტული ტიპის ხელოვნებაა. იგი წარმოადგენს „როკვას“ საკულტო აიმღერის თანხლებით. მაშასადამე, აშკარად ატყუარა წარმართული რიტუალის კვალი. ცხადია, ასეთი ენარის ქრისტიანულ საკულტო რიტუალში დაშვება რაღაც დიდი შინაგანი კანონზომიერებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. მით უმეტეს, რომ, როგორც ფაქტები ცხადყოფს, ეკლესია ამ მოვლენას თავისი სულისათვის უტყბო, საწინააღმდეგე გამოვლინებად მიიჩნევდა მისი რიტუალში დაშვების პერიოდშიც კი.

როგორც ირკვევა, ეკლესიის მესვეურთ სადავოდ და მიუღებლად მიაჩნდათ „ძნობის“ არა სტრუქტურული პრინციპები, რომლებიც, როგორც ს. ორბელიანი მიუთითებს „საგალობლის“ აღნაგობის კანონზომიერებათა მსგავსია (ორივე შემთხვევაში მრავალხმიანობას აქვს

1 როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილს იგი სრულიად სხვა დებულებით საილუსტრაციოდ მოჰყავს.

ადგილი), არამედ ის სულისკვეთება, რომლის ემოციურსახოვან გამოხატულებასაც იგი წარმოადგენდა.

„ძნობა“ საეკლესიო მოქმედებაა: მასში მოქმედობის, მოქმედების რიტმი ბატონობს. ცეკვის რიტმის ხზავსაში, მოქმედებითობის პრინციპის წინ წამოწევა კი, ცხადია, ეწინააღმდეგებოდა „სულიერი განწმენდის“ იმ მიზანს, რომელსაც ქრისტიანული კულტი ისახავს.

მაშასადამე, „ძნობაში“ გადალახული არ ყოფილა სწორედ ის თვისებანი, რომლებიც თავის საწყისს ხელოვნების ადრინდელ სინკრეტულში იღებენ. „ძნობის“ სინკრეტული ხელოვნების წიაღიდან წარმოშობის საკითხის გასარკვევად ძალზე საყურადღებოა ამ ტერმინის შედარება ხშიერი მუსიკის აღნიშვნულ მეორე ტერმინთან — „სიმღერა“, რომელიც აგრეთვე გულისხმობს ცეკვისა და სიმღერის თავდაპირველ კავშირს.

ყოველივე ამის შემდეგ, გასაგებია, რა დიდი აზრის შემცველად უნდა მიგვეჩინა ს. ორბელიანის მიერ ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ძირითადი ენარის „საგალობლის“ მკვეთრად გამოიჯნა „ძნობისაგან“.

ამ ფაქტის საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა წამოვტაროთ დიდი მნიშვნელობის მქონე შემდეგი პრობლემა: არის თუ არა „საგალობელი“ შედეგი გამოსახვის ძველი ფორმების რღვევისა; წარმოადგენს თუ არა იგი თვისობრივად ახალ მოვლენას, რომელსაც საუკუნოვანი ტრადიციები განაპირობებენ?

ამ პრობლემის გადაწყვეტა ნათელს მოჰქვინს ძველ ქართულ პროფესიულ მუსიკასა და ხალხურ შემოქმედებას შორის ღრმა შინაგანი კავშირის არსებობის ფაქტს, რომელიც მრავალჯერ მიუთითებიათ მეცნიერულ ლიტერატურაში (აკად. ივ. ჯავახიშვილი, აკად. დ. არაყიშვილი, პროფ. გრ. ჩხიკვაძე, პროფ. შ. ასლანიშვილი, პ. კარბელაშვილი და სხვა). მაგრამ ვერც ერთმა მკვლევარმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა, რაში მდგომარეობს ეს შინაგანი ერთიანობა. ყველა ზემოაღნიშნული მკვლევარი ხაზს უსვამდა ზოგიერთი საკულტო პანგისა და სიმღერის მსგავსება-იგივეობას. ეს არგუმენტი კი არასაკმარისი იყო ასეთი რთული საკითხის გადასაჭრელად.

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ძველი ქართული პროფესიული მუსიკის განვითარების გზების შესწავლას უნდა მიანიჭებოდეს.

დასმული პრობლემის შესახებ მსჯელობისას კვლავ მიქველ მოდრეკილის კრებულზე მოგვიხდება დაყრდნობა.

როგორც კრებულში მოთავსებული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნიმუშთა, ანუ „საგალობლის“ ტექსტუალური მხარის ანალიზი გვარწმუნებს (ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მათ მუსიკალურ ტექსტებზე მსჯელობა არ შეევიძლია სათანადო

მასალის გამოუქვეყნებლობის გამო), „საგალობლებში“, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმ მეტრო-რიტმული სტრუქტურის დარღვევას აქვს ადგილი, რომელიც ხელოვნების შესატყვისის დარღვივადრე გააბატონებულ ფორმებს ახასიათებს. აქ ჩვენ, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ მიქაელ მოდრეკელის კრებულში მკვეთრი ზღვარია გავლებული საგალობლების ორ ჯგუფს — „ძველსა“ და „ახალ“ საგალობლებს შორის. ამასთან იმასაც, რომ ასეთი დაყოფის ტრადიცია „საწელიწადო იადგარის“ არქაული რედაქციიდან მომდინარეობს (მოკლე იადგარი ბალესტიკური ქართული სკოლისა).

რას მოასწავებს ასეთი დაყოფა? როგორც ირკვევა, იგი გასაღებს გვაძლევს ქართული კლასიკური ლექსის ევოლუციის პროცესის მამოძრავებელი ძალის შეფარებისათვის, იგივე გარემოება ხსნის იმ რთულ საკითხსაც, თუ რა გზით მიემართებოდა საკულტო მუსიკის ძირითადი უარის — „საგალობლის“ სპეციფიკის დადგენის პროცესი.

როგორც ცნობილია, ქართული კლასიკური ლექსი, ანუ სილაბურ-ტონური ლექსი ქართული ხალხური ლექსის რიტმული წყობის თანდათანობითი სრულყოფის შედეგია. მისი მეტრული სტრუქტურა ლექსთაწყობის არქაული ტიპების ევოლუციის ნაყოფს წარმოადგენს. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ლექსთაწყობის ეს არქაული სახეობანი წარმართულ-რიტმულ-პოეზიულ ჰიმნებში გვხვდება. ეს უკანასკნელი კი, როგორც წესი, საფერხლო სიმღერებს წარმოადგენს. მაშასადამე, ისინი მუსიკის, ცეკვისა და პოეტური საწყისების ერთიანობის ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი და ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის სტადიის შესატყვის სტილისტურ კატეგორიას (გამოსახვის ფორმას) წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე ძნელი აღარ იყო გარკვევა, რას უნდა გამოეწვია ის დიდი თვისობრივი ნახტომი, რომელიც ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში (მაშასადამე, საკულტო მუსიკაშიც) VIII—IX საუკუნეების მიჯნაზე განხორციელდა.

მხედველობაში გვაქვს VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე განხორციელებული რეფორმა როგორც სალიტერატურო, ისე მუსიკალური ენის განახლების ხაზით. ჩვენთვის საკვებით ნათელი იყო ამ რეფორმის მიზანდასახულება. ლექსთაწყობის ახალი ტიპის სილაბურ-ტონური ლექსის („საგალობელი ახალის“) დამკვიდრებით კავშირი გაწყვიტეს არქაული ხანის ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში კულტივირებულ სწორედ იმ სალექსო ზომასთან, რომლის ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის ხანიდან წარმოიშობა ძალზე აშკარა იყო. გამოსახვის ახალი

ფორმის — „საგალობელი ახალის“ დამკვიდრებით (ამ ხანიდან, ე. ი. VIII საუკუნიდან „საგალობელი ძველი“ ხმარებიდან გამოდის) გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა საგალობლის ქართული სპეციფიკის დადგენის გზაზე. „საგალობელი ძველი“ ფორმის უარყოფა „როკის“ რიტმისაგან სრულიად „განწყმენილი“ ახალი უარის — „საგალობლის“, როგორც თვისობრივად ახალი მოვლენის დადგენას მოასწავებდა. ეს ფაქტი ჩ. წ. აღ-ის I ათასწლეულის მხატვრული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს. იგი ხალხური შემოქმედებიდან პროფესიული მუსიკის წარმოადგომის პროცესის დასრულებაზე მიუთითებს.

ვინაიდან ეს პროცესი ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის გადმონაშთების აღმოფხვრის გზით მიემართებოდა, აშკარაა, რომ ამ ხანიდან დაწყებული საკულტო მუსიკის ისეთი უარის, როგორც „ძნობა“ თანდათანობით კარგავს თავის პოზიციებს.

აღნიშნული გარემოებიდან თავისთავად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: „თუ „ძნობა“, ე. ი. წარმართული რიტუალის აშკარა გადმონაშთი VIII-IX საუკუნეების მიჯნიდან თმობს თავის პოზიციებს (ი. ჯავახიშვილი თვლის, რომ იგი XI ს-ში უკვე შეზღუდული იყო), მაშასადამე, ამ ხანისათვის მრავალხმიანობას უკვე მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები ჰქონია თვით ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში.

ამ უარის განსამტკიცებლად კიდევ ერთხელ მივუთითებთ იმ ფაქტზე, რომ „ძნობა“ წრიული მოძრაობის პრინციპზე აგებული ფერხულია. ფერხულის ეს ფორმა კი, როგორც ამას ხალხური მუსიკალური შემოქმედების ნიმუშთა ანალიზი გვიჩვენებს, მრავალხმიანობის განვითარების უკვე მაღალ სტადიაზეა წარმოსთობილი.

ტრადიციის სწორედ ამ დიდი ძალის შედეგად მოჩანს ის სრულიად განსაკუთრებული მოვლენა, რომ აღნიშნული უარის განვითარების შეფერხების მიუხედავად, მან თვით XII საუკუნის დამდეგამდე შეინარჩუნა თავი საკულტო რიტუალში.

გვაქვს თუ არა საფუძველი ასეთი თვალსაზრისის წამოსაყენებლად?

„ძნობის“ სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ მისი განვითარების შეფერხების ადრე დაწყებული პროცესი 1103 წელს გამოართული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ მიღებულ იქცაღვით დასრულებულა.

არაპირდაპირი გზით ამაზე მეტყველებდა აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შენიშნული ის

ზნია იაშვილი
ქართული მრავალხმიანობის საწყისები

გარემოება, რომ ტერმინი „ძნობა“ XIII საუკუნისათვის უკვე მწიგნობრულ სიტყვადღა მოჩანს.

მაგრამ აღბრული თვალსაზრისის განსამტკიცებლად, რა თქმა უნდა, მკაფიო საბუთების მოტანა იყო აუცილებელი. და აი ისინიც: როგორც ცნობილია, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაში ლაპარაკია „სახიობის“ აკრძალვაზე, ე. ი. ისეთი თეატრალიზებული სანახაობის აღმოფხვრაზე, რომელშიაც საეკლესიო სიმღერის თანხლებით „მოქმედებას“, ანუ „როკვას“ წამყვანი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ს. ორბელიანის მიერ მოწოდებული განმარტება ტერმინისა „მუსიკა“. მისი სიტყვით: „მუსიკა — ლათინურია... ქართულად სახიობი ჰქვია“¹. აშკარაა, რომ აქ აღნიშნული მოვლენის სინკრეტულ ბუნებაზე მითითებას აქვს ადგილი. მასში სიმღერისა და ეტიკის თავდაპირველი კავშირია ნაგულსხმევი. ს. ორბელიანის მიერ მოცემული განმარტების საფუძველზე ნათელი ხდება შემდეგი: ვინაიდან რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ საჭიროდ მიიჩნია „სახიობის“ აკრძალვა, ცხადია, მისი ღონისძიება, პირველ ყოვლისა, იმ ქანრის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომელშიაც ეს კავშირი ყველაზე მძლავრად ვლინდებოდა. ე. ი. მასში „ძნობის“ აკრძალვაზე ყოფილა ლაპარაკი. რა გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ამ ცნობილ დადგენილებაში სწორედ „ძნობის“ აკრძალვას აქვს ადგილი?

პირველყოვლისა ის, რომ მასში „სახიობის“ საეკლესიო რიტუალიდან განდევნაზეა ლაპარაკი და არა მის აკრძალვაზე საერო ყოფაში, ამ თვალსაზრისის განმტკიცებას ხელს უწყობს „ქართლის ცხოვრებაში“ დატული ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ მიუხედავად ეკლესიის აკრძალვისა, „სახიობა“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა დავით აღმაშენებლის კარზე. სანახაობებით გატაცება იმდენად დიდი ყოფილა, რომ მას ლაშქრის დისციპლინის შერყევაც კი გამოუწვევია. ამის გამო მეფე იძულებული გამხდარა „სახიობის“ აკრძალვის შესახებ სპეციალური ბრძანება გამოეცა².

როგორც ამ ფაქტიდან ჩანს, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაში ლაპარაკი ყოფილა არა „სახიობის“ საერთოდ აკრძალვაზე, არამედ მისი საკულტო რიტუალიდან განდევნაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი დარჩებოდა ერთდროამდე პერიოდში საეკლესიო და საერო ხელისუფლების მესვეურთა მიერ ცალ-ცალკე გატარებული მსგავსი ღონისძიებანი.

აქ ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენ-

ნით დასავლეთ ევროპაში მსგავსი ღონისძიებების განხორციელების ფაქტიც, რომელსაც თითქმის 450 წლის შემდეგ აქვს ადგილი მხედველობაში გვაქვს ცნობილი ტრიდენტის საეკლესიო კრება (1545-1563 წ.წ.), სადაც იმავე საეთხი საეკლესიო მუსიკის „განწმენდის“ საერო გავლენისაგან და თხო მრავალხმიანობის აკრძალვის. უფრო მეტიც, ლაპარაკი იყო საერთოდ მუსიკის განდევნაზე საეკლესიო რიტუალიდან. კათოლიკურმა ეკლესიამ ვერ შეძლო ამ უაღრესად რეაქციული გადაწყვეტილების ბოლომდე გატარება³.

ქართული საეკლესიო რიტუალიდან „სახიობის“ და, მასთანამდე, „ძნობის“ განდევნაზე ლაპარაკი აუცილებლად მოითხოვს, დადგინდეს ამ მოვლენათა კვალი თვით მხატვრული შემოქმედების ნიმუშებში. საბედნიეროდ, ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზია და ფრესკული მხატვრობა ამის სრულ შესაძლებლობას გვაძლევს. მხედველობაში გვაქვს X საუკუნის გამოჩენილი მწერლის გიორგი მერჩულეს „საგალობელი აღესებისა“, რომელიც შეტანილია მ. მოდრეკილის კრებულში და სვეტიცხოვლის ცნობილ ფრესკა „სამაია“. გ. მერჩულეს საგალობელში⁴ ცხვედებით ლიტურგიული დრამის ნიშნებსაც. ამ უკანასკნელის ნიშნების ძიებისაკენ გვიბიძგა საკულტო „როკვის, ანუ „ძნობის“, როგორც საკულტო მუსიკის დამოუკიდებელი ქანრის არსებობის ფაქტის დადგენა.

საეკლესიო რიტუალში „ძნობის“ დამკვიდრებისასარგებლოდ მეტყველი წერილობითი წყაროების გვერდით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ფრესკული მხატვრობის შესანიშნავ ძეგლს — სვეტიცხოვლის (მცხეთის) კათედრალური ტაძარი) სამხრეთ კედელზე გამოხატული კომპოზიცია — „ყოველი არსი აქედგეს უფალსა“ (ფსალმუნის თემაზე).

მეცნიერულ ლიტერატურაში „სამაიას“ სახელწოდებით ცნობილი ეს კომპოზიცია ქალთა რიტუალური ფერხულის გამოსახულებას იძლევა. აქ, ბუნებრივია, იხადება კითხვა: თუ იგი რელიგიური შინაარსის ფერხულის — „ძნობის“ გამოხატულებას წარმოადგენს, რატომ ხდება მისი ასოკრება წარმართული ხანიდან მომდინარე ისეთ ფერხულთან, როგორიც არის „სამაია“.

პასუხი ერთია: ფრესკის შემომქმედი სინამდვილის ფაქტს ანზოგადებს. ადასტურებს იმ უდავო კემშარტებას, რომ ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ შეიგუა და თავის რიტუალში გარკვეულ პერიოდამდე შეინარჩუნა სინკრეტული ტიპის ქანრი „ძნობა“. ცხადია ისიც, რომ ქალთა რიტუალური ფერხულის ფრესკულ

¹ ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა“, გვ. 229.

² „ქართლის ცხოვრება“, 1942 წ. გვ. 226.

³ Т. Ливанова. «История Западно-европейской музыки», гв. 146.

⁴ იხ. პ. ინგოროყვა, „გ. მერჩულე“.

მხატვრობაში აღბეჭდვის იდეა შეიძლება და წარმოშობილიყო მხოლოდ და მხოლოდ „ძიობის“ საეკლესიო რიტუალში დავების ხანაში (ე. ი. უაღრეს 1103 წლის).

ყოველივე ამის შემდეგ ვასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული მრავალხმიანობის წარმოშობის პრობლემის გადაჭრისათვის იმის დადგენას, რომ VIII-IX — ს. ს. მიწაზე საკულტო მუსიკის სფეროში გატარებული რეფორმა სამხმიანობის კულტივირების პირობებში ხორციელდება. ცხადია, ასეთ პირობებში წამოიჭრება პრინციპული ხასიათის კითხვა: გვაძლევს თუ არა წერილობითი წყაროები ქართული მრავალხმიანობის არსის შეცნობის შესაძლებლობას?

ამ კითხვებზე პასუხის ვასაგებად დაგვიჩვენებს ი. პეტრიწის ზემოთ უკვე მითითებულ ცნობაზე დაყრდნობა, ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს მეორე ციტატი აღნიშნული შრომიდან, აქედ ლაპარაკია სამხმიანობის შესახებ: „იხილო მზახრსა ჟირსა და ბამსა ერთობა შეყოვლებიანაჲ“. ეს ფორმულირება უაღრესად საგულისხმოა იმის გამო, რომ სამხმიანობის პეტრიწისეულ განმარტებაში დამოწმებულია მრავალხმიანობის აღნიშნული ეროვნული ტერმინი — „ერთობა შეყოვლებისა“.

„ერთობა შეყოვლებისა“ — ასე ეწოდება აღნიშნულ ძეგლში სამი ხმის — „მზახრის“, „ჟირის“ და „ბამის დაბამის“, ანუ შეწყობის შედეგად წარმოქმნილ ჰარმონიას. მასადაამე, ქართულ მეტონიურებას მუსიკის შესახებ უკვე XII საუკუნეში გააჩნია მრავალხმიანობის აღნიშვნული ეროვნული წარმოშობის ტერმინი. ეს კი ამჟამად მიუთითებს მრავალხმიანობის კულტივირების ტრადიციის ხანდაზმულობაზე.

მაგრამ მარტოოდენ ამით როდი განისაზღვრება დასახელებული ტერმინისადმი ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოვლინებას, რომ ტერმინის — „ერთობა შეყოვლებისა“ წარმოშობა ქართული მუსიკალური ზაროვნების სისტემის ეროვნული თავისთავადობით არის განპირობებული. იგი მრავალხმიანობის არსის შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის და დასმული პრობლემის გადაჭრის პირდაპირ გზას გვიჩვენებს.

შეიკავს თუ არა ტერმინი „ერთობა შეყოვლებისა“ გავებას „ერთიანობისა“, რომელიც „დაპირისპირებულთა ერთიანობის“ საფუძველზეა აღმოცენებული? — აი საკითხი, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ქართული მრავალხმიანობის საწყისთა პრობლემის გადაწყვეტაში.

1. ი. პეტრიწი. „განმარტება პროკლესათს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიოსათს“, გვ. 217 (ი. პეტრიწი. შრომები, ტ. II, 1937 წ.).

ვიღრე აღნიშნული ტერმინის შინაარხის ამოკითხვას შევეუდგებოდით, აუცილებლად უნდა მივუთითოთ ერთ მერტად საგულისხმო პარალელზე, სახელდობრ, შემდეგვე წყაროში შეხედული ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც ქოს ი. პეტრიწის მიერ მოწოდებული განმარტება — „იხილო მზახრსა, ჟირსა და ბამსა ერთობა შეყოვლებისა უახლოვდება ანტიკური ხანის ბერძნულ სწავლებას „ჰარმონიის“ შესახებ. ზარის ვადმოცემის ვარგვანი ფორმით ბერძენ ფილოსოფოსთა ფორმულირებანი მართლაც ქმნიან ასეთ წარმოდგენას. ნიშნისათვის მოვიტანთ ციტატას არისტოტელეს „არითმეტიკიდან“, რომელშიაც „ჰარმონიის“ შესახებ პითაგორელთა სწავლების არსია ვადმოცემული. აქ ნათქვამია: „ჰარმონია სერთოდ დაპირისპირებულთაგან წარმოიშვება; ვინაიდან „ჰარმონია“ არის შეერთება სხვადასხვა შენარებისა და შეთანხმება სხვადასხვაგვარისა“ და პითაგორელები, რომელთა კვალსაც ხშირად მიჰყვება პლატონი, ამბობენ, რომ მუსიკა წარმოადგენს დაპირისპირებულთა ჰარმონიულ შეერთებას, მრავლის ერთიანობაში მოყვანას და სხვადასხვაგვარის შეთანხმებას“.

გაეხსენებთ ჰერაკლიტეს ცნობილ თეზისსაც: „უერთოვადაშორებულნი ხედებიან ერთმანეთს და სხვადასხვაგვარისაგან (ტონებისაგან) უშესანიშნავესი ჰარმონია წარმოადგება და ყოველივე ბრძოლის გზით წარმოიქმნება“. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უაღრესად საყურადღებო ვარგვობას, რომ ბერძნულ სინამდვილეში ტერმინი „ჰარმონია“ პირველად მუსიკალური ზაროვნების კანონზომიერებათა ახსნის მიზნით იქნა ხმარებული, ხოლო შემდეგ ზოგადფილოსოფიურ ცნებად იქნა აყვანილი, შესაძლებელი გახდება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ეროვნული მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ქართული ფილოსოფიური ზარი ერთმანეთისაგან ან სხვაგვარად ტერმინის — „ჰარმონია“, როგორც ზოგადფილოსოფიური კატეგორიის და, როგორც მუსიკალური ზაროვნების არსებითი პრინციპის გამომხატველი ცნების — გავებას.

რას ემყარება ჩვენი ეს მოსაზრება? იმ უღავეო ჰეშპირიტებას, რომ ანტიკური ხანის ბერძნული ფილოსოფიის მონაწილართა შემოქმედებითად ათვისების პროცესში ქართული ფილოსოფიურ ზარს უყურადღებოდ არც ის პრობლემები დარჩებოდა, რომლებიც უშუალოდ ხელოვნების თეორიის სფეროს ეხება.

ამ ზარის დასადასტურებლად კვლავ იოანე პეტრიწის ცნობა დამოწმება დაგვიჩვენებს. მის შინაარსში ღრმად ჩაწვდომა ცხადყოფს, რომ „ჰარმონიის“ შესახებ ბერძნულ სწავლებასა

ზნია იაშვილი
პართული მრავალხმიანობის საწყისები

და ქართული მრავალხმიანობის არსზე მომდევრებას შორის სრულ თვისობრივ სხვაობას აქვს ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ფილოსოფოსი შეგნებულად არ აუღელია გვერდს ტერმინს „პარმონია“-ს და „დაბირისპირებულთა ერთიანობის“ ცნებას არ გაიგივებდა ერთვნილი წარმოშობის ტერმინთან — „ერთობა შეყოველებისა“.

თუ გავისვენებთ იმ ფაქტს, რომ ბერძნული ფილოსოფია ტერმინ „პარმონიას“ „სინფონიის“ ანუ კეთილზმოვანების ცნებასთან აიგივებს, ცხად ვახვდება შემდეგი: ი. პეტრიწი ერთმანეთისაგან ანსხვავებს „პარმონიას“, როგორც ზოგადფილოსოფიური ტერმინის, და როგორც კონკრეტული მნიშვნელობის (მუსიკის სფერო) შემცველი ცნების შინაარსს. (ს. საბა — სიმღერა — მსოფლიო ხმოვანება — გვ. 318. აქაც ზოგადთან გაიგივება). მაშასადამე, მან უღაღოდ იცის, რომ ბერძნული მონოდიური კულტურის (ერთხმიანობა) პირობებში „სინფონიის“ ანუ კეთილზმოვანების შეგარჩნება ინტერვალის აღქმიდან იშვეება. ე. ი. ბერძნული ტერმინი „პარმონია“ ამ სიტყვის თანამედროვე გაგებას არ შეიცავს.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ი. პეტრიწი „ერთიანის“ ცნებაში თვისობრიობის გაგებას აქსოვს, ე. ი. აკორდული ვერტიკალის გარჩობაზე მიუთითებს.

მაშასადამე, ბერძნულ ტერმინს „პარმონიას“ გვერდს უვლის ეროვნული მუსიკალური აზროვნების კანონზომიერებიდან გამომდინარე.

აქ ინტერესმოკლებული არ იქნება ამ ძველქართული ტერმინის შედარება თანამედროვე ქართულში დამკვიდრებულ ტერმინთან — „მრავალხმიანობა“. თუ ამ უკანასკნელის ძველქართულ მანერაზე „ტრანსფორმირებას“ მოვახდენთ, იგი შემდგენიარად წარმოგვესახება „ერთიანობა მრავლისა“. ამ დაპირისპირებულად ცხადად ჩანს, რომ მრავალხმიანობის არსზე ყოვლისმომცველ წარმოდგენას სწორედ ძველქართული ტერმინი იძლევა, ვინაიდან ტერმინში „ერთობა შეყოველებისა“ ქართული მუსიკალური აზროვნების არსებით თვისებაზე — ხმათა ვერტიკალში კონსტრუირების, ანუ „შეყოველების“ ფაქტზეა მიითითებული. „ერთობა შეყოველებისა“ თვისობრივობის აღმნიშვნელი ცნებაა, იგი რაოდენობრივად თვისობრივში გაღაზრდის რთული პროცესის კანონზომიერებათა შეცნობის შედეგად წარმოქმნილ ტერმინად წარმოგვიდგება.

აქ ზედმეტი არ იქნება სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ მოცემულ მთელრიგ განმარტებათა მოტანა, რომლებშიაც ტერმინი „მრავალი“ რაოდენობრივობის აღმნიშვნელ ცნებად მოჩანს და არა თვისობრივობისა. აი ეს საბუთებიც: „ზრიალი“ — საზარელი მრავალქმოვანობა, „დგრიალი“ — მრავალ ფერქის-

ქმაჲ. ეს ტერმინები არანაკლებ ყურადღებებს იქცეეს სხვა მხრივაც, განსაკუთრებით „დგრიალი“, რომლის ძირიც არის „დგრიალი“ და „მრავალი“ მელსაც საბა განმარტავს, რუკითავე ცხადებს ქმას“ (იხ. „სიტყვის კონა“, გვ. 97). თუ „დგერისა“ და „დგრილისა“ აქ მოტანილ განმარტებებს სულხან-საბა მიერვე განმარტებულ ჩვენთვის ამდენადვე საინტერესო კიდევ ერთი ტერმინის — „ბგერის“ ახსნას შევადარებთ, მივიღებთ მრავალხმიანობის საწყისთა „საფერხლო ქმედებაში ჩვენი თვალსაზრისის დამადასტურებელ ძიების მრავალმეტყველ საბუთს. აი როგორ აქვს განმარტებული ეს უკანასკნელი ს.—ს. ორბელიანის: „ბგერა—ფერქის სვლის ქმაჲ („სიტყვის კონა“, გვ. 47). ამ მოკლე, მაგრამ საკითხის არის ღრმა ცოდნით მოცემულ განმარტებაში კიდევ ერთხელ ვლინდება დიდი ქართველი მოაზროვნის მაღალი პროფესიული მუსიკალური კულტურა და ეროვნული მხატვრული შემოქმედების ათასწლოვანი ტრადიციითა წარმომავლობის მკვიდრი ცოდნა. ამ მხრივ იგი, როგორც ითქვა, ქართული მეცნიერული აზრის განვითარების იმ მაგისტრალურ ხაზს მიყვება, რომელსაც ეროვნული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე ი. გ. ხანძთელი (VIII—IX საუკ. მიჯნა), მიქაელ მორტეკელი (X ს.), იოანე პეტრიწი (XII საუკ.) და არსენ იყალთოელი უყრიან საფუძველს. ამ დიდი მეცნიერული კვლევის გზაზე სულხან-საბა ორბელიანის მიერ მოცემულ თეორიულ ნაზრებს, რომლის გამობატლებადაც უნდა იქნას აღქმული მის ლექსიკონში მოტანილ მუსიკალურ ტერმინთა განმარტებანი, განსაკუთრებული და, ვიტყვოდით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მრავალხმიანობის ფორმათა ჩასახვისა და განვითარების საკითხის კვლევაში. ისინი ქართული მრავალხმიანობის საწყისთა „საფერხლო ქმედების“ „საფერხლო წყობის“ წიაღში ჩასახვაზე მიგვიანშვებენ და ხმათა „ვერტიკალში“ შეყოველების პრინციპის „დასაბამიერიდან“ მომდინარეობას ადასტურებენ. ე. ი. ადასტურებენ ამ მხატვრული ტრადიციის ხელოვნების აღრინდელი სინკრეტის ხანიდან კულტივირებას. ყოველივე ამის შემდეგ ღრმა აზრი ენიჭება ქართული წერილობითი წარმოების შესწავლის შედეგად გამოვლინებულ ქვემოთმოყვანილ ფაქტებს:

1) როგორც აღრინდელი შეასაუკუნეების, ისე გვიანფეოდალური ხანის ქართული წერილობითი წყაროები (მ. მორტეკლის კრებული, ი. პეტრიწის „განმარტებაჲ... პროკლესტის დიაღობოსისა და პლატონურისა ფილოსოფისათს“ არს. იყალთოელის „ანდრეი“, ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“) შეურყვევლ საბუთებს გვაწვდიან ძველ ქართულ პროფესიულ მუსიკაში მრავალხმიანობის უკვე VIII საუკუნეზე უადრეს ხანაში არსებობის შესახებ.

2) ქართული მრავალხმიანობის „დასაბამიერ“ ხასიათზე მიუთითებს ძველ-ქართულ პროფესიულ-მუსიკაში (საკულტო მუსიკაში) ორი ჟანრის — „საგალობლის“ და „ძნობის“ პარალელურად არსებობა, ე. ი. საგალობლის გვერდით ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის ხანის აშკარა გადმონაშთის „ძნობის“ არსებობა.

3) ქართული მრავალხმიანობის, როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე მოვლენის „დასაბამიერ“ ხასიათზე მეტყველებს VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე გატარებული რეფორმის მიზანდასახულებაც.

„როკვის“ რიტმისაგან „განწმენდილი“ თვისობრივად ახალი ჟანრის „საგალობლის“ დამკვიდრებით გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა ხალხური შემოქმედების წიაღიდან პროფესიული მუსიკის წარმოდგომის პროცესის დასრულების გზაზე.

4 VIII—IX ს. ს. მიჯნაზე გატარებული რეფორმა მრავალხმიანობის კლასიკური ტიპის — სამხმიანობის სტადიაზე ხორციელდება. აღნიშნულ თვალსაზრისის განამტკიცებს ის ფაქტი, რომ მ. მოდრეკილის კრებულის და ყველა სხვა დანარჩენი ქართული ნოტირებული ხელნაწერის (X—XI საუკუნეები) ძირითად ტანს გრ. ხანძთელის „საწელიწადო იადგარი“, ანუ „ძლისპირთა“ კრებული წარმოადგენს.

5) ქართული მრავალხმიანობის „დასაბამიერი“ ხასიათის შესახებ მეტყველებს ამ მოვ-

ლენის აღმნიშვნელი ძველ-ქართული ტერმინი „ერთობა“ შეყოვნებისა“, რომელიც შეიცავს „დაპირისპირებულთა ერთიანობის“ საფუძველზე წარმოქმნილი „ერთობის“ გაგებას. ტერმინი დამოწმებულია XI საუკუნის შეგნების

6) „დაპირისპირებულთა ერთიანობის“ გაგების შემცველი ქართული ცნება — „ერთობა“ შეყოვნებისა“ ბერძნულ ტერმინ „ჰარმონიაში“ ნაგულისხმევი მოვლენისაგან თვისობრივად სრულიად განსხვავებულ მოვლენას აღნიშნავს.

7) ძველ-ქართულ ტერმინში — „ერთობა“ შეყოვნებისა“ ქართული მუსიკალური აზროვნების არსებით თვისებაზე — ხმათა „ვერტიკალში“ კონსტრუირების, ანუ „შეყოვნების“ პრინციპზე მითითებას აქვს ადგილი.

8) ქართული მრავალხმიანობის ჩასახვისა და განვითარების გზა რაოდენობრივობიდან თვისობრივობაში გადაზრდის პროცესად წარმოგვიდგება, სადაც „ვერტიკალში“ აზროვნების პრინციპი უკვე ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის სტადიაზე კულტივირებული პრინციპის სახით მოჩანს.

9) ევოლუციის ეს დიდი პროცესი „საფერხულო წყობის“ ფარგლებში, ე. ი. „საფერხულო ქმედების“ წიაღში მრავალხმიანობის უკვე „კულტივირებული“ არქაულ ფორმებში აღბეჭდილი ტენდენციის — „წინამძღვარი ხმის“ ანუ „ძლისპირის“, როგორც კონსტრუქციული ელემენტის წინ წამოწევის გზით მიემართებოდა.



ახვონ ზონიჩი

სანიმუშო სკოლა

მშობელთა ერთ-ერთ კრებაზე ახალგაზრდა და ენერგიულმა მასწავლებელმა კოკოშკინსკაიამ წინადადება წამოაყენა, რომ სკოლა (რომელშიც ჩემი პატარა გოგონა ნიკოლინკაც სწავლობს) ჩაებას „სანიმუშო სკოლის“ წოდებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ, მშობლები ისე დაუფიქრებლად დავთანხმდით ამ წინადადებას, თითქოს რომელიღაც ქარაფშუტა გიმნაზიელები ვყოფილიყავით. და აი მეორე დღესვე უკვე ვიგემეთ პირველი სურპრიზების საამო განცდა, ენთუზიასტმა მასწავლებელმა რომ მოგვიმზადა. მან ბავშვებს უბრაძანა მოეტანათ სკოლაში შემდეგი ნივთები: წიგნები სკოლის ბიბლიოთეკისათვის, ცარიელი ბოთლები, ფული საკლასო ოთახის ქერის თაბაშირით მოსაძიქრად, ფული სასკოლო სპექტაკლების დეკორაციებისათვის და ეროვნული კოსტუმები მოცეკვავეთა თვითმოქმედი ანსამბლისათვის. ამას გარდა, ყოველ მოსწავლეს უნდა მოეტანა რაიმე ნივთი სკოლის ლატარისათვის და შეეძინა ამ ლატარიის სულ მცირე სამი ბილეთი.

ასე იყო თუ ისე, ჩვენ შედარებით იოლად გავუსწორდით ამ პირველ დავლებას. როდესაც მე ჩემს ორ ცოლისდასთან და მეუღლესთან ერთად ნიკოლინკას სკოლაში წიგნებისა და ცარიელი ბოთლების წაღებაში მოვეხმარე, შევხვდით მოუსვენარ ამხანაგ კოკოშკინსკაიას.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — მხიარულად მოგვესალმა იგი და გონებაში ბოთლები გადაათვალი, — თექვსმეტი არყისა და სამი დუღისა... ჩინებულთა! პირველი ორი სახეობის მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ უკვე გავუსწარით, როგორც პეტლეშკოვის სახელობის,

ისე ალექო კონსტანტინოვის სახელობის სკოლასაც... მორთვაშიც ვაჯობებთ!.. ჰო, მართლაც ნიკოლინკას არაფერი უთქვამს?

— რაზე? — ვკითხე მასწავლებელს.

— ალბინარიუმს ვაკეთებთ! — მასწავლებელმა აღტაცებით შემოჰკრა ხელი ხელს, — შუაში პატარა ტბა იქნება... მაგრამ მშობლებმა უნდა მოიტანონ ყვავილები და ქვები მახლობელ მთაგრესილიდან... ორ მშობელს შეუძლია ერთი საერთო საზიდარა დაიჭიროს... ალბათ თქვენ, ამხანაგო ბელმუზოვ, ამ საქმეში ერთ-ერთი პირველთაგანი იქნებით... მე დიდ იმედს ვამყარებ თქვენზე!

განა შეგვექლო იმედი გავგეცრუებინა ისეთი ენთუზიზმით სავსე ადამიანისათვის, როგორც ამხანაგი კოკოშკინსკაიას, ჩაგვეკლა მასში ახალი ადამიანისადმი ნათელი რწმენა? ცხადია, არა! ამიტომ, სწორედ პირველი გამოცხადი და საზიდარით მივიტანე ორი, უზარმაზარი, ოქროსფერი ლოდი ვიტრის მთიდან, ხოლო უფრო მომცრო ქვები ზურგჩანთით მივზიდე — ეს ყოველდღე სკოლის ალბინარიუმისათვის.

მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ ამით დამთავრდა საქმე, სასტიკად ცდებით! შემდეგ კვირასვე ჩვენი სკოლის „სანიმუშოება“ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა — პეტლეშკოვლებს ის-იყო უნდა გავსწროთ ჩვენთვის.

ამიტომ საჭიროება მოითხოვდა, ჩვენ, შეგნებულ მშობლებს უფრო ქმედითი მონაწილეობა მივეცელო შევიზრებაში. კოკოშკინსკაიას უშუალო მითითებით მივალწიეთ ჩვენი საყვარელი სკოლის საუკეთესო შედეგებს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ა) სკოლის მხატვრულად გაფორმებასთან

დაკავშირებით — თვითელმა მშობელმა იყი-
და და მოიტანა სკოლაში ყვავილების სამი ქო-
თანნი, ხოლო მე, ნიკოლაიჩიკის მამასა და ტა-
ნეჩკას მამას (პირველი კომპოზიტორია, მეორე
კი — რესტორნების მმართველი) გვთხოვეს,
ამას გარდა გვეყიდა თითო ლიმონის ხე, ან
ფიკუსი (მე მინც კმაყოფილი დავრჩი, რომ
მასწავლებელს აზრად არ მოუვიდა ფინიკის
პალმა ეთხოვა);

ბ) ხელგარჯილობის კაბინეტის დაარსებას-
თან დაკავშირებით მშობლებმა შეაგროვეს
ფული სახარატო დაზგისათვის, ხოლო ჩვენ
სამმა (მე, კომპოზიტორმა და რესტორნების
მმართველმა) მასწავლებლის დაბეჭდვითელი
მოთხოვნით ვიყიდეთ კიდევ ტეპინგი — მან-
ქანა. ამისათვის მე ჩემი მაცივარი და ნახი
გავყიდე, კომპოზიტორმა — პიანინო, ხოლო
რესტორნების მმართველი მთელ კვირას წყალს
არაყად ასაღებდა.

შევიბრებამი ყოველ მიზნს გარეშე პირვე-
ლი ადგილის დაკავების აუცილებლობასთან
დაკავშირებით — ჩვენი გუნდის მშობლები
ამხანაგ კოკოშკინსკაიას მითითებით უნდა
დახმარებოდნენ სკოლას ეზოში ზოოლოგიუ-
რი კუთხის მოწყობაში. საჭირო იყო ყოველ
ჩვენგანს მოეყვანა თითო გველი, ოთხი ოქროს
თევზი, ერთი ჰოტი (ეს უკანასკნელი სურვი-
ლის მიხედვით შეიძლებოდა შეცვლილიყო არ-
წივით ან გარეული თხით) და ორ-ორი ზღარ-
ბი (აუცილებლად დედალ-მამალი).

ყველაზე მეტად ზღარბების გამო გავწვალ-
დით. ჩემი მორიგი შეგებულება გამოვიყენე და
ბოლოს და ბოლოს ერთბაშად მივაგენი
ზღარბთა ოჯახს და ცხრა ცალი წამოვიყვანე.
ჩემი სალუქი, კანცელარიაში განაზებული და
გასათუთებული თითები მტკივნეულ ეკლებს
არ მოვარიდე და გულმოდგინედ შეეცადე,
ამ ცხოველთა სქესი დამედიანა. ჩემდა საუბე-
დუროდ, ცხრავე დედალი აღმოჩნდა. და ძე-
ვა განვაგრძე მანამდე, სანამ ბოლოს და ბო-
ლოს ანგარიშით ოცდამეგრე ზღარბი მამრო-
ბითი სქესის წარმომადგენელი არ გამოდგა.

მე ვფიქრობდი, რომ ამით ყველაფერი მორ-
ჩებოდა და შევიბრებამი პირველ ადგილს ჩვენ
მოგვაკუთვნებდნენ. მაგრამ ერთი კვირა არ
იყო გასული, რომ ამხანაგმა კოკოშკინსკაიამ
მშობლები ახალ საგმირო საქმეებზე გაგვიწ-
ვია. სხვათა შორის, მისი ხმა ჩვენზე ბუქსა
და ნაღარასავით მოქმედებდა, ბროლაში რომ
უხმოხს. და ჩვენ არც ერთი მისი სურვილის
უკუღებულყოფა არ შეგვეძლო; გავიხსენებ
ზოგიერთ მათგანს. (თუმცა არა ანბანური რი-
ვით):

1. 22-ე პუნქტის მიხედვით ყოველმა მოს-
წავლემ ვაჟმა, ან მოსწავლემ გოგონამ უნდა
მოუაროს რომელიმე ახლო-მახლო მდებარე
კომპერატული-სამიწადმოქმედო მეურნეობის

გოქს. ამიტომ მე ყოველდღიურად მუშაობის
შემდეგ დაგხეტიალობ ტყეში და რკოს ვაგ-
როვებ. დილას კი, ოდნავ ინათვეს (რეგულარ-
ულად) და მიეჭრი სოფელ დრავლოვცში,
რომ გოქი გამოვკვებო.

გოქმა წონაში 800 გრამი მოიმატა და ეს
დამიჯდა იტალიის ძალუებისაგან ოთხჯერ და-
ბენა და ერთი ბულა-ხართან გასწრებაზე სა-
შინელი სირბილი.

2. 67-ე მეხლის მიხედვით — ჩემს ნიკო-
ლინკას ოქროს თევზების გამოსაკვებად დილ-
დილობით რწყილი უნდა მიეყვანა. პირველ
ხანებში ვყიდულობდი ხოლო, მაგრამ ბოლო
დროს ეს რწყილება გაძირდა და გადაწყვი-
ტე, თვითონ მომეშენებინა. ამისათვის ვიშოვე
ქეჩა და ვზრდი ჯიშთან რწყილებს;

3. ამხანაგმა კოკოშკინსკაიამ იდეა წამოაყენა,
დაარსდეს სასულე ორკესტრი, თან თითოეულ-
მა კლასმა შეიძინოს თითო მუსიკალური ინს-
ტრუმენტი. მე დამეკისრა კონტრაბასის შე-
ძენა, რის გამოც მომიხდა ინვესტიციონის ბან-
კიდან ფული გამომეტანა, ბინის ასაშენებლად
რომ ვაგროვებდი. რესტორნების მმართველის
მოვალეობას დიდი დაფადების ყიდვა შეად-
გენდა. ხოლო კომპოზიტორი ნიკოლაიჩიკის
მამა აშკარად სასწავლებლები გადარჩა. მან
სიღარიბის მოწმობა წარმოადგინა და ნება
დართეს დირიჟორის ჯიხის ყიდვით შემოსაზ-
ღერულიყო.

ამ ეპოპის დასასრული ჯერ შორის არის. თუ
დაუფერებთ შევიბრებების ინიციატორი მასწავ-
ლებლის სიტყვებს, არავითარი მოულოდნელო-
ბა არ იქნება, თუ პეტლუშკოველები მალე და-
იწყებენ ჩვენს დაწევას.

წლის მეორე ნახევარში იგი ახალი იდეით
გამოიბრა. „დაიწყოს საკუთარი კინოთეატრისა
და თორმეტათას ადგილიანი სასკოლო სტა-
დიონის მშენებლობა. გამოყენებული იქნას
მშობელთა ნებაყოფლობითი ფინანსური შრომა.
მისი სიტყვებით, თუ ამას შევასრულებთ,
შევიბრებამი პირველი ადგილი თითქმის უზ-
რუნველყოფილი გვექნება. განსაკუთრებით
თუ ამხანაგი ბელმეზოვი (აქ მან ალერსიანი
შებრა მტყორცნა) მოახერხებს იშოვოს სკო-
ლის ალბინარუმის ტინისათვის უქიდურეს შემ-
თხვევაში ორი-სამი თეთრი დაფი“.

არ ვიცი, როგორ მოვიტყე. იქნებ მივლინება
ვითხოვო ჩრდილო პოლუსზე? ანდა, ნიკოლინ-
კა ვადავიყვანო სხვა სკოლაში, რომელიც
პრეტენზიას არ აცხადებს „სანიმუშოს“ წოდე-
ბაზე. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ისეთ
სკოლაში მინც მოვახვედრო, სადაც ცენე-
რისტების, მხატვრებისა და რესტორნების დი-
რექტორების შვილები სწავლობენ?

ანბონ ბონიჩი

სანიმუშო სკოლა.



ნუნარი მეზობელი

ამ ცოტა ხნის წინ ახალ ბინაში გადავედი. ბატონმა მარლოვემ, მოწყალე ბედმა მეზობლად რომ მომივლინა, პირველსავე დღეს თავი გამოიჩინა, როგორც წყნარმა და დარბაისელმა მოზინადრემ. ყოველი ჩემი შიში ამოა გამოდგა. ახალ ბინაში გადასვლამდე, მოლოდინსგან ძილატეხილი, ღამით მომავალ მეზობლებზე ვფიქრობდი: ხომ შეიძლებოდა ჩემს გვერდით შეესახლებინათ მრავალშვილიანი ოჯახი, გაუთავებლად მოკაამთე ცოლ-ქმარი, ანდა კონსერვატორიის სტუდენტი, რომელიც როიალსა თუ საყვირზე უკრავს.. მადლობა ღმერთს, რომ ბატონი მარლოვე უცოლშვილო კაცი იყო, ხელოვნებათმცოდნე. სრულიად განმარტობული დინჯი და უშფოთველ ცხოვრებას ეწეოდა.

პირველი კვირის განმავლობაში მისი ბინის თხელი კედლებიდან ისმოდა მხოლოდ მსუბუქი ჩახველების, დილაობით პირის ბანვის დროს ყელში წყლის გამოვლებისა და მალეიარა საათის მომართვის ოდნავი ხმა.

ერთ საღამოს აღრე დაეწევი დასაძინებლად და უცებ კიბეზე ისეთი საშინელი ხმამაღრი ვაისმა, თითქოს სადარბაზოს კარში ერთ დუჟინამდე მთვრალი მეზღვაური შემოვარდნილიყო, ჩემდა განსაკვიფრებლად ამ მყვირალა ბრბომ ჩემი მეზობლის ბინაზე დაერკა. ვიფიქრე უთუოდ მომეჩვენა-მეთქი. ჰო, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ გაუგებრობა შეიძლებოდა ყოფილიყო. გუნებაში გავივლი: აი ახლა, ბატონო მარლოვე კარს გაღებ, ეტყვის, შეწყვიტონ ეს აშკარად უხამსი ხმაური და... წესრიგის დამრღვევეს სახლიდან გაყრის. თავივით გასუსული ვიწევი ლავინში და ყურს ეუფდებდი. ბოლოს ბატონმა მარლოვემ კარი გააღო. ვილაკამ მქუხარე ხმით შესძახა: „სალამი ბებერო არამზადა! როგორ არის საქმე, ბოთლები უკვე ჩააციე?“

შმაგი კომპანია ოთახში შევარდა. მერე კი დადგა ჩემს სიოცხლში ყველაზე მშფოთვარე ღამე.

ყველა ვინც მე მიცნობს, ისიც რომ უემუური ხასიათით არ გამოვიჩნევი. მაგრამ ჯოჯოხეთურ აურზაურს, რომელიც კედლებს იქით დაიწყო და ყოველ საათს უფრო და უფრო ძლიერდებოდა, არ შეიძლებოდა ჩემში კანონიერი აღშფოთება არ გამოეწვია, ეს, უბრალოდ, არაადამიანურობა იყო. ვითომ მთელი სიმძლავრით ჩართული რადიო არ ეპაროდა, რომ სამი სტუმართავანი მის ტაქტს ქაბაბის

სახურავებისა და ტაფების რაკუნით არ აწყოლოდნენ. დანარჩენები, რამდენადაც შემქლო მევიარადა, ამ დროს ერთმანეთს მიზანის სროლაში ეჯიბრებოდნენ და ცდილობდნენ ფანჯრის მინებისათვის ყვავილების ღარნაკები მოეხვედრებინათ. თანაც ეს ყველაფერი პირველი ბოთლების გახსნამდე დიდი ხნით აღრე ხდებოდა.

„ახლათ დაბადების დღეს თუ ზეიმობს, — ვცდილობდი გამემართლებინა მეზობელი, — ხვალ დილას მოვა და ბოდიშს მომიხდის.“

მაგრამ დილამდე ჯერ შორს იყო. ღამის თორმეტ საათზე აღტაცებულმა ყოყინამ ახალი სიურპრიზი მაუწყა: ეტყობოდა, ერთდროულად ორმოცამდე შამპანურს მოაძრეს საცობი, განსმა გულის წამლები ტაკატუტეცი, რომელსაც შიგა და შიგ ქვემეხიდან გასროლის გამაყრუებელი ხმა ერთვოდა.

კედელზე მორიდებით მივეუყაყუნე. ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ერთ-ერთი სტუმართავანი, ეტყობოდა, პიროტექნიკოსი იყო. ამას იმით მივხვდი, რომ მარჯვედ იცავდა ინტერვალებს აფეთქებათა შორის. ჩემი მეგობარი პუგოც პიროტექნიკოსია. არც ის არის ამ საქმის ნაკლები ოსტატი... შემდეგ, როცა მთელი დენთი გამოვლიათ, მამაკაცური, ხრინწიანი ხმით ერთხმად მშვენიერი სიმღერა წამოიწყეს: „ცხენებზე ჩემო მეგობრებო, წინ, მეგობრებო, წინ..“ ეს სიმღერა განა არ მიყვარს, მაგრამ... კედელზე მაინც ისევე დადაკაუნე. ახლა, ეტყობოდა, სკამებზე გადამჯდარი სტუმრები მაგიდის ირგვლივ პენაობას შეუდგნენ. მოუსვენრობა დამეუფლა, ვაი თუ კედელი ჩამოინგრეს და ჩემი კაჟუნის ხმა ვეღარ გაიგონ-მეთქი.

ყურებში ბამბა ჩავიტენე. „აღლევება რა საჭიროა, — ვამშვიდებდი საკუთარ თავს, — ზოგჯერ შენც ხომ გყავს ხოლმე სტუმარი. მართალია შენს მეგობრებს უფრო წესიერად უჭირავთ თავი, მაგრამ... რა ვუყოთ!..“

შუალამისას, სამ საათზე რომელიღაც სტუმარს აზრად მოუვიდა ფენხურთის თამაში მოეწყო და ბურთის მაგივრად ჩაიღანი გამოეყენებინა. ეს ორიგინალური იდეა მაშინვე განახორციელეს. ყოველი გოლი ერთის მხრივ ტაშის გრიალს იწვევდა, მეორეს მხრივ მგზნებარე პაროტესტებს. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მოთამაშეებს წამალუქუმ შამპანურის ბოთლების გახსნაში. ისეთი შთა-

ბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვაფთრებულ-
ლი ბრძოლა მიმდინარეობდა.

ჩამდენადაც, მგონი უკვე ვთქვი, მთელ ლა-
მეს არ მეძინა, იმდენად ჩემი რისხვა ყოველ
საათს იზრდებოდა. ოდნავ რომ ინათა, მზია-
რულებამ ჩემს მეზობელთან თავის უმაღლეს
აპოგესს მიაღწია. თუ აქამდე, მიუხედავად
მთ მთიერ ატეხილი უაღრესად უხამსი ღრიალ-
ცელისა, ცოტაოდენი წესრიგის მსგავსი რამ
მანინც იგრძნობოდა, ახლა ეს სტუმრები სულ
გათაჯნდნენ, ყველამ აღვირი აიშვა. ერთმა
მონოტონურად „ლა-პალმოს“ სიმღერა წამო-
იწყო და დამთავრება აღარ აღირსა. მეორე —
საპირფარეშოს საჯდომ ფიცარზე რკინის რა-
ლოც საგნით კაკუნს შეუდგა, მესამემ მეოთხეს
გაუთავებელი კამათი დაუწყო იმაზე, არის
თუ არა სახმრთ პოლუსი სრულიად დაპირის-
პირებული ჩრდილო პოლუსთან. მეტის მოთ-
მენა აღარ შემემძლო: წამოვდექი, რაღაც მო-
ვიხურე და მეზობლისაკენ ვავემართე.

კარი მაშინვე გაშიღო. ჩემდა განსაცვიფრებ-
ლად საკმაოდ ფხიზელი გამომეტყველება
ჰქონდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო მარლოვე, —
მივესალმე გესლიანად.

მან საღამზე საქციელწამხდარი თავაზიანო-
ბით მიბასუხა. ჩამდენადმე უცნაურად მეჩვენ-
და მისი ტანსაცმელი — პიჯამო ეცვა.

— მომიტევეთ, რომ შემოგეჭვრით, — და-
ვიწყე მე. მხოლოდ არ იფიქროთ, ბაიყუში ვი-
ყო. მეც მყავს ზოგჯერ სტუმრები...

— დიცი, — როგორც ყოველთვის ღიმილითა
და მოკრძალებით შენიშნა ჩემმა მეზობელმა.

— მაგრამ ეს ხმაური, — განვაგრძე, —
პირდაპირ აუტანელია, თან წინა ღამის უძინა-
რიც ვარ...

— მგ უკვე, როგორც მოგხსენებათ, ჩემი

ბრალ არ არის, — მომიგო მეზობელმა ღი-
მილით. ესეც არ იყო, მეც შევიხუტე
მდგომარეობაში ვარ.

მისმა სიმშვიდემ, ცოტა არ იყო, საგონე-
რილში ჩამავლო, რადგან ხმაურმა ბინაში ახა-
ლი ძალით იფეთქა, თურმე გადაეწყვიტათ
მთელი ავეჯი გადაედგათ და ადგილი გავთავი-
სუფლებინათ აზიური ხალხური ცეკვებისათვის.
მე ვკითხე:

— ბატონო მარლოვე, შეიძლება გთხოვოთ,
რომ ბინაში ხმაური მოსათემენ ზომამდე შეამ-
ციროთ?

— ინებეთ, გეთაყვა, — თავაზიანად მომიგო
მან.

ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და ოთახის კარი
გაღო.

თმები ყალყზე დამიდგა. რა არის ეს, ცხადია
თუ სიზმარი? იქნებ რომელიღაც ბოროტმა
სულეებმა გადაწყვიტეს გავემასხრებინე. ან
იქნებ, ჩემი სერიოზული მეზობელი იყო და-
კავშირებული საიქაო სამყაროსთან?

ოთახი ცარიელი იყო. ვიღაც უხილავი კი
ცეკვავდა, მღეროდა, ღრიალებდა, ბოთლებს
ისროდა და კედლებს უტყავებუნებდა. ამ დროს
ბატონი მარლოვე კუთხეში მდგომ მაგნიტო-
ფონთან მივიდა და გამოართო.

— როგორ? — წავიდუღუნე და თან ბუნ-
დოვნად მახსენდებოდა საქმის ვითარება, —
როგორ, ბატონო მარლოვე?!

— იმედია, ნაწყენი არ დამჩრებიოთ, ძვირფა-
სო მეზობელო, — ზრდილობიანად მითხრა ბა-
ტონმა მარლოვემ, — გუშინ გადავწყვიტე ახა-
ლი მაგნიტოფონი შემემოწყებინა, თქვენ მე-
გობრებთან ერთად დროს ისე საამურად ატა-
რებდით, რომ მომინდა თქვენთვის სამახსოვ-
როდ ეს ჩანაწერი მოემზადებინა. თუ გასურთ,
სიამოვნებით გაჩქებთ ფირს...

ბერმანულიდან თარგმანად
ზოთა ამირანაშვილმა.





აშშ

ცნობილი კინომსახიობის სიკვდილი

58 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი, რომლის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში შექმნილი მრავალი პოპულარული ფილმი. რობერტ ტეილორი — ვაჟაკური გარეგნობის, დამატუვევებელი ღმილისა და მეტად სასიამოვნო ტემბრის მქონე მსახიობი — მისი პირველივე ფილმებიდან აღიარეს ჭაბუკთა როლების დიდებულ შემსრულებლად. იგი პარტიზორობდა პოლიველის ცნობილ ვარსკვლავებს. მისი ნამდვილი სახელია სპენგლერ ერლინგტონ ბრიუ. ტეილორი დაიბადა შტატ ნებრასკის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. თავდაპირველად სურვილი ჰქონდა ექიმი გამხდარიყო, მაგრამ მსახიობურმა გატაცებამ სძლია და თეატრალური სკოლის დამთავრების შემდეგ სცენას მიასურა.

1954 წელს 25 წლის ტეილორი პირველად მიიწვიეს ფილმ „კამილაში“ („ქალი კანელიებით“), სადაც ასრულებდა არმან დიუვალის როლს. განსაკუთრებული პოპულარობა ტეილორს მოუტანა ფილმში „ვატერლოს ხიდი“. მსახიობის დიდება წლითი წლობით იზრდებოდა და ბოლოს იმით დამთავრდა, რომ პოლი-

ვუდი ვერ მიატოვა და ბუღვარ სანსეტის მახლობლად „დამწვარ ვარსკვლავებთან“ ერთად მეთურნეობას ეწეოდა — ზრდიდა ცხენებს და ფრინველებს.

საინტერესო და ყველასათვის საყვარელი მსახიობი გარდაიცვალა ფილტვების კიბოთი.

პოპულარული მსახიობი ენტონი კუინი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა ფილმში „ბერძენი ზორბა“, კვლავ ითამაშებს ბერძენის როლს ფილმში „მეფის ოცნება“. ფილმი შექმნილია პეტრაკისის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ფილმს იღებს რეჟისორი დანიელ მანი. შინაარსი ასეთია: ჩიკაგოში მცხოვრები ლარიბი ბერძენი ემიგრანტი ცდილობს კაპიკი კაპიკს მიაწუროს, რათა შეაგროვოს საჭირო თანხა და ავადმყოფი ვაჟი სამშობლოში, საბერძნეთში წაიყვანოს. ქალის მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ინჰერ სტივენსი.

„სამშაროს მოწყვეტილები“

„სამშაროს მოწყვეტილები“ — ასე ეწოდება ფილმს, რომელსაც ამერიკელი რეჟისორი ჯონ სტერჯისი იღებს. სამი ამერიკელი კოსმონავტი, რომ-

ლებიც კოსმოსური დავალების შესრულების შემდეგ დედამიწაზე ბრუნდებიან, ვერ შემოდიან დედამიწის ატმოსფეროში. მათ დააღუპა ემუქრებათ. ამერიკელი და საბჭოთა მეცნიერები ყველა ღონეს მიმართავენ კოსმონავტების გადასარჩენად.


ფილმში კოსმოსური ხომალდის კაპიტნის როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი გრეგორი პეტი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

პრტი წიგნის რვა ავტორი

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბურზეიდეში მცხოვრებ ადვოკატს აიხზორნს ჰყავს შვიდი შვილი. აიხზორნს არასოდეს ჰქონია წიგნის დაწერის სურვილი. ადვოკატის მეუღლემ და მისმა შვიდმა შვილმა განიზრახეს, სისტემატურად ჩაეწერათ მათს ცხოვრებაში მომხდარი ყველა საინტერესო შემთხვევა და წიგნად გამოცდათ. ასეც მოიქცნენ. წიგნი, რომელიც რვა კაცის ავტორობით გამოვიდა, მოიცავს ყველა იმ სიხარულსა და ნაღველს, რაც მის ავტორებს განუცდათ.

გამოქვეყნებისთანავე წიგნმა მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ცნობილმა და-



სავლეთ გერმანელმა რეჟისორმა კურტ გოფმანმა გადაწყვიტა წიგნის ეკრანზე გადატანა და უახლოეს ხანში დაიწყებს კიდევაც გადაღებებს.

ასეთი დიდი წარმატებით აღფრთოვანებული და წაქეზებული ბავშვები შეუდგენენ მუშაობას ახალ წიგნზე, რომლის სათაური იქნება — „პუკი და კვიციბი“.

ინგლისი

ჩარლი ჩაპლინის ახალი ფილმი

როგორც პრესა იტყობინება, პოპულარული მსახიობი ჩარლი ჩაპლინი გახდა 1989 წლის ნობელის ლიტერატურული პრემიის კანდიდატი.

80 წლის ჩაპლინმა „პარი-მატჩის“ კორესპონდენტს განუცხადა: „მე ვებრძვი დროს და ვიმედოვნებ, გავიმარჯვო კიდევაც მასზე“.

ჩაპლინი ბევრს მუშაობს ძველი ფილმების აღდგენაზე, მას სურს ეს ფილმები ახალ თაობას აჩვენოს. ამჟამად ევროპის ეკრანებზე დიდი წარმატებით მიდის კომედია „ცირკი“, რომლის მუსიკა ჩაპლინს ეკუთვნის.

„გარდა იმისა, რომ ვმუშაობ ძველი 14 ფილმის აღდგენაზე, ვაპირებ გადავიღო ახალი ფილმი „ურჩხული“, რომელშიც ითამაშებენ ჩემი ქალიშვილები ჟოზეფინა და ვიქტორია. ვიმედოვნებ, ფილმი სასაცილო და ამავე დროს საინტერესო იქნება. ამჟამად დაწერილია სცენარის 100 გვერდი. გადაღებები დაიწყება სექტემბერში, ინგლისში“ — განაცხადა ჩაპლინმა.

კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა

კორეულ პატრიოტთა ბრძოლა

სამხრეთ კორეის ქალაქი სეული ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეს მოგაგონებთ. ქუჩებში დაძრწინა პოლიციელები. დღითიდღე იზრდება დემონსტრაციების რიცხვი. ხალხი მოითხოვს ამერიკელთა ჯარის გაყვანას და მშვიდობის, დემოკრატიული უფლებების აღდგენას. ოთხი ათასი სტუდენტი ჰაბუკი და ქალიშვილი, რომლებიც სეულის ქუჩებში გამოვიდნენ, მოითხოვდნენ პრეზიდენტ პაკ ჩჰონ ხის მარიონეტული ხროვის გადაყენებას. დემონსტრაცია სასწრაფოდ იქნა გარკეილი პოლიციელების მიერ. დაიჭრა 20 სტუდენტი, დააპატიმრეს 60.

სამხრეთკორეელი ხალხის ბრძოლა მშვიდობისა და საყოველთაო დემოკრატიისათვის გრძელდება.

საზრანგეთი

ავანტიურის შედეგი

მრავალი საზღვარგარეთული ჟურნალ-გაზეთი უთმობს თავის ფურცლებს მასალებს ამერიკელ აგრესორთა ბინძური ომის შესახებ ვიეტნამში. ამ თემას განსაკუთრებით ეხმაურებიან ამერიკული ჟურნალი „ლაიფი“ და ფრანგული ჟურნალი „პარი-მატჩი“. „ლაიფის“ ბოლო ნომერში მოთავსებულია ფოტოსურათები და გვარები იმ 242 ამერიკელი ოფიცრისა და ჯარისკაცისა,

რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში დაძვრნენ მართლო ომში.

„ჩვენ უნდა გავწიოთ ყოველგვარი რისკი მშვიდობის დასაცავად“ — წერს „ლაიფი“, მაგრამ ეს უშედეგო სიტყვები ნაკლებად დამაშვიდებელია ათასობით დაღუპულ ჯარისკაცთა მშობლებისა და ახლობლებისათვის.

ფრანგულმა ჟურნალმა „პარი-მატჩმა“ მოათავსა ფოტორეპორტაჟი სისხლისმღვრელი ბრძოლების შესახებ, რომელიც ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა დაქტოს მთებში. ამერიკელებმა ამ ბრძოლაში უამრავი მეომარი დაკარგეს. როგორც ასოშეიტვება, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ რაიონში 15 ათასი ტონა ასაფეთქებელი საშუალება ჩამოყარეს, მათ დაკარგეს ჯარის თითქმის ნახევარი.

ამ ბრძოლაში კიდევ ერთხელ ცხადყო, რაოდენ ძნელია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის დამარცხება.

რეკლამის კიდევ ერთი მსხპარპლი

როგორც გაზეთი „ფრანს სუარი“ იტყობინება, ფრანგ მომღერალ ქალს უაკლიან დიულაკს ალბათ იგივე ბედი ეწვეოდა, რაც იმ მომთინიერი ბელს, რომლის შესახებაც დიულაკი თავის ახლახან ჩაწერილ ფირფიტაში მღერის — ახალგაზრდა, სიცოცხლით სავ-

სე მომთვინიერებელი ლომების მსხვერპლი გახდა.

ჟაკლინ დიულაკი ლომების გალიაში შევიდა. მას უნდა შეესრულებინა სიმღერა და დიულაქ მომთვინიერებელზე. ჟაკლინი გვერდით ამოუდგა ერთ-ერთ ლომს, პაშას, და სიმღერა დაიწყო. უტიცრად ლომი მომღერალს ფეხში სწვდა და ჟაკლინს რომ დიდი მოთმინება და ნებისყოფა არ გამოეჩინა, უდაოდ მხეცის მსხვერპლი გახდებოდა. გავითი არ იტყობინება, რამ აიძულა დიულაკი მხეცების გალიაში შესულიყო. ამ სარისკო ექსპერიმენტზე მან თანხმობა განუცხადა ფირფიტების სარეკლამო ფირმას. მომღერლის ფოტოს უნდა დაემშვენებინა ახალი ფირფიტა „სიმღერა მომთვინიერებელზე“.

პირმან მელვილი

სრულდება 150 წელი გამოჩენილი ამერიკელი მწერლის პერმან მელვილის დაბადებიდან. საქმაო ხანი გავიდა მწერლის გარდაცვალებიდან, ვიდრე ამერიკელები მათთვის სრულიად მოულოდნელად აღმოაჩენდნენ, რომ კუპერისა და ედგარ პოს, უტიმენისა და მარკ ტვენის გვერდით გასულ საუკუნეში მათ ჰყავდათ კი-

დეც ერთი იშვიათი ტალანტი პერმან მელვილი.

ამერიკის საზოგადოებამ ვერ გაიგო მწერალი, რომელმაც დიდად გაუსწრო თავის საუკუნეს. მისი საუკეთესო რომანი „მოზი დიკი“ მისმა თანამედროვეებმა ჩათვალეს ვეშაპმონადირეობაზე დაწერილ უბრალო რომანად, რომელიც მალე სრულ დავიწყებას მიეცა. მაგრამ რომანის ფილოსოფიურ-ეთიკურმა შინაარსმა და შემოქმედებითი აზრის ძალამ ახალი სიცოცხლე აჩუქა მას ჩვენს საუკუნეში.

„მოზი დიკე“ უამრავი წერილია დაწერილი. გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე ამერიკულ რომანზე. საინტერესოა, რომ „მეცნიერ-ატომისტების ბიულეტენმა“ ერთი თავისი ნომერი მიუძღვნა პრობლემას „მოზი დიკი“ და ატომი“, სადაც სწერია: „თეთრი ვეშაპის სიმბოლო ჩვენს დროში საოცრად წააგავს ატომურ ყუმბარას. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, — არა იმდენად ატომურ ყუმბარას, რამდენადაც შიდაატომის ენერჯისა...“

ამერიკელი საზოგადოების სასაყვედუროდ, რომელმაც თავის დროზე არ იწამა მელვილის ტალანტი, ყოველთვის დარჩება ავტორის სიტყვები:

„თუმცა მე ჩემი საუკუნის სახარება დავწერე, მაინც სიღარიბეში ამომხდენა სული“

„ოსკარის“ პრემია საბჭოთა ფილმს

ამერიკის კინოხელოვნების აკადემიამ საბჭოთა ფილმი „ომი და მშვიდობა“ აღიარა გასული წლის ყველაზე საუკეთესო საზღვარგარეთულ ფილმად იმ ფილმებს შორის, რომლებსაც უჩვენებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ეკრანებზე. ფილმს მიენიჭა გასული წლის ერთ-ერთი ავტორიტეტული კინოპრემია — „ოსკარის“ პრემია.

„ომი და მშვიდობა“ დიდი წარმატებით მიღის მსოფლიოს ეკრანებზე, იგი შეისყიდა 80 სახელმწიფომ და ყველაგან დიდი მოწონება დამსახურა. ამერიკული ჟურნალი „ნიუსუიკი“ წერდა: „ფილმი იწვევს აღფრთოვანებას უპირველეს ყოვლისა თავისი კეთილშობილებითა და მრავალფეროვნებით. იგი დიდ ინტერესსა და მოწონებას იმსახურებს“.

პრემია-სტატუეტკა „ოსკარი“ ნატაშა როსტოვას როლის შემსრულებელს ლიუდმილა საველიევას გადასცა ცნობილმა ამერიკელმა კინომსახიობმა ნატალი ვულმა.

გარეკანის მეორე გვერდზე ნახ. დ. ერისთავისა.
ჟურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.
ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბღუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.
ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VII-69 წ. ქალაქის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 10,7 შეკვ. № 1795. უე 02270. ტირ. 18.800.
საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

3560 60 333.

657/36



06419369730
3.03-11190933

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236